www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ოთხშაბათი, 28 მაისი, 2003 წელი. №144 (356)

ფასი 50 თეთრი

საბიჯი ნიშნული

ალბერ ბესელიას ფოტო

გორში ხელჩართული ჩხუბი მას შემდეგ დაიწყო, რაც კანდელაკის მოკრივეებმა "ნაციონალურ მოძრაობას", აქედან დაახვიეთო, უბრძანეს.

თამარ მჭედლიშვილი

წინასაარჩევნოდ პოლიტიკური დაპირისპირებები საქართველოს თითქმის ყველა რეგიონს მოედო. გუშინ გორში მომხდარმა ინციდენტმა, კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ 2 ნოემბრის არჩევნები ერთ-ერთი ყველაზე დრამატული დღე იქნება ჩვენი ქვეყნისთვის და იმ შემთხვევაში, თუკი არჩევნებში მონაწილე სუბიექტები თამაშის ელემენტარულ წესებსაც კი არ დაიცავენ, პოლიტიკური დაპირისპირება უკიდურესად საშიშ ნიშნულს მიუახლოვდება, რომლის იქით უკვე უმართავი პროცესები და ქაოსია.

გუშინ პარტიების წინასაარჩევნო კამპანიებში სპორტსმენთა ნაწილიც ჩაერთო. თანაც, არა სიტყვით, არამედ მათთვის უფრო მისაღები მეთოდით - ფიზიკური ძალის გამოყენებით. გუშინვე გაირკვა, რომ მსოფლიო ჩემპიონი კრივში გიორგი კანდელაკი, რომელიც გორის მაჟორიტარი დეპუტატის ვახტანგ ყანჩაველის სიძეა, პოლიტიკურადაც საკმაოდ აქტიური ფიგურა ყოფილა.

გაგრძელება A2 გვერდზე

ორთაბრძოლა გორში პოლიტიკოსებსა და მოკრივეებს შორის

ვერიკო თევზაძე

გუშინ, გორის თეატრის წინ, ჟურნალისტები სცემეს. როცა გიორგი კანდელაკის ბიჭებსა და "ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენლებს შორის ხელჩართული ჩხუბი დაიწყო, შიდა ქართლის სამხარეო ადმინისტრაციის იურისტი ზურაბ ლომიძე (ახალგაზრდა, რძისფერპერანგიანი ჩინოვნიკის ვინაობა ადგილობრივმა ჟურნალისტებმა დაგვიზუსტეს) ერთ-ერთ გორელ ოპერატორს მივარდა ყვირილით და კამერის წართმევა დაუპირა. ლომიძე მარტოდმარტო დარჩენილ ოპერატორს მაისურზე ექაჩებოდა და ფერდებში მუშტებს ურტყამდა. მან "24 საათის" ჟურნალისტსაც მიაყენა ფიზიკური შეურაცხყოფა, როდესაც ეს უკანასკნელი კოლეგას გამოექომაგა.

ჩინოვნიკი ლომიძე ნამდვილი ჯენტლმენია: ვაჟ ოპერატორს მუშტები უბრაგუნა, ხოლო სუსტი სქესის წარმომადგენელ ჟურნალისტს ხელის მტევანზე შემოარტყა ხელი, თანაც ორგზის! ჩემს შეკითხვაზე: ხელით რატომ მეხებით? – იურისტმა ნიშნის მოგებით დამიყვირა: **"მომიყვანე მოწმე, რომ მართლა დაგარტყი. პროვოკატორი ბრძანდები... მომიყვანე მოწმე!"** რამდენიმე წუთის შემდეგ ლომიძესთან მწვანეპერანგიანმა მამაკაცმა მიირბინა და დაბალ ხმაზე დაარიგა:

გაგრძელება A2 გვერდზე

არჩევანი არჩევნებამდე – შეჩვეული ჭირი თუ ოპოზიციის ნდობა

თამარ ხორბალაძე

ბოლო დღეებში სიტუაცია მართლაც ფეთქებადსაშიში გახლდათ. გასული კვირა იმით დასრულდა, რომ ოპოზიციამ ქუჩაში გამოსვლის მუქარა არა მხოლოდ გაახმოვანა, არამედ უკვე პირდაპირ მოუწოდა კიდეც ხალხს 3 ივნისს პარლამენტის წინ შეკრებისკენ. ასეთია შედეგი დაუსრულებელი დიალოგისა და ვერშემდგარი გარიგებებისა საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების წესთან დაკავშირებით. შევარდნაძემ და მისმა ხელისუფლებამ ყველაფერი გააკეთა, რომ საქართველოში 2 ნოემბერს ისევ არ ჩატარდეს სამართლიანი არჩევნები. პარალელურად კი, საკმაოდ მკვეთრი ნაბიჯები გადადგა ოპოზიციისთვის არასტაბილური იმიჯის შესაქმნელად, რასაც თავად ოპოზიციამაც წარმატებით წააშველა ხელი.

გაგრძელება A3 გვერდზე

არიელ შარონის მომგებიანი სვლა

ლევან ღირსიაშვილი

"მე ვფიქრობ, რომ სამ მილიონნახევარი პალესტინელის ოკუპაციაში ყოფნა ცუდია, როგორც პალესტინელებისათვის, ასევე ისრაელის ეკონომიკისათვის," - ეს განცხადება ისრაელის პრემიერ-მინისტრ არიელ შარონს ეკუთვნის. იგი ისრაელის ყოველდღიურ ინტერნეტ-გაზეთ "მაარივ"-ში გამოქვეყნდა. ამით, ისრაელის ლიდერმა ყველასათვის გასაგები გახადა, რომ მისი მთავრობა მზად არის პალესტინელებთან მშვიდობის დასამყარებლად და მოლაპარაკებისადმი სერიოზულად არის განწყობილი. განცხადების მთელი სენსაციურობა კი იმაში მდგომარეობს, რომ ისრაელის პრემიერ-მინისტრმა პალესტინის ოკუპაციის ფაქტი პირველად აღიარა.

გაგრძელება A5 გვერდზე

საქართველოს რეგიონებს დენის მიწოდება 70 პროცენტით შეეზღუდებათ

მაია ურუშაძე

3 ივნისიდან საქართველოს გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიას ელექტროენერგიის მიწოდება 70 პროცენტით შეეზღუდება. შედეგად, ივნისის ბოლომდე საქართველოს რეგიონები დენს გრაფიკით მიიღებენ, ხოლო სადისტრიბუციო კომპანიას, ურჩ გადამხდელთა მიმართ, მკაცრი რეპრესიების გატარება მოუწევს. ამის თაობაზე, გუშინ, საბითუმო ბაზრისა და "გსეკ"-ის ხელმძღვანელებმა ერთობლივ პრესკონფერენციაზე განაცხადეს.

გაგრძელება A4 გვერდზე

დარჩება ქრება მხიარული?

გიორგი ასანიშვილი

გუშინ, მთელი დღის განმავლობაში, პარლამენტის თავმჯდომარის კაბინეტთან "ცოცხალი რიგი" იდგა: ფრაქციათა ხელმძღვანელები ნინო ბურჯანაძესთან საარჩევნო საკითხებზე მართავდნენ კონსულტაციებს. დილით სპიკერთან მიღებაზე იმყოფებოდა "მრეწველთა" ლიდერი გოგი თოფაძე; შემდეგ ბურჯანაძე "ნაციონალების" საპარლამენტო ფრაქციის თავმჯდომარეს კოტე კემულარიას შეხვდა; შუადღისას შედგა აუდიენცია "ტრადიციონალისტ" აკაკი ასათიანთან და "ამღორძინებელ" ჯემალ გოგიტიძესთან; დღის ბოლოს კი, ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს "მძიმეწონოსნები" - ხელისუფლების მხარდამჭერ ფრაქციათა პირველკაცები - ელგუჯა მეძმარიაშვილი, ირაკლი მინდელი, ირაკლი გოგავა და გივი ლომინაძე ეწვივნენ. თუ რა შედეგი გამოიღო ამ კონფიდენციალურმა ვიზიტებმა, დღეს გაირკვევა, როდესაც გუშინდელ "ინდივიდუალურ" სტუმრებს ნინო ბურჯანაძე ერთ მაგიდასთან დასვამს და მათ წინადადებებს შეაჯერებს.

გაგრძელება A3 გვერდზე

დამოუკიდებლობა ევერესტზე

გუჯაბიძე ორგზის ევერესტელია

ბიძინა გუჯაბიძის ევერესტზე აღმა-დაღმა "ხეტიალზე" იმდენი ითქვა და დაიწერა, შესაძლოა, ვინმეს იმედიც გადაეწურა – ამსვლელი აქამდე ავიდოდაო. ამიტომ, აქედანვე აღვნიშნოთ: 26 მაისს გუჯაბიძე პლანეტის უმაღლეს მწვერვალზე შედგა. მწვერვალზე, რომელიც ანდამატივით იზიდავს ფათერაკის მაძიებლებს. ხვალ, 29 მაისს, ევერესტის დაპყრობიდან 50 წლის იუბილე აღინიშნება. ბიძინა გახდა პირველი ქართველი მთამსვლელი, რომელმაც ჯომოლუნგმა ორივე მხრიდან - სამხრეთიდან და ამჯერად უკვე ჩრდილოეთიდანაც მოათვინიერა. რა და როგორ იყო, ამის წინასწარ თქმა ჭირს, რადგან გუშინ, როდესაც შინ დაურეკავს, მეუღლისთვის უთქვამს, ევერესტზე ელაგინთან ერთად ავედიო. ბუნებრივია, იყო ემოციები, ამიტომ ოჯახის წევრებს დეტალები აღარ გამოუკითხავთ. ამის არც დრო იყო და არც საშუალება. თუმცა, გარკვეული ფონისთვის ექსპედიციის ხელმძღვანელის ალექსანდრ აბრამოვის დღიურები მოვიშველიოთ.

გიგა გურასაშვილი

24 მაისი: 21 მაისს სამიდან ორი შერპი ავად გაგვიხდა. ცუდი ამინდია. 7 900 მეტრზე ბანაკის დადგმაში მხოლოდ ერთი შერპი გვეხმარებოდა. ჟანგბადის ბალონებით 7 500-დან 7 900 მეტრზე ავდივართ. აქვე ვიპოვეთ მოედანი, სადაც კარავიც დავდგით. წყლის უკმარისობის გამო ყელი გვტკივა – ჟანგბადი ბალონიდან ყელს აშრობს. პროგნოზის მიხედვით, დღეს ღამით და ხვალ დილით კარგი ამინდი უნდა იყოს ასასვლელად. გადავწყვიტეთ, გზა გავაგრძელოთ და ბანაკი 8 300 მეტრზე დავდგათ. 17 საათსა და 15 წუთზე ჟანგბადის აპარატი წუთში სამ ლიტრზე მოვმართეთ და გზას გავუდექით. სიარული ჭირს. უკუნ სიბნელეში ბანაკსაც მივუახლოვდით. კლდოვანი ფერდობია, 25-გრადუსიანი დახრილობით. ძალიან გვწყურია, მაგრამ წყლის ასადუღებლად და გამჭოლი ქარისგან დასაცავად თავშესაფარს ვერ ვპოულობთ. სრულ სიბნელეში უცებ რომელიღაც ექსპედიციის ჟანგბადის ბალონმა ჩაგვიფრინა. დღეს აქ 100-მდე მთამსვლელმა მოიყარა თავი.

გაგრძელება B4 გვერდზე

ალბერ ლომაგიძის ფოტო

ბიძინა გუჯაბიძე ევერესტზე გამგზავრებამდე "24 საათის" რედაქციაში.

ინფორმაცია

ამინდი

თბილისი	24
ქუთაისი	26
ბათუმი	21
სოხუმი	23
ფოთი	22
თელავი	23
ზუგდიდი	25
გორი	22
ახმეტა	23
ჭიათურა	25
გაგრა	22
სამტრედია	24

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	2.1475
ევრო	2.5134
გირვანქა სტერლინგი	3.5129
რუბლი	0.0697

პოლიტიკა

ნატო საქართველოში - აბრესია რუსეთის წინააღმდეგ

რუსეთის გეოსტრატეგიული კვლევების აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი ლეონიდ ივაშოვი ამტკიცებს, რომ საქართველო-ნატოს სამხედრო თანამშრომლობა თავისთავად უკვე დიდ საფრთხეს წარმოადგენს რუსეთისათვის.

A3

ეკონომიკა

"გაზპრომთან" მოლაპარაკებები გრძელდება

საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაცია "გაზპრომთან" მოლაპარაკებებს აგრძელებს. დღეს თბილისს ერთდღიანი სამუშაო ვიზიტით რუსული კომპანია "გაზპრომის" გენერალური დირექტორი ალექსეი მილერი ეწვევა.

A4

უცხოეთი

დასავლეთი მილსადენების ომს აგებს

ისევე როგორც კასპიური გაზის შემთხვევაში, პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა დასავლეთში ექსპორტირებული კასპიური ნავთობის ტრანზიტზეც სრული მონოპოლია დაამყარა. ეს ტენდენცია დასავლეთის მიერ გამოცხადებულ "მრავალი მილსადენის სტრატეგიას" აზრს უკარგავს.

A5

საზოგადოება

დევნილები და განდევნილები

ჯიქიას ქუჩაზე მდებარე გეოლოგიის დეპარტამენტის კუთვნილი შენობიდან სასამართლო წესით გამოსახლებული 80 ოჯახის, პრეზიდენტის განკარგულების ძალით, უკან შესახლებას გეოლოგიის დეპარტამენტის თავმჯდომარემ თამაზ ჯანელიძემ თანამდებობის დატოვებით უპასუხა.

A6

სამართალი

ერგნეთის ბაზრობის დირექტორის ძმა აფეთქებამ იმსხვერპლა

გორში, საკუთარი ავტოფარეხის წინ, აფეთქების მსხვერპლი გახდა ერგნეთის ბაზრობის ერთ-ერთი მეწილე რევაზ წკრიალაშვილი. აფეთქება მაშინ მოხდა, როცა წკრიალაშვილი მანქანიდან გადმოდიოდა. იგი ადგილზევე გარდაიცვალა.

A7

რუსთავის მერი სამთავრობო სტრუქტურებს საარჩევნო შანტაჟში ამხელს

მაია მოსიაშვილი
რუსთავიდან

წინასაარჩევნო პერიოდში ქართველი პოლიტმენების მხრიდან სხვადასხვა ორგანიზაციებზე ზეწოლა აპრობირებულ მეთოდად ითვლება. ზეწოლის ერთ-ერთ ფორმაზე - შანტაჟზე რუსთავის მერი არჩევნებამდე ოთხი თვით ადრე სენსაციურ, თუმცა ზოგად განცხადებას აკეთებს: **"არ მაინტერესებს არც მინისტრების, არც გუბერნატორების და არც სხვისი დავალებები. ქალაქმა თავისი სახე უნდა შეინარჩუნოს, არავის მითითება არ გვჭირდება. დაიწყეს საშინელი აქციები, ამა თუ იმ ორგანიზაციაში უშვებენ ხალხს, კონტროლის პალატას, უწყებებს, ადებენ ვალებს და მერე ევაჭრებიან, ამ ვალებს ჩამოგაწერთ, თუ ჩვენთან დადგებით."**

ტყეშელაშვილის თქმით, მას ახლახან ერთ-ერთი მაღაზიის მფლობელმა მიმართა და დახმარება სთხოვა. **"ერთ-ერთი სამსახურიდან შევიდნენ მაღაზიაში, აქტი შეუდგინეს, დიდი თანხის გადახდა დააკისრეს და შესთავაზეს, თუ საარჩევნოდ ჩვენს მხარეს დადგებით, აქტიც დაიხევაო. გაირკვა, რომ თავად მეპატრონესთან კი არ ჰქონდათ საქმე, არამედ მისი ოჯახის ერთ-ერთ წევრთან,"** - აცხადებს მერი. ის კონკრეტული უწყებისა და გვარების დასახელებისაგან თავს იკავებს. კითხვაზე, მაღაზიაში შესული უწყება საქალაქო იყო თუ სამხარეო, რუსთავის მერი პასუხობს, ქალაქის სამსახურების ხელმძღვანელები მკაცრად არიან გაფრთხილებულები და ამგვარ ქმედებას ვერ გაბედავენ, რადგან ძვირად დაუჯდებათ. **"როგორც კი ეს ფაქტები კიდევ განმეორდება, მე სახელებს და გვარებსაც დავასახელებ და იმ სამსახურის უფროსების ვინაობასაც ვიტყვი, რომლებიც რეკავენ და დავალებებს იძლევიან,"** - ტყეშელაშვილი უფრო შორსაც მიდის და სხვადასხვა პარტიების მხრიდან განათლების, ჯანმრთელობის და კულტურის სფეროების წარმომადგენლებზე ზეწოლაზეც საუბრობს. **"ასეთივე რამ ხდება ბავშვების და ახალგაზრდების მიმართ. ფულს უხდიან და ამით საარჩევნო დივიდენდებს იღებენ. ადამიანის გაჭირვებაზე აკეთებენ აპელირებას. ჩემთან მოვიდნენ ერთ-ერთი სფეროს ელიტარული წარმომადგენლები და მითხრეს, გვირჩიეთ, რა ვქნათო. მეც ვიყავი ერთ-ერთი პარტიის ხელმძღვანელი, თუმცა ასეთი რამ არ მიკეთებია,"** - ამბობს რუსთავის მერი, რომელმაც მომავალი არჩევნებისათვის აპოლიტიკური ამპლუა შეირჩია. **"როდესაც საუბარი მაქვს ქვეყნის ხელისუფლების უმაღლეს პირებთან თუ სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის ლიდერებთან, უკვირთ კიდეც, რას ნიშნავს ესო. მათ ჩემი პოზიცია არ აკმაყოფილებთ, მაგრამ დღეს რუსთავს ასე სჭირდება,"** - აცხადებს ექსპერიმენტების მოყვარული რუსთავის მერი და თავადაც არ იცის, შესძლებს თუ არა ამგვარი პოზიციის ბოლომდე შენარჩუნებას.

ოსები შეშინდნენ

სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარის სტანისლავ კოჩიევის განცხადებით, საქართველოში 2 ნოემბერს დანიშნული საპარლამენტო არჩევნების მოახლოება ქართულ-ოსური კონფლიქტის ძალისმიერი გზით მოგვარების მომხრეებს სტიმულს აძლევს.

"გახშირდება იმის მცდელობები, რომ არასტაბილური შიდაპოლიტიკური სიტუაციიდან აქცენტები მოუგვარებელ კონფლიქტებზე გადავიდეს", - ამბობს იგი. ამავე დროს, მისი თქმით, საქართველოს ძალოვან სტრუქტურებში კვლავ გაისმის სამხრეთ ოსეთში პანკისის ხეობის მსგავსი ოპერაციის ჩატარების მოწოდებები.

"ყოველივე ამან არ შეიძლება ცხინვალში შესაბამისი რეაგირება არ გამოიწვიოს", - განაცხადა კოჩიევმა. **პრაიმ-ნიუსი**

მოკლედ

თბილისი. გალის აფხაზურ ადმინისტრაციას დაქვემდებარებულ ქართულ საშუალო სკოლებს წელს 180-მდე ქართველი მოსწავლე დაამთავრებს. სოხუმის ხელისუფლება მათ აფხაზურ უნივერსიტეტში უფასო სწავლებას სთავაზობს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტი ვლადისლავ არძინბა აფხაზეთის შს ექს-მინისტრ ალექსანდრე ანქვაბს ქართველთა მიმართ კეთილგანწყობაში, ქართველ პოლიტიკოსებთან მეგობრობაში და აფხაზეთში მოქმედი ოპოზიციური ძალების მხარდაჭერაში ადანაშაულებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. რუსეთის ფედერაციის ქალაქ სოჭის საქალაქო საკრებულოს დეპუტატებმა ბოლო პერიოდში არაერთხელ დასვეს აფხაზეთის ტერიტორიიდან ე.წ. "აიბგის" ნაკრძალის დიდი ნაწილის (რომელიც, დაახლოებით, 30 ათას ჰექტარს შეადგენს) რუსეთის ფედერაციისთვის მიერთების საკითხი. **მედიანიუსი.**

■ ■ ■

თბილისი. რუსეთის ექსპერტთა ჯგუფი, საგარეო საქმეთა სამინისტროს საგანგებო დავალებათა ელჩის ლევ მირონოვის ხელმძღვანელობით, ორ ქვეყანას შორის "ჩარჩო" ხელშეკრულების მომზადების თაობაზე მოლაპარაკებების გასამართად სამშაბათს თბილისში ჩამოვიდა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. უკრაინა მზად არის, ქართულ და აფხაზურ მხარეებს ნდობის განმტკიცების ღონისძიებათა ფარგლებში შეხვედრისათვის საკუთარი ტერიტორია შესთავაზოს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოს შეიარაღებულ ძალებში საგაზაფხულო სავალდებულო გაწვევა სამშაბათს დაიწყო და სამ თვეს გაგრძელდება. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოსა და ესტონეთის სამხედრო უწყებათა წარმომადგენლები, შეიარაღებულ ძალებზე დემოკრატიული კონტროლის საკითხებზე, თბილისში კონფერენციას გამართავენ. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. "ახალმა მემარჯვენეებმა" თერჯოლის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატად ამავე რაიონის ორგანიზაციის წევრი, პროფესიით ეკონომისტი, დაცვის სამსახურის ხელმძღვანელი ზვიად აბესაძე დაასახელეს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. ერთიანი კომუნისტური პარტიის ლიდერი პანტელეიმონ გიორგაძე მიიჩნევს, რომ საქართველოში ნამდვილი ოპოზიციური პოლიტიკური ორგანიზაციები "ერთობა" და "დემოკრატიული აღორძინების კავშირი" არიან. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. საპარლამენტო ფრაქცია "დემოკრატების" ლიდერი გიორგი ბარამიძე დღეს პრაღაში გაემგზავრა, სადაც ნატო-ს საპარალმენტო ასამბლეის საგაზაფხულო სესიის მუშაობაში მიიღებს მონაწილეობას. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. დღეს სასტუმრო "შერატონ მეტეხი-პალასში" აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების საკითხებისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია გაიმართება. კონფლიქტოლოგები კონფლიქტის მოგვარების ახალ მოდელებს, მათ შორის - ქართულ-აფხაზური ურთიერთობების პერსონალურ ფედერალიზმზე აგების შესაძლებლობას განიხილავენ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. 2002 წელს ნავთობპროდუქტების აღრიცხული იმპორტი შემცირდა. 2001 წელს საქართველოში 87,8 მლნ. დოლარის ღირებულების ნავთობი და ნავთობპროდუქტები იყო იმპორტირებული, ხოლო 2002 წელს - 87,3 მლნ. დოლარის ანუ ნახევარი მილიონი დოლარით ნაკლები. პარლამენტის საბიუჯეტო ოფისში აუცილებლად მიიჩნევენ სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსებში იმ ცვლილებების შეტანას, რომლებიც ნავთობპროდუქტების არალეგალურ შემოტანაზე, დამუშავებასა და რეალიზაციაზე საჯარიმო სანქციების გამკაცრებას უზრუნველყოფს. **ინტერ-პრესი**

ორთაბრძოლა გორში პოლიტიკოსებსა და მოკრივეებს შორის

პირველი გვერდიდან

"მეტის ღირსები არიან, მაგრამ თავი შეიკავე. ისედაც შარს ეძებენ და თბილისში რომ ჩავლენ, ერთ ამბავს ატეხენ, გაგვაშუქებენ და ეგ გვინდა?!" "გამაშუქონ, მაგათი..." - ყვიროდა გადაფითრებული ლომიძე.

ვიდრე ეს ინციდენტი მოხდებოდა, თეატრთან მისულ "ნაციონალური მოძრაობის" გორის ორგანიზაციის წარმომადგენლებს მსოფლიო ჩემპიონი კრივში გიორგი კანდელაკი დახვდა, თავისი ბიჭებით. კანდელაკი უკმაყოფილო იყო გორელი "ნაციონალების" "საქციელით". ამ გამოთქმაში იგულისხმება "ნაციონალური მოძრაობის" გორის ორგანიზაციის ინიციატივა - დემონსტრაციით დახვედროდნენ გორში სმკ-ს კონფერენციაზე დასასწრებად ჩასულ ავთანდილ ჯორბენაძეს და თავიანთი მოთხოვნები წაეყენებინათ, რომელთაგან მთავარი დემოკრატიული საარჩევნო კანონის მიღება იყო. კანდელაკს მასმედიასთან კომენტარისას არ დაუფარავს, რომ იგი "რაღაცის მოხდენას" ელოდებოდა და სპორტსმენებთან ერთად, წინასწარ მობილიზებული იყო.

ჩხუბი მას შემდეგ დაიწყო, როცა კანდელაკმა "ნაციონალური მოძრაობის" ერთ-ერთ წევრს დიალოგი გაუმართა: **"მე ვიცი, რომ რაღაცა მოხდება აქ, მერე შენ მოიხსნი აჩკებს და აქედან გაიძურწები, შე უნამუსო, შე არაკაცო."** სათვალიანი ცდილობდა პროვოკაციას არ წამოგებოდა და კითხულობდა: რა უნდა მოხდეს? მერე ვიღაცამ დაიყვირა: **"დაახვიეთ აქედან, თქვე პედარასტებო!"** კანდელაკმა ფრაზა შემოკლებით გაიმეორა: **"დავაი, დაახვიეთ აქედან!"**

ბასრი ბუსელიას ფოტო

სახელმწიფო მინისტრს გორელები შიმშილსა და უპენსიობას შესჩიოდნენ.

შეუძლებელი იყო იმის დადგენა, ფიზიკურად ჩხუბი ვინ დაიწყო. ალიაქოთში ვერც ის გავარჩიეთ, "24 საათის" ფოტოგრაფს ფოტოაპარატის წასართმევად ვინ მივარდა. ძიძგილაობისას ჩვენს თანამშრომელს სახე დაუზიანდა. ამ დროს "ნაციონალური მოძრაობის" პრესსამსახურის ხელმძღვანელს თავში ვიღაცის ძლიერი მუშტი მოხვდა.

აყალ-მაყალში ფორმიანი პოლიცია პრაქტიკულად არ ჩარეულა. გორის მოსახლეობას თუ დავუჯერებთ, კანდელაკის ბიჭებს გვერდს "ომონის" გადაცმული ბიჭებიც უმშვენებდნენ.

გიორგი კანდელაკის საქციელით გორის მოსახლეობა გაწბილებული და აღშფოთებული იყო: **"მაგას ხალხი ტაშს უკრავდა და ეს რა ჩაიდინა, პარლამენტარი სიმამრის გამო ღირსება დაკარგა."** სხვებმა დაამატეს: **"ამბობენ, რომ მაგასაც დეპუტატობა უნდა, ხალხის სიყვარულს ვერანაირი ტიტული ვერ შეცვლის..."**

ცემა-ტყეპის დასრულების შემდეგ, გორის "ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენლებმა გამგეობის წინ აქცია მოაწყეს. აქციას თბილისის ცენტრალური ოფისიდან ჩასული დავით ბერძენიშვილი, ირაკლი ოქრუაშვილი და კობა ბექაური ესწრებოდნენ. პარტიის ოფისისკენ მიმავალ აქციის მონაწილეებს გზაში სახელმწიფო მინისტრი შეეჩეხა. კობა ბექაურსა და ავთანდილ ჯორბენაძეს შორის მომხდარი სიტყვიერი შელაპრაკებისას სახელმწიფო მინისტრმა სლენგი არჩია: **"იცი რას გეტყვი, ძმაო, შენ თბილისის საკრებულოს მიხედე..."** გორელები ჯორბენაძეს მიცვივდნენ და საყვედურებით აავსეს. სახელმწიფო მინისტრმა როგორღაც მოახერხა თავის დაძვრენა და ცოტა ხნის შემდეგ სმკ-ს მეოთხე სამხარეო კონფერენციაზე წარდგა სიტყვით(ამჯერად ჯორბენაძემ ჟარგონს მაღალფარდოვანი სტილი ამჯობინა).

ასე დასრულდა გუშინდელი შეხვედრა გორში პოლიტიკოსებსა და მოკრივეებს შორის. ვინ გაიმარჯვა? - ძნელი სათქმელია, ვინაიდან პოლიტიკური ორთაბრძოლის შედეგებზე საუბარი, ჯერჯერობით, ნაადრევია. ჩვენთვის მხოლოდ ის არის ცნობილი, რომ "ნაციონალური მოძრაობის" წევრების წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმეა აღძრული.

საშიში ნიშნული

პირველი გვერდიდან

სახელმწიფო მინისტრის ავთანდილ ჯორბენაძის დასახვედრად და მომხვდურთათვის (ანუ "ნაციონალებისთვის") პასუხის გასაცემად მობილიზებულ ადგილობრივ "მოქკავშირულ" აქტივს სწორედ გიორგი კანდელაკი და მისი მხარდამჭერი სპორტსმენები უმაგრებდნენ ზურგს. გიორგი კანდელაკის გუნდმა და შიდა ქართლის სამხარეო ადმინისტრაციის თანამშრომლებმა არც ადგილობრივი და თბილისიდან ჩასული ჟურნალისტები დაინდეს და მედიის წარმომადგენლებს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს. თანაც, დაზარალებულთაგან ორი ქალბატონია, ხოლო თავდამსხმელებიდან ერთი – იურისტი, სამხარეო ადმინისტრაციის აპარატში მომუშავე ვინმე ზურაბ ლომიძე, ანუ ადამიანი, რომელმაც, საკუთარი პროფესიიდან გამომდინარე, ყველაზე მეტად უნდა დაიცვას კანონი.

ფიზიკური ძალის დემონსტრირებამ ყველაზე ცუდი სამსახური არა დარბეულ "ნაციონალებსა" და ნაცემ ჟურნალისტებს, არამედ თავად ხელისუფლებას გაუწია. გუშინ გორის თეატრის წინ ამტყდარ აყალ-მაყალს დაუყოვნებლივ გამოეხმაურა "ნაციონალური მოძრაობის" ლიდერი მიხეილ სააკაშვილი, რომელმაც ცალსახად განაცხადა, რომ მისი პარტიის მიერ ორგანიზებული მანიფესტაცია **"მშვიდობიანი იყო და მისი მონაწილენი ხელისუფლებისაგან მხოლოდ ერთს მოითხოვდნენ – დემოკრატიული საარჩევნო კანონის მიღებას".**

ბესო გელაშვილის ფოტო

მიხეილ სააკაშვილი: "მინდა გავაფრთხილო მთავრობა, რომ მისი არავის ეშინია."

მიხეილ სააკაშვილი იმ სცენარზე საუბრობს, რომელსაც ხელისუფლება გეგმავს და რომლის მიზანს მოსახლეობაში წინასაარჩევნო დაპირისპირების გამოწვევა წარმოადგენს. **"გორის ინციდენტი აღმოსავლეთ საქართველოში პირველია, როდესაც ხელისუფლებას ოპოზიციის წინააღმდეგ არა პოლიციის თანამშრომლები, არამედ ადგილობრივი მობანდიტო ჯგუფი გამოჰყავს. მე ყოველთვის ვიყავი გიორგი კანდელაკის გულშემატკივარი, მაგრამ თუკი იგი რინგიდან ჩამოვა და პოლიტიკაში ამ მეთოდებით მოვა, ჩემი დამოკიდებულება შეიცვლება. დაუშვებელია, როდესაც ხელისუფლება საკუთარი მოსახლეობის წინააღმდეგ მოკრივეებს ისე იყენებს, როგორც ფიზიკურ ძალას. დღეს თუ ისინი მუშტებს იქნევენ, ხვალ იარაღს მოიმარჯვებენ. მინდა გავაფრთხილო მთავრობა, რომ მისი არავის ეშინია. ჩვენი პარტიის ყველა აქტივისტი გაფრთხილებულია, რომ პროვოკაციებზე არ წამოეგოს. ჩვენ ამ ხელისუფლების წინააღმდეგ მხოლოდ მშვიდობიანი გზით ვიბრძოლებთ,"** - აცხადებს "ნაციონალთა" ლიდერი. მისივე თქმით, **"ნაციონალები" საქართველოს რაიონებში "მოგზაურ" ავთანდილ ჯორბენაძეს ყველგან საკუთარ აქტივისტებს ახვედრებენ, რათა ხელისუფლების წარმომადგენლებმა დაინახონ, თუ რეალურად რა განწყობაა მოსახლეობაში".**

ამ ფონზე, საკმაოდ საინტერესოა ის კომენტარი, რომელიც გორში მომხდარი შეტაკების შემდგომ თავად სახელმწიფო მინისტრმა ავთანდილ ჯორბენაძემ გააკეთა. მისი თქმით, ხელისუფლების წარმომადგენლებმა **"მშვიდობისა და მოსახლეობის უსაფრთხოების ფასი ძალზე კარგად უწყიან და მთავრობა არ დაუშვებს, რომ მოქალაქეებს უსაფრთხოების პრობლემები შეექმნას."** ხოლო მათ, ვინც ამის გაკეთებას მაინც შეეცდება, ხელისუფლება საკმარის პასუხს გასცემს. ამავე დროს, ავთანდილ ჯორბენაძე პოლიტიკური თამაშის წესებზეც საუბრობს და აცხადებს, რომ სახელისუფლებო ძალები მზად არიან, ყველაზე რადიკალურ ოპონენტებთანაც კი შეთანხმებას მიაღწიონ.

ამავე დროს, კომპრომისებზე მოსაუბრე სახელმწიფო მინისტრი გორის პროკურატურას ამ ფაქტის შესწავლას, კონფლიქტში მონაწილეთა დადგენასა და მათ დასჯას სთხოვს.

სხვათა შორის, რამდენიმე დღის წინ, როდესაც საქართველოს პრეზიდენტი კახეთში მოგზაურობდა, "ნაციონალებმა" იქაც "ისახელეს თავი" და პრეზიდენტს ერთ-ერთ შენობასთან დახვდნენ. შინაგან საქმეთა მინისტრმა ეს ინციდენტი კონტროლზე აიყვანა. როგორც მიხეილ სააკაშვილმა "24 საათს" განუცხადა, "ნაციონალური მოძრაობის" 25 აქტივისტზე სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. ასე რომ, სულაც არ არის გამორიცხული, ანალოგიური სცენარი გორშიც ამოქმედდეს და ინციდენტის მონაწილეთაგან მხოლოდ ერთი მხარე დაისაჯოს.

"მოდის სიო, რომელიც შეიძლება ქარიშხლად გადაიქცეს"

ასე აფრთხილებს ჯემალ გოგიტიძე ხელისუფლებას

ლენა მიქაძე

"დემოკრატიული აღორძინების კავშირის" თბილისის ორგანიზაციის მესამე კონფერენციაზე ცოტნე ბაკურიას დედაქალაქის ორგანიზაციის თავმჯდომარის ტიტული ოფიციალურად ჩააბარეს და ტკბილი სიტყვებიც არ დაიშურეს. გამომსვლელთაგან ბაკურიას ზოგმა განათლება და ოჯახისშვილობა მოუწონა, ზოგმა - "სუფთა ხელები და პატრიოტიზმით სავსე გული". ტკბილი სიტყვები მას ნამდვილად დასჭირდება. ამ საპარლამენტო არჩევნებისათვის "აღორძინებამ" საკმაოდ სერიოზული მიზანი დაისახა - "საპარლამენტო არჩევნებში სრული გამარჯვების მოპოვება". როგორც ცნობილია, თბილისის ორგანიზაციის წინა თავმჯდომარეს პოზიციები სწორედ მას შემდეგ შეერყა, რაც თვითმმართველობის არჩევნებში "აღორძინებამ" საკრებულოში მოსალოდნელზე ნაკლები ადგილი მოიპოვა.

გიორგი ბუსელიას ფოტო

"აღორძინებაში", ჩვეულებისამებრ, ყველაფერი ერთხმად წყდება.

საპარლამენტო არჩევნები უფრო ძნელი მოსაგები იქნება. მით უფრო, რომ ფრაქცია "აღორძინების" ლიდერის ჯემალ გოგიტიძის განცხადებით, ხელისუფლების წარმომადგენლებს საარჩევნოდ უკვე თავ-თავისი გარანტიები აქვთ მიღებული. **"საქართველომ არ იცის, თუ რამდენი ამომრჩეველია დღეს. ხმის მიცემა დღეისათვის არსებული თითქმის ყველანაირი დოკუმენტით შეიძლება. გარდა ამისა, 60 ათასი ყალბი მოწმობაა გაცემული. თავდაცვაც, უშიშროებაც და პოლიციაც მათია. საარჩევნო კანონზე საუბრები ბლეფია, "აღორძინებას" კი წინასაარჩევნოდ მხოლოდ შიშველი ხელებით და ქვეყნის სიყვარულით უწევს ბრძოლა"**, - წინასაარჩევნო არსენალის ასეთი სიმწირის მიუხედავად, ამღორძინებლებს პარლამენტში უმრავლესობად დაბრუნების იმედი აქვთ. შესაძლოა იმიტომ, რომ ცოტნე ბაკურიას თქმით, მათი პარტიის რიგები, არც მეტი, არც ნაკლები, **"საათობრივად ასეული ადამიანით იზრდება"**. ხელისუფლებაში "აღორძინების" ლიდერები, შევარდნაძის გუნდის გარდა, ჟვანია-სააკაშვილის პარტიებსაც გულისხმობენ, როგორც მათ მოკლედ უწოდებდნენ - "შევარდნაძის კურსდამთავრებულები", ვინც ქვეყანა კატასტროფამდე მიიყვანა, ვინც ადრე თავად იყო პირველი გამყალბებელი" და ა.შ.

არჩევნებში გამარჯვების შემდეგ, "აღორძინება" ამომრჩეველს, სულ ცოტა, ტერიტორიული მთლიანობის პრობლემის გადაჭრას, სოციალურ-ეკონომიკური ვითარების მოგვარებას, საბიუჯეტო დისციპლინის დამყარებას, **"საქართველოს სამართლებრივ, ცივილიზებულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებას გეგმავს, სადაც დემოკრატიული და ზნეობრივი ნორმების დასამკვიდრებლად პრაქტიკულად იზრუნებენ".** მომავალი საქართველოს მინი-მოდელად გუშინ, რა თქმა უნდა, აღორძინებული აჭარის მაგალითი მოჰყავდათ...

"ჩვენ 1999 წლის საპარლამენტო არჩევნების დროსაც გავიმარჯვეთ, მაგრამ ხელისუფლებამ ეს გამარჯვება წაგვართვა. ახლა ამის საშუალებას აღარ მივცემთ. თუ ხელისუფლებამ საამისო ნაბიჯი მაინც გადადგა, მაშინ, ეს იქნება დასაწყისი "ბუნტისა", რასაც შევარდნაძის რეჟიმის გადადგომა მოჰყვება. მოდის სიო, რომელიც შეიძლება ქარიშხლად გადაიქცეს," - წინასწარ აფრთხილებდა მოსალოდნელი საფრთხის თობაზე საზოგადოებას სანდრო ბრეგაძე.

ერთ-ერთი, ვინც "აღორძინების" საათობრივად ზრდას შეუწყო ხელი, ექს-"მრეწველი" რომან გვენცაძეც იყო. როგორც გუშინ გაირკვა, "აღორძინებაში" დეპუტატი აჭარაში მიმდინარე საყოველთაო მშენებლობის პროცესს მოუხიბლავს და ბათუმურ პარტიაში გადაბარგებულა.

"თავგატეხილ და კისერმოტეხილ ვახტანგ რჩეულიშვილს აუზში წყალი ჩავუსხით და შევარდნაძისკენ გაცურა", - მიაყოლეს ბლოკის დეზერტირად შერაცხულ სოციალისტთა ლიდერს გუშინ "ლოცვა-კურთხევა". ახლა "აღორძინების" ლიდერები აცხადებენ, რომ ბლოკს უკვე არავისთან შეკრავენ, არჩევნებში მონაწილეობას დამოუკიდებლად მიიღებენ და მათ მხარდამჭერებს თავად შეუძლიათ პარტიაში გაერთიანდნენ. როგორც კონფერენციაზე, ისე ჩვენთან საუბარში, პარტიის ლიდერებს "აღორძინებასთან" შერწყმის მსურველი პარტიები აღარ დაუკონკრეტებიათ. მოლაპარაკებები მიმდინარეობს და მსურველი თუ არამსურველი ცოტა ხანში გამოჩნდებაო.

გუშინდელ კონფერენციაზე, თბილისის ორგანიზაციის თავმჯდომარის გარდა, პოლიტსაბჭო, ორგანიზაციის აღმასრულებელი და საორგანიზაციო მდივნები, აგრეთვე, წინასწარ ჩამორიგებული სიბით - ბათუმში ჩასატარებელი მე-6 კონფერენციის 110 დელეგატიც აირჩიეს.

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურა ჯაოშვილი.

ნატო საქართველოში - აგრესია რუსეთის წინააღმდეგ

ასეთია რუსეთის გენერალიტეტის პოზიცია

რუსუდან ნიკურაძე
საქ. კორ. მოსკოვში

რუსეთის გეოსტრატეგიული კვლევების აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი ლეონიდ ივაშოვი ამტკიცებს, რომ საქართველო-ნატო-ს სამხედრო თანამშრომლობა თავისთავად უკვე დიდ საფრთხეს წარმოადგენს რუსეთისათვის. ივაშოვი უფრო შორსაც მიდის:

ლეონიდ ივაშოვი

- არ არის გამორიცხული, რომ, ნატო-ს გაფართოების პარალელურად, საქართველოში სულ მალე აშშ-ს სამხედრო ბაზაც ვიხილოთ, რაც ჩვენს მიერ აღქმული იქნება, არა როგორც საფრთხე რუსეთისადმი, არამედ როგორც პირდაპირი სამხედრო აგრესია რუსეთის სამხრეთ საზღვრებთან.

- შეიძლება, რომ ეს მივიჩნიოთ კრემლის ოფიციალურ პოზიციადაც?

- კრემლი და რუსეთის ოფიციალური ხელისუფლება დღეს, სამწუხაროდ, შორს არის პატრიოტული განწყობილებებისა და პატრიოტული განცხადებებისგან. ამიერკავკასიაში და კერძოდ, საქრთველოში ნატო-ს გაფართოების საფრთხეზე განცხადება სხვა არაფერია, თუ არა რუსი სამხედროების ერთიანი პოზიცია. ამდენად, ნატო-ს განზრახვა საქართველოსთან თანამშრომლობაზე რუსეთის შეირაღებული ძალებისათვის მიყენებული დიდი დარტყმა იქნება.

- რუსეთს ხომ არავინ უკრძალავს ნატო-სთან მუდმივ კონტაქტებს? რატომ არ შეიძლება იგივე საქართველოსათვის?

- ცდება ის, ვინც თავს იმით იმშვიდებს, რომ ნატო რუსეთს არ ემუქრება. დღეს რუსეთი ყველა მხრიდან ალყაშია. ჩვენს მეზობლად აშშ-ს სამხედრო ინსტრუქტორები და მათი ბაზები ტურისტული მიზნით და დასასვენებლად არ ჩნდებიან. ისინი კონკრეტულ ამოცანებს ასრულებენ მთელ კასპიისპირეთში.

- რუსეთის თანხმობით, ცენტრალური აზიის რესპუბლიკებში აშშ-ს სამხედრო ბაზების გაჩენა არ არის საფრთხე?

- დღეს ამერიკა ტაჯიკეთიდან, უზბეკეთიდან, ყირგიზეთიდან რუსეთს ვერ მისწვდება, საქართველო კი აქვეა. ამიტომ განვიხილავთ საქართველოს ასეთ ნაბიჯებს მტრულად. საქართველოდან რუსეთის ტერიტორიისთვის დარტყმა ადვილია. გაიხსენეთ, როგორ მოქმედებდა პანკისში აშშ-ს სპეცნაზი; როგორ აკონტროლებდა ჩვენს საზღვარს მზვერავი თვითმფრინავი; ჩვენი სნაიპერები უთვალთვალებდნენ პანკისში თბილისის მიერ აკრედიტებულ ვითომ ინგლისელ ჟურნალისტებს, რომლებიც სინამდვილეში აშშ-ს სპეცსამსახურების ოფიცრები არიან. ისინი უკვე რვა წელიწადია, აქტიურად ითვისებენ საქართველოს რეგიონებს, მიმდებარე ტერიტორიებს, მთელ ჩრდილოეთ კავკასიას, მაგრამ რატომღაც ქართულის ნაცვლად რუსულ ენას სწავლობენ.

- პირადად თქვენ ხედავთ რაიმე გეოსტრატეგიულ საფრთხეს საქართველო-უკრაინა-აზერბაიჯანის სამკუთხედის არსებობაში?

- ეს კავშირი, თუ ეკონომიკური ხასიათისაა, რუსეთისათვის არავითარ საფრთხეს არ წარმოადგენს. აზერბაიჯანთან ჩვენ უკვე გაწონასწორებული ურთიერთობები გვაქვს. უკრაინასთან ბოლო დროს კონსტრუქტივიზმი გამოიკვეთა. მხოლოდ საქართველო გვირევს, მაგრამ არა უშავს, ჩვენ თქვენდამი მტრულად მაინც არ ვართ განწყობილნი. მე მგონი, ქართველი ხალხი უკვე ნანობს ჩვენს გათიშვას. მე ძალიან მწყინს, როცა ვხვდები, რომ თბილისში არ ესმით მთავარი რამ: ამერიკა დღეს ყველა ფრონტზე მხოლოდ საკუთარ ინტერესებს იცავს. საქართველოსადმი მათი დახმარება იმას მაგონებს, როცა ამერიკა ერთჯერადი შპრიცებით ეხმარებოდა სსრკ-ს. რუსეთისათვის და საქართველოსათვისაც დემოკრატიული განვითარების ეტაპი უკვე დასრულდა. ერთჯერადი შპრიცები უკვე მივიღეთ - ჩვენი ქვეყნის დასანგრევად.

მინდა მჯეროდეს, რომ რუსეთში და საქართველოში მმართველი პოლიტიკური ძალები უკვე გაბანკროტდნენ, აუცილებლად მოვლენ ახალი ძალები, რომლებიც საკუთარი სახელმწიფოს დამოუკიდებლობაზე დაფიქრდებიან.

დარჩება კრება მხიარული?

პირველი გვერდიდან

როგორც ცნობილია, ჩიხური მდგომარეობა, ძირითადად, ცესკო-სა და სხვა, უფრო დაბალი საფეხურის საარჩევნო ადმინისტრაციების დაკომპლექტების საკითხზე აზრთა სხვადასხვაობით არის გამოწვეული. აღნიშნულ თემაზე თითქმის ყველა ფრაქციას საკუთარი მოსაზრება გააჩნია, რომელიც დანარჩენი პოლიტიკური ჯგუფების პოზიციას, ხშირ შემთხვევაში, არსებითად ეწინააღმდეგება.

ისედაც მრავალფეროვანი "მენიუ" "მრეწველებმა" გუშინ კიდევ უფრო განავრცეს. გოგი თოფაძე პარლამენტის თავმჯდომარესთან ცესკო-ს დაკომპლექტების ასეთი სქემით შევიდა: სამი წევრი დანიშნოს პრეზიდენტმა, თითო-თითო - ავტონომიებმა და ბოლო ორი - საპარლამენტო არჩევნებში შვიდპროცენტგადალახულმა პოლიტიკურმა პარტიებმა.

საქმეში ოდნავ ჩახედულთათვისაც კი ნათელია, რომ ოპოზიციისთვის ეს ვარიანტი მიუღებელია: ამ შემთხვევაში, სახელისუფლებო ბანაკი ცესკო-ში საკმაოდ სოლიდურ უპირატესობას მიიღებს.

"ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ არჩევნები გააყალბოს და ცდილობს, ამ საქმეში, სხვა ბერკეტებთან ერთად, ფსევდოოპოზიციური პარტიებიც გამოიყენოს", - აცხადებს გუშინდელი კონსულტაციების ერთ-ერთი მონაწილე ჯემალ გოგიტიძე.

"მრეწველთა" ინიციატივას არც "ნაციონალური მოძრაობა" უჭერს მხარს. **"ეს მხოლოდ დროის გაყვანის მცდელობაა და მეტი არაფერი. იგი შევარდნაძისა და სახელისუფლებო ბლოკის წისქვილზე ასხამს წყალს. ხელისუფლება ცუდ თამაშს აწარმოებს არამართო ოპოზიციასთან, არამედ, საერთოდ, ამომრჩევლებთან და საკუთარ ხალხთან, რაც, საბოლოო ჯამში, მისთვის - ცუდად, სახელმწიფოსთვის კი კარგად დამთავრდება"**, - ვარაუდობს კემულარია.

ბურჯანაძესთან შეხვედრიდან გამოსული "ტრადიციონალისტთა" ლიდერი აკაკი ასათიანი, თავის მხრივ, კიდევ ერთ ვარიანტზე საუბრობს, რომელიც შეიძლება, კონსენსუსის საფუძვლად გამოდგეს.

"ბოლო საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებულმა პარტიებმა (სულ სამი), ავტონომიებმა, პრეზიდენტმა და პარლამენტში წარმოდგენილმა ფრაქციებმა - ყველამ, მომავალ ცესკო-ში თითო წარმომადგენელი უნდა დანიშნოს. მართალია, ამ მოდელით თავადაც არ ვარ აღტაცებული, მაგრამ ასეთ პარიტეტს მაინც მხარს დავუჭერ, რადგან ამჟამად არსებულ გამოუვალ მდგომარეობაში, სხვებს მაინც ეს ვარიანტი სჯობს", - აღნიშნავს აკაკი ასათიანი, რომელიც ირწმუნება, რომ **"დაახლოებით ამ პოზიციაზეა ყველა იმ ოპოზიციური ფრაქციის ლიდერი, ვინც ნინო ბურჯანაძეს უკვე ესაუბრა".**

თუმცა, თუ სხვა ოპოზიციონერებსაც მოუსმენთ, საერთო პოზიციის არსებობაში ეჭვი შეგეპარებათ. იგივე კოტე კემულარია, ბევრისგან განსხვავებით, ძალზე თავდაჯერებულია და აცხადებს: **"ჩვენ ამ არჩევნებს ყველა შემთხვევაში მოვიგებთ, იმის მიუხედავად, როგორი საარჩევნო კოდექსიც არ უნდა შეთითხნონ და როგორი მომაკვდინებელი საარჩევნო კომისიებიც არ უნდა დანიშნონ შევარდნაძემ და მისმა პოლიტიკურმა მოკავშირეებმა".**

რამდენადაც ოპტიმისტია კემულარია, იმდენად პესიმისტურად არის განწყობილი ჯემალ გოგიტიძე. **"აპრიორი ცნობილია, რომ არჩევნები გაყალბდება. ამიტომ, სურვილი არა გვაქვს, რინგზე მხოლოდ გასალახად გავიდეთ. ვერც ცესკო-სა და ვერც სხვა დონის კომისიების დაკომპლექტების საკითხი ვითარებას ვერ შეცვლის. აქედან გამომდინარე, ჩვენ წინასწარ წაგებულ თამაშს არ ვითამაშებთ"**, - აცხადებს ფრაქცია "აღორძინების" თავმჯდომარე. იგი საკუთარი პოზიციების დაკონკრეტებას ერიდება და აღნიშნავს, რომ ჯერ დაელოდება და ნახავს, რა უნდათ სხვებს და თავის წინადადებებს მხოლოდ ამის შემდეგ წამოაყენებს. ისე, როგორც ჩანს, სახელისუფლებო ბანაკის მსგავსად, ამჟამინდელი ცესკო-ს დაშლის იდეა მაინცადამაინც არც გოგიტიძეს ეპიტნავება და მას მხოლოდ "ზრდილობის გამო", ცალყბად უჭერს მხარს, რათა ვინმემ სახელგატეხილი სტრუქტურის ლობირებაში არ დაადანაშაულოს.

"ცესკო მხოლოდ მაშინ უნდა დაიშალოს, როდესაც ახალი შეიქმნება, ხოლო თუ ეს ვერ მოხერხდება, მაშინ ძველის დაშლაში აზრს ვერ ვხედავ", - აცხადებს ბათუმური ბლოკის ერთ-ერთი ლიდერი.

ოპოზიციონერთა მოსაზრებები მაინც მეორე პლანზე გადადის, როდესაც საქმე საარჩევნო კანონმდებლობაში შესატანი ცვლილებების დაკანონებას ეხება. ამ შემთხვევაში, გადამწყვეტია უმრავლესობის პოზიცია. რა "შთაბეჭდილება" დარჩათ ხელისუფლების მხარდამჭერ ძალებს ოპონენტების გუშინდელ შეთავაზებებზე, ძნელი სათქმელია, რადგან სპიკერთან გამართული კონსულტაციების შემდეგ, სხვადასხვა ვარიანტებთან დაკავშირებით, რადიკალურად განსხვავებულ მოსაზრებებს გამოსთქვამენ. მაგალითად, ფრაქცია "ახალი აფხაზეთის" თავმჯდომარე გივი ლომინაძე მიიჩნევს, რომ ის ვარიანტი, რომელსაც ბურჯანაძის კაბინეტში გაეცნო, **"გულადსმით განხილვას იმსახურებს და, შეიძლება, განსჯის საგანი გახდეს"**. თუმცა, ფრაქციის თავმჯდომარე არ ამხელს, მისი მოწონება, კერძოდ, რომელმა ვარიანტმა დაიმსახურა.

საარჩევნო ადმინისტრაციების საკითხში ოპოზიციასთან შეთანხმებას არც ფრაქცია "სოციალისტის" თავმჯდომარე ირაკლი მინდელი გამორიცხავს, მაგრამ ასეთ შესაძლებლობაში მაინც ეჭვი ეპარება. მითუმეტეს, ბურჯანაძესთან "ნანახ ვარიანტებს" იგი კატეგორიულად არ ეთანხმება. **"რაც ვნახე, იმას გულისხმობს, რომ არჩევნებზე პასუხისმგებლობა ხელისუფლებას უნდა დაეკისროს, საარჩევნო ადმინისტრაციები კი პირწმინდად და ცალსახად ოპოზიციამ უნდა მართოს"**, - უკმაყოფილოა ირაკლი მინდელი.

როგორც აღვნიშნეთ, გუშინდელი "ინდივიდუალური გასაუბრებების" შემდეგ, დღეს პარლამენტის თავმჯდომარის კაბინეტში უკვე "საერთო კრება" ჩატარდება. თუ არსებული განწყობის მიხედვით ვიმსჯელებთ, დიდია იმის ალბათობა, რომ "კრება დარჩეს მხიარული". ხოლო, თუ მოხდება სასწაული და "ისტორიული" შეთანხმება მაინც შედგება, მაშინ უკვე უახლოეს დღეებში ჩატარდება რიგგარეშე სხდომა, რომელზეც გამოჩნდება, მართლა შეიძლება თუ არა, რომ "თხა და მგელი ერთად ძოვდეს".

- საპონეურსო განაცხადები მიიღება გამომცემლობა "დიოგენეს" ოფისში (თბილისი, ჯაჯელიძის ქ. 6, III სართული), 2003 წლის 19 - 30 მაისს, ყოველდღე 15-დან 18 საათამდე, შაბათ-კვირის გარდა. მსურველებმა უნდა შეავსონ განაცხადის ფორმა (ბიოგრაფიული და საკონტაქტო მონაცემები) და წარმოადგინონ საკუთარი გამოქვეყნებული ან გამოუქვეყნებელი ერთი პროზაული ნაწარმოები ან ნაწარმოების ფრაგმენტი (5 გვერდამდე) ნაბეჭდი ან ხელნაწერი სახით.
- ლიტერატურული კონკურსი "PENმარათონი"-2003 გაიმართება 2003 წლის 7-8 ივნისს ფოთის საზღვაო ნავსადგურში, გემზე "კაპიტანი თავართქილაძე". თითოეულმა კონკურსანტმა 24 საათის განმავლობაში (7 ივნისის დღის 12-დან 8 ივნისის დღის 12 საათამდე) ქართულ ენაზე უნდა შექმნას ერთი ორიგინალური პროზაული ნაწარმოები. კონკურსანტები იმუშავებენ გარკვეულ თემაზე, რომელიც უშუალოდ მარათონის დაწყების წინ დასახელდება.

არჩევანი არჩევნებამდე - შეჩვეული ჭირი თუ ოპოზიციის ნდობა

პირველი გვერდიდან

ორიოდე სიტყვით ხელისუფლების, ანუ შევარდნაძის მიერ არჩეულ წინასაარჩევნო ტაქტიკაზე:

მან ისევ ჩამოაყალიბა სახელისუფლებო გაერთიანება, რომელშიც შევიდა ყველა სახელისუფლებო ძალა, მთავრობის წევრთა უმრავლესობა, ადგილობრივი მმართველები (რომლებიც ისევ და ისევ ხელისუფლების წყალობითვე არ გახლავან არჩევითები), რითიც საფუძველი შეამზადა არჩევნებში ძველი სახელისუფლებო ბერკეტების ისევ და ისევ გამოყენებისთვის, განსაკუთრებით - რეგიონებში.

ამასთან, ნებით თუ იძულებით, ხელისუფლებამ ბიზნესმენთა ნაწილის "მხარდაჭერა" მოიპოვა - ყველას დაანახა, რომ ვინც შევარდნაძესთან არ არის (ანუ მას არ აფინანსებს), ის მისი მტერია. ეს კი შეიძლება, საწარმოს გაკოტრებითაც კი დასრულდეს.

ხელისუფლებამ საარჩევნო სიების შედგენა ისევ შსს-ს დაავალა, რაც ამ სიებს ამთავითვე საეჭვოს ხდის. შესაბამისად, ზრდის იმის შანსს, რომ არჩევნების შედეგები წაგებული პოლიტიკური ძალების მხრიდან გაპროტესტდეს.

იგივე ხელისუფლებამ მოსახლეობისთვის ახალი პირადობის დამადასტურებელი მოწმობების გასაცემად გასული წლის ოქტომბერში გამოცხადებული ტენდერი ერთობ გააჭიანურა. ათი დღის წინათ გამოქვეყნებული შედეგების მიუხედავად (ტენდერში, რატომღაც, ყველაზე "ძვირიანი" წინადადების ავტორმა გაიმარჯვა), ცხადია, რომ 2 ნოემბრის არჩევნებისთვის ყველა მოქალაქეს ისევ არ ექნება პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, რაც ე.წ. საარჩევნო კარუსელების დატრიალების საფუძველს შექმნის.

სიტუაცია ძალიან ახლოსაა ისეთ ზღვართან, როცა ხელისუფლებასთან დიალოგი უშედეგო და უმიზნო იქცევა. პარალელურად კი, კანცელარია აცხადებს, რომ დათმობისთვის მზადაა და წინადადებებით, რომელიც რეალურად სულ არ გულისხმობდა დათმობებსა და კომპრომისს, ოპოზიციას მიაკითხა. ცხადია, ოპოზიციამ უარი თქვა კაპიტულაციაზე. ცხადია ისიც, რომ შექმნილი სიტუაცია არჩევნებს ძველი საარჩევნო კოდექსითა და ძველი საარჩევნო კომისიით ჩატარებით ან, საერთოდ, ჩაშლით დაემუქრა.

პარალელურად, ხელისუფლებამ აკრძალული ილეთების გამოყენებაც დაიწყო, ანუ ჰომოსექსუალიზმისა და სომხობის თემით სპეკულირებას შეუდგა, მიუხედავად იმისა, რომ კარგად ესმოდა - პირველს, შესაძლოა, საფერფლის ინციდენტი მოჰყოლოდა, მეორეს კი უარესი - ეთნოპრობლემები.

იგივე ხელისუფლებამ დაიწყო საუბარი გასული არჩევნების გაყალბებაზე, თითქოს თავად არ იყოს იმ არჩევნების გამარჯვებული; მაგრამ ახლაც იგივე მეთოდების გამოყენებას აპირებს და შეეცადა, ყოფილი და მომავალი ცოდვები, ჯერ კიდევ არჩევნებამდე, ოპოზიციისთვის "გადაეწერა".

და ბოლოს – იგივე ხელისუფლებამ ხელი შუწყო კრიმინალური ფონის კვლავ დაძაბვას ქვეყანაში, რასაც, რა თქმა უნდა, ისევ ოპოზიციის სახელს უკავშირებს, ისევე როგორც, მაგალითად, ვახტანგ რჩეულიშვილის ვილის "მსუბუქად" გაძარცვას.

მოკლედ, შევარდნაძემ და სახელისუფლებო ძალამ ყველაფერი გააკეთეს, რომ გაემართლებინათ მთავარი მესიჯი, რომელიც ოფიციალურად განაცხადა კიდეც საქართველოს პრეზიდენტმა რუსულ გაზეთთან ინტერვიუში: **"ჩვენი პარტიების ზოგიერთი ლიდერი უპასუხისმგებლოდ იქცევა. თუ ისინი მოვლენ ხელისუფლებაში, ქვეყანას დაღუპავენ."**

რას პასუხობს სახელისუფლებო ტაქტიკას ოპოზიცია? რითი უპირისპირდება საშიშ ტენდენციებს?

პასუხი მარტივია და სამწუხარო - ოპოზიცია იღებს თამაშის წესებს და ამ თამაშში ჩართული, უშვებს საბედისწერო შეცდომებს.

ფაქტია, რომ არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე ოპოზიციის შესაძლო გაერთიანების პერსპექტივა ერთობ ფერმკრთალია. მრავალლიდერიანმა ოპოზიციურმა სპექტრმა ერთიან პრინციპებზე შეთანხმება ვერ შეძლო. ვერ მოხერხდა ე.წ. ბალკანური ვარიანტის გათამაშება, როცა მთელი ოპოზიცია ერთი ხელისუფლების წინააღმდეგ გამოდის.

საქართველოს ოპოზიციამ ვერ გათვალა, რომ მათი მოწინააღმდეგეა არა ლოკალური გავლენისა და პოლიტიკური გაქანების მქონე მილოშევიჩი, არამედ შევარდნაძე, რომელსაც პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებთან ბრძოლასა და შიდასახელისუფლებო ინტრიგების ხლართვაში ბადალი არ ჰყავს.

თუნდაც ის რად ღირს, რომ ედუარდ შევარდნაძემ ოპოზიციური ერთობის მართლაცდა პირველი ინიციატორი ირინა სარიშვილი-ჭანტურია სახელისუფლებო ბლოკში გადაიბირა, ბლოკის სპიკერად აქცია და, როგორც ამბობენ, საარჩევნო სიის პირველ ხუთეულში მისცა ადგილი.

ასეთი გარანტირებული პოზიციის დაკავება სრულიად საკმარისი აღმოჩნდა ედპ-ს ლიდერისთვის, რომლისთვისაც შევარდნაძის შემოთავაზება დიდ პოლიტიკაში დაბრუნების ყველაზე რეალური შანსია.

გარდა ამისა, იგივე ოპოზიცია სახელისუფლებო ანკესს წამოეგო და პროვიკაციებს ასევე კუნთების თამაშით (საფერფლის ინციდენტი) უპასუხა.

კულმინაციას კი სიტუაციამ სწორედ გასულ კვირას მიაღწია, როცა ოპოზიციონერმა "ლეიბორისტებმა" საკონსტიტუციო ცვლილებების შესახებ კანონპროექტი პარლამენტში შეიტანეს და მის განხილვას საპარლამენტო უმრავლესობამ ხმას მისცა. თავად ეს საკონსტიტუციო ცვლილება და ამასთან დაკავშირებული სახელისუფლებო ქცევა ცალკე საუბრის საგანია, თუმცა ფაქტია და ვერავინ გაექცევა იმას, რომ "ლეიბორისტების" კანონპროექტი, მინიმუმ, რამდენიმე დეტალს ითვალისწინებს, რომელიც სახელისუფლებო ძალის წისქვილზე ასხამს წყალს.

ცხადია, "ლეიბორისტების" ამ ნაბიჯს უკვე მთელი ოპოზიციის დაპირისპირება მოჰყვა. ეს დაპირისპირება კიდევ უფრო გაამწვავა "ნაციონალისტებისა" და "ლეიბორისტების" ურთიერთბრალდებებმა კანცელარიასთან "შეკრულობის" თემაზე.

ცალკე თემაა "აღორძინება", რომელიც ოპოზიციური მხოლოდ ცენტრშია და რომელსაც სახელისუფლებო ძალის ელემენტები იმავე დოზით გააჩნია, რამდენითაც - ოპოზიციის.

ასეთი ვითარება მიუთითებს, რომ ოპოზიცია თავად უწყობს ხელს იმ გეგმის აღსრულებას, რომელიც, სავარაუდოდ, სწორედ კანცელარიაში დაიწერა - ოპოზიციისგან იქმნება არასტაბილური და არაპროგნოზირებადი ძალის ხატი, რაც საზოგადოებას "ძველი ჭირის", ანუ ისევ შევარდნაძის სტაბილურობის (უძრაობის) წიაღში ცხოვრების სურვილს უძლიერებს. უნდა ითქვას, რომ დღეისთვის, არჩევნებამდე ხუთი თვით ადრე, ასეთ მისწრაფებებს საზოგადოების გარკვეული ნაწილი უკვე ავლენს.

ეს არ ნიშნავს, რომ მდგომარეობა უიმედოა, თუმცა სიტუაციის გამოსასწორებლად ოპოზიციას დღემდე აღებული გეზისა და დღემდე არჩეული ტაქტიკის კარდინალურად შეცვლა მოუწევს.

შეწყდეს ქართველთა მუსიკალური გენოციდი!

ლეიბორისტულმა პარტიამ გაავრცელა მორიგი განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ კომპოზიტორ ჯემალ სეფიაშვილის სიმღერის - "ახალი საქართველოსთვის" ჩანაწერის აუდიო ფირების დამზადებაში სახელისუფლებო ბლოკმა 200 ათასი ლარი გადაიხადა."ლეიბორისტები" ამ ფაქტს "მოსახლეობის მუსიკალურ გენოციდს" უწოდებენ.

"ეს თანხა ათასობით ბავშვის სასკოლო სახელმძღვანელოს შეძენას ეყოფოდა, რაც სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის დიდი შეღავათი იქნებოდა", - აცხადებენ ისინი.

გავრცელებული ინფორმაციით, ჯემალ სეფიაშვილის ახალ სიმღერას სახელისუფლებო ბლოკი წინასაარჩევნო სარეკლამო კამპანიის დროს თავის ჰიმნად გამოიყენებს. **მედია-ნიუსი**

ექსპრეზიდენტის ვაჟი - პრეზიდენტის გვერდით

პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ვაჟიშვილი, მთაწმინდა-კრწანისის პოლიციის უფროსის მოადგილე გიორგი გამსახურდია უარყოფს ხმებს სახელისუფლებო ბლოკში მისი შესაძლო გაწევრიანების შესახებ.

გიორგი გამსახურდიას განცხადებით, შინაგან საქმეთა სამინისტრო დეპოლიტიზებული ორგანოა, ხოლო რომელიმე ორგანიზაციაში იგი მხოლოდ საპატიო წევრის სტატუსით თუ გაერთიანდება. თუმცა, გიორგი გამსახურდიას თქმით, მას როგორც მოქალაქეს, აქვს პოლიტიკური მრწამსიც და სიმპათიებიც. ამდენად, სახელისუფლებო ბლოკს იგი მოქალაქეობრივ მხარდაჭერას გაუწევს. **მედია-ნიუსი**

ერაყი ნავთობის ექსპორტს ივნისში აღადგენს

ოპეკს რთული დრო დაუდგა

სოფო კვინტრაძე

"ერაყიდან ნავთობის ექსპორტი 2-3 კვირაში აღდგება," – ამგვარი განცხადება გააკეთა ტამირ გადბანმა - ერაყის ნავთობწარმოების მინისტრმა, რომელიც ამ თანამდებობაზე აშშ-ს ადმინისტრაციის მიერაა დანიშნული. განცხადებას წინ უძღვოდა გაერო-ს უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილება ერაყისთვის სანქციების მოხსნის თაობაზე. გაერო-მ აშშ-სა და დიდ ბრიტანეთს მიანიჭა ერაყისა და მისი ნავთობის განკარგვის უფლება. რაც შეეხება გაყიდული ნავთობიდან შემოსავალს, ის ქვეყნის აღდგენას მოხმარდება.

როგორც ცნობილია, ერაყული ნავთობის მარაგი მსოფლიოში სიდიდით მეორეა. ტამირ გადბანის თქმით, ივნისის შუა რიცხვებიდან ერაყში ნავთობის მოპოვება დღეში 1,3-1,5 მილიონ ბარელამდე გაიზრდება. ამ დროისათვის ერაყი შეძლებს მსოფლიო ბაზარზე 600-700 ათასი ბარელი ნავთობის ექსპორტი მოახდინოს. 300-დან 400 ათას ბარელამდე ნავთობს ქვეყანა თავად გამოიყენებს. რამდენიმე თვის შემდეგ კი მოხერხდება ომამდელი რაოდენობის – დღეში 2,5 მილიონი ბარელი ნავთობის ექსპორტის აღდგენა.

ნავთობის გაყიდვიდან შემოსული თანხები სპეციალურ ფონდებში გადაირიცხება, რომელსაც აშშ და დიდი ბრიტანეთი გააკონტროლებენ.

თუმცა, ერაყში ნავთობის მოპოვებისა და ექსპორტის აღდგენის ამბიციური გეგმები უამრავ სირთულესაც უკავშირდება. ომის შედეგად მნიშვნელოვნად დაზიანდა ნავთობის მომპოვებელი ინფრასტრუქტურა. გაურკვეველია, დაუშვებს თუ არა აშშ ერაყის მონაწილეობას ოპეკში. კარტელის ზოგიერთი წევრი მიიჩნევს, რომ ამერიკა ერაყს ოპეკზე ზეწოლისთვის გამოიყენებს. ირანის ნავთობწარმოების მინისტრის ბიჟან ნამდარ ზანგანეს განცხადებით, აშშ, როგორც ჩანს, აპირებს, ერაყში ნავთობის მოპოვება დღე-ღამეში 2,5 მილიონი ბარელიდან 6,5 მილიონ ბარელამდე გაზარდოს, რათა ჩამოართვას საუდის არაბეთს ნავთობის ბაზარზე ლიდერის როლი. ირანის მინისტრის განცხადებით, აღნიშნული მნიშვნელოვნად შეცვლის რეგიონის ქვეყნებს შორის ძალთა ბალანსსა და ურთიერთობებს.

თუმცა, ზოგიერთი ექსპერტი უფრო ოპტიმისტურადაა განწყობილი. კომპანია "სი-დი-სის" წარმომადგენელი მონსეფ ქააბი აცხადებს, რომ აშშ დაინტერესებულია ოპეკის შენარჩუნებით, რადგან ნავთობის ბაზარს რეგულაცია სჭირდება. **"ოპეკი გადარჩება, თუმცა მას საკმაოდ რთული დრო დაუდგა,"** – აცხადებს ქააბი.

საქართველოს რეგიონებს დენის მიწოდება 70 პროცენტით შეეზღუდებათ

პირველი გვერდიდან

სადისტრიბუციო კომპანიას რეპრესიების გატარება მოუწევს.

ბორის ბასარიძის ფოტო

გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის გენერალური დირექტორი დევიდ სორნტონი უკმაყოფილოა კომპანიის მუშაობით და აცხადებს, რომ ამ შეზღუდვის აუცილებლობა "გსეკ"-ის ფილიალების მიერ საკუთარი მოვალეობის შეუსრულებლობისა და თანხების გადამალვითაა გამოწვეული.

"2003 წლის პირველი კვარტლის მონაცემებით, ენერგოკომპანიას მხოლოდ მოხმარებული ელექტროენერგიის 30 პროცენტის დაფარვა შეუძლია, - აცხადებს სორნტონი, - **ამიტომ საბითუმო ბაზრის მიერ მიღებული გადაწყვეტილება სამართლიანად მიგვაჩნია."** მისი თქმით, ელექტროენერგიას მიაწვდიან ენერგოკომპანიის მხოლოდ იმ ფილიალებს, რომლებსაც გადახდის საუკეთესო მაჩვენებლები აქვთ, ხოლო ამ ფილიალების ხელმძღვანელებს მიეცემათ მითითებები, თუ რა გზით გაზარდონ თანხების ამოღება. ამ კონსულტაციებს გაერთიანებული სადისტრიბუციო კომპანიის დროებითი მმართველი კომპანია "ფი-ეი კონსალტინგი" შეიმუშავებს. მისი ფინანსური მენეჯერის ტომას შერვუდის თქმით: **"რეგიონებისათვის ელექტროენერგიის მიწოდება მხოლოდ მას შემდეგ განახლდება, რაც რეგიონები შეძლებ კვარტალში მისაწოდებელი ელექტროენერგიის საფასურის დაფარვის გარანტიებს წარმოადგენენ. კომპანიას ურიცხვი ფინანსური ვალდებულება აქვს, ამიტომ არ შეგვიძლია გავაგრძელოთ ვალის დაგროვების რეჟიმში მუშაობა."**

"გსეკ"-ის გენერალურმა დირექტორმა დევიდ სორნტონმა თხოვნით მიმართა პრეზიდენტსაც, რათა სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის პრობლემების მოგვარებაში მონაწილეობა რაიონების გამგებლებმა და პრეზიდენტის რწმუნებულებმაც მიიღონ.

როგორც "24 საათი" უკვე წერდა, ენერგოსექტორში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მონაწილეობის პრეცედენტი უკვე არსებობს: შეთანხმებას 5-საათიანი ენერგომომარაგების თაობაზე სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო ადმინისტრაციასა და გაერთიანებულ სადისტრიბუციო კომპანიას შორის მაისის დასაწყისში მოეწერა ხელი. როგორც სამეგრელო-ზემო სვანეთის ადმინისტრაცია ირწმუნება, მას შემდეგ რეგიონს ელექტროენერგია სტაბილურად მიეწოდება, არ ხდება გადახარჯვები, გაიზარდა მხარეში სამრეწველო პროდუქციის წარმოებაც.

ამასობაში საბითუმო ბაზარში შემავალი თანხების ნაკლებობა აისახება ენერგოსექტორის თანამშრომელთა ხელფასების გაცემის პროცესზე. იმის გამო, რომ საბითუმო ბაზარში საკმარისი თანხები არ შედის, ენერგოსექტორი უსახსროდ რჩება.

შედეგად, კუთვნილი ხელფასების მოთხოვნით, გუშინ "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" 4000 თანამშრომელი გაიფიცა და საყოველთაო დაუმორჩილებლობის გამოცხადებით დაიმუქრა. თანამშრომელთა სახელფასო დავალიანება 16 მლნ. ლარს აჭარბებს. გაფიცულები ორი თვის დავალიანების გასტუმრებას ოთხშაბათამდე მოითხოვენ. თუ მათი მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, ისინი მთელი ქვეყნისათვის ელექტროენერგიის მიწოდების შეწყვეტით იმუქრებიან.

"საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" გენერალური დირექტორი ბრაიან ქრონლი აცხადებს, რომ კომპანიის მმართველი "ი-ეს-ბი-აი" ხელფასების დროულად გაცემას მანამ ვერ მოახერხებს, სანამ საბითუმო ბაზარი თანხებს არ მიაწვდის.

მოკლედ

თბილისი. თურქმენეთის წინაშე საქართველოს სახელმწიფო ვალი 350 მილიონიდან 298 მილიონ დოლარამდე შემცირდა. საქართველოს მთავრობამ თურქმენეთის მინისტრთა კაბინეტს განსახილველად გადასცა 100 მილიონ დოლარად შეფასებული საქონლისა და მომსახურებისაგან შემდგარი პაკეტი. ქართული მხარე ამ ვალს "თბილავიამშენში" თურქმენული თვითმფრინავების რემონტითაც ფარავს. მეორე წელია, ვალების დაფარვის პროცესში სააქციო საზოგადოება „ქართული შაქარიც" მონაწილეობს. ის წელს თურქმენეთს 35 ათას ტონა შაქარს გაუგზავნის. ვალი 1993-1994 წლებში თურქმენეთის მიერ მოწოდებული გაზის გამო დაგროვდა. მის დაფარვას, საქართველოს, სავალუტო ფონდიც სთხოვს. **კავკასა-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. დაუფინანსებლობის გამო სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში გაუცემელია 4 მილიონ 319 ათასი ლარის ოდენობის პენსია და მიმდინარე წლის მარტისა და აპრილის სოციალური დახმარებები. სახელფასო დავალიანებამ წელს 513.700 ლარი შეადგინა, საიდანაც ნახევარზე მეტი განათლების დარგში დასაქმებულ მუშაკთა ხელფასებზე მოდის. მხარის შვიდივე რაიონში გაუცემელია ხელფასები, რაც გამოწვეულია ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების საშემოსავლო ნაწილის შეუსრულებლობით. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. შესაძლოა, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მავნებლების წინააღმდეგ პროგრამების დროულად დაუფინანსებლობამ ექსტრემალური სიტუაცია შექმნას. ივნისიდან მოსალოდნელია გამოჩნდნენ კალიები, სიმინდისა და ციტრუსების მავნებლები და თუ საჭირო ღონისძიებების გატარება დაგვიანდა, სასოფლო-სამეურნეო კულტურები მნიშვნელოვნად დაზარალდება. **კავკასა-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. გუშინ, თბილისში, მირცხულავას ქუჩაზე გამავალ საშუალო წნევის გაზსადენზე ავარია მოხდა. ავარიის მიზეზი გაზის გაჟონვა გახდა. ამჟამად გაზსადენზე სალიკვიდაციო სამუშაოები მიმდინარეობს, რის გამოც დღევანდელი დღის ბოლომდე დიდუბის რაიონსა და ნაძალადევის რაიონის ნაწილს გაზმომარაგება შეუწყდება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძეს სახელმწიფო კანცელარიაში შეხვდა თურქეთის ელჩი საქართველოში ფატმან დიჯლე ქოფუზი, რომელმაც ისაუბრა საქართველოში კომპანია "თურქეთის ავიახაზების" ფრენის განახლებაზე. პრეზიდენტმა მხარი დაუჭირა ავიარეისების პარიტეტული პრინციპით შესრულებას. თურქეთის ელჩის თქმით, „თურქიშ ეარლაინსს" პრობლემები ქვეყნის ხელისუფლებასთან კი არა, „აირზენასთან" აქვს მოსაგვარებელი და საჭიროდ მიიჩნევს მოლაპარაკებების დროულად დაწყებას. **მედია-ნიუსი**

"გაზპრომთან" მოლაპარაკებები გრძელდება

მაია ურუშაძე

საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაცია "გაზპრომთან" მოლაპარაკებებს აგრძელებს. დღეს თბილისს ერთდღიანი სამუშაო ვიზიტით რუსული კომპანია "გაზპრომის" გენერალური დირექტორი ალექსეი მილერი ეწვევა.

დღის წესრიგში ერთობლივი საწარმოს "საქრუსგაზპრომის" შექმნის საკითხი დგას. ქართულ მხარეს იმედი აქვს, რომ საქართველოში შემოსვლისთანავე, "გაზპრომი" საქართველოს მაგისტრალური გაზსადენების რეაბილიტაციას მოჰკიდებს ხელს. როგორც სპეციალისტები აცხადებენ, რუსეთ-საქართველო-სომხეთის დამაკავშირებელი მაგისტრალური გაზსადენის აღსადგენად, უხეში გათვლებით, 250 მილიონი დოლარია საჭირო. ეს მაგისტრალი რუსეთს აღმოსავლეთ თურქეთის ბაზრისკენ გაუხსნის გზას. "გაზპრომმა" თავის დროზე ამ პროექტზე უარი განაცხადა და პრიორიტეტი დასავლეთ თურქეთთან დამაკავშირებელ "ბლუსტრიმის" ("ცისფერი ნაკადი") პროექტს მიანიჭა. ("ბლუსტრიმის" მილსადენი 3,2 მილიარდი დოლარი ჯდება, საიდანაც 1,7 მილიარდი შავი ზღვის ფსკერზე მილების ჩაწყობასა და სადგურ "ბერეგოვაიას" მშენებლობაზეა გათვალისწინებული.) ახლა "გაზპრომმა" გავლენის სფეროების კიდევ უფრო გაფართოება გადაწყვიტა და ამიტომ კვლავ საქართველოსკენ იბრუნა პირი.

საქართველოში "გაზპრომის" შემოსვლას ექსპერტები სხვადასხვაგვარად აღიქვამენ. ექსპერტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ საქართველოში "გაზპრომის" შემოყვანით დღევანდელი უალტერნატივო მომწოდებელი "იტერა" კონკურენციის პირობებში აღმოჩნდება, რაც გაზის საფასურს შეამცირებს. რაც შეეხება ექსპერტთა მეორე ნაწილს, ისინი მიიჩნევენ, რომ საქართველოს მაგისტრალური გაზსადენების რუსული გიგანტის გავლენის სფეროში მოქცევა ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოებისთვის დამღუპველი იქნება.

ასეა თუ ისე, საქართველოს ენერგოუსაფრთხოების საკითხები კანცელარიის მაღალ ეშელონებში წყდება. ერთობლივი საწარმოს შექმნის თაობაზე დღეს საქართველოს ენერგეტიკის მინისტრ დავით მირცხულავასთან და გაზის საერთაშორისო კორპორაციის პრეზიდენტ ალეკო გოცირიძესთან ისაუბრებენ, საბოლოო გადაწყვეტილება კი, სავარაუდოდ, ალექსეი მილერის საქართველოს პრეზიდენტთან, ედუარდ შევარდნაძესთან შეხვედრის შემდეგ გახმაურდება.

ჯონ ბრაუნი კმაყოფილია

სოფო კვინტრაძე

გუშინ თბილისს ეწვია „ბი-პი ჯგუფის" მთავარი აღმასრულებელი ხელმძღვანელი ჯონ ბრაუნი. ბრაუნი ჯერ ბაქოში იმყოფებოდა, დღეს კი ანკარაში მიემგზავრება. ვიზიტის მიზანია ბაქო-თბილის-ჯეიჰანის ნავთობსადენის და სამხრეთ კავკასიის გაზსადენის მშენებლობის პროცესის ადგილზე გაცნობა. ამ მიზნით, ჯონ ბრაუნი გუშინ პრეზიდენტ შევარდნაძეს შეხვდა. დახურულ შეხვედრაზე "ბი-პის" ხელმძღვანელმა კმაყოფილება გამოთქვა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობის მიმდინარეობასთან დაკავშირებით. ბრაუნმა გამოთქვა იმედი, რომ საქართველოს მთავრობა კვლავაც გააგრძელებს კასპიის რეგიონის ენერგეტიკული დერეფნის პროექტების მხარდაჭერას. ჯონ ბრაუნის განცხადებით, 2004 წელს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობის მიმდინარეობასთან დაკავშირებით. ბრაუნმა გამოთქვა იმედი, რომ საქართველოს მთავრობა კვლავაც გააგრძელებს კასპიის რეგიონის ენერგეტიკული დერეფნის პროექტების მხარდაჭერას. ჯონ ბრაუნის განცხადებით, 2004 წელს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი აზერბაიჯანულ ნავთობს გაატარებს, ხოლო 2006 წლისათვის უკვე სამხრეთ კავკასიის გაზსადენი შევა ექსპლუატაციაში.

პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ „ბი-პი ჯგუფის" მთავარი აღმასრულებელი ხელმძღვანელი ჯონ ბრაუნი ღირსების ორდენით დაჯილდოვა.

მონიტორინგი

"მაუდს" სახელმწიფოსი ორმაგად მართებს

სახელმწიფოს მეთაურისა და მინისტრთა კაბინეტის გადაწყვეტილებით გაცემული სესხები

სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება

ოპერატიული ინფორმაცია 19 მაისისთვის

ცხრილი №1

მლნ. ლარებში

დასახელება	წლის კალენდარული	ანგარ. თვის კალენდარული	შესრულება	%	
				წლის კალენდარულთან	ანგარ. თვის კალენდარულ
სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები	1127.4	529.8	331.31	29%	63%
ცენტრალური ბიუჯეტის შემოსავლები და ტრანსფერები	833.7	385.09	235.4	28%	61%
საგადასახადო შემოსავლები	659.9	310.64	199.92	30%	64%
არასაგადასახადო შემოსავლები	78.4	36.16	27.13	35%	75%
ტრანსფერები	95.4	38.3	8.35	9%	22%
საგზაო ფონდი	244.2	116.81	82.14	34%	70%
საგზაო ფონდი	49.5	24.05	13.9	28%	58%
ფულადების დაფინანსება	239.8	118.66	88.3	37%	74%
[illegible]	8.5	8.5	7.53	89%	89%
[illegible]	22	13.5	16.64	76%	123%
[illegible]	40	29.54	17.51	44%	59%
[illegible]			7.3		
[illegible]	41.5	9.51	4.21	10%	44%
[illegible]	127.8	57.61	35.11	27%	61%

დასახელება	წლის კალენდარული	ანგარ. თვის კალენდარული	შესრულება	%	
				წლის კალენდარულთან	ანგარ. თვის კალენდარულ
[illegible]	511.7	260.30	181.94	36%	70%
[illegible]	389.1	181.04	104.65	27%	58%

სპს "დამენია, ვარშალომიძე, ნოლაძიელი და ქავთარაძე"
სამართლებრივი, საფინანსო და მარეგის კონსულტაციები

- სახელმწიფო შესყიდვების და ხარჯების მონიტორინგის პროექტის ფარგლებში ჩვენი ექსპერტების ანალიზი და კომენტარები შეგიძლია ეკითხოთ ყოველდღე ფაქსით გაზეთში "24 საათი".
- გთავაზობთ ყოველთვიურ კონსულტაციებს საგადასახადო და საბაჟო საკითხებზე და წარმომადგენლობას სახელმწიფო ორგანოებთან ურთიერთობაში.
- გთავაზობთ ყოველთვიურ კონსულტაციებს საერთაშორისო ბანკებ სამეთაოდა და სამეწარმეო სამართალში.

ტელ: +995 32 91201
ფაქსი: +995 32 91201
ელ-ფოსტა: office@dvnk.ge

www.dvnk.ge

სახელმწიფოს მეთაურისა და მინისტრთა კაბინეტის გადაწყვეტილებებით, ფინანსთა სამინისტროს 1995 წლის საკონსტიტუციო რეფორმამდე გაცემული 17 დაუფარავი სესხი ერიცხება. ინფორმაცია ამ სესხების შესახებ წარმოდგენილია ცხრილში.

პირველი სესხი, საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 1994 წლის 26 დეკემბრის N884 დადგენილების შესაბამისად, 1994 წლის 30 დეკემბერს (ყოველ შემთხვევაში, სესხი ფინანსთა სამინისტროს ამჟამად ერიცხება ამ თარიღიდან) გაიცა ს/ს "მაუდზე" (მაშინ მაუდ-კამვოლის კომბინატი "საქართველო"), თუმცა დადგენილებაში არაფერია ნათქვამი სახელმწიფო სესხის გაცემაზე.

საქართველოს ეროვნულ ფასეულობათა სახელმწიფო ფონდს საბიუჯეტო სესხი ერიცხება ფინანსთა სამინისტროს წესებით (?!). ალბათ, ამ საკითხზე საჭირო გახდება ფინანსთა სამინისტროს დამატებითი განმარტებები. დავალიანება ბიუჯეტის მიმართ შეადგენს 335 ათას ლარს.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1995 წლის 13 ივნისის N241 ბრძანებულების შესაბამისად, "საქგაზზე" რიცხული საბიუჯეტო სესხი გადავადებული იქნა 1997 წლის 1 მაისამდე. დღეისათვის ეს სესხი ერიცხება "საქტრანსგაზმრეწვს". ამ ვალდებულებებმა უკვე მიაღწია 32.4 მილიონ აშშ დოლარს.

საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 1995 წლის 7 ივნისის N336 დადგენილების შესაბამისად, შპს "ელიტაზე" (მაშინ ს/გ "საქმარცვლაჯიშთესლი") უნდა გაცემულიყო 600 ათასი აშშ დოლარის ოდენობის სესხი საშემოდგომო ხორბლისა და სოიოს თესლის შესაძენად. სინამდვილეში სესხი გაიცა 78 ათასი აშშ დოლარის ოდენობით.

სესხი მწერალთა კავშირის ბანკ "ნარიყალაზე", პურპროდუქტების კორპორაციაზე, ს/ს "აისბერგზე", , ს/ს "ქართულ ქაღალდზე", საქართველოს თავდაცვის ფონდზე (სესხი ფინანსთა სამინისტროს ერიცხება 21.05.96-დან (?), "საქსოფლნაყოფიერების" საგარეჯოს ს/გ-ზე (სესხი ფინანსთა სამინისტროს ერიცხება 05.10.96-დან (?), მესტიის რაიონის სახაზინო საწარმო "ენგურზე" (სესხი ფინანსთა სამინისტროს ერიცხება 10.10.96-დან (?) და ორ-ორი სესხი მცხეთის აღორძინებისა და განვითარების ფონდზე და ს/ს "ჭითურმანგანუმზე" (მეორე სესხი ფინანსთა სამინისტროს ერიცხება 12.09.96-დან (?)გაიცა მინისტრთა კაბინეტის განკარგულებებით და ჩვენ ვერ შევძელით შესაბამისი დოკუმენტების მოპოვება.

მეორე სესხი ს/ს "მაუდზე" გაცემულია მინისტრთა კაბინეტის დადგენილებით, მაგრამ ვერც ამ დოკუმენტის მოპოვება ვერ მოხერხდა; ისევე, როგორც სახელმწიფო მეთაურის განკარგულებით მესტიის რაიონზე გაცემული სესხისა.

უნდა აღინიშნოს, რომ 17 სესხიდან, რომელიც დღეს ერიცხება ფინანსთა სამინისტროს, ძირითადი თანხა დაფარულია მხოლოდ სამის - შპს "ელიტის", მესტიის რაიონის გამგეობისა და "საქსოფლნაყოფიერების" საგარეჯოს ს/გ-ს მიერ. თუმცა "საქსოფლნაყოფიერების" საგარეჯოს ს/გ-ს ერიცხება საურავის დავალიანება, ხოლო შპს "ელიტასა" და მესტიის რაიონის გამგეობას კი სარგებლის პროცენტისა და საურავის დავალიანება.

იმის მიუხედავად, რომ პატარკაციშვილის **ს/ს "მაუდს" თავის მეორე სესხზე საერთოდ არ დაუფარავს ერთი თეთრიც კი, ხოლო მწერალთა კავშირის ბანკმა "ნარიყალამ" დაფარა მხოლოდ 381 ლარი, ცხრილიდან არ ჩანს, თუ რა ოდენობის დავალიანება ერიცხებათ მათ დღეისათვის.** საჭირო იქნება ფინანსთა სამინისტროს განმარტება ამ საკითხზე.

ს/ს "მაუდს" პირველ სესხზეც არ დაუფარავს არც ერთი თეთრი, თუმცა პირველ სესხზე სასესხო დავალიანება ცნობილია. არც ერთი თეთრი არ დაუფარავთ აგრეთვე: "საქტრანსგაზმრეწვს", მცხეთის აღორძინებისა და განვითარების ფონდს (ორივე სესხზე), ს/ს "ჭიათურმანგანუმს", ს/ს "ქართულ ქაღალდს" და მესტიის რაიონის სახაზინო საწარმო "ენგურს".

საკონსულტაციო ფირმა "დამენია, ვარშალომიძე,

ბიუჯეტიდან გაცემული სესხები

სახელმწიფოს მეთაურის და მინისტრთა კაბინეტის გადაწყვეტილებებით გაცემული სესხები

№	დასახელება	სესხის ვალუტა	სესხის ძირითადი თანხა	სესხის გაცემის თარიღი (პერიოდი)	ძირითადი თანხის დაფარვის თარიღი	გადახდილი თანხა	სახესხო დავალიანება			
							სულ	მათ შორის		
								ძირითადი თანხა	სარგებ. %	ხაფრავი
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11
1	ს.ს. „მაუდი„	აშშ დოლარი	220000	30.12.94წ.	01.06.95წ.	0	297000	220000	77000	0
2	საქ. ერთ. ფასეულ. სახ. ფონდი	ლარი	155000	20.04.95წ.	15.05.97წ.	67982	334659	87018	4048	243593
3	„საქტრანსგაზმრეწვი„	აშშ დოლარი	32333560	01.05.95წ.			32361905	32333560	28345	
4	მწერალთშორისი „ნარიყალა„	ლარი	200000	13.07.95წ.	18.01.96წ.	381	0			
5	შპს „ელიტა"	ლარი	780000	16.07.95წ.	30.11.96წ.	780021	1467401		116473	1350928
6	მცხეთის აღორძ. და განვ. ფონდი	ლარი	210000	28.07.95.წ	28.07.97წ.	0	210000	210000		
7	პურპროდუქტების კორპორაცია	აშშ დოლარი	3000000	01.08.95წ.	01.12.95წ.	262217	3764830	2737783	260000	767027
8	ს.ს. „აისბერგი„	ლარი	1050000	17.08.95წ-23.09.95წ.	31.12.96წ.	377760	10195307	829740		9365567
9	ს.ს. „ქართულმანგანუმი„	ლარი	150000	12.09.95წ.	12.03.96წ.	0	2255400	150000	18000	2087400
10	ს.ს. „ქართული ქაღალდი„	ლარი	300000	20.09.95წ.	16.03.96წ.	0	4422000	300000	30000	40920000
17	მცხეთის აღორძ. და განვ. ფონდი	ლარი	448000	11.10.95წ.	11.10.97წ.	0	448000	448000		
11	ს.ს. „მაუდი„	ლარი	260000	30.10.95წ.	01.04.05წ.	0	0			
12	მესტიის რაიონ. გამგეობა	ლარი	200000	09.11.95წ.	20.09.96წ.	200000	64888		50000	14888
13	საქ. თავდაცვის ფონდი	ლარი	60000	21.05.96წ.	15.05.97წ.	2107	323136	60000	4080	259056
14	ს.ს. „ქართულმანგანუმი„	ლარი	400000	12.09.96წ.	12.09.97წ.	0	5227840	400000	96000	4731840
15	„საქსოფლნაყ„ საგარეჯოს ს/გ	ლარი	195000	05.10.96წ.	05.10.96წ.	214500	476190			476190
16	მესტიის რაიონ. სახაზ. საწარმო „ენგური„	ლარი	300000	10.10.96წ.	10.10.97წ.	0	3928200	300000	72000	3556200

დასავლეთი მილსადენების ომს აგებს

REUTERS

ყაზახეთის მილსადენები ნავთობს ჯერ-ჯერობით რუსეთს აწვდიან.

ვლადიმირ სოკორი

ისევე როგორც, კასპიური გაზის შემთხვევაში, პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა დასავლეთში ექსპორტირებული კასპიური ნავთობის ტრანზიტზეც სრული მონოპოლია დაამყარა. ეს ტენდენცია დასავლეთის მიერ გამოცხადებულ "მრავალი მილსადენის სტრატეგიას" აზრს უკარგავს. თუ ეს მონოპოლიზებული ვითარება არ შეიცვალა, ამან შეიძლება მომხმარებელ და მწარმოებელ ქვეყნებზე უარყოფითი ეკონომიკური და პოლიტიკური გავლენა მოახდინოს. გამოსავალი მხოლოდ აზერბაიჯანიდან დასავლური მიმართულებით მილსადენის აშენება კი არ არის, არამედ ყაზახური ნავთობის დიდი ნაწილის ამავე ნავთობსადენით გადატანაა.

ყაზახეთი კასპიისპირეთში ნავთობის ყველაზე დიდ მარაგს ფლობს. ამჟამად, ყაზახეთის მოქმედი ნავთობსაბადოებიდან მოპოვებული მთელი ნავთობის ტრანსპორტირება მომავალი ათწლეულის განმავლობაში სწორედ რუსეთის გავლით უნდა მოხდეს. 2001 და 2002 წლებში პუტინის დაჟინებული მოთხოვნის შემდეგ ხელმოწერილი ხელშეკრულებების თანახმად, ყაზახეთი ვალდებულია მომავალი 10-15 წლის განმავლობაში რუსეთში ყოველწლიურად 55 მილიონი ტონა ნავთობი გაგზავნოს.

ხელშეკრულებები შემდეგ პირობებს ითვალისწინებს: 15 მილიონი ტონა ნავთობის ატირაუდან (ყაზახეთი) სამარამდე (ნავთობგადამამუშავებელი ცენტრი რუსეთში) არსებული მილსადენით გადაქაჩვა და ყოველწლიურად 20 მილიონ ტონაზე მეტი ნავთობის თენგიზიდან (ყაზახეთი) შავ ზღვაზე მდებარე პორტ ნოვოროსიისკში (რუსეთის ყველაზე დიდი საექსპორტო ნავთობ-ტერმინალი) გადატანა. ამ ხელშეკრულებებით, აგრეთვე, გათვალისწინებულია ყაზახეთის ნავთობსაბადო ყურმანგაზიდან ნოვოროსიისკში ყოველწლიურად 10 მილიონი ტონა ნავთობის ექსპორტირება.

არსებული ნავთობსადენებიდან ყველაზე დიდი გამტარუნარიანობა თენგიზ-ნოვოროსიისკის მილსადენს გააჩნია. თანამედროვე 4 მილიარდი ამერიკული დოლარის ღირებულების პროექტს, რომელსაც კასპიური მილსადენის კონსორციუმი ახორციელებს, "ექსონმობილი" ხელმძღვანელობს. ეს მილსადენი თენგიზის საბადოზე (ნავთობით ყველაზე მდიდარი საბადო ყაზახეთში) "შევრონტექსაკოს" მიერ მოპოვებულ ნავთობს ნოვოროსიისკისკენ გადაქაჩავს. ნოვოროსიისკის ნავთობსადენი 2001-2002 წლებში ხუთწლიანი მუშაობის შემდეგ ამოქმედდა. ამერიკული ტექნოლოგიებისა და ფინანსების ეს შთამბეჭდავი ნაყოფი რუსეთს უზარმაზარ შემოსავალს აძლევს. თუმცა, ნოვოროსიისკს ბევრი ნაკლი აქვს: წყალმარჩხია, ხშირია საზღვაო შტორმები და, რაც მთავარია, ნოვოროსიისკში დატვირთულმა ტანკერებმა ბოსფორის სრუტის ვიწრო ყელი უნდა გაიარონ. ამერიკელების აზრით, ნოვოროსიისკის აშენება აუცილებელი იყო, ძირითადად, მოსკოვის მიერ ყაზახეთიდან ტრანსკასპიური ნავთობსადენის აშენების წინააღმდეგ გატარებული პოლიტიკის გამო, რომელიც რუსეთს გვერდს უვლის.

ყაზახეთი რუსეთის სატრანზიტო ხელშეკრულებას მხოლოდ მოსკოვის მიერ განხორციელებული პრესის გამო კი არ დათანხმდა, არამედ ასტანას წინაშე ალტერნატივების არარსებობის მიზეზითაც.

ქვეყნის სწრაფად მზარდ ნავთობის ინდუსტრიას საექსპორტო შესაძლებლობები დაუყოვნებლივ სჭირდებოდა. გაღარიბებული ქვეყანა კი უკეთეს ალტერნატივებს ვერ დაელოდებოდა. ამით მოსკოვმა ისარგებლა და ქვეყანა გრძელვადიანი სატრანზიტო ხელშეკრულებებით დააკაბალა.

ვაშინგტონმა ტრანსკასპიური მილსადენის გეგმის შემუშავება 1990-იანი წლების შუა ხანებში დაიწყო. თუმცა, ამ პროექტის განხორციელებისაგან ვაშინგტონმა, ფაქტობრივად, უკან დაიხია და მოსკოვს, პოლიტიკური მოსაზრებებით, კასპიური აუზის ამ ნაწილში დაუთმო. საბოლოოდ, კლინტონის ადმინისტრაციამ გამოცხადებული "მრავალი მილსადენის სტრატეგიის" მიუხედავად, კასპიური მილსადენის კონსორციუმის პროექტს მხარი დაუჭირა. ამის შედეგად, ყაზახეთიდან მომავალი რამდენიმე მილსადენი ერთიდაიმავე მიმართულებით არის ჩალაგებული.

2010-2020 წლისათვის ყაზახეთის ნავთობის მოპოვება 100-120 მილიონ ტონამდე გაიზრდება, როგორც ახალი საბადოების ათვისების, ასევე ძველი საბადოების ექსპლოატაციის ხარჯზე. ამის გათვალისწინებით, ყოველწლიურად საექსპორტოდ კიდევ 50 მილიონი ტონა ნავთობი დარჩება, რომლის ექსპორტირება რუსული სადენებით გათვალისწინებული არ არის. რუსეთის მთავრობამ უკვე დაიწყო მოქმედება, რათა ხელშეკრულებებით გაუთვალისწინებელი დამატებითი ნავთობიც რუსეთზე გაატაროს. მოსკოვი კასპიური კონსორციუმის მილსადენის გამტარუნარიანობის გაზრდას გეგმავს, რათა კაშაგანის უზარმაზარი საბადოდან იტალიელების ხელმძღვანელობით მოპოვებული ნავთობი ნოვოროსიისკში გადაქაჩოს. რუსეთის ხელისუფლება აგრეთვე აპირებს, რომ ყაზახეთი ბალტიის ზღვაზე რუსების მიერ აშენებულ პრიმორსკის ტერმინალთან დააკავშიროს.

ჯერჯერობით, რუსეთის ამ ინიციატივების საპასუხო ქმედება დასავლეთს არ განუხორციელებია. დისბალანსის მცირედით გამოსასწორებლად მაინც დასავლეთმა კაშაგანის საბადოდან მოპოვებული ნავთობის დასავლეთით ტრანსპორტირება მაინც უნდა მოახერხოს. კაშაგანი, სავარაუდოდ, ყველაზე დიდი ნავთობსაბადოა, რომელიც უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში აღმოუჩენიათ. დასავლეთევროპულმა და ამერიკულმა კომპანიებმა კაშაგანის შესწავლა 2002 წელს დაასრულეს, ხოლო ნავთობის მოპოვებას 2003 წელს დაიწყებენ.

კაშაგანის ნავთობის საექსპორტო მარშრუტის ხელში ჩასაგდებად პოლიტიკური და დიპლომატიური ბრძოლა, პრაქტიკულად, უკვე დაიწყო. მოსკოვი დასავლეთისაკენ ტანკერების მეშვეობით ყაზახური ნავთობის მხოლოდ მცირე მოცულობის გადაქაჩვას დათანხმდება. ამგვარი ვარიანტი კომერციულად ნაკლებ მიმზიდველია და კაშაგანის ნავთობისათვის საექსპორტო გამოსავალი ნამდვილად არ არის. ყაზახურ ნავთობს თვალი ირანმაც დაადგა და მომავალში, ყაზახური ნავთობის მოპოვების ზრდასთან ერთად, სარგებლის ნახვას თეირანიც შეეცდება.

ამ სტრატეგიის განხორციელების შემთხვევაში, რუსეთს არამარტო შემოსავლის დიდი წყარო გაუჩნდება, არამედ ევროპის მომხმარებელ ქვეყნებზე გავლენის მოსახდენად მნიშვნელოვანი ეკონომიკური და პოლიტიკური ბერკეტი აღმოაჩნდება ხელში. ამას გარდა, მწარმოებელ სახელმწიფოებში რუსეთის პოლიტიკური ბატონობა განახლდება.

ევროკავშირის სახელმწიფოები კასპიური ნავთობისა და გაზის ყველაზე დიდი პოტენციური მომხმარებლები არიან. თუმცა, ევროკავშირი, როგორც ჩანს, კასპიური ენერგორესურსების ტრანზიტის მთლიანად რუსეთისათვის დანებებას აპირებს. როდესაც ევროპელებს მათი კასპიური პოლიტიკის შესახებ შეეკითხები, ევროპელი მაღალჩინოსნები გპასუხობენ, რომ ენერგორესურსების ტრანზიტი ევროკავშირისა და რუსეთის ენერგეტიკულ დიალოგში არის გათვალისწინებული. მათი აზრით, ეს სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხი, შეიძლება, სამუდამოდ კრემლს მიანდო.

ამის ნაცვლად, ევროკავშირმა და ამერიკის მთავრობამ თავიანთი ძალისხმევა უნდა გააერთიანონ, რათა ყაზახური ნავთობი, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის მეშვეობით, ევროპულ ბაზრებამდე მივიდეს. ყაზახეთის ამ მილსადენთან დაკავშირება ეკონომიკური, პოლიტიკური და სტრატეგიული თვალსაზრისით ოპტიმალური გამოსავალი იქნება. ვაშინგტონმა, ამერიკულმა და ევროპულმა კომპანიებმა და, რასაკვირველია, ევროკავშირმა ამ პროექტის განხორციელება დაუყოვნებლივ უნდა დაიწყონ და უმაღლეს პოლიტიკურ დონეზე ხელი შეუწყონ.

ჩინეთის პრეზიდენტი რუსეთს ეწვია

REUTERS

ჰუ ძინტაო და ვლადიმირ პუტინი ნავთობსადენის გაყვანაზე იმსჯელებენ.

ჩინეთის ახლადარჩეული პრეზიდენტი, ჰუ ძინტაო მოსკოვში ჩავიდა. პრეზიდენტის რანგში ეს მისი პირველი ვიზიტია საზღვარგარეთ.

რუსეთისა და ჩინეთის წარმომადგენლების განცხადებით, პუტინთან და რუსეთის სხვა ლიდერებთან შეხვედრისას, საუბრის ძირითადი თემა ეკონომიკური საკითხები იქნება. ჩინეთის საგარეო ვაჭრობის ნახევარზე მეტი რუსეთზე მოდის. ჩინეთი რუსეთიდან საწვავს, ნედლეულსა და იარაღს ყიდულობს.

ჩინეთის პრეზიდენტის ინტერესის საგანს ამჯერად ნავთობი წარმოადგენს. მოსალოდნელია, რომ ხელი მოეწერება შეთანხმებას აღმოსავლეთ ციმბირის ქალაქ ანგარსკიდან ჩინეთის ქალაქ დაკინამდე 2400 კმ სიგრძის მილსადენის მშენებლობის შესახებ, რომლის გამტარუნარიანობაც წლიურად 20-30 მილიონი ტონა იქნება.

ამ მილსადენისათვის, დიდი ხანია, ჩინეთი და იაპონია ერთმანეთს ეჯიბრებიან. იაპონიას სურს, რომ ნავთობსადენი ნახოდკამდე გაგრძელდეს და ამომავალი მზის ქვეყანა მოამარაგოს. თუმცა, როგორც ჩანს, რუსეთი ჯერ ჩინეთის მილსადენს ააშენებს და უკვე შემდეგ, იაპონურზე მუშაობას დაიწყებს.

ჰუ მონაწილეობას მიიღებს ასევე შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციის სამიტში (რუსეთი, ჩინეთი, ყაზახეთი, ყირგიზეთი, ტაჯიკეთი, უზბეკეთი), რომელზეც ამ ჯგუფის სრულფასოვან რეგიონულ ორგანიზაციად ჩამოყალიბება იგეგმება.

რუსეთიდან ჩინეთის ლიდერი საფრანგეთში გაემგზავრება და ევიანში, დიდი რვიანის შეხვედრაში მიიღებს მონაწილეობას. ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც ჩინეთის ლიდერი ამ ჯგუფის შეხვედრაზე მიიწვიეს.

რუსული ნავთობკომპანიები ერაყიდან გააძევეს

საინფორმაციო სააგენტო "როიტერის" ცნობით, ერაყის ნავთობის მინისტრმა, სამირ ალ-გაბდანმა განაცხადა, რომ რუსულ, ფრანგულ და ჩინურ კომპანიებთან დადებული, ერაყის ნავთობის ათვისებასთან დაკავშირებული კონტრაქტები გაუქმებულია.

მინისტრმა განაცხადა, რომ გაუქმებულია "ლუკოილთან" დადებული მსხვილი კონტრაქტიც, რომელიც რუსული კომპანიის მიერ დასავლეთ ყურნის საბადოს ათვისებას ითვალისწინებდა. ამ საბადოდან კომპანია 700 მილიონ ტონამდე ნავთობის ამოღებას ვარაუდობდა, რითაც 23 წლის მანძილზე 60 მილიარდ დოლარამდე მოგება უნდა მიეღო.

"ლუკოილის" გარდა, საბადოს ათვისებაში კიდევ ორ რუსულ კომპანიას უნდა მიეღო მონაწილეობა.

აღსანიშნავია, რომ წელს თებერვალში, "ლუკოილს" საბადო ჯერ კიდევ სადამის ხელისუფლებამ ჩამოართვა. მაშინ, ტარიკ აზიზმა განაცხადა, რომ რუსული კომპანიის წარმომადგენლები ამერიკელებთან აწარმოებდნენ მოლაპარაკებას და კონტრაქტის შენარჩუნებას ცდილობდნენ. როგორც ჩანს, ამაოდ.

"ლუკოილის" წარმომადგენლები აცხადებენ, რომ დანაკარგს იოლად არ შეეგუებიან და დასავლეთ ყურნას მომდევნო მფლობელს 20-მილიარდიან სარჩელს წარუდგენენ. გარდა ამისა, რუსები იმუქრებიან, რომ საერთაშორისო არბიტრაჟის მეშვეობით დააპატიმრებენ ყველა ტანკერს, რომელიც ერაყული ნავთობით იქნება დატვირთული. კომპანიის წარმომადგენლის განცხადებით, ისინი საოკუპაციო რეჟიმის მიერ დანიშნულ მთავრობას არ სცნობენ და ამ საკითხს მხოლოდ ერაყის ლეგიტიმურ ხელისუფლებასთან განიხილავენ.

ამასობაში, ერაყის ნავთობის მინისტრმა განაცხადა, რომ, რადგან ომის დროს ერაყის ნავთობის ინფრასტრუქტურა მოსალოდნელზე გაცილებით ნაკლებად დაზარალდა, ერაყს ნავთობის ექსპორტის განახლება უკვე მომავალი თვიდან შეეძლება.

არიელ შარონის მოგებიანი სვლა

პირველი გვერდიდან

საგულისხმოა, რომ არიელ შარონმა ეს განცხადება პალესტინის პრემიერ-მინისტრთან აბუ მაზენთან შეხვედრის წინ გააკეთა. დაპირისპირებულ მხარეთა პრემიერებს მოლაპარაკებათა მეორე რაუნდი იერუსალიმში დღეს უნდა გაემართათ. მაგრამ, როგორც ისრაელის მხარემ განაცხადა, შეხვედრა ჯერჯერობით გადაიდო. ეს მათი მეორე შეხვედრა იქნება მას შემდეგ, რაც აბუ მაზენმა 30 აპრილს პრემიერ-მინისტრის თანამდებობა დაიკავა.

არიელ შარონის გუშინდელ განცხადებას კი, თავად ისრაელის მმართველ პარტია "ლიკუდში" წარმოქმნილი დაპირისპირება უსწრებდა წინ. ისრაელის რადიოს ცნობით, ორშაბათს, ისრაელის მთავრობის 11-მა მინისტრმა და "ლიკუდის" რადიკალურად განწყობილმა დეპუტატებმა სამშვიდობო გეგმის – "საგზაო რუკის" წინააღმდეგ გაილაშქრეს. მკაცრი კურსის მომხრეები დაჟინებით ამტკიცებენ, რომ სიტყვა "ოკუპაცია" აბსოლუტურად არასწორია, რადგანაც ისრაელს, როგორც რელიგიური თვალსაზრისით, ასევე უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, ყველანაირი კანონიერი უფლება გააჩნია, თავისი არმია პალესტინურ ტერიტორიებზე განალაგოს. საპასუხოდ, პრემიერ-მინისტრმა შარონმა ხაზგასმით და მკაფიოდ განაცხადა, რომ ის მზად არის, კონფლიქტის პოლიტიკური მეთოდებით დარეგულირებისათვის ყველაფერი გააკეთოს. შარონი მზად არის იმ შემთხვევაშიც კი, თუ ამის გაკეთება მარტოს მოუწევს, რადგანც მშვიდობა, პირველ რიგში, ისრაელის ინტერესებში შედის. **"ისრაელის კონტროლი პალესტინელებზე არ შეიძლება უსასრულოდ გაგრძელდეს,"** - განაცხადა შარონმა.

ექსპერტთა ნაწილი ვარაუდობს, რომ ტრადიციულად უკომპრომისო შარონის მოულოდნელად შემრიგებლური პოზიცია, აშშ-ს ზეწოლის გარდა, ქვეყნის მძიმე ეკონომიკურმა მდგომარეობამაც განაპირობა. ორწლინახევრის მანძილზე მიმდინარე ომმა ქვეყნის ეკონომიკაზე ღრმა კვალი დატოვა.

ამდენად, არიელ შარონმა თავისი წვლილი სამშვიდობო დარეგულირების საქმეში შეიტანა. მართალია, მან ეს ნაბიჯი აშშ-ს ზეწოლით გადადგა, მაგრამ ცხადია, რომ ისრაელისთვის და შარონის პოლიტიკური კარიერისთვის აღნიშნული კომპრომისი უდავოდ მომგებიანია. არიელ შარონმა ვაშინგტონის მოთხოვნა თავისი კაბინეტის წევრებზე ზეწოლისათვის ოსტატურად გამოიყენა. მას ისეთ ოპონენტებთან, როგორებიც ბენიამინ ნეთანიაჰუ, ლიმორ ლივნატი, ცახი ხანეგბი და დანი ნავე არიან, კამათი არ დაუწყია. ორშაბათს, მინისტრთა კაბინეტის სხდომაზე, როდესაც "საგზაო რუკის" მიღება-არმიღების საკითხი განიხილებოდა, დებატების შემდეგ შარონმა უბრალოდ განაცხადა, რომ თუკი ისრაელი ამ გეგმას არ დათანხმდებოდა, ეს ვაშინგტონთან სერიოზული დაპირისპირების მიზეზი გახდებოდა. ვაშინგტონთან დაპირისპირება კი პირდაპირ იმოქმედებს ისრაელისათვის იმ ფინანსურ მხარდაჭერაზე, რომელიც ოკეანისგაღმიდან მოედინება. ცხადია, ისრაელის ხელისუფლების რადიკალური დაჯგუფება ამ ნაბიჯზე პასუხისმგებლობას ვერ აიღებდა. ამის მიუხედავად, "საგზაო რუკა" ერთხმად არ დამტკიცებულა. მოწინააღმდეგეებმა თავისი პოზიცია მაინც დააფიქსირეს. "საგზაო რუკა" ისრაელის მინისტრთა კაბინეტმა მხოლოდ 12 ხმით დაამტკიცა. მეორე დღესვე, ამ გადაწყვეტილებით ზურგგამაგრებულმა შარონმა ყველასათვის მოულოდნელად პალესტინის ოკუპაციის ფაქტი აღიარა და განაცხადა, რომ ეს უნდა დასრულდეს.

REUTERS

შარონს საკუთარ ოპოზიციასთანაც უწევს ბრძოლა.

ვიდრე მისი პალესტინელი კოლეგა, რადიკალურ ისლამურ დაჯგუფებებთან მშვიდობის ჩამოგდებაზე თანხმობის მისაღწევად თავს იმტვრევს, შარონს შეუძლია არხეინად იგრძნოს თავი. ახლა ყველაფერი მაჰმუდ აბასსა და აშშ-ს პრეზიდენტზეა დამოკიდებული. თეთრი სახლის მეთაურის ინიციატივით ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის დარეგულირების სამიტი, შესაძლოა, უკვე მომავალ კვირას შედგეს. ადგილი შერჩეულია – სამიტი იორდანიაში ჩატარდება. ამის თაობაზე, სააგენტო "როიტერს" ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრმა სილვან შალომმა აცნობა. ის ჟურნალისტების წინაშე კუნძულ კრეტაზე წარსდგა, სადაც ევროკავშირის, არაბული ქვეყნების და ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრა მიმდინარეობს. **"ჩვენთვის ძალზე მნიშვნელოვანია თავად ის ფაქტი, რომ აშშ-ს პრეზიდენტი, მშვიდობის დამყარების მიზნით, ჩვენს რეგიონს ეწვევა,"** - განაცხადა სილვან შალომმა. ამით კიდევ ერთხელ გაცხადდა არიელ შარონის პოზიცია, რომლის მიხედვითაც მშვიდობის მიღწევა სწორედ სამშვიდობო გეგმის ავტორზე – ვაშინგტონზეა დამოკიდებული. მანამდე კი, საკმაოდ რთულ ვითარებაშია შარონის პალესტინელი კოლეგა მაჰმუდ აბასი. მან პალესტინური რადიკალური დაჯგუფებები უნდა შეაჩეროს. თუმცა, ჯერჯერობით, ამ საკითხში მაჰმუდ აბასი წარმატებას ვერ აღწევს. ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ რადიკალურ დაჯგუფებასთან "ჰამასთან" შეხვედრა უშედეგოდ დასრულდა. "ჰამასის" ლიდერებმა თავიანთი საბრძოლო განწყობა კიდევ ერთხელ დაადასტურეს და ისრაელს ახალი ტერორისტული აქტებით დაემუქრნენ. თუკი პალესტინის პრემიერ-მინისტრი მათ დაყოლიებას ვერ შეძლებს და ძალადობა პალესტინელი კამიკაძე-ტერორისტების მხრიდან გაგრძელდება, აი, მაშინ კი კონფლიქტის მართვის ინიციატივას არიელ შარონი აიღებს ხელში. ვაშინგტონთან ურთიერთობის გამწვავებაც დღის წესრიგიდან მოიხსნება, რადგან ისრაელის პრემიერის მოქმედების უპირველესი საფუძველი თავისი ქვეყნის და ხალხის უსაფრთხოების უზრუნველყოფა იქნება. ამის გაკეთებას კი ვერავინ შეეწინააღმდეგება.

თურქეთი: სამხედროებსა და მთავრობას შორის შეხლა-შემოხლა გრძელდება

რამდენიმე დღის წინ გაზეთმა "ჯუმჰურიეთმა" გაავრცელა ინფორმაცია, თითქოს თურქეთის შეიარაღებული ძალების ახალგაზრდა ოფიცრებს მთავრობის დამხობა სურთ.

ამ ინფორმაციის უარსაყოფად, გენერალური შტაბის უფროსმა, ჰილმი ოზკოკმა საგანგებო პრესკონფერენცია მოიწვია. მან გაზეთის ცნობა კი უარყო, მაგრამ მთავრობასა და სამხედროებს შორის უთანხმოებაზე რამდენიმე არაორაზროვანი მინიშნება გააკეთა.

სამხედროების უკმაყოფილებას, პირველ რიგში, იწვევს ის, რომ ისლამისტური ფესვების მქონე, მმართველი - "სამართლიანობისა და განვითარების" პარტია, წამყვან სახელმწიფო პოსტებზე ისლამისტებს ნიშნავს.

ოზკოკმა აგრეთვე განაცხადა, რომ მართალია, არმია მთლიანად უჭერს მხარს ქვეყნის გაწევრიანებას ევროკავშირში, მაგრამ იგი ქვეყნის მართვაში საკუთარი როლის შემცირებას არ დაუშვებს. სამხედროები ასევე წინააღმდეგნი არიან დამოუკიდებელი ქურთული მაუწყებლობის დაშვებისა, რასაც კატეგორიულად მოითხოვს ევროკავშირი.

ბრიფინგზე მხოლოდ რამდენიმე თურქი ჟურნალისტი დაასწრეს. როგორც ერთ-ერთმა მათგანმა ბი-ბისის განუცხადა, ოზკოკმა დაიმუქრა, რომ, თუ მთავრობა ჭკუას არ ისწავლის, სამხედროები შეიძლება პოლიტიკაში ჩაერიონ. თუმცა, მეორე რეპორტიორის განცხადებით, ოზკოკმა თქვა, რომ მას სახელმწიფო გადატრიალების გაგონებაც კი არ სურს.

1960 წლიდან მოყოლებული, თურქეთის არმიამ ორჯერ მოახდინა სახელმწიფო გადატრიალება, ორჯერ კი უფრო "სუფთა მეთოდებით" აიძულა მთავრობა - გადამდგარიყო. თუმცა, ოთხივე შემთხვევაში, სამხედროები ყაზარმებში დაბრუნდნენ და პოლიტიკოსებს ახალი მთავრობის ფორმირების საშუალება მისცეს.

ოზკოკის შემდეგ, პრესკონფერენცია თურქეთის პრემიერმა ერდოგანმაც გამართა. მან განაცხადა, რომ არის რაღაც განსხვავებები, მაგრამ ძირითად პრინციპებზე უთანხმოება არ არსებობს. მან ჟურნალისტები შეგნებული დეზინფორმაციის გავრცელებაში დაადანაშაულა.

მიუხედავად ორივე მხრიდან შემრიგებლური განცხადებებისა, მიმომხილველთა უმეტესობა დარწმუნებულია, რომ სამხედროებსა და მთავრობას შორის სერიოზული უთანხმოება არსებობს და იგი სულ უფრო ღრმავდება.

„ატსტუპნიკები" უბინაოდ რჩებიან

კოტე მესხის ქუჩაზე მცხოვრებ კოკინაშვილებს 29 მაისს ბინის დაცლის ბოლო ვადა აქვთ. სასამართლოს გადაწყვეტილებით, მათ 11 სულიან ოჯახს ღია ცის ქვეშ დარჩენა ელის. საქმე ე.წ "ატსტუპნიკებს" ეხებათ, რომელთა პრობლემაც კომუნისტების ეპოქაში დაიწყო და დღემდე გრძელდება. მესაკუთრეებსა და მოსარგებლეებს შორის დავის გადასაწყვეტად საჭიროა კანონში ცვლილებები შევიდეს. მოსარგებლეები პარლამენტს კანონპროექტის განხილვას სესიის დამთავრებამდე სთხოვენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, კოკინაშვილების ბედს უამრავი მოქალაქე გაიზიარებს.

თამარ დვალი

საბჭოთა პერიოდის კანონმდებლობით, მოქალაქეებს განსაზღვრულზე დიდი ფართის ბინაში ცხოვრება ეკრძალებოდათ. სახლის მესაკუთრეები დაავალდებულეს, თავიანთ მფლობელობაში მქონე ფართი გაეყიდათ ან გაექირავებინათ. წინააღმდეგ შემთხვევაში, სახელმწიფო, ადმინისტრაციული წესით, მათ სხვას უსახლებდა. ეს იყო იძულებითი ღონისძიება. დროთა განმავლობაში მესაკუთრისა და მოსარგებლეს ურთიერთობა ტიპიურ სამოქალაქო ურთიერთობად ჩამოყალიბდა - ორივე მხარის ინტერესები გათვალისწინებული იყო. მესაკუთრის ინტერესი იყო, მისთვის საცხოვრებელი ფართი არ ჩამოერთმიათ, მოსარგებლის - თბილისში დარეგისტრირებულიყო და ამით საბინაო აღრიცხვაზე ყოფნის უფლება მოეპოვებინა.

დღეს ამ ორ მხარეს შორის ურთიერთობა გამწვავებულია. საკონსტიტუციო სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც, სახლის მესაკუთრე ერთპიროვნულ მფლობელად ცნო და პარლამენტს სთხოვა, ემსჯელა მოსარგებლეების ბედზე. ამას მოჰყვა უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის განჩინება, რომლის მიხედვითაც, მოსამართლეებს უფლება აქვთ, მოქმედი სამოქალაქო კოდექსით ისარგებლონ და მოსარგებლეები გამოსახლებას დაუქვემდებარონ.

ბინის შემძენთა უფლებების დაცვის კავშირის თავჯდომარის ნონა ტყეშელაშვილის თქმით, აღნიშნული პრობლემა ათასობით ადამიანს აწუხებს, სახელმწიფო კი მის მოგვარებას, თითქმის, არ ცდილობს. **"როგორც ჩვენთვისა ცნობილია, პარლამენტი ახლო მომავალში ამ საკითხთან დაკავშირებული კანონპროექტის განხილვას არ აპირებს. გვითხრეს, რომ ჩვენ თვითონ მოვრიგებულიყავით ერთმანეთში და ამის საფუძველზე გადაწყვეტდნენ პრობლემას. რომ ვერ ვთანხმდებით, იმისთვის გვჭირდება კანონი. თუ შევთანხმდებოდით, მათ რაღატომ მივმართავდით დასახმარებლად? მესაკუთრეები სახლის ღირებულების 60%-ს გვთავაზობენ, რაც უსამართლობაა. თუ კანონი ძველ გარიგებას ბათილად მიიჩნევს, მაშინ 100% უნდა დაგვიბრუნდეს",** - ამბობს ტყეშელაშვილი.

როგორც იურიდიული კომიტეტის თავჯდომარემ, ზაქარია ქუცნაშვილმა გვითხრა, ე.წ "ატსტუპნიკების" 3 კატეგორია არსებობს:

1. მოსარგებლეები, რომლებიც ადმინისტრაციული წესით არიან შესახლებულები.

2. ვინც გარკვეული ღირებულების გადახდის გზითაა შესული და გააჩნიათ ხელშეკრულებები.

3. ვისაც არანაირი ხელშეკრულება არ გააჩნია.

კოკინაშვილების ოჯახმა 1903 წელს შეიძინა ბინა, სადაც უკვე მეოთხე თაობა იზრდება. მათ ნასყიდობის ფურცელი არ შემორჩენიათ, თუმცა თავის დროზე ფული გადაიხადეს და ბინაშიც ჩაეწერნენ. მესაკუთრემ, გვარად თუხარელმა, თავისი წილი 1924 წელს ხვედელიანებს მიჰყიდა და ახლა სწორედ ისინი ედავებიან კოკინაშვილებს. **"ადმინისტრაციული წესით შესახლებულებს ხელს ვერ ვახლებთ. კანონში არის ნორმა, რომლის მიხედვითაც, მათი გამოსახლების უფლება არავის აქვს, ყოველ შემთხვევაში მანამდე, ვიდრე ახალი კანონმდებლობა არ იქნება შემუშავებული. ამჟამად მსჯელობა მიმდინარეობს იმ კატეგორიაზე, ვისაც ხელწერილით აქვს დადასტურებული, რომ გარკვეული საზღაურის გადახდის გზით, მესაკუთრის თანხმობის საფუძველზე, საცხოვრებელ ფართში ცხოვრების უფლება მოიპოვა. მათი მდგომარეობა, ვისაც არანაირი ხელწერილი არ აქვს, გაცილებით რთულია",** - ამბობს ქუცნაშვილი. მისივე თქმით, კანონში ცვლილების შეტანა გამწვავებულ სიტუაციას დაარეგულირებს. თამაშის წესები მესაკუთრესა და მოსარგებლეს შორის კანონში იქნება გაწერილი.

მოკლედ

თბილისი. აეროდრომის დასახლების მე-3 ქუჩაზე, ერთ-ერთ საცხოვრებელ სახლში გაჩენილი ხანძრის შედეგად 28 წლის თეა ჭიპჭიპაშვილი დაშავდა. როგორც ხაძნარსაწინააღმდეგო სამსახურში განაცხადეს, ერთსართულიანი საცხოვრებელი სახლის სახურავს ხანძარი, დაახლოებით, 22.00 საათზე გაუჩნდა. შემთხვევის ადგილზე 8 სახანძრო ავტომანქანა გავიდა. ხანძრის ლიკვიდაცია 18 წუთში მოხერხდა, ცეცხლის ჩაქრობის დროისათვის კერძო სახლის 50 კვადრატული მეტრი იყო განადგურებული. ხანძრის გაჩენის მიზეზები ჯერჯერობით უცნობია. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. გუშინ ინსულტის პრევენციისა და პროფილაქტიკის საკითხებისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია დასრულდა. კონფერენციაზე, რომელშიც აშშ-სა და ევროპის ქვეყნების ცნობილი ექსპერტები მონაწილეობდნენ, უცხოელმა სპეციალისტებმა კავკასიელ კოლეგებს ინსულტის საკითხებთან დაკავშირებული გამოცდილება გაუზიარეს, თანამედროვე მიღწევები გააცნეს და რეკომენდაციები მისცეს. ორდღიან კონფერენციაზე აღინიშნა, რომ სიკვდილიანობის მაჩვენებლით, ინსულტი დაავადებათა შორის მესამე ადგილზეა და ყოველი 1000 კაციდან 18 ინსულტით არის დაავადებული. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. მიწისძვრით დაზარალებულები ქუჩის აქციებით იმუქრებიან. მერიის შენობის წინ შეკრებილმა დაზარალებულებმა ფულადი კომპენსაციების მიღების თაობაზე ქალაქის მთავრობისგან ვერც დღეს მიიღეს პასუხი. ქალაქის ვიცე-პრემიერი გიორგი კარბელაშვილი შეკრებილთ არწმუნებდა, რომ ცენტრალურ ხელისუფლებას მიწისძვრით დაზარალებულთათვის გაწერილი თანხები ჯერ არ გადმოურიცხავს და ურჩევდა, პრეტენზიებით ზუსტი ადრესატისთვის მიემართათ. როგორც ჩანს, ხელისუფლებამ ჯერ ვერ გაითავისა, რომ ქალაქში საკმაოდ სერიოზული მიწისძვრა მოხდა, რომლის შედეგების ლიკვიდაციას ადგილობრივი ბიუჯეტი ვერ გასწვდება", - განაცხადა კარბელაშვილმა.

2002 წლის 25 აპრილის მიწისძვრით დაზარალებულთათვის ცენტრალურ ბიუჯეტში 4,5 მილიონი ლარია გაწერილი, რომლის გადმორიცხვაც მესამე კვარტლიდან არის დაგეგმილი. თუმცა, დაზარალებულთა ნაწილი, ფულადი კომპენსაციის სახით, ამ თანხის დაუყოვნებლივ გაცემას მოითხოვს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. მეტროპოლიტენის ხელმძღვანელობა შეშფოთებას გამოთქვამს მგზავრების გუშინდელი ქცევის გამო და მოუწოდებს თბილისელებს, გაუფრთხილდნენ მეტროპოლიტენის ქონებას. რესპუბლიკის მოედანზე გამართულ კონცერტთან დაკავშირებით თბილისის მეტროპოლიტენმა 01.00 საათამდე იმუშავა. კონცერტიდან გამოსულმა ახალგაზრდობამ ვაგონებში სავარძლები დასერა, საზურგეები დაგზიანა და სარეკლამო პლაკატები დახია. მეტროპოლიტენის მოძრავი შემადგენლობის მთავარი სპეციალისტის, ზურაბ კილასონიას განცხადებით, მგზავრების ამგვარი საქციელი მეტროპოლიტენს საკმაოდ დიდ ზიანს აყენებს, რომლის ანაზღაურება არსებული დაფინანსების პირობებში არცთუ ისე ადვილია. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. ახლო მომავალში ტუბერკულოზის ეროვნულ ცენტრში რეაბილიტაცია დაიწყება. ამ საკითხთან დაკავშირებით რამდენიმე დღის წინ ცენტრს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ექსპერტები და მსოფლიო ბანკის წარმომადგენლები სტუმრობდნენ. როგორც ეროვნული ცენტრის დირექტორმა, გიორგი ხეჩინაშვილმა განაცხადა, შეხვედრაზე მხარეებმა ცენტრის რეაბილიტაციის ორი ვარიანტი განიხილეს: პირველი ცენტრის არსებული ტერიტორიის რეაბილიტაციას ითვალისწინებს, მეორე კი - მის მშენებლობას დიღმის ბავშვთა მეორე საავადმყოფოს ტერიტორიაზე. ტუბერკულოზის ეროვნული ცენტრის რეაბილიტაციისათვის მსოფლიო ბანკმა საქართველოს 2,5 მილიონი დოლარი გამოუყო. საქართველოს ჯანდაცვის სამინისტრო კიდევ 1,5 მილიონი დოლარის მოძიებას ცდილობს და შესაბამის მოლაპარაკებებს აწარმოებს. დღეისათვის საქართველოში ტუბერკულოზით დაავადებული 5 868 ადამიანია რეგისტრირებული. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. მაწანწალა ძაღლების პრობლემის მოსახსნელად, უახლოეს მომავალში, თბილისის მუნიციპალიტეტში სპეციალური სამსახური შეიქმნება. ახალი უწყება არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად ამ პრობლემაზე დღემდე მომუშავე სამსახურების რეკომენდაციებს გაითვალისწინებს და კონკრეტულ გეგმებს დასახავს. როგორც ვეტერინარიის საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელმა ირაკლი მოსიძემ განაცხადა, შესაბამისი პროექტი თბილისის მთავრობამ უკვე განიხილა, მომზადებულია წინასწარი სამოქმედო პროგრამაც, რომელიც თბილისის საკრებულომ უნდა დაამტკიცოს. ვეტერინარიის სამსახურმა მაწანწალა, უპატრონო ძაღლების თავშესაფრის მშენებლობისათვის ისანი-სამგორის რაიონში ყოფილი "ავტოვაზის" მიმდებარე ტერიტორია შეარჩია. უახლოეს მომავალში ამ თავშესაფრისთვის დანადგარები რუსეთიდან ჩამოვა. რაც შეეხება ცოფის ორთვიურს, რომელიც თბილისში 1 აპრილიდან მიმდინარეობს, ვეტერინარიის სამსახურის ხელმძღვანელი აცხადებს, რომ ღონისძიების ფარგლებში ყველა მიკედლებული ძაღლი აიცრება. **ინტერ-პრესი**

დევნილები და განდევნილები

მაკა ჭაიანი

გამრუდებული კანონის ანარეკლი.

გიორგი ბუხაიძის ფოტოები

ჯიქიას ქუჩაზე მდებარე, გეოლოგიის დეპარტამენტის კუთვნილი შენობიდან სასამართლო წესით გამოსახლებული 80 ოჯახის, პრეზიდენტის განკარგულების ძალით, უკან შესახლებას გეოლოგიის დეპარტამენტის თავმჯდომარემ, თამაზ ჯანელიძემ თანამდებობის დატოვებით უპასუხა. საბოლოო შედეგზე ამას გავლენა არ მოუხდენია - გეოლოგების შენობა დღესაც საერთო საცხოვრებლის ფუნქციას ატარებს. შესაბამისად, ისევ სამსახურის ადგილის გარეშე არიან გეოლოგები, რომლებმაც თავის დროზე 3000 დევნილს მისცეს თავშესაფარი და ამ უკანასკნელი ნავსაყუდელის დათმობას არ აპირებენ.

"სად წავიდეთ? სად ვიმუშაოთ?

– კითხულობს გეოლოგიური საზოგადოების საინიციატივო ჯგუფის ხელმძღვანელი დავით გვაზავა, - **აღარ სჭირდება გეოლოგები საქართველოს? ბაქო-ჯეიჰანის პროექტზე ჩვენ ვმუშაობდით, უამრავი საქმე გვექნება კიდევ და როგორ გავაკეთოთ? ეს ერთი ობიექტი დავიტოვეთ, დანარჩენი ყველა დავუთმეთ დევნილებს. ჯიქიას ქუჩას უკვე "პატარა გალს" უწოდებენ. ჩვენ გვესმის ამ ხალხის მდგომარეობა, მაგრამ ჩვენი მდგომარეობაც ხომ უნდა გაიგოს ვინმემ, საკუთარ ქალაქში დევნილებად რომ ვიქეცით? მხოლოდ დევნილებს რომ ეხებოდეს საქმე, კიდევ გასაგებია, მაგრამ იმ ხალხიდან, რომელიც ჩვენს შენობებშია შეჭრილი, მხოლოდ 18 ოჯახია დევნილი, დანარჩენი საქართველოს სხვადასხვა რაიონებიდან ჩამოსული ადამიანები არიან. ეჭვი გვაქვს, რომ ეს, თუ შეიძლება ასე ითქვას, ბინების სერიოზული ბიზნესია და მას მერიაში, პარლამენტსა და კანცელარიაში ლობირებენ."**

"იყიდება ერთოთახიანი ბინა სასტუმრო "ივერიაში"

ასეთი განცხადება გეოლოგიური საზოგადოების საინიციატივო ჯგუფის წევრებმა საკუთარი თვალით ნახეს. **"გასაგებია, რაშიც უნდა იყოს საქმე,** - ამბობს დავით გვაზავა, - **ჩვენს შენობაში დევნილები გასული წლის 17 მაისს შევიდნენ. იქიდან მოყოლებული დღემდე, მათი სიები ოთხჯერ შეიცვალა. ძველების ადგილებს სულ ახალ-ახალი ხალხი იკავებს. ის ორი გოგონა, რომელიც ფანჯრიდან გადახტა, პირველ სიაში არ იყო, 30-მდე ოთახი სტუდენტებზეა გაქირავებული, მეორე სართულზე ერთმა ზუგდიდელმა, რომელიც დევნილი არ არის, დუპლექსის ტიპის ბინა გაიკეთა, ისეთი რემონტით, ბევრ შეძლებულს რომ შეშურდება... გამოსახლების დღეს სპეციალურად მოიყვანეს მოხუცი უსინათლო ქალბატონი, გვარად კარტოზია, რომ იქ ყოფილიყო და ეკივლა. სიაში იგი არ იყო; როგორც დავადგინეთ, ბინა აქვს. შვილიშვილი ახლდა და ვუთხარით, - გაიყვანეთ მოხუცი, რამე არ მოხდეს-თქო. იმის მერე აღარ დაგვინახავს. უეჭველია, რომ ეს პროცესი ორგანიზებულ ხასიათს ატარებს. ამ საქმეში დიდი ფულიც კეთდება. დევნილებმა თავად გვითხრეს, - 16 ათასი დოლარი შეგროვდა აქ შემოსვლამდეო; როგორც ამბობენ, სასამართლოსა და პოლიციაში მისატანად. აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, ლონდერ ცაავა რომ გამოჩნდა, მიაძახეს კიდეც, - ან ფული დაგვიბრუნეთ, ან უკან შეგვასახლეთო. ცაავამ მათ შესახლების პირობა მისცა და იმ დღესვე შეუსრულა. სხვათა შორის, ის ხალხი, რომელიც ამ შენობაში შემოიჭრა, მერე თბილისის მერის დასაცავ მიტინგებზე იდგა მერიის წინ და, - "ვანო, ვანოო!"- ყვიროდა."**

სწორედ ეს აფიქრებინებს გეოლოგებს, რომ დევნილების სახელით შენობებში შეჭრის უკან ხელისუფლების წარმომადგენლები დგანან. ბუნებრივია, ხელისუფალნი უარყოფენ ამას, სამაგიეროდ აღიარებენ, რომ გარკვეული ჯგუფები დევნილებზე ხელს მართლაც ითბობენ. **"ეს თავად დევნილების წარმომადგენლები არიან,** - აცხადებს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის მოადგილე, თემურ ლომაია, - **მათ შემოსავლის წყაროდ გაიხადეს შენობებში შეჭრა. დადიან ქალაქში, ეძებენ ცარიელ შენობებს, მერე ურიგდებიან დევნილებს, ართმევენ ფულს და ტოვებენ ამ შენობებში. თვითონ აღარ ჩანან, იქ შესულ ადმიანებს კი პრობლემები ექმნებათ. ერთი-ორი ასეთი ჯგუფი უკვე აყვანილია სამართალდამცავების მიერ. საინტერესოა, რომ გეოლოგების შენობაში უკვე მესამე ნაკადია შესული. მეოთხედ გადავამწმეთ მათი სიები. სულ სხვადასხვა გვარებია. ვიღაც შევიდა, მერე სხვას გადაულოცა, იმან კიდევ სხვას - და ა.შ. ყველაზე ცოდო ისაა, ვინც ახლა იქაა. თუმცა, მიწერის ადგილი, ანუ საცხოვრებელი ყოველ მათგანს აქვს. ზოგი ხაშურში ცხოვრობს, ზოგი წალენჯიხაში, ზოგი ზუგდიდში; არიან დევნილებიც, რომლებსაც წყნეთში აქვთ ბინა. ბევრია ისეთიც, რომელიც დევნილი საერთოდ არაა."**

ამ ინფორმაციას აზუსტებს იუსტიციის სამინისტროს სააღმსრულებლო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე, გიორგი ჩალათაშვილი: **"შემიძლია სრული პასუხისმგებლობით განვაცხადო, რომ გეოლოგების შენობაში შესულთაგან მხოლოდ 15 პროცენტია დევნილი. გამოსახლების შესახებ გადაწყვეტილება ჩვენ ექვსი თვის წინათ მოგვივიდა, მაგრამ სპეციალურად ვაყოვნებდით პროცესს, ხალხი საქმის კურსში რომ ყოფილიყო და მოვლენებს ასეთი სახე არ მიეღო. 300 კაცი იყო გასასახლებელთა სიაში. დროდადრო ვამოწმებდი შენობას და 30 ადამიანზე მეტი იქ არ გვხვდებოდა. ოთახები დაკეტილი იყო - ე.ი. სხვებს წასასვლელი ჰქონდათ. 14 მაისს კი ყველა მოგროვდა და რა ამბებიც დატრიალდა, იცით. ასეთი ვითარება იყო ადრე ვაშლიჯვარშიც. ყველა წიოდა, ყველა კიოდა, მაგრამ ბოლოს წასასვლელი ყველას აღმოაჩნდა, დევნილების გარდა. თავიდან ბოტანიკის ინსტიტუტშიც მხოლოდ დევნილები იყვნენ, თუმცა მერე შემადგენლობა იქაც შეიცვალა. არსებობს ოპერატიული ინფორმაცია, რომ მოქმედებს ჯგუფები, რომელიც შეჭრების ორგანიზებას ახდენს, რა თქმა უნდა, გარკვეული საფასურის სანაცვლოდ, რომელსაც დევნილებს ართმევს."**

გაცილებით თავშეკავებულია ამ საკითხებზე მსჯელობისას აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, ლონდერ ცაავა, რომელიც გეოლოგიური საზოგადოების საინიციატივო ჯგუფის მიერ გამოთქმულმა მოსაზრებებმა შესამჩნევად გააღიზიანა. **"მე ეჭვი მეპარება, რომ ეს ხალხი იმათი წარმომადგენელი იყოს, ვისაც ამ საქმესთან პირდაპირი კავშირი აქვს. ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ ეკონომიკის სამინისტროს პრეზიდენტისგან უკვე მიეცა დავალება, გააფორმოს ხელშეკრულება გეოლოგებსა და დევნილებს შორის, ამ უკანასკნელთათვის იმ ფართის დაკანონების თაობაზე, რომელიც მათ უკავიათ. გეოლოგებთან უკვე მიღწეულია შეთანხმება, რომ დევნილები იქ უნდა დარჩნენ. სამეთვალყურეო საბჭოსთან მიმდინარეობს მოლაპარაკება. რაც შეეხება შეჭრებს, ამის თაობაზე მე მხოლოდ არაოფიციალური ინფორმაცია მაქვს. გამიგონია, რომ არსებობს გარკვეული ჯგუფი, რომელიც, თითქოს, ორგანიზებას უწევს დევნილების შეჭრას, მაგრამ დადგენილ ფაქტს, ამ საკითხზე აღძრულ საქმეს არ ვიცნობ. არც ჩემთან მოსულა ვინმე და არ უთქვამს, - ასე და ასეა, ფულს მძალავენო. შეიძლება, არსებობს ასეთი ჯგუფები, თუმცა სპონტანური შეჭრებიც ხდება."**

ლონდერ ცაავას გეოლოგების შენობაში შეჭრილთა შემადგენლობაზეც განსხვავებული მონაცემები აქვს. **"ჩემთვის არაფრის მთქმელია ის, რომ იქ შესულთა სიები შეიცვალა, თუკი დევნილები დევნილებმა შეცვალეს. დიდ პატივს ვცემ გეოლოგებს, პედაგოგებს, ყველა სფეროს წარმომადგენელს, მაგრამ დევნილების პრობლემებს წინა პლანზე ვაყენებ. აქედან გამომდინარე იმასაც მივესალმები, რომ შენობებში შესული დევნილების ზუსტი რაოდენობა დადგინდეს. ჩვენი მონაცემებით, 70-80 პროცენტი იქ აფხაზეთიდან დევნილია. არ გამოვრიცხავ არადევნილების არსებობასაც, მაგრამ შეიძლება, ეს ის ხალხი იყოს, რომელიც თავად არ არის დევნილი, მაგრამ ოჯახში დევნილი ჰყავს,"** – ასეთია მისი კომენტარი.

რა "თაფლი" სცხია თბილისს?

1994 წლისთვის, როდესაც აფხაზეთიდან დევნილების ჩასახლებაზე მონაცემების დაზუსტება უკვე შესაძლებელი იყო, თბილისში მხოლოდ 50 ათასი დევნილი ცხოვრობდა. დევნილები საქართველოს 72 რაიონში იყვნენ ჩასახლებულები. დღეს მათი უდიდესი ნაწილი – 94 ათასი დევნილი, თბილისშია თავმოყრილი. ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის მოადგილის, თემურ ლომაიას განცხადებით, ეს რიცხვი მხოლოდ რეგისტრირებულ დევნილებს მოიცავს, რეალურად კი, მათი რაოდენობა დედაქალაქში გაცილებით მეტია.

"აფხაზეთის ტრაგედიიდან უკვე 11 წელი გავიდა. ამ ხნის განმავლობაში ბავშვები დაიზარდნენ, ოჯახები შეიქმნა და ხალხი გაფართოების საჭიროების პირისპირ დადგა. 260 ათასი დევნილიდან 110 ორგანიზებულ სექტორში, კომპაქტურად ცხოვრობს. დანარჩენები – ნათესავებთან, ახლობლებთან. როგორია, 11 წელი სხვებთან ერთად ცხოვრება, როცა კონფლიქტები უკვე ოჯახის წევრებს შორისაც ხდება? კომპაქტურად ჩასახლებული დევნილების 90 პროცენტი აბსოლუტურად არასაცხოვრებელ პირობებშია – საავადმყოფოებში, ადმინისტრაციულ, მიტოვებული ქარხნების შენობებში - 60 სულზე ერთი სველი წერტილით; ორი ოჯახი ფერმაშიც კი ცხოვრობს... თავის დროზე გაუმართლა იმათ, ვინც სანატორიუმებსა და სასტუმროებში მოხვდა, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში მათი პირობებიც გაუარესდა. ერთ ოთახში რომ 5 სული ცხოვრობდა და ბავშვებს ერთად ეძინათ, ახლა დიდები არიან, ინფრასტრუქტურა მოიშალა – ასეთ ინტენსიურ ცვეთაზე არაფერი იყო განსაზღვრული. ეს ყველაფერი - მთლიანობაში, ქმნის პრობლემას, რომელიც იქამდე არ გადაწყდება, ვიდრე აფხაზეთს არ დავიბრუნებთ. ღვთის წყალობით, მრავლდება ხალხი, სახელმწიფოს კი მათი განსახლებისთვის სხვა საშუალება არ გააჩნია. თბილისის მიწისძვრამ ხელმეორედ დაგვიტოვა უსახლკაროდ კიდევ 200-ზე მეტი ოჯახი. მათი ნაწილის, 97 ოჯახის ჩასახლება მოვახერხეთ, მაგრამ კიდევ 130 ოჯახია დასაბინავებელი. მე მესმის დევნილების, თბილისში ყოფნა ურჩევნიათ, აქ მეტი სახსარი და გასაქანია, მაგრამ, იქნებ, მიწისძვრით დაზარალებული დევნილების მდგომარეობაც გაითვალისწინონ. აღარაფერს ვამბობ გეოლოგებზე, რომელთაც მათ დაბინავებაში უდიდესი წვლილი შეიტანეს," – ამბობს თემურ ლომაია.

თბილისისკენ დევნილების დაძვრა ბუნებრივად უკავშირდება დედაქალაქში არსებულ ცხოვრების შედარებით მაღალ დონეს. ეს განაპირობებს აქეთკენ გეზაღებული დანარჩენი ქართველების მათთან მიტმასვნასაც. საქართველოს შრომის ბაზრის კვლევის შედეგების მიხედვით, რომელიც, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტის დაკვეთით, გასულ წელს ჩაატარა საზოგადოებრივი კვლევისა და მარკეტინგის ინსტიტუტმა, დევნილთა დასაქმების ყველაზე მაღალი დონე – 31 პროცენტი, სწორედ თბილისში დაფიქსირდა. შესაბამისად, აქ ყველაზე ნაკლებია დევნილი უმუშევრების რაოდენობა. დაქირავებულთა შორის საშუალო თვიური შემოსავალი თბილისში, თითქმის, ყველა სფეროში აღემატება სხვა რეგიონების ანალოგიურ მაჩვენებლებს. კვლევისას გამოკითხული, თბილისს გარეთ მცხოვრები დევნილების 70 პროცენტი აცხადებს, რომ წავა საქართველოს სხვა რეგიონებში სამუშაოდ, თუკი ხელფასი მისი ოჯახის პირველად მოთხოვნილებებს – საკვებსა და ტანსაცმელს, დააკმაყოფილებს (ამაზე თბილისში მცხოვრები დევნილების მხოლოდ 15 პროცენტი ფიქრობს).

ეს მოკლე ამონარიდები კიდევ ერთხელ ცხადყოფს დევნილთა ნაკადის თბილისში თავმოყრის მიზეზებს. ადამიანებისგან, რომელთაც სახელმწიფოსგან მინიმალური დახმარება აქვთ (ყოველთვიური 14-ლარიანი შემწეობა, ელექტრონტრანსპორტით უფასოდ სარგებლობა თბილისში მცხოვრები დევნილებისთვის, შეღავათი ოფიციალური დოკუმენტების მიღებისას, ჯანმრთელობის დაცვის პოლისები, რომელიც, როგორც წესი, ცუდად ფინანსდება, შვილების გათავისუფლება სკოლაში სწავლების გადასახადისგან და დროებით სარგებლობაში გაცემული მიწის ნაკვეთები რაიონებში მცხოვრებთათვის), ასეთი რამ არ უნდა გაგვიკვირდეს. იმის მიუხედავად, რომ ცხოვრების ნორმალური პირობების შექმნას ვერც თბილისელთა უმრავლესობა ახერხებს.

"იმედს ვიტოვებთ, რომ შეცდომაში შეგიყვანეს!"

ასე მიმართეს გუშინ საქართველოს პრეზიდენტს, ფაქტობრივად, სამსახურის გარეშე დარჩენილმა გეოლოგებმა. **"ჩვენც გვყავს ოჯახი, ცოლ-შვილი, ჩვენც გვჭირდება ფული მათ სარჩენად. ერთი წელია, გარეთ ვართ. ჩვენ შენობაში შენახულ, უნიკალურ რუკებს, თურმე, ქუჩებში ბავშვები ჰყიდიან, დოკუმენტები, რომელიც ქვეყანას აუცილებლად დასჭირდება, იწვება და ნადგურდება. არავისთან დაპირისპირება არ გვინდა, მაგრამ, თუ თქვენს თავს კანონზე მაღლა დააყენებთ, კანონს აღარც ჩვენ დავემორჩილებით,"** – ასეთი გახლავთ მათი გადაწყვეტილება.

ედუარდ შევარდნაძემ, რომელიც აფხაზეთის დაბრუნებას მისი პრეზიდენტობის ხანაში დაგვპირდა, საკუთარი თავი კანონზე მაღლა უკვე დააყენა, როცა სასამართლო ხელისუფლების გადაწყვეტილება, რომლის შეცვლა, ექსპერტების განცხადებით, ისევ სასამართლოს პრეროგატივა იყო, ერთპიროვნულად შეცვალა. ამას გაჭირვებული ხალხისთვის გაკეთებული შეღავათი დაერქვა. განვითარებადი ქვეყნის პირველმა პირმა მოსახლეობის ერთ ნაწილს მეორე ნაწილის ხარჯზე მისცა ასეთი შეღავათი.

ერგნეთის ბაზრობის დირექტორის ძმა აფეთქებამ იმსხვერპლა

შემთხვევის ადგილი

თამარ კაკიტაძე

გორში, საკუთარი ავტოფარეხის წინ, აფეთქების მსხვერპლი გახდა ერგნეთის ბაზრობის ერთ-ერთი მეწილე რევაზ წკრიალაშვილი. აფეთქება მაშინ მოხდა, როცა წკრიალაშვილი მანქანიდან გადმოდიოდა. იგი ადგილზევე გარდაიცვალა.

საღამოს წკრიალაშვილი საკუთარი "07" მარკის ავტომობილით, მეუღლესთან ერთად, სახლში მივიდა. ცოლი სახლში ასულა და ცოტა ხანში აფეთქების ხმაც გაუგონია.

მომხდართან დაკავშირებით მოკვლევას გორის რაიონის პროკურატურა აწარმოებს. შიდა ქართლის საგორში, საკუთარი ავტოფარეხის წინ, აფეთქების მსხვერპლი გახდა ერგნეთის ბაზრობის ერთ-ერთი მეწილე რევაზ წკრიალაშვილი. აფეთქება მაშინ მოხდა, როცა წკრიალაშვილი მანქანიდან გადმოდიოდა. იგი ადგილზევე გარდაიცვალა.

საღამოს წკრიალაშვილი საკუთარი "07" მარკის ავტომობილით, მეუღლესთან ერთად, სახლში მივიდა. ცოლი სახლში ასულა და ცოტა ხანში აფეთქების ხმაც გაუგონია.

მომხდართან დაკავშირებით მოკვლევას გორის რაიონის პროკურატურა აწარმოებს. შიდა ქართლის საგორეო პროკურორის ამირან ნოზაძის თქმით, დღეს გაირკვევა აღიძვრება თუ არა ამ ფაქტთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმე, თუ იგი უბედურ შემთხვევად შეფასდება.

ამჟამად გამოძიება ორ ვერსიაზე მუშაობს. ვინაიდან აფეთქების გამო წკრიალაშვილს ხელის მტევნები მოსწყდა, ამიტომ შედარებით სარწმუნოა ის ვერსია, რომ ასაფეთქებელი მოწყობილობა ერგნეთის ბაზრობის დირექტორის ძმას თავად ჰქონდა.

"ის, რომ ასაფეთქებელი მოწყობილობა წკრიალაშვილს ხელში ეჭირა, უკვე დადასტურებულია. ერთ-ერთი ვერსიით, დაუდგენელმა პირებმა რამდენჯერმე სცადეს მისთვის მანქანის მოპარვა. არ არის გამორიცხული, რომ ქურდების შესაშინებლად წკრიალაშვილს თავად სურდა მანქანაში ასაფეთქებელი მოწყობილობის დამონტაჟება. ჯერჯერობით, გამოძიება აქეთ მიდის," – აღნიშნა ჩვენთან საუბარში გორის რაიონის პროკურორმა რომან გვიშიანმა.

მიუხედავად გამოკვეთილი ვერსიისა, გამოძიება, წკრიალაშვილის საქმიანობიდან გამომდინარე, განზრახ მკვლელობის ვერსიაზეც მუშაობს. მოგეხსენებათ, რუსეთიდან შემოსული კონტრაბანდული საქონელი ერგნეთის ბაზრობიდან მთელ საქართველოში ვრცელდება. ამ ეტაპზე დაკითხულები არიან ოჯახის წევრები, რომლებიც წკრიალაშვილის მიმართ ვინმეს მხრიდან მუქარას ან ვინმესთან დაპირისპირებას არ ადასტურებენ.

ინციდენტის დეტალებში უფრო საფუძვლიანად გასარკვევად გორში შინაგან საქმეთა და უშიშროების სამინისტროს სპეციალისტები ჩავიდნენ, რომლებმაც შემთხვევის ადგილზე კომპლექსური - ქიმიური და პიროტექნიკური ექსპერტიზა ჩაატარეს. გვამზე ჩატარებულია სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა. მიუხედავად ამისა, ჯერჯერობით, მაინც არ არის დადგენილი, თუ რა ასაფეთქებელი მოწყობილობა აფეთქდა.

გამოძიება გრძელდება და როგორც შიდა ქართლის სამართალდამცველები გვპირდებიან, დღეს მომხდარ ფაქტს საბოლოო შეფასებაც მიეცემა.

მოსამართლის შეურაცხყოფისთვის „კანონიერ ქურდს" სამი წლით პატიმრობა მიუსაჯეს

ბექა სისაური
ქუთაისი

გუშინ ქუთაისის საქალაქო სასამართლომ "კანონიერ ქურდს"- გია ზვიადაძეს სამი წლით პატიმრობა მიუსაჯა. ზვიადაძე და კიდევ ერთი კრიმინალური ავტორიტეტი - ვარლამ კუხიანიძე (მეტსახელად "ვატია") ქუთაისის საოლქო სასამართლოს მოსამართლეების - ზაალ მარუაშვილის და დათო სვანაძის ფიზიკურ შეურაცხყოფაში იყვნენ ბრალდებულნი.

"კანონიერ ქურდებსა" და მოსამართლეებს შორის ინციდენტი 2 იანვარს, ქუთაისში, რესტორან "ტირიფებში" მოხდა. საახალწლო სუფრას ქალაქის მერი, საკრებულოს წევრები, სხვა თანამდებობის პირები და კრიმინალებიც ესწრებოდნენ. მომხდარი კონფლიქტიდან რამდენიმე დღის შემდეგ გია ზვიადაძე დააკავეს, ხოლო "ვატიამ" დამალვა შეძლო.

პროკურორმა მურთაზ კაპანაძემ საოლქო სასამართლოში ჩატარებულ პროცესზე ზვიადაძის მიერ ჩადენილი დანაშაული ხულიგნობისა და საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემულობის მუხლით დააკვალიფიცირა და ბრალდებულისთვის სამი წლით თავისუფლების აღკვეთა მოითხოვა. ბრალმდებლის მოთხოვნა მოსამართლე გოჩა კვირიკაშვილმა, ფაქტობრივად, უცვლელად დატოვა ძალაში. პროკურატურაში აცხადებენ, რომ ზვიადაძე მოსამართლეებთან კონფლიქტში მხოლოდ ერთ ეპიზოდში ჩაერთო. მანამდე კი კუხიანიძე მოქმედებდაო. ამრიგად, "ვატიას" თუ დააკავებენ, მას ზვიადაძეზე უფრო მკაცრი სასჯელი ელის. ბუნებრივია, სასამართლოს გადაწყვეტილებას არ ეთანხმება ბრალდებულის ადვოკატი დალი სულაქველიძე: **"ეს არ არის ერთადერთი უკანონო გადაწყვეტილება, რომელსაც სასამართლო პრაქტიკაში აქვს ადგილი. აშკარად იკვეთება, რომ სასამართლო არ არის თავისუფალი და მოქცეულია პროკურატურის ზეგავლენის ქვეშ. გია ზვიადაძეს ედავებიან ხულიგნობას, მაგრამ არც სასამართლოს და არც ბრალდების მხარეს თვითმხილველი მოწმეები არა ჰყავს. საქმეში ფიგურირებს მხოლოდ სამი დაზარალებული. რადგან დაზარალებულები მოსამართლეები არიან, ქუთაისის სასამართლომ კოლეგიალურობა გამოიჩინა და ფაქტიურად უკანონო გადაწყვეტილება გამოიტანა,"** - განაცხადა პროცესის დასრულების შემდეგ სულაქველიძემ. საოლქო პროკურატურაში კი მიაჩნიათ, რომ კანონიერი განაჩენის გამოსატანად დაზარალებულების ჩვენებებიც საკმარისი იყო. მათი განმარტებით, სხვა თვითმხილველი მოწმეები კრიმინალური ავტორიტეტების მიერ დაშინებულნი იყვნენ და ამიტომაც პროცესზე ცრუ ჩვენებებს იძლეოდნენ, რის გამოც პროკურორმა მურთაზ კაპანაძემ მათი პასუხისგებაში მიცემა მოითხოვა. ზვიადაძის ადვოკატები განაჩენის გასაჩივრებას ქუთაისის საოლქო სასამართლოში აპირებენ. ისინი გასაჩივრებისთანავე სასამართლოს აცილების მოთხოვნასაც დააყენებენ, რადგან დაზარალებულები ქუთაისის საოლქო სასამართლოს მოსამართლეებიც არიან. თუმცა, გასათვალისწინებელი იქნება ის გარემოებაც, რომ რესტორან "ტირიფებში" გამართულ საახალწლო სუფრას უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებიც ესწრებოდნენ.

ცოლის და სიდედრის მკვლელი შეურაცხადია - ამტკიცებს გამოძიება

"კოტე დოლიძე შეურაცხადია, საჭიროებს იძულებით მკურნალობას", - ასეთი შინაარსის დადგენილება უზენაეს სასამართლოში უკვე მეორედ შევიდა. 27 წლის კოტე დოლიძეს, რომელსაც ყოფილი მეუღლისა და სიდედრის მკვლელობა ედება ბრალად, უზენაესი სასამართლო რამდენიმე დღეში დახურულ სხდომაზე გაასამართლებს.

ხათუნა ჭანგირაშვილი

საქმე ეხება ერთი წლის წინ მომხდარ გახმაურებულ მკვლელობას, რომელსაც დიდი მითქმა-მოთქმა მოჰყვა. შეგახსენებთ, რომ უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით უკმაყოფილო კოტე დოლიძემ - არც აცია, არც აცხელა და პროცესის დამთავრების შემდეგ იქვე, მართლმსაჯულების უმაღლეს ორგანოსთან, ცეცხლსასროლი იარაღით სიცოცხლეს გამოასალმა ყოფილი ცოლი ვიტა ჯიმშელეიშვილი-დოლიძე და სიდედრი. მძიმედ დაჭრილი სიმამრი კი სიკვდილს გადაურჩა.

შეიარაღებული კოტე დოლიძე სამართალდამცველებმა მომხდარიდან რამდენიმე წუთში, ერთ-ერთი საცხოვრებელი სახლის სადარბაზოში დააკავეს.

კოტე და ვიტა დოლიძეები 1994 წელს შეუღლდნენ. ერთი წელის შემდეგ შეეძინათ ქალიშვილი, რომელთან ერთადაც რამდენიმე წლის განმავლობაში მოსკოვში ცხოვრობდნენ. თბილისში დაბრუნებულ ცოლ-ქმარს შორის, ცოტა ხანში, სიტუაცია დაიძაბა. ყოველდღიური კონფლიქტებითა და უსიამოვნებებით თავმობეზრებულმა ვიტა დოლიძემ ქმარი მიატოვა და შვილთან ერთად საცხოვრებლად გადავიდა დედის ბინაში. ცოლ-ქმრის კონფლიქტში სიდედრიც ჩაერია და ვითარება უფრო გამწვავდა. მეუღლეზე განაწყენებულმა კოტე დოლიძემ ვაკე-საბურთალოს სასამართლოს მიმართა ცოლთან განქორწინებისა და მისთვის დედობის უფლების ჩამორთმევის სარჩელით, ხოლო ვიტა დოლიძემ შეგებებული სარჩელით მოპასუხისთვის (ქმრისთვის) მამობის უფლების ჩამორთმევა მოსთხოვა მართლმსაჯულებას. ვაკე-საბურთალოს სასამართლომ კოტე დოლიძეს მცირეწლოვანი შვილის სასარგებლოდ ალიმენტის გადახდა – თვეში ასი ლარი დააკისრა. მეუღლისთვის დედობის უფლების ჩამორთმევის მოთხოვნა კი სასამართლომ არ დააკმაყოფილა, რის გამოც დოლიძემ უზენაესი სასამართლოს სააპელაციო პალატაში მორიგი საჩივარი შეიტანა. უზენაესმა სასამართლომ კოტე დოლიძეს მოთხოვნა არ დააკმაყოფილა და ოჯახური ტრაგედიაც სასამართლო პროცესის დასრულებისთანავე დატრიალდა.

მომხდარი მკვლელობის მომსწრენი მაშინვე ირწმუნებოდნენ, რომ ყოფილი ცოლისა და სიდედრის მკვლელი – კოტე დოლიძე - ფსიქიკურად შეშლილი იყო. გამოძიებამ, რომელიც რამდენიმე თვე გრძელდებოდა, დაადასტურა კოტე დოლიძის შეურაცხადობა. ასათიანის სახელობის ფსიქიატრიული საავადმყოფოს საექსპერტო განყოფილების დასკვნით, კოტე დოლიძე დაავადებულია ქრონიკული ფსიქიკური პარანოიით, ანუ შეურაცხადია.

მოსამართლე იური ტაბუცაძემ, რომელსაც კოტე დოლიძისთვის უნდა გამოეტანა განაჩენი, გამოძიებისას ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნაში ეჭვი შეიტანა და საქმე ხელახალი გამოძიებისთვის კვლავ პროკურატურას დაუბრუნა. ცოტა ხნის წინ კი გამოძიება უზენაეს სასამართლოში იმავე შინაარსის დადგენილებით შევიდა და მართლმსაჯულებისგან დოლიძისთვის იძულებითი მკურნალობის დანიშვნა მოითხოვა.

მოსამართლე თამაზ ილიაშვილი განსასჯელის შეურაცხადობას სარწმუნოდ მიიჩნევს თუ არა, რამდენიმე დღეში გახდება ცნობილი.

შსს-ს ყოფილი თანამშრომლები ფართომასშტაბიანი გაფიცვით იმუქრებიან

ბექა სისაური
ქუთაისიდან

გუშინ, ქუთაისის მერიასთან, შინაგან საქმეთა სამინისტროს პენსიონერები ქალაქის მერს დილიდანვე "ჩაუსაფრდნენ". მერის გამოჩენის შემდეგ კი იგი ალყაში მოაქციეს და შენობაში შესვლის საშუალება არ მისცეს. პენსიონერები რამდენიმე თვის აუღებელ პენსიას მოითხოვდნენ. **"ყოველდღე გვატყუებენ - პენსია იქნებაო და აღნიშნული პროცესი უსასრულოდ ჭიანურდება, მეტის მოთმენა უკვე აღარ შემიძლია, ახლაც ქუთაისის მერს ველოდები, იქნებ მან გამცეს პასუხი. ვიცი, მეტყვის, პენსიები ცენტრალიზებულია და მათი გაცემა მე არ მეხებაო. აბა, მითხარით ერთი, მე ვისთან მივიდე, პრეტესტი ვისთან გამოვხატო?... მითხარით, ეს ცხოვრებაა?"** –აცხადებდნენ მერიასთან შეკრებილი პენსიონერები.

ქუთაისის მერი ნუგზარ ფალიანი შსს-ს ყოფილ თანამშრომლებს ჯერ ქუჩაში ესაუბრებოდა, შემდეგ კი რამდენიმე აქტივისტი კაბინეტში აიყვანა. მან აქციის მონაწილეებს აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით დახმარება აღუთქვა. პენსიონერებმა მერს პრობლემის გადასაწყვეტად ერთი დღის ვადა მისცეს, წინაადღმდეგ შემთხვევაში ისინი დიდ საპროტესტო აქციას გამართავენ და ცენტრალურ ქუჩებს გადაკეტავენ.

ადვოკატი გამოძიებასა და სასამართლოს ალიანსში ადანაშაულებს

ქართველი სამართალდამცველები ჯერ კიდევ ვერ შეეჩვევნენ საგამოძიებო მოქმედებების კანონიერად შესრულებას, რის გამოც ბევრი საქმე ან გამოძიების პროცესშივე უქმდება, ან სასამართლოში "მარტივ მამრავლებად იშლება". ამის გამო, როგორც ამბობენ, ბევრ რეალურ დამნაშავეს პასუხისმგებლობა აღარ ეკისრება. ჩვენ, დღევანდელი ისტორიით, რა თქმა უნდა, არავის უდანაშაულობის თუ დანაშაულის მტკიცებას არ ვაპირებთ, მაგრამ ფაქტია – ქვემოთ მოყვანილი საქმე, როგორც მრავალი სხვა, ბევრ კითხვის ნიშანს აჩენს. ასევე ფიქრობს ადვოკატი ხათუნა სალუქვაძეც.

თამარ კაკიტაძე

მაისის დასაწყისში დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის პოლიციის თანამშრომლებმა რამდენიმე ახალგაზრდა - ალეკო ბროლაძე, ავთო შუღლიაშვილი და ლაშა მარღანია დააპატიმრეს. როგორც დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის კრიმინალური პოლიციის უფროსი დავით ქაცარავა ამბობს, დამნაშავეებს ფაქტზე - გატაცებულ მანქანაში მიუსწრეს. თუმცა, მისივე თქმით, პოლიციის გამოჩენისთანავე, სამეულს მოპარული "BMW" მიუტოვებია, ბროლაძის მანქანაში გადამსხდარა და გაქცეულა. **"ქუჩებში ისეთი ავტორბოლა მოაწყვეს, კინაღამ ნახევარი ქალაქი დაამტვრიეს",** – ამბობს ქაცარავა.

სამეულის დაკავებასთან დაკავშირებით აბსოლუტურად განსხვავებულ ვერსიას ჰყვება მათი ადვოკატი ხათუნა სალუქვაძე:

"სულ ახლახან, ელიავას ბაზრობასთან მომხდარი მკვლელობა თუ გახსოვთ, ალეკო ბროლაძე მაშინ, მოკლული ტურაშვილის მანქანაში იჯდა. ამის შემდეგ პოლიცია გადაეკიდა – დაინახე, ვინც ესროლა და არ გვეუბნებიო. ამის გამო პოლიცია ბროლაძეს სისტემატურად დევნიდა. 9 მაისს სამივე მეგობარი ნინოშვილის ქუჩაზე, ერთ-ერთის ნათესავთან იყვნენ. სახლიდან გამოვიდნენ თუ არა, 20 წუთში მათ მანქანას პოლიცია გამოეკიდა და დააპატიმრეს", – ამბობს ხათუნა სალუქვაძე.

ადვოკატის მტკიცებით, სამივე პატიმარი ნაცემია. მართალია, სალუქვაძის თქმით, მათ ექსპერტიზა არ ჩატარებიათ, მაგრამ არსებობს ცნობები, სადაც დაფიქსირებულია დაზიანებები. იმას, რომ დამნაშავეებს დაზიანებები მართლაც აქვთ, არც პოლიციელები უარყოფენ. **"დაკავებისას პოლიციელებს წინააღმდეგობა გაუწიეს და დაზიანებები მართლაც მიიღეს. მაგრამ პოლიციელებს რომ ტანსაცმელი დაახიეს და ერთს თვალი ჩაულურჯეს, ამაზე არავინ საუბრობს",** – იცავს კოლეგებს ქაცარავა.

ბროლაძეს, შუღლიაშვილს და მარღანიას (ეს უკანასკნელი წარსულში ერთხელ უკვე ნასამართლევია) ბრალი წარდგენილი აქვთ მანქანის გატაცებასა და პოლიციისათვის წინააღმდეგობის გაწევაში.

"რადგან პატიმრებს ბრალი პოლიციისათვის წინააღმდეგობის გაწევაში ედებათ, ამიტომ საქმე პროკურატურას უნდა გამოეძიებინა, მაგრამ პროკურორმა საქმეში საკმარისი მტკიცებულებები ვერ აღმოაჩინა, პასუხისმგებლობა მოიხსნა და საქმე რაიონის საგამოძიებო დეპარტამენტს დაუქვემდებარა", – ასეთი მოსაზრება აქვს ადვოკატს, რასაც დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის პროკურორი ირაკლი წერეთელი არ ეთანხმება. **"ვინაიდან ავტომობილის გატაცება უფრო მძიმე მუხლია, ამიტომ, კანონმდებლობით, საქმე გამოსაძიებლად პოლიციას ეკუთვნის",** – ამბობს წერეთელი.

ხათუნა სალუქვაძის თქმით, მეგობრების დაკავებისთანავე საქმეში ადვოკატები ჩაერთვნენ და გამოძიებას დაცვის ორდერებიც წარუდგინეს.

"დაპატიმრების დღეს, დაკავებულებმა დუმილის უფლება გამოიყენეს, მაგრამ როდესაც ჩვენ მოვითხოვეთ ეჭვმიტანილების დაკითხვა, გამომძიებელმა ლაშა თავაძემ გვიპასუხა - არ მაინტერესებს მათი ჩვენებებიო. იმ დღეს, წინასწარი დაკავების საკნიდან, ბრალის წარდგენის ვადის გასვლამდე ნახევარი საათით ადრე წამოვედით. როგორც ჩანს, გამომძიებელმა სწორედ მაშინ იხელთა დრო და მიუხედავად იმისა, რომ საქმეში ჩვენი ორდერები იყო, ეჭვმიტანილებს სახაზინო წესით დაუნიშნა ადვოკატები და ბრალიც მათი თანდასწრებით წარუდგინა", – გვითხრა სალუქვაძემ.

არადა, კანონით, თუ პატიმარს ჰყავს ადვოკატი, მისთვის საკუთარი დამცველის გარეშე ბრალის წარდგენა დაუშვებელია. თუმცა, ამ შემთხვევაშიც პოლიცია თავდაცვას ცდილობს: **"პატიმრებთან შეხვედრისას ადვოკატმა ქართლოს ღარიბაშვილმა ბრალდებები დახია, ანუ მან დაარღვია ადვოკატის უფლებები. ამიტომაც საგამოძიებო ვადები რომ არ დარღვეულიყო, იძულებულნი გავხდით, სახაზინო ადვოკატი აგვეყვანა",** - გვიხსნის ქაცარავა.

მიუხედავად ამისა, საგამოძიებო ორგანოს კანონი ავალდებულებს - თუ პატიმარს ადვოკატი ჰყავს, მას ბრალი საკუთარი დამცველის თანხლებით წარუდგინოს. სწორედ კანონის ამ მოთხოვნის დარღვევის გამო უკვე ბრალდებულმა ბროლაძემ, შუღლიაშვილმა და ლაშა მარღანიამ ბრალდების დადგენილებას ხელი არ მოაწერეს.

პატიმართა პროტესტზე რაიონის პროკურორის მოადგილემ დავით ბოჭორიშვილმა თავის დროზე ოქმი შეადგინა. ანალოგიური ოქმი შედგა მას შემდეგაც, რაც პატიმრებმა დაკითხვაზე უარი თქვეს; მაგრამ, ადვოკატის მტკიცებით, ორივე ოქმი ყალბია, რადგან, სალუქვაძის თქმით, პროკურორის მოადგილე პატიმრებს საერთოდ არ შეხვედრია.

თუმცა, ადვოკატის მტკიცებით, მთავარი კანონდარღვევა მაინც სასამართლოში მოხდა, რადგან იგი ვალდებულია, შეაფასოს საგამოძიებო ორგანოს კანონიერება.

"დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის სასამართლოში პატიმრები ითხოვდნენ, რომ პროცესზე ადვოკატები მიეყვანათ, მაგრამ მათ სამი თვით წინასწარი პატიმრობა მაინც ჩვენს გარეშე წარუდგინეს; მეტიც, მოსამართლე დოიჯაშვილმა რომ გაიგო, ადვოკატები მოვიდნენო, მარღანიას საქმე საერთოდ არ განუხილავს", – ამბობს ადვოკატი.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება დაცვის მხარეს მეორე დღესვე საოლქო სასამართლოში გაუსაჩივრებია, მაგრამ საქმე ქვემდგომი სასამართლოდან მხოლოდ ხუთი დღის შემდეგ გადაიგზავნა.

"საოლქო სასამართლოს მოსამართლე კარლო ბზიშვილი და დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის სასამართლოს თავმჯდომარე ახლობლები არიან. აქედან გამომდინარე, მან დოიჯაშვილის მიერ ჩადენილ უკანონობას ყურადღება არ მიაქცია და ქვემდგომი სასამართლოს საეჭვო გადაწყვეტილება ძალაში დატოვა. თუმცა, პროცესზე ბზიშვილმა რამდენჯერმე მიუთითა გამოძიების მხრიდან დაშვებული დარღვევები, ჩვენ კი დაგვამშვიდა: რა გინდათ, გამომძიებელმა ბოდიში ხომ მოგიხადათო", – ამბობს სალუქვაძე.

ადვოკატის მტკიცებით, პოლიციის ჩვენებების გარდა, საქმეში მტკიცებულებები არ არსებობს და იგი პოლიციამ ფულის გამოძალვის მიზნით "შეკერა". სალუქვაძის მოსაზრებას, რა თქმა უნდა, პოლიციაში არ იზიარებენ და დაპატიმრებულ სამეულს მეტად საშიშ დამნაშავეებად ასახელებენ. თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილის დავით კეკუას განცხადებით, ალეკო ბროლაძეს, ავთო შუღლიაშვილსა და ლაშა მარღანიას წარსულში სხვა დანაშაულებიც აქვთ ჩადენილი.

ვის სიმართლეს გაიზიარებს სასამართლო – გამოძიების თუ დაცვის მხარის, მომავალი გვიჩვენებს. ფაქტია, საქმეში არსებული დარღვევებით აღშფოთებული დაცვის მხარე აპირებს, ზემდგომ ორგანოებში უჩივლოს საგამოძიებო დეპარტამენტის უფროსს - ხინაშვილს და გამომძიებელ თავაძეს, ხოლო მოსამართლეების - დოიჯაშვილისა და ბზიშვილის შესახებ კი სალუქვაძემ იუსტიციის საბჭოს უკვე მიმართა.

"საქართველოში სასამართლოსაც და პროკურატურასაც პოლიცია მართავს. ეს საქმე სწორედ ამის დასტურია და მეტი არაფერი", – ასკვნის ადვოკატი სალუქვაძე.

ყაჩაღები ჟინვალის ტყეში დააკავეს

გუშინ, საღამოს, ჟინვალის ტყეში, მცხეთა-მთიანეთის სამართალდამცველებმა სამი ყაჩაღი დააკავეს.

ჟინვალში, ფირმა "კედარის" შესასვლელთან, გადაჭრილი თოფით, პისტოლეტითა და გაზის პისტოლეტით შეიარაღებულმა პიროვნებებმა ფირმის კუთვნილი მანქანა დააყაჩაღეს და იარაღის მუქარით ხელფასისათვის განკუთვნილი 9 ათასი ლარი გაიტაცეს.

როგორც მცხეთა-მთიანეთის რეგიონის პოლიციის უფროსმა ჯემალ ჯიქურაულმა გვითხრა, დაყაჩაღების დროს თავდამსხმელებმა შეშინების მიზნით გაისროლეს. სწორედ სროლის ხმა გაიგეს იქაურმა სამართალდამცველებმა და ტყეში გაქცეულ ყაჩაღებს კვალდაკვალ მიჰყვნენ.

გუშინ, გვიან ღამით, ჟინვალის ტყიდან რეგიონის პოლიციის შენობაში ჩაიყვანეს დაპატიმრებულნი - ძიგუა, თეთრუაშვილი და ქარელი. სამივე დაკავებული ჟინვალელია. იყვნენ თუ არა ყაჩაღები ფირმა "კედარის" რომელიმე თანამშრომელთან დანაშაულებრივად დაკავშირებულები, ამას გამოძიება დაადგენს.

მოკლედ

თბილისი. როგორც ჩანს, ქართველმა სამართალდამცველებმა ფალსიფიკაციასთან ბრძოლა დაიწყეს. რამდენიმე დღის წინ, კორუფციასთან და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს ფალსიფიკაციის წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილების თანამშრომლებმა რეალიზაციის ფაქტზე ამხილეს რომან დემეტრაშვილი. დემეტრაშვილს ქარხანა "გაზოაპარატის" ტერიტორიაზე არალეგალურად ჰქონდა მოწყობილი საამქრო, სადაც იგი ტომრებში აფასოებდა ცემენტს და მას ს.ს. "რუსთავცემენტის" სასაქონლო ნიშნით რეალიზაციას უკეთებდა. ფალსიფიკაციასთან ბრძოლის განყოფილების უფროსის დავით მამალაძის განცხადებით, გატარებული ღონისძიებების შედეგად მაღაზია "თამუნიადან" და ორი სავაჭრო კონტეინერიდან სულ ამოღებულია დასაფასოებლად გამზადებული 15 ტონა ნაყარი და სარეალიზაციოდ გამზადებული 183 ტომარა ცემენტი. მოკვლევას აწარმოებს ფალსიფიკაციის წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილება. **"24 საათი"**

■ ■ ■

თბილისი. აფხაზური მილიცია გალის რაიონში დაბრუნებული მოსახლეობისგან სსრკ-ის პერიოდის პასპორტებს მოითხოვს. რაიონის აფხაზური ადმინისტრაციის ხელმძღვანელი რუსლან ქიშმარია საპასპორტო რეჟიმის გაგრძელებას საქართველოს მიერ აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებამდე ვარაუდობს. "აფხაზურ მილიციას თავის ტერიტორიაზე წესრიგის დამყარება სურს და ცდილობს, არ დაუშვას რესპუბლიკაში მოქალაქეები, რომლებსაც არაფერი აქვთ საერთო აფხაზეთთან", - განაცხადა ქიშმარიამ. მისივე თქმით, სსრკ-ის პერიოდის პასპორტებში ჩაწერის ადგილად გალის რაიონი უნდა იყოს მითითებული. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. რუსული საინფორმაციო საშუალებები ვარაუდობენ, რომ საპარლამენტო არჩევნების წინ საქართველოში მასშტაბური ანტიკრიმინალური ოპერაცია განხორციელდება და ციხეები „ავტორიტეტებით" აივსება. „ავტორიტეტების" გამოვლენა ახლაც მიმდინარეობს, ოღონდ ოპერაცია ზოგადად "კანონიერი ქურდებისა" თუ სხვა სტატუსის მატარებელი პირების მიმართ კი არ ტარდება, არამედ კონკრეტულ დანაშაულში მხილებული კრიმინალური ავტორიტეტების წინააღმდეგ", – ამბობს შს პრესსამსახურის უფროსი პაატა გომელაური. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. უბედური შემთხვევის მსხვერპლი გახდა 28 წლის ნიკოლოზ ქრისტესიაშვილი, რომელიც საკუთარ სახლში დენთან გაუფრთხილებლად მოპყრობის გამო დაიღუპა. ტრაგიკული შემთხვევა 25 მაისს, საღამოს 20 საათზე, თბილისში, ცაგერის ქუჩაზე მოხდა. ფაქტზე მოკვლევას თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის საგამოძიებო სამსახური ატარებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. თბილისის მთაწმინდა-კრწანისის რაიონისა და მარნეულის პოლიციელებმა ავტომანქანის ყაჩაღური გზით გატაცების ბრალდებით დააკავეს მალხაზ დათიაშვილი და ვეფხია ხუსკივაძე, რომლებიც თბილისში, გორგასლის ქუჩაზე, თენგიზ იკაშვილს ჩაუსხდნენ ავტომანქანა „აუდი 80"-ში და ფონიჭალაში გაყვანა სთხოვეს. ადგილზე მისულებმა იკაშვილს ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს და დანის მუქარით ავტომანქანა წაართვეს. გატაცებული ავტომანქანა ხუსკივაძემ და დათიაშვილმა ბიძის სახლში, მარნეულის რაიონის სოფელ წერეთელში გადამალეს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. გუშინ, საღამოს, მეტრო „ვარკეთილთან", აეროდრომის დასახლებაში გაჩენილი ხანძრის შედეგად მთლიანად დაიწვა ჭიჭიკაშვილების ერთსართულიანი, ბარაკული ტიპის საცხოვრებელი სახლი. ხანძარი საღამოს 20.30 წუთზე გაჩნდა და საათნახევრის განმავლობაში მძვინვარებდა. სახლის პატრონები ელზა და თეა ჭიჭიკაშვილები, თვითმხილველთა თქმით, ფსიქიკურად დაავადებულები არიან. დღემდე უცნობია დედის - ელზა ჭიჭიკაშვილის ადგილსამყოფელი; არსებობს ვარაუდი, რომ იგი ხანძარს ემსხვერპლა. რაც შეეხება თეა ჭიჭიკაშვილს, იგი სახისა და კიდურების დამწვრობით გადაიყვანეს დამწვრობის ცენტრში. ხანძარს შვიდი სახანძრო მანქანა აქრობდა. **მედია-ნიუსი**

სიბერწე

სიბერწე გამრავლების უუნარობაა. ცხოველის სიბერწეს მრავალი რამ იწვევს. ბევრის მიზეზი ცნობილია და განკურნებაც შეიძლება, მაგრამ ზოგი რამ ჯერაც უცნობია. ბერწი ძუც შეიძლება იყოს და ხვადიც, თუმცა, მეძაღლეები, თუ ძუ არ დამაკდა, ბრალს ყოველთვის ამ უკანასკნელს სდებენ ხოლმე. ცხოველი შეიძლება ბერწი იყოს საერთოდ და დროებითაც. მიზეზი, რომელიც დროებით სიბერწეს იწვევს, რამდენიმე ჯგუფად შეიძლება დაიყოს: ფიზიოლოგიური მიზეზის გამო, სიმსივნით ან ინფექციით გამოწვეული და ა.შ. გვხვდება კიდევ ისეთი შემთხვევა, რომელსაც ვერც ერთ ზემოთ ჩამოთვლილ მიზეზს ვერ მივუსადაგებთ.

ცნობილია, რომ ახლო ინბრიდინგის დროს, ხანდახან, ფუჭი დართვა ხდება, ამიტომ ახლო ნათესავების შეჯვარებისას გამოიყენეთ ყველაზე ძლიერი ხვადები და ყველაზე ნაყოფიერი ძუები, რადგან სიბერწეც და ნაყოფიერებაც მეტწილად მემკვიდრეობითია.

ცუდი კვება: ცუდმა კვებამაც, თუ საკვებში საკმარისი რაოდენობით არ არის ცხოველური ცილები, ვიტამინები და სხვა საჭირო ელემენტები, შეიძლება გააბერწოს ძაღლი. საჯიშე ხვადი იქნება თუ ძუ, სწორად შედგენილი და კარგად გაწონასწორებული დიეტა ყოვლად აუცილებელია. მეორე მხრივ, ზედმეტად ნაკვები და გასუქებული ხვადი ზანტი ხდება და საჯიშე სამუშაოს შესრულება ეზარება, ძალიან გასუქებული ძუ კი აღარ მაკდება. არც მეტისმეტი სიგამხდრე ვარგა - გამხდარმა და დასუსტებულმა ხვადმა შეიძლება ძუ ვერ დაიმორჩილოს, ხოლო მაკე ძუმ საჭირო საკვებით ვერ უზრუნველყოს მუცელში მყოფი ლეკვები.

სეირნობის უკმარისობა: მეძაღლეები ხშირად სათვალავში არ აგდებენ სეირნობის მნიშვნელობას, მაგრამ ხვადი ვერასოდეს შეინარჩუნებს საჯიშე სამუშაოსათვის აუცილებელ კარგ კონდიციას, თუ სუფთა ჰაერი და მზე დააკლდა. ზუსტად ასევე მოქმედებს ძუზე ჰაერისა და მზის უკმარისობა.

გარემო პირობები: დროებით სიბერწეს, ზოგჯერ, გარემოს სწრაფი ცვლა იწვევს. მაგალითად, როდესაც ძაღლები ძალიან ცივი ქვეყნიდან ტროპიკებში გადაჰყავთ ანდა პირიქით. ხვადმა, სანამ ახალ ჰავას არ შეეგუება, შეიძლება განაყოფიერების უნარი დაკარგოს.

ხვადები, რომლებიც არაბუნებრივ პირობებში ჰყავთ - ვთქვათ, ვიწრო, ბნელ სადგომში - ალბათ ნაკლებად ნაყოფიერნი იქნებიან, ვიდრე სუფთა ჰაერზე, მზის სხივებითა და მოძრაობით გალაღებულნი. ნაყოფიერებაზე გავლენას ახდენს, აგრეთვე, ტემპერატურა, დღის ხანგრძლივობა და სეზონის ცვალებადობა.

ასაკი: ძუც და ხვადიც დროთა განმავლობაში ნაკლებად ნაყოფიერი ხდება. მიზანშეწონილი არ არის, მაგალითად, ბებერი ხვადის დართვა ბებერ ძუსთან, მაგრამ ბებერი ხვადი შეგიძლიათ დაურთოთ ახალგაზრდა ძუს და ალბათ, ნორმალური რაოდენობის ლეკვებს მიიღებთ. მეორე მხრივ, არა მგონია, ნორმალური რაოდენობის ლეკვები დაყაროს და იქნება, საერთოდ ვეღარაფერი შეძლოს ბებერმა ძუმ, თუნდაც იგი ახალგაზრდა ხვადთან იყოს დართული.

ბებერი ხვადის სპერმაში სპერმატოზოიდების რიცხვი და მათი მოძრაობის უნარი კლებულობს. ძუს, ასაკთან ერთად, უმცირდება საღი კვერცხუჯრედების რაოდენობა და ბოლოს, რაღაც ასაკში, კვერცხუჯრედის წარმოქმნა მთლიანად წყდება. ყველაზე კარგ ნამატს მაშინ მიიღებთ, როცა ძუც და ხვადიც გაფურჩქვნის ასაკში არიან და კარგად გამოიყურებიან. ძუ ყველაზე კარგ ლეკვებს მეორე დამაკებისას ყრის და ამიტომ ამ დროს იგი საუკეთესო ხვადს დაურთეთ.

დიდი ჯიშის საჯიშე ხვადი ყველაზე კარგ შთამომავლობას 4 წლის ასაკში იძლევა. ჯუჯა ხვადმა რომ კარგი ნამატი მოგცეთ, ცოტა უფრო ახალგაზრდა უნდა იყოს.

ახალგაზრდა ხვადის ნაადრევი ან ძალიან ხშირი დართვაც იწვევს ხოლმე უნაყოფობას.

გადაღლა: ეს, პირველ რიგში, საჯიშე ხვადებს ეხებათ. თუ ხვადს ძალიან ხშირად იყენებენ და დართვასა და დართვას შორის კარგად არ ასვენებენ, შეიძლება დროებით განაყოფიერების უნარი დაკარგოს. ახალგაზრდა ხვადის გადატვირთვა, სრულ სქესობრივ მომწიფებამდე, არ შეიძლება, თორემ შეიძლება სამუდამოდ სტერილური გახდეს.

ძუს დატვირთვა, მით უმეტეს, როცა დიდ ნამატს იძლევა, მის საერთო მდგომარეობაზე მოქმედებს. ძუ თუ გამოფიტულია და ცუდად გამოიყურება, შეიძლება არც კი დამაკდეს.

უდროო დართვა: ხშირად მომხდარა, რომ ძუ მომწიფებული კვერცხუჯრედების გამოყოფამდე ანდა გამოყოფის შემდეგ დაურთავთ და განაყოფიერება არ შემდგარა, მაგრამ ამ შემთხვევაში ნამდვილ სიბერწესთან არა გვაქვს საქმე, რადგან ძუც და ხვადიც, სინამდვილეში, ნორმალურად ნაყოფიერნი არიან.

დართვის არანორმალური გარემო: ასეთი გარემო ხშირად გამხდარა მიზეზი ძუს „გაცდენისა“. სამწუხაროდ, უამრავი დართვა სრულიად არანორმალურ გარემოში ხდება, მეძაღლეებს კი უკვირთ, დართვამ ნაყოფი რატომ არ გამოიღოო? ძუ ხშირად მატარებლით ან მანქანით მოჰყავთ ასეული კილომეტრიდან, შეჰყავთ მისთვის სრულიად უცხო გარემოში და ხეირიანად სულსაც კი არ მოათქმევინებენ, ისე ურთავენ ხვადს - არ აცლიან, წესიერად გაეცნოს ხვადს, ჩატარდეს ძაღლებისთვის ბუნებრივი, საქორწინო რიტუალი. სტუმარსაც და მასპინძელსაც ეჩქარება - ერთი სული აქვთ, როდის მორჩებიან საქმეს. იცინიან, ხუმრობენ, უხეშად ექცევიან ძაღლებს და თან უნდათ, ისინი ნორმალურად დაერთონ ერთმანეთს.

საჯიშე ხვადს, რომელიც ჩვეულებრივ, საკუთარ სახლშია და თუ ხშირად იყენებენ, კარგად იცის, რა უნდა მოიმოქმედოს, იქნებ, არც ისე უშლიდეს ხელს ხმაურიანი გარემო, მაგრამ ასეთი საქციელი დიდი სისასტიკეა ძუსადმი, რომელიც ძალიან დაძაბულია. იგი ეწინააღმდეგება მოძალადეთ, დართვა ჭირს, პატრონი ნერვიულობს, ძუ პატრონზე უფრო ღელავს და ბოლოს, ყველაფერი იმით თავდება, რომ ინსტრუქტორი ძალით რთავს ძაღლებს. ამის შემდეგ მეტწილად ძუს გონზე მოსვლასაც კი არ აცლიან, ისე ჩააგდებენ ხოლმე მანქანაში და შინისკენ მიაქანებენ. ჰოდა, რა გასაკვირია, თუ დართვის შედეგი იმედს გაგიცრუებთ.

წიგნიდან „ძაღლი და მისი მოშენება“

იყიდება ირლანდიური სეტერი, ხვადი, 3 წლის. საველე დიპლომებით, შესანიშნავი საგვარეულოთი. მშობლები - მოსკოვის ჩემპიონები. ფასი 300 $. 8(99) 19 10 53

იყიდება კურცჰაარის ლეკვები კარგი საგვარეულოთი. მშობლები - საველე დიპლომებით. 61 09 54

იყიდება დრათჰაარის ლეკვები. მხოლოდ ხვადები. კარგი საგვარეულოთი. 69 53 14, 8(99) 53 26 81 გიორგი

დაიკარგა ორი ესტონური მდევარი, ძუ და ხვადი, ლისის ტბის მიდამოებში. ჩალისფერი ტაქსა, საირმის ქუჩასთან ახლოს. მპოვნელი დასაჩუქრდება. 23 42 04

ყურადღება

სამონადირეო მეძაღლეობისა და ძაღლით ნადირობის მოყვარულთა საზოგადოება

7-8 ივნისს იპოდრომის ტერიტორიაზე ატარებს ყველა ჯიშის სანადირო ძაღლების გამოფენას.

რეგისტრაცია 9 სთ. 30 წთ-დან.

გთხოვთ მობრძანდეთ.

ძებნა

ალეკო ნუკრაძე

საველე გამოცდისას შეფასებათა ცხრილში ყნოსვის გრაფების მომდევნო ადგილი **ძებნას** ეთმობა. **ძებნა** მეძებრის მუშაობის მნიშვნელოვანი ელემენტია - იგულისხმება ძაღლის მიზანმიმართული მოძრაობა, მოქმედებები, რომელთა მიზანი ფრინველის პოვნაა. ძებნის პროცესი თვისებრივად განსხვავდება უბრალო, უმიზნო სირბილისაგან. ამ დროს მეძებარი სრულადაა მობილიზებული, „ჩართული“ აქვს ყნოსვა, გატაცებით ეძებს ფრინველის სუნს და ცდილობს შეუმჩნეველი არ დარჩეს უმნიშვნელოდ საინტერესო ემანაციაც კი. მეძებარმა სავარგული სწრაფად და ამომწურავად უნდა გამოიკვლიოს, დროც დაზოგოს და ადგილებიც არ გამოტოვოს. **ძებნა** მთლიანობაში მაქსიმალური ოცი ქულით ფასდება. იგი თავის მხრივ ორ ცალკეულ, თვისებრივად განსხვავებულ შემადგენელ ნაწილად - **ძებნის სისწრაფედ** და **ძებნის მანერად** იყოფა. თითოეულს თანაბრად ათ-ათი მაქსიმალური ქულა ეთმობა და შესაბამისად მეოთხე და მეხუთე გრაფები უკავია შეფასებათა ცხრილში.

ძებნის სისწრაფე ინდივიდუალური და თანდაყოლილი მახასიათებელია. იგი პირველ რიგში განისაზღვრება მეძებრის ძირითადი ალურის სიჩქარით. ამასთან, ყურადღება ექცევა ფუჭი დაყოვნებებით დაკარგული დროის რაოდენობას. ვხვდებით ყველანაირი ალურით - კარიერით ანუ მწევარივით თავაწყვეტილი სირბილით, ნავარდით ანუ დაოთხილი სვლით და ჩორთით მომუშავე მეძებრებს. აქედან გამომდინარე, ფართოა მათი **ძებნის სისწრაფის** დიაპაზონიც. კონკრეტული ეგზემპლარის ძებნის სისწრაფეს განაპირობებს მისი ნერვული სისტემის თავისებურება ანუ ტემპერამენტი, ფიზიკური სიძლიერე და ყნოსვის შესაძლებლობები. აქედან გამომდინარე, კანონზომიერია, რომ ფიცხი, აღგზნებადი ტემპერამენტის, ხმელი აღნაგობის ძაღლებს სწრაფი სვლა ახასიათებს, გაწონასწორებული ტიპისას - საშუალო სიჩქარისა, ხოლო ფლეგმატური ნატურა ნელ ტემპში ან საერთოდ ჩორთით ეძებს. ამ თანდაყოლილი თვისების სრულად გამოვლენას სათანადო ფიზიკური მომზადება უზრუნველყოფს. უვარჯიშებელი მეძებარი მალე იღლება და მისი ძებნის სისწრაფის ობიექტურად შეფასება ძნელდება. საინტერესოა ამ ელემენტის ყნოსვის სიძლიერესთან მიმართებაში განხილვა. ჯერ კიდევ ძველმა მონადირეებმა სავსებით სამართლიანად შენიშნეს, კარგ მეძებარს სვლა ყნოსვის, ხოლო ყნოსვა სვლის შესაბამისი უნდა ჰქონდესო. საქმე იმაშია, რომ სწრაფი ძებნის პირობებში ცხვირით ნიავის გაკონტროლება ძნელია და უფრო ძლიერ ყნოსვას საჭიროებს, ვიდრე ნელი სვლისას. იდეალურია, ორივე თვისება მეძებარს ჰარმონიულად ჰქონდეს განვითარებული. ბალანსის დარღვევის შემთხვევაში კი სწრაფი და სუსტყნოსვიანი ძაღლი ფრინველს ხშირხშირად გამოტოვებს ან წამოაფრთხობს ხოლმე, ხოლო ნელი და ძლიერყნოსვიანი ზედმეტ დროს დახარჯავს სავარგულის „ასათვისებლად“.

ფასობს სწრაფი და ენერგიული ძებნა, რომლის ტემპიც გამოცდის განმავლობაში თანაბარი რჩება. მაქსიმალური ქულით ფასდება ზღვრული სისწრაფის კარიერით სვლა, ყოველგვარი დაყოვნებების გარეშე, რაც მეძებარს საშუალებას აძლევს მაქსიმალურად მოკლე დროში გამოიკვლიოს სავარგული. კვალზე ხანგრძლივად ქექვაში, ხშირ შემოწმებასა და ფუჭ ლტოლვა-მიახლოებაში დროის დაკარგვა საერთო შთაბეჭდილებას აუარესებს და ქულების დაკლების მიზეზი ხდება. რაც უფრო ნაკლებია ძებნის სისწრაფე, მით ნაკლები ქულით ფასდება - აქედან გამომდინარე, დაბალ ქულებს იმსახურებს ძლიერ ნელი სვლა ან განუწყვეტელი ჩორთით ძებნა. ამ ელემენტის შეფასება გამოცდის დაწყებიდან ნახევარი საათის გასვლამდე არაა რეკომენდებული, რადგან ზოგიერთი მეძებარი თანდათან ხურდება და უმატებს სისწრაფეს, ზოგიც სწრაფად იწყებს, მაგრამ მერე და მერე ტემპს აგდებს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ საფლობ ჭაობში, მაღალ და ხშირი მცენარეულობით ან ბუჩქნარით დაფარულ მინდორში ძაღლი ვერ აჩვენებს ისეთ სწრაფ სვლას, როგორსაც დაბალბალახიან მდელოზე. იმ ადგილებში, სადაც ფრინველი ბევრია, გამოცდილი მეძებარი ფრთხილობს და შეგნებულად ანელებს ძებნის ტემპს. თუკი მთელ დროს ფუჭ ლტოლვებს ანდომებს ან მხოლოდ ნაბიჯით ეძებს, ასეთ შემთხვევაში ძაღლი გამოცდიდან იხსნება.

ძებნის მანერა სავარგულის გამოკვლევის მეთოდს გულისხმობს. მისი მიზანი რაციონალურად, ამომწურავად დაძებნაა. ოდითგანვე ცნობილია ორი ძირითადი მანერა: წრიული და მაქოსებური. გაშლილ მინდორში, ნიავის პირობებში მუშაობისას, ძაღლის ყნოსვის აპარატის ანატომიური თავისებურებიდან გამომდინარე, მაქოსებური მეთოდის უპირატესობა აშკარაა.

მგეშავი ძაღლი **ძებნის მანერას** სპეციალური ვარჯიშის შედეგად გამოუმუშავებს. თუმცა პარალელებით ძებნისადმი თანდაყოლილი მიდრეკილებაც ბევრ ძაღლს ახასიათებს, მაგრამ ყურადღების მიუქცევლობის ან ხელშემწყობი ზომების უგულებელყოფის გამო ბუნებრივი მონაცემების განვითარება შეიძლება ჩანასახშივე შეფერხდეს.

მაქოსებური ძებნა განუყოფლადაა დაკავშირებული ნიავთან და ძაღლის მიერ ჰაერის ნაკადის გამოყენების უნართან. შტილში შესანიშნავად დაყენებული ძებნის მქონე მეძებარიც კი ამახინჯებს პარალელებს. მეორე მხრივ, ძაღლს, რომელიც კარგად სარგებლობს ნიავით, გამოცდილება კარნახობს, სპეციალური მომზადების გარეშეც ეძებოს მაქოსებური მეთოდით.

კორექტული მაქოსებური ძებნის მანერის არსი შემდეგში მდგომარეობს:

წამყვანის ზუსტად ნიავის საწინააღმდეგოდ მოძრაობისას ძაღლი ეძებს ჰაერის ნაკადის მართი კუთხით გადამკვეთ სწორ პარალელებზე. გავიხსენოთ ის ფაქტი, რომ ძაღლი თავისი ცხვირის აგებულების თავისებურების - ნესტოების გვერდითი ჭრილის გამო სუნს გაცილებით უკეთ შეიგრძნობს, თუ ნიავი გვერდიდან სცემს. ფასობს ფართო ძებნა. წესებით გათვალისწინებულია ძებნის სტანდარტული დიაპაზონი - მეძებარი წამყვანს მარჯვნივ და მარცხნივ, ორივე ფლანგზე უნდა სცილდებოდეს თანაბარი მანძილით, 40-80 მეტრის ფარგლებში, ამავე დროს წინ 10-15 მეტრზე შორს არ გადიოდეს. ძებნის არე შეიძლება უფრო ფართეც იყოს, მაგრამ მხოლოდ წამყვანთან კარგი კონტაქტის პირობით. მომდევნო პარალელზე გადასვლისას ძაღლმა ქარისკენ უნდა მიუხვიოს, რათა ჰაერის ნაკადს ზურგი არ შეაქციოს. პარალელები ერთმანეთისგან ისეთი მანძილით უნდა იყოს დაშორებული, რომელიც გამორიცხავს ფრინველის გამოტოვების შესაძლებლობას. ეს კი კონკრეტული გამოსაცდელი ეგზემპლარის ყნოსვის შესაძლებლობებზეა დამოკიდებული. წამყვანის მითითებისამებრ ძაღლმა უნდა შეამციროს ძებნის არე და შეცვალოს სვლის კურსი, რაც გადაადგილებულ ფრინველთან მოხერხებულად მიახლოების საშუალებას იძლევა. ფრინველით მდიდარ მინდორში კარგი მეძებარი დამოუკიდებლად ავიწროებს ძებნას. ამ თვისების არქონა ნაკლად ითვლება.

მეძებარმა არ უნდა გამოტოვოს დაუძებნელი ადგილები, რამდენჯერმე არ შეამოწმოს ერთი და იგივე ალაგი, არ გაუაროს წამყვანს უკნიდან, არ ეძებოს წამყვანისგან მხოლოდ ცალ მხარეს, მარჯვნივ ან მარცხნივ. ზემოაღნიშნული მოთხოვნებიდან გადახრები ნაკლად ითვლება და გამოხატულების ხარისხის მიხედვით შესაბამისი დოზით ჯარიმდება. დაბალი ქულებით ფასდება უსისტემო ან ძლიერ ვიწრო ძებნა.

შეფასებათა ცხრილის მომდევნო სამი (6, 7, 8) გრაფით უშუალოდ ფრინველის დამუშავების ელემენტები ფასდება. ესენია **ლტოლვა-მიახლოება, ნაბული** და **მიტანება.** სამივე მათგანი მეძებრის მიერ ყნოსვითი რეაქციის თანამიმდევრული გამოვლინებაა, მაგრამ ამაზე შემდგომ.

ძველი ალბომიდან

დათო ცხვედიანი

ამ ცოტა ხნის წინ, მშობლებთან ძველი ფოტოსურათების ალბომს ვათვალიერებდი და უამრავ სურათს შორის, ამ საინტერესო ფოტოს წავაწყდი. სურათი გასული საუკუნის 60-იანი წლების შუახანებშია გადაღებული. რა თქმა უნდა, იგი თავის დროზე ნანახი მქონდა, მაგრამ მისი ცალი თუ ჩვენს ოჯახშიც ინახებოდა, ნამდვილად არ მახსოვდა. სურათმა სევდაშეპარული მოგონებები გამიღვიძა და სურვილი გამიჩნდა, გავიხსენო ზოგიერთი რამ.

ფოტოზე მარცხნივ გალაქტიონ ჯოხაძეა. სამწუხაროდ ის სამი წლის წინ გარდაიცვალა. ამბროლაურის რაიონის სოფელ ბოსტანაში ცხოვრობდა და დედის მხრიდან ბაბუად მეკუთვნოდა - ბებიაჩემის ძმა გახლდათ. კოლორიტული პიროვნება იყო. საყოველთაო პატივისცემითა და სიყვარულით სარგებლობდა მთელ სანათესაოში და, საერთოდ რაიონში. კარგი ოჯახის უფროსი იყო, საუკეთესო მამა და ბაბუა, თავკაცი ყველგან - ჭირში თუ ლხინში, სალოცავში თუ სოფლის საერთო საქმეში. სანიმუშოდ მოვლილი მეურნეობა, ბაღ-ვენახი და ამასთან, სამსახური სატყეო მეურნეობაში მისგან დიდ ჯაფასა და უზარმაზარ ენერგიას მოითხოვდა, მაგრამ მაინც ყოველთვის რჩებოდა დრო ნადირობისათვის. მონადირე კი მართლაც უბადლო იყო. ამიტომ ვაღმერთებდით მას ახალგაზრდები და მასთან ერთად ყოველი სანადიროდ წასვლა დღესასწაულად მიგვაჩნდა. ნადირობა იყო მისთვის ერთადერთი გასართობი და მასში მხოლოდ სილამაზეს ეძებდა. 30-ზე მეტი დათვი ჰყავდა მონადირებული, მაგრამ ყველაზე მეტად მაინც მდევრებით კურდღელზე ნადირობა უყვარდა და ყოველთვის საუკეთესო მდევრები ჰყავდა. ბუნებით მომადლებული ალღო ჰქონდა და მდევრებით ნადირობის და მათი დაგეშვის ისეთ ნიუანსებში ერკვეოდა, რაზეც მდევრებით ნადირობის მცოდნე კორიფეების წიგნებში ამომიკითხავს მხოლოდ. მახსენდება სტუდენტობისდროინდელი ერთი ნადირობა. ზამთრის საგამოცდო სესიის შემდეგ მეგობართან ერთად ჩემს სოფელში წავედი დასასვენებლად. პირველივე ღამეს ერთბაშად დიდი თოვლი მოვიდა, მეტრამდე. დილით თოვა შეწყდა, მოიწმინდა და მომდევნო დღეებში ისეთი ძლიერი ყინვები დაიჭირა, რომ ნადირობაზე ფიქრიც კი ზედმეტი იყო. ამიტომ დედულეთში ჩასვლა და გალაქტიონის მონახულება გადავდე, გამოდარებას ვუცდიდი, რადგან სანადიროდაც მინდოდა წასვლა. ზამთარი კი ჭირვეულობდა. ბოლოს, ლოდინით გაბეზრებულმა, ამინდს ყურადღება აღარ მივაქციე და გალაქტიონს ვესტუმრეთ. გაიხარა, ხორგოს თლა შეწყვიტა, შინ შეგვიპატიჟა, ბუხართან დავსხედით... ძილის წინ, რა დროს ნადირობაა ერთი, ზამთრისხელა ღამეა, კურდღელი ბევრს დადის, თანაც ამ ყინვაში ძაღლმა რა უნდა მოახერხოსო, ჩაილაპარაკა, მაგრამ უარიც როგორი სათქმელიაო, ღიმილით დაამატა. მეორე დღეს კი ნადირობის კარგი გაკვეთილი ჩაგვიტარა, რომელიც არასოდეს დამავიწყდება. თავიდან გალაქტიონმა თვითონ შემოჭრა საწოლი კვალი და როცა კურდღელი წამოხტა, ძაღლი მერე გაუშვა. ყეფა გაგრძელდა 15-20 წთ და შეწყდა. მდევარს მართლაც უჭირდა, მაგრამ მას გვერდში ისეთი მონადირე ჰყავდა, რომ კურდღლის ყოველი ეშმაკობა ამაო გამოდგა. ოთხჯერ თუ ხუთჯერ აპოვნინა ძაღლს დაკარგული კურდღელი და თან ყველანაირად ცდილობდა, ჩვენ მოგვწეოდა სასროლად. ვერ მოვახერხეთ. ბოლოს ისევ თავად დაასრულა იმდღევანდელი ნადირობა. დაქანცულები, გათიშულები, მაგრამ უაღრესად ბედნიერები დავბრუნდით შინ. თოვლიანი კვალი რომ მსგავსი ოსტატობით „წაეკითხოს“ ვინმეს, ასეთი შემთხვევა მე აღარ მქონია...

ნადირობდა სიცოცხლის ბოლომდე. ავადმყოფობის გამო, უკანასკნელი ორი წელი ცოტა გაუჭირდა, მაგრამ ნადირობისადმი ინტერესი არასოდეს განელებია. სასიამოვნო მოსაუბრეც იყო და კიდევ უფრო კარგი მსმენელი. თავისებური, ირონიაგარეული ღიმილით ისმენდა ხოლმე ჩვენს სანადირო თავგადასავლებს და დაუფარავი სიამაყით გამოხატავდა სიხარულს ჩვენი წარმატებისას...

ფოტოზე მარჯვნივ გალაქტიონის თანასოფლელი უხუცესი მონადირე შოთა ყიფიანია, - ამჟამად 83 წლისა, უაღრესად სუფთა და სათნო ადამიანი. გული მწყდება, რომ მასთან ერთად მხოლოდ ერთხელ ვარ სანადიროდ ნამყოფი. მახსოვს, მთიდან ვბრუნდებოდით. სოფლის თავში გავუშვით მდევრები. სულ მალე ახალგაზრდა რუსულმა ძუმ „თარეშამ“ კურდღელი წამოაგდო. დიდ წრეზე წასული არ დაკარგა, დაბრუნა საწოლ კვალზე... და არ დამავიწყდება 70 წელს მიტანებული, თვალში სიხარულის ცრემლჩამდგარი და პატარა ბავშვივით აცეკვებული ბატონი შოთა. ნადირობის შემდეგ სულ მალე, ძაღლით მოხიბლულმა, ჩემი ბიძაშვილისაგან საჩუქრად ამ მდევრის ლეკვი მიიღო.

ყურადღებამისაქცევია ფოტოზე აღბეჭდილი მდევრებიც. ისინი პატრონებს უჭირავთ საბმურით. ერთერთი არლეკინი, ბუნდოვნად მაგონდება და, ცხადია, მისი ნადირობა მე არ მინახავს. რაც შეეხება მეორეს - რუსულ მდევარს „ბარდღას“ - ის კი კარგად მახსოვს. ფიზიკურად მშვენივრად განვითარებული, ჩადგმული, საშუალო სიმაღლის, შავზურგა მუქი წაბლისფერი, უჭკვიანესი ძაღლი იყო. კურდღლის „სპეციალისტი“. დღესაც თვალწინ მიდგას 30 წლის წინანდელი აგვისტოს მიწურულის ერთი დღე... უკვე შუა დღეა, პაპანაქება. სრული სიჩუმეა ირგვლივ. ამ მოსაწყენ ერთფეროვნებას მხოლოდ ჭრიჭინების გულისგამაწვრილებელი ჭრიჭინი და მდევრის მძლავრი ბარიტონი არღვევს. ხმა ხან იკარგება, შორს მიდის, ხან კი ძლიერდება - მოახლოვდება, მაგრამ დილიდან არ წყდება. დევნა საღამამდე გაგრძელდა და შეწყდა. შეწყდა ჩემს შორიახლოს. გადავედი და დაწოლილს წავადექი თავზე. მდევარს ფეხზე დგომაც აღარ შეეძლო, ის მაშინ ხომ 13 წლის იყო...

www.24hours.ge
24
B

ნომრის პერსონა

ტონი ბლერს სწამს ტონი ბლერი

მელორ სტურუა
საკ. კორ. აშშ

ერაყში ომის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე ინგლისის პრემიერ-მინისტრმა ტონი ბლერმა მორიგი „დეტოქსიკაცია“ ჩაატარა, ანუ არსებულ პოლიტიკურ ვნებათაღელვას განერიდა - ახლო მეგობრებითა და მცველებით გარემოცული პირენეებში გაემგზავრა, თანაშემწეების გარეშე, მაგრამ მობილურთან ერთად. „დეტოქსიკაციის“ უკანასკნელი ღამე ბლერმა მთის ოტელში გაატარა. დილით საუზმეზე იგი გაღიზიანებული ჩანდა, ყავასაც კი არ მიკარებია. ერთ-ერთი მეგობარი შეშფოთდა: ყველაფერი რიგზეა? ბლერმა მოიბოდიშა და თქვა: „მთელი ღამე არ მიძინია და უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებები მივიღე“. ბრიტანეთის პრემიერის ერთ-ერთი მეგობრის აზრით, სწორედ ამ უძილო ღამეს, პირენეის მთებში მიიღო ბლერმა გადაწყვეტილება - არცთუ სახარბიელო იზოლაციაში დარჩენილი ვაშინგტონის მხარეზე, ერაყის წინააღმდეგ ომში მონაწილეობა მიეღო.

ძნელი სათქმელია, ბლერის მეგობრის ვარაუდი რამდენად შეეფერება ჭეშმარიტებას. ასეთი ვარაუდებისაგან შედგება ისტორიის ლეგენდარული ინტერპრეტაცია, რომელიც დროთა განმავლობაში კანონიკურად იქცევა ხოლმე. ბოლოს და ბოლოს, არც ისე მნიშვნელოვანია, სად მიიღო ბლერმა თავისი საბედისწერო გადაწყვეტილება - პირენეის ალპებში თუ ლონდონში, დაუნინგ-სტრიტის №10-ში; ღამის უძილობისას თუ დილით, ფხიზელ გონებაზე, ისტორიისათვის - და მომავლისთვისაც - მნიშვნელოვანია მხოლოდ ის, რომ მან იგი მიიღო. დანარჩენი კი - მელოდრამატული გარნირია თანამედროვე ვალტერ სკოტებისა და ალექსანდრ დიუმებისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ ბრიტანეთის პრემიერის ახლო მეგობარი არ გახლავართ, შემიძლია დავადასტურო ის ფაქტი, რომ პირენეული „დეტოქსიკაციიდან“ ოდნავ მოგვიანებით ადგილი ჰქონდა ბლერის „ინტოქსიკაციას“ კემპდევიდში, სადაც მან პრეზიდენტ ჯორჯ ბუშს სრული სოლიდარობა გამოუცხადა და მისი უდიდებულესობა დედოფალ ელისაბედ II-ის შეიარაღებული ძალები პენტაგონის განკარგულებაში გადასცა. მეტიც, სადამის ტირანიის გაკიცხვისას და იმ კითხვაზე საუბრისას, რომელსაც ის პლანეტას უქმნის, ბლერი გაცილებით მჭერმეტყველი იყო (იგი ხომ დიდი გამოცდილების მქონე ბრიტანელი ადვოკატი და პარლამენტარია), ვიდრე პრიმიტიულად სწორხაზოვანი ბუში, კეთილისა და ბოროტის დაპირისპირებით.

ბიბლიური „სიკეთე და ბოროტება“ ბლერთან პრაგმატულ „სწორია და არასწორია“-დ ტრანსფორმირდება. ამიტომაც, მისი დევიზია - „უნდა აკეთო ის, რაც სწორია“, რა თქმა უნდა, თვით ბლერის აზრით. თუ ბუში მებრძოლი ქრისტიანია, თითქმის - ჯვაროსანი, მაშინ ბლერი - სათნო ქრისტიანია, რომელიც ოპერირებს არა იმდენად რწმენით, რამდენადაც მორალით. ცოტაოდენი ხნის წინ, ბრიტანული ტელევიზიის ცნობილმა წარმომადგენელმა სერ დევიდ ფროსტმა, ბლერისგან ინტერვიუს აღებისას, ჰკითხა მას: „თუ ლოცულობდით თქვენ პრეზიდენტ ბუშთან ერთად?“ ბლერი შეცბუნდა. „ვლოცულობდით?“ - გაიმეორა მან ფროსტის შეკითხვა. „დიახ, დიახ“, - დაუდასტურა სერ დევიდმა. „რას გულისხმობთ?“ - კითხვაზე ისევ კითხვით უპასუხა ბლერმა. „ლოცულობდით თუ არა თქვენ პრეზიდენტ ბუშთან ერთად მშვიდობისათვის?“ „არა, ჩვენ ერთად არ ვლოცულობდით. მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, რომ მას თავისებურად სჯერა მშვიდობის და მეც ჩემებურად იმედი მაქვს“.

დამახასიათებელი დიალოგია, სადაც ბლერმა „შეუმჩნევლად“ შეცვალა რწმენა იმედით. საქმე ისაა, რომ ბუშისათვის - „ახლად დაბადებული“ ქრისტიან-ევანგელისტისათვის, რომელიც ალკოჰოლიზმისაგან განკურნებისათვის „პირადად უფლის“ მადლიერია - ლოცვა ჩვეული საქმიანობაა. იგი თავის კაბინეტის სხდომას ლოცვით იწყებს, თეთრ სახლში კი ბიბლიის შემსწავლელი კლასები არსებობს. ბუშიც ყოველ ღამე კითხულობს ბიბლიას. ძნელი წარმოსადგენია ბლერის ლეიბორისტული კაბინეტის სხდომა, რომელიც ლოცვით იწყება (კაცმა რომ თქვას, კონსერვატორების კაბინეტისაც), ან ბიბლიის „შემსწავლელი კურსები დაუნინგ-სტრიტზე“. „ფეინენშალ ტაიმსში“ ჯეიმს ბლიტცი წერს: „ბლერი მორწმუნე ქრისტიანია, და ეს რწმენა **ეხმარება მის პოლიტიკას**“ (ხაზი ჩემია - მ.ს.). მას, როგორც ბევრი ამბობს, მოქნილი პოლიტიკური იდეოლოგია გააჩნია, რომელსაც ზოგიერთები ოპორტუნიზმად და უპრინციპობად მიიჩნევენ, დაბოლოს, ტონი ბლერს სწამს ტონი ბლერის.” უფრო მარტივად რომ ვთქვათ, - ღმერთის გწამდეს, მაგრამ ხელიც გაანძრიე. არ ვიცი, ღმერთი სწამს თუ არა ტონი ბლერს, მაგრამ არ უნდა დავუკარგოთ, ღვთის სახელს ფარად არ იმარჯვებს და ბუშივით წამდაუწუმ არ ახსენებს.

ბუში მებრძოლი ამერიკელია, ბლერი - ლიბერალი ანგლიკანელი; ბუში მტრებს ეძებს, ბლერი - მეგობრებს. „იგი არასოდეს ხმას არ უწევს, არ ყვირის. შეიძლება დაუჯერებლად მოგეჩვენოთ, მაგრამ ნამდვილად ასეა - ის არასოდეს ყვირის“, - ამბობს ბრიტანელი პრემიერის ერთ-ერთი თანაშემწე. ანგლიკანიზმმა ბლერის ბიოგრაფიაში გარკვეული როლი შეასრულა. 5 წელი (8-დან 13-მდე) იგი საეკლესიო სკოლაში სწავლობდა, ოქსფორდში კი „პიროვნება, რომელმაც ჩემზე დიდი გავლენა იქონია“ (ბლერის სიტყვებია), იყო ინგლისელი მღვდელი პიტერ ტომსონი, თუმც - განსაკუთრებული მღვდელი. თვით ტომსონი თავის თავს „რენეგატ მღვდელს“ უწოდებდა. ჩვენებურად - გაკრეჭილი მღვდელი. „ტონი, ძირითადად, მორალური ღირებულებებით ხელმძღვანელობს, როდესაც საქმე ძალაუფლების, სიმდიდრისა და შესაძლებლობების განაწილებას ეხება. მაგრამ იგი მიიჩნევს, რომ ამ ღირებულებების შესახებ საჯაროდ მუშტის ბრახუნი საჭირო არ არის. მიიჩნევს, რომ აუცილებელია განხილვა ისეთი პრაქტიკული საკითხებისა, როგორიცაა, მაგალითად, საუკეთესო საავადმყოფოების და სკოლების გახსნა“, - ამბობს ბლერის ერთ-ერთი მრჩეველი. მოკლედ, ბლერი თავიდან ფეხებამდე პრაგმატიკოსია.

იდეალში ტონი ბლერი გოგოლისეული მშვენიერი ქალბატონია, ყოველმხრივ შემკული. ოღონდ, იდეალში. მიუღწეველში.

ოდესღაც მიქოიანზე ანეკდოტი დადიოდა, რომ მას შეეძლო კოკისპირულ წვიმაში ისე გაევლო, არ დასველებულიყო. ტონი ბლერი, მთელი თავისი მოქნილობის მიუხედავად, არაერთხელ გამოიყურებოდა, როგორც წყალში ჩავარდნილი. ყოველმხრივ შემკული ქალბატონადაც ყოველთვის ვერ გამოიყურება.

მით უმეტეს მას შემდეგ, რაც ჯვაროსანი რაინდის - ბუშის „მშვენიერი ქალბატონი“ გახდა. 27 მარტს, კემპ-დევიდში, ერთობლივ კონფერენციაზე რაინდ-ტრუბადურმა ბუშმა თქვა: „ბოლო რამდენიმე კვირის განმავლობაში ამერიკამ ბევრი რამ შეიტყო ტონი ბლერის შესახებ. ჩვენ შევიტყვეთ, რომ ის სიტყვის კაცია, რომ მამაცი ადამიანია, რომ განჭვრეტის უნარი აქვს. და ჩვენ ვამაყობთ, რომ ასეთი მეგობარი გვყავს“.

მაგრამ შესაძლებელია კი ძია სემის „მშვენიერი ქალბატონი“, იმავდროულად სიმპათიური ევროპელი ქალბატონიც იყოს? „შეუძლებელია“, - მიიჩნევს ინგლისის ლეიბორისტული პარტიის მემარცხენე ფრთა. „შეუძლებელია“, - ამბობს ინგლისელთა 75 პროცენტი. „შეუძლებელია“, - ამტკიცებენ ევროპულ საბჭოში. რას ფიქრობს ამის შესახებ რუსეთი, ძნელი სათქმელია. პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი კიდევ უფრო მოქნილი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწეა, ვიდრე თვით ბლერი. ის უბრალოდ პოკერს კი არ თამაშობს - ბანქოს მისეულ დასტაში ქაღალდებს მკაფიოდ გამოხატული ფერი არ გააჩნიათ, ისინი, როგორც ქამელეონი, ფერს იცვლიან. პუტინ-ბლერის ამასწინანდელმა შეხვედრამ რუსეთის მიწაზე ეს კიდევ ერთხელ დაადასტურა.



გარკვეული თვალსაზრისით, პუტინი და ბლერი მეტოქეები არიან - ამერიკული ზესახელმწიფოს №1 სტრატეგიული პარტნიორის ადგილის მოპოვებაში. 9 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ პუტინი აშკარად წინ გაიჭრა, და მხოლოდ იმიტომ არა, რომ რამდენიმე საათით ან წუთით დაასწრო ბლერს თეთრი სახლისათვის მისამძიმრება. ავღანურ გამბიტში ვაშინგტონს რუსეთი უფრო სჭირდებოდა, ვიდრე ინგლისი. რუსეთის ავღანური გამოცდილება ბრიტანულზე უფრო „ახალი“ იყო და, შესაბამისად, დაზვერვის მონაცემებიც. პუტინმა კი, გენშტაბის წინააღმდეგობის მიუხედავად, მისცა მათ კარტბლანში, თალიბებისა და ბინ ლადენისაკენ დამიზნებული, პენტაგონის სამხედრო პლაცდარმების შესაქმნელად. ასეთი რამ საკმაოდ ძვირი ღირს, პუტინიც ძვირფასი გახდა და ბუშთან განსაკუთრებული პირადი ურთიერთობა დაამყარა.

მაგრამ, აშშ და რუსეთის სახელმწიფოთა მეთაურების ეს განსაკუთრებული ურთიერთობა, მრავალი ობიექტური მიზეზის გამო, თვით სახელმწიფოთა შორის განსაკუთრებულ ურთიერთობაში ვერ გადაიზარდა. ვაშინგტონის მეორე - ერაყულმა გამბიტმა ეს მოვლენა მკაფიოდ წარმოაჩინა. აქ უკვე კოზირები ბლერის ხელში აღმოჩნდა. მთავარი მათ შორის - საერთო ისტორია და ენა, აგრეთვე, ატლანტიკური სოლიდარობაა, რომელიც რუზველტისა და ჩერჩილის მიერ ნატო-ს შექმნამდე დიდი ხნით ადრე გაჩნდა. მოსკოვს ამ ყველაფრისთვის შეეძლო დაეპირისპირებინა მხოლოდ „ცივი ომის“ მრავალი ათწლეული, რაც, რა თქმა უნდა, აგრეთვე „განსაკუთრებული ურთიერთობაა“, ოღონდ, სამწუხაროდ, ნეგატიური მნიშვნელობით. მოკლედ, ბლერს შეეძლო და არც შეეძლო.

პუტინი ბრძნულად მოიქცა, ბლერი - გაბედულად. ბლერი ბუშის მუჭში მომწყვდეული სულაც არ იყო. მას თავისუფლად შეეძლო, ვაშინგტონისადმი დიპლომატიური მხარდაჭერით შემოფარგლულიყო ან ერაყში სანიტარული ნაწილები გაეგზავნა, ამერიკისათვის თავისი სამხედრო აეროდრომები შეეთავაზებინა, ერთი სიტყვით, სიმბოლური ჟესტები გაეკეთებინა. მაგრამ ბლერი წავიდა ბოლომდე, მიუხედავად იმისა, რომ ამით თავისი პარტიაც აიმხედრა და ქვეყანაც, თავის წინააღმდეგ განაწყო მთელი კონტინენტური ევროპა, სასწორზე შეაგდო თავისი პოსტი და პოლიტიკური მომავალი. ფსონი დიდი იყო, რისკი - უზარმაზარი. მაგრამ ეს იყო რისკი, და არა უაზრობა. ბლერი პოტომაკის მღვრიე წყალში თვალდახუჭული სულაც არ გადამხტარა. ის მაშველი კამერით იყო აღჭურვილი. მას სადამ ჰუსეინზე სწრაფი და მცირემსხვერპლიანი გამარჯვების იმედი ჰქონდა. მას შეეძლო იმედი ჰქონოდა - სპარსეთის ყურის მეორე ომში ინგლისის მონაწილეობისათვის, თუნდაც მხოლოდ თანხმობისათვის, პრეზიდენტი ბუში გაერო-ს უშიშროების საბჭოს მისამართით რამდენიმე ფორმალურ ჟესტს გააკეთებს და ახლო აღმოსავლეთის დარეგულირებისათვის (ე.წ. „როუდ-მეპი“ ანუ “საგზაო რუკა”) თავისი გავლენის გააქტიურებას დაჰპირდება. რაც მთავარია, ბლერს ესმოდა, რომ სადამის დიქტატურის კრახით, რაშიც მისი ხელიც ურევია, ინგლისი ისევ ვაშინგტონის №1 სტრატეგიული პარტნიორი ხდებოდა. ხდებოდა ინჟინერი, რომელიც ხიდს გასდებდა „ჰებერ ევროპასა“ (როგორც პენტაგონის შეფი დონალდ რამსფელდი აგდებულად უწოდებს) და თანამედროვე რომს - შეერთებულ შტატებს შორის.

დიდმა ბრიტანეთმა, დაკარგა რა იმპერია, გამოიტირა და იგლოვა, იმპერიული ტოგა დაუყოვნებლივ ბერძნულით შეცვალა. ყოვლისშემძლე, მაგრამ დაუოკებელი და უხეში რომაელების - ამერიკელების ფონზე ინგლისელებმა ბრძენი და დახვეწილი ბერძნების როლის თამაში დაიწყეს. ლონდონი ვაშინგტონის მთავარი ვეზირი გახდა. მოსასხამის ცვლა ჩერჩილისგან დაიწყო, თუმცა ბერძნული ტოგა მის ფიგურას ჯერ კიდევ კარგად ვერ მოერგო. „ბერძნულ-რომაულმა ვარიანტმა“ შემდგომი განვითარება ჰპოვა კავშირებით მაკმილანკენედი და თეტჩერ-რეიგანი. მაგრამ, აი ინგლისის ლეიბორისტი პრემიერი კი, რომელიც ინერციით ჯერ კიდევ მარქსისტულ კოკნიზე მეტყველებს, ანტიკური ხანის ბერძნად ვერაფრით ვერ საღდება. მაგრამ ტონი ბლერმა ეს შეძლო. და ამჟამად ატლანტიკის ორივე სანაპიროზე აღიარებენ, რომ ჩერჩილის შემდეგ ბლერი ახალი დროის ყველაზე ძლევამოსილი ბრიტანელი პრემიერია.

ზოგიერთები ბლერს იმაში ადანაშაულებენ, რომ მან პრინციპები ძალაუფლებაზე გაცვალა. მაგრამ ეს ბრალდება სამართლიანი იქნებოდა, ბლერს რომ პრინციპები გააჩნდეს, ამ შემთხვევაში - ლეიბორისტული. ბლიტცი წერს, რომ ლეიბორისტულმა პარტიამ კი არ აირჩია ბლერი, არამედ ბლერმა - ლეიბორისტული პარტია. თავს უფლებას მივცემ, ცოტა უფრო შორს წავიდე. ბლერი - ეს კონსერვატორი მგელია ლეიბორისტი ცხვრის ტყავში. მისი მამა თემთა პალატაში კონსერვატორთა სიით ცდილობდა გასვლას. მისი მეგობრები და მრჩეველები - ენჯი ჰანტერი და ჯონათან ანუელი (პრემიერის ადმინისტრაციის უფროსი) უკვე მოწიფული პოლიტიკოსები იყვნენ, როდესაც ლეიბორისტულ რწმენაზე მოექცნენ. მაგრამ მათ და, განსაკუთრებით - ბლერს, ლეიბორისტული რწმენა მხოლოდ „ეხმარება“ (გახსოვთ?) კონსერვატორული პოლიტიკის გატარებაში.

ბლერის დადანაშაულება იმაში, რომ მან ლეიბორიზმის პრინციპებს ულალატა, ისეთივე უაზრობაა, როგორც - კომუნიზმის პრინციპების ღალატში პუტინის დადანაშაულება. ბლერის შემთხვევაში ეს კიდევ უფრო უაზრობაა, ის ხომ წარსულში ლეიბორისტი არ ყოფილა. გახდა თუ არა პრემიერი (1994 წელს), ბლერმა ღიად შეუტია მას, რაც კლასიკური ლეიბორიზმის იდეოლოგიისაგან იყო დარჩენილი. ბლერი მარქსიზმის წინააღმდეგ ჯერ კიდევ 70-80-იან წლებში გამოდიოდა; დაუნინგ-სტრიტ 10-ში მისვლისთანავე კი ფეხებიდან მისი ფერფლი საბოლოოდ ჩამოიბერტყა. გაზეთ „სანდი ტელეგრაფში“ (რომელიც, სხვათა შორის, ყოველთვის კბილებს ილესავდა ლეიბორიზმთან დაკავშირებით) 1996 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში მარქსიზმისადმი თავისი უარყოფითი დამოკიდებულება ბლერმა სრულიად დაუფარავად გამოხატა (არა ლენინურის, არამედ, ცხადია, სოციალ-დემოკრატიულის). „მარქსიზმი, - წერდა იგი, - თავისთავად დეტერმინისტულია. ეს არის პოლიტიკის მეცნიერებად გადაქცევის მცდელობა, თუმც პოლიტიკა სულ სხვა რამეა. პოლიტიკა - ეს არის ხალხი. ადამიანს კი რთული ბუნება აქვს, ვინაიდან არსებობს თავისუფალი ნება და ინდივიდუალური პასუხისმგებლობა. ჩვენ ყველას გვსურს, თვითონ ავირჩიოთ და თვითონ გადავწყვიტოთ“.

ტონი ბლერმა, რომელსაც სწამს ტონი ბლერი, საკუთარი თავის არჩევა გადაწყვიტა.

ეს მისი „თავისუფალი ნების და ინდივიდუალური პასუხისმგებლობის“ არჩევანი „თეორიულად“ ფორმდება, როგორც „მესამე გზა“ კაპიტალიზმსა და სოციალიზმს შორის. ამ გზის თვალსაჩინო მოღვაწედ ლონდონის ეკონომიკის სკოლის დირექტორი, სოციოლოგი ენტონი ჰიდენსი ითვლება, ხოლო მის ბიბლიად - ჰიდენსის წიგნი „მემარცხენეთა და მემარჯვენეთაგან მაღლა: რადიკალური პოლიტიკის მომავალი“. ვეჭვობ, რომ ბლერს ეს ბიბლია წაკითხული ჰქონდეს და, მით უმეტეს, მისი მიმდევარი იყოს. მისთვის „მესამეც“ და ყველა სხვა გზაც - ეს არის გზა ძალაუფლების მოპოვებისა და მისი შენარჩუნებისკენ. როგორც ბლერის ბიოგრაფი, ისტორიკოსი ენტონი სელდონი წერს, „მესამე გზა“ - ეს ძალაუფლების მიღწევის და მისი გამართლების რეცეპტია, და არა იდეების პაკეტი, რომელთა ცხოვრებაში განხორციელება აუცილებელია“. ხოლო კონსერვატორი ლორდი სკიდელსკი ბლერს „სინთეზატორს“ უწოდებს. ბლერი აწარმოებს „სინთეზს“ - დანაშაულობასთან მკაცრ ბრძოლასა (მემარჯვენეთა პოზიცია) და დანაშაულებათა მიზეზებთან ბრძოლას (მემარცხენეთა პოზიცია) შორის; საერთაშორისო ტერორიზმთან დაუნდობელ ბრძოლასა (მემარჯვენეთა პოზიცია) და მსოფლიოში არსებულ სიღატაკესთან ბრძოლას (მემარცხენეთა პოზიცია) შორის; ერაყში ომსა (მემარჯვენეთა პოზიცია) და შუა აღმოსავლეთში მშვიდობის დამყარებას (მემარცხენეთა პოზიცია) შორის.

მაგრამ არსებობს სფერო, სადაც „სინთეზატორობა“, უფრო სწორად, მანიპულირება და ჟონგლიორობა არცთუ ისე ადვილია. ბლერს სურს იყოს, ან გამოიყურებოდეს მაინც, ერთდროულად როგორც პროამერიკელი და როგორც კარგი ევროპელი. და სანამ ატლანტიკის სანაპიროებზე მსუბუქი ღელვაა, იგი ამას ახერხებს. მაგრამ, საკმარისია შტორმი დაიწყოს, იგი მაშინვე ამერიკულ მაშველ ნავში გადაჯდება ხოლმე. ბლერი ამბობს, რომ მისთვის ამერიკულ-ევროპული კეთილი ურთიერთობები - ეს „რწმენის სიმბოლოა“, მაგრამ მას ხომ მხოლოდ საკუთარი თავის რწმენა გააჩნია! ეს რწმენა კი მას სულ სხვა რამეს კარნახობს: ინგლისისა და მისი პრემიერ-მინისტრის გავლენა იზრდება სწორედ მაშინ, როდესაც ამერიკულ-ევროპული ურთიერთობები იძაბება. ეს თვალნათლივ შეგვეძლო დაგვენახა ერაყის ომის წინ, როდესაც ბლერი ცდილობდა, ვაშინგტონსა და ევროპულ დედაქალაქებს (მოსკოვის ჩათვლით) შორის შუამავლის როლი შეესრულებინა. ბლერი საერთაშორისო დიპლომატიის ავანსცენაზე ბრწყინავდა, ავლენდა რა დარწმუნებისა და „სინთეზირების“ შეუდარებელ თვისებებს, რომელთაც იგი თავისი პოლიტიკური მოღვაწეობისათვის უმნიშვნელოვანეს ღირსებებად მიიჩნევს. ის, ფაქტობრივად, ევროპისათვის ხელების გადაგრეხას ცდილობდა და, ამავე დროს, ბუშს დახმარების ხელს უწვდიდა. წაუგებელ თამაშს თამაშობდა. „დაარწმუნებდა“ რა ევროპას, ვაშინგტონის ერაყულ კამპანიას შეერთებოდა, ბლერი ორი კონტინენტის „დიდი გამაერთიანებელი“ გახდებოდა; თუ ვერ დაარწმუნებდა, ამ ორ კონტინენტს შორის არსებულ წინააღმდეგობებზე თამაშით ქულებს დააგროვებდა.

ბლერის „სინთეზატორობა“ საფრანგეთის პრეზიდენტ ჟაკ შირაკის შეუვალ ციხე-სიმაგრეზე დაიმსხვრა. როდესაც 10 მარტს, ღამით, შირაკის თითქმის გრომიკოსებური „არა“ ბლერის ყურამდე მივიდა, იგი, თვითმხილველთა სიტყვებით, სულაც არ შეშფოთებულა, მხოლოდ თქვა: შირაკმა „ისტორიული შეცდომა დაუშვა“. თვით ბლერს ასეთი ისტორიული შეცდომები არ მოსდის. მას შემდეგ, რაც ბლერის „სინთეზატორობა“ წარმატებით არ დაგვირგვინდა, მან გადაწყვიტა, პილატე პონტოელის მსგავსად ხელები დაებანა, თანაც ტიგროსისა და ევფრატის წყლებში. საინტერესო იქნება გავიხსენოთ, რას წერდა 7 წლის წინ იმავე „სანდი ტელეგრაფში“ ბლერი პილატეს შესახებ: „თავისუფლად შეიძლება, პილატე განვიხილოთ, როგორც არქიტიპური პოლიტიკოსი, რომელიც მრავალსაუკუნოვანი დილემის წინაშე აღმოჩნდა. ჩვენ ვიცით, რომ ის არასწორად მოიქცა, თუმცა მისი ბრძოლა საკუთარ თავთან იყო ორჭოფობა მათ შორის, რაც სწორია და რაც შეიძლება მსხვერპლად გაიღო. ასე ხომ არაერთხელ ყოფილა ისტორიაში. ამის კლასიკური მაგალითია 1938 წლის მიუნხენის შეთანხმება... და ყოველთვის არ არის ცხადი, რეტროსპექტულადაც კი, რა არის სწორი სინამდვილეში. უნდა ვიქცეოდეთ ისე, როგორც ამას პრინციპები გვკარნახობს, თუ როგორც ამას პოლიტიკური მიზანმიმართულება მოითხოვს? მორალური კრედოთი უნდა ვიხელმძღვანელოთ, თუ უტილიტარული მიდგომით?“

დღეს ჩვენ ვიცით, როგორი იყო ბლერის არჩევანი. აი, თვითონ კი მიიჩნევს, რომ არავითარი არჩევანი არ გაუკეთებია! ის მიიჩნევს, რომ თუმცა ერაყის შესახებ ევროპისა და აშშ-ს შეხედულებების სინთეზირება არ გამოუვიდა, სამაგიეროდ, თავისი გადაწყვეტილებით ომში მონაწილეობის შესახებ, მან „პოლიტიკური მიზანმიმართულებისა“ და „მორალური პრინციპების“ სინთეზირება წარმატებით განახორციელა. საკუთარი დევიზის თანახმად, იგი „სწორად“ მოიქცა, და ეს „სწორი“ პრაგმატიკოს ბლერის ქრისტიანულ კონტექსტში სრულიად ლოგიკურად მოთავსდა.

ბლერმა, მართალია, ამაში კონტინენტური ევროპა ვერ დაარწმუნა, მაგრამ ადვილად დაარწმუნა... საკუთარი თავი. ბრიტანელი პრემიერის გარემოცვის მტკიცებით, მისი თავდაჯერებულობა ამჟამად მნიშვნელოვნად გაიზარდა. ჯეიმს ბრიტცი წერს, რომ ბლერს „მემარცხენე ინტელექტუალები უკვე აღარ სჭირდება. მეტიც, „მას შემდეგ, რაც იგი ხელისუფლების სათავეშია, მას არ სჭირდება არანაირი იდეოლოგია, რომელიც მის რწმენას განსაზღვრავდა. იგი საკუთარ თავში დარწმუნებულია“. მისი ერთ-ერთი ახლო მეგობრის სიტყვებით, როდესაც საქმე დიდი გადაწყვეტილებების მიღებას ეხება, რომელთაც ბლერი „პირველი ხარისხის პრიორიტეტებს“ უწოდებს, იგი განმარტოდება ხოლმე (როგორც პირენეებში? - მ.ს.) და თვითონ იღებს გადაწყვეტილებას. „ბაღის ბოლოში ჩამომჯდარი, საქმეებზე ჩაფიქრებული ტონი - ჩვეულებრივი სანახაობაა“, - ამბობს ბლერის ეს ანონიმი მეგობარი. ასეთ შემთხვევებში, იგი მხოლოდ თავის „პოლიტიკურ და მორალურ ინსტინქტებს“ უგდებს ყურს.

როდესაც ნათელი გახდა, რომ სადამთან ომში გამარჯვება პრობლემას არ წარმოადგენს, ბლერი არა იმდენად სიხარულმა, რამდენადაც მოუსვენრობამ შეიპყრო. სანამ ომი მიმდინარეობდა, ბლერი საკუთარ თავს უფლებას აძლევდა, ევროპის, ინგლისის და თავისი პარტიის აზრი არ გაეთვალისწინებინა. მაგრამ, როგორც კი ზარბაზნები დადუმდნენ, მრავალპოლარულობის მუზები ისევ ალაპარაკდნენ. უკვე 8 აპრილს, ბელფასტში, ჰილსბოროს ციხე-სიმაგრეში ბუშთან შეხვედრისას, ბლერი ომში დაგროვილი პოლიტიკური კაპიტალის გამოყენებას შეუდგა. ჩრდილოეთ ირლანდიაში ბუში ჩამოფრინდა გადაწყვეტილებით, გაერო თამაშგარე მდგომარეობაში დაეტოვებინა და შუა აღმოსავლეთის დარეგულირების საკითხები თავის ნებაზე გადაეჭრა. უკან დაბრუნებისას კი იგი, ომისშემდგომ ერაყში „გაერო-ს მნიშვნელოვან როლზე“ და შუა აღმოსავლეთში „საგზაო რუკის“ განხორციელების აუცილებლობაზე საუბრობდა. ეს იყო ამერიკელ „რომაელებზე“ ინგლისელი „ბერძნების“ გავლენის შედეგი.

ერაყში ცეცხლის შეწყვეტის შემდეგ ბრიტანელი პრემიერი თვითონ აღმოჩნდა ორ ცეცხლშუა. პენტაგონის შეფმა რამსფელდმა, ვიცე-პრეზიდენტმა ჩეინიმ და მის ირგვლივ შემოკრებილმა კონსერვატორებმა პრეზიდენტ ბუშზე გავლენის მოპოვებისათვის ბლერთან ბრძოლა გააჩაღეს. მეორე მხრივ, ევროპელი ლიდერები კონტინენტზე მისი გავლენის წინააღმდეგ იბრძვიან. ეს ორ ფრონტზე ბრძოლა გაცილებით რთულია, ვიდრე ტიგროსის და ევფრატის ხეობაში გასეირნება. ევროპას მიაჩნია, რომ ბლერმა მას უღალატა. ბრიტანელი პრემიერი კონტინენტზე ფრიად არაპოპულარულია. ლიბერალ-დემოკრატის, ლორდ როლფ დერენდორფის სიტყვებით, ბევრი ევროპელი ლიდერი ეჭვობს, რომ ბლერი „ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, ჭკუიდან შეიშალა“.

რა თქმა უნდა, ეს მეტისმეტად გადაჭარბებულია. ბლერი სრულ ჭკუაზეა. ოღონდ, საკუთარ ჭკუაზე. მიუხედავად ვაშინგტონთან განსაკუთრებული კავშირებისა, ევროპულ კავშირში ინგლისის როლის გაზრდა ბლერის პოლიტიკის მთავარი პრიორიტეტია. ევროპული კავშირისაგან უარყოფა მისთვის კოშმარი იქნება. საფრანგეთის პრეზიდენტ შირაკთან და გერმანიის კანცლერ შრიოდერთან ბლერის ამასწინანდელი შეხვედრა ხიდების აღდგენის პირველი მცდელობა იყო. თუმცა, ამ ეტაპზე საფრანგეთის და გერმანიის ლიდერებს ბლერთან შერიგება, ძირითადად, ვაშინგტონთან შერიგების მიზნით სჭირდებათ, რასაც მათგან ამ ქვეყნების საქმიანი წრეები დაჟინებით მოითხოვენ. ხოლო რაც შეეხება ინგლისს, „ცალკე აღებულს“, მასთან ურთიერთობის ლაკმუსის ქაღალდად შეიძლება ევროპული თავდაცვითი კავშირის შესაქმნელად გადადგმული ნაბიჯები ჩაითვალოს. კავშირში გაერთიანდებიან საფრანგეთი, გერმანია, ბელგია და ლუქსემბურგი, ხოლო დიდი ბრიტანეთი - სამხედრო თვალსაზრისით ყველაზე ძლიერი ევროპული სახელმწიფო - მასში მიწვეული არ არის.

ტონი ბლერს სწამს ტონი ბლერის, რომელიც სწორად იქცევა. რით და როგორ იქნება ეს რწმენა გამაგრებული - იქნება განმსაზღვრელი, რამდენად სწორად მოქმედებს ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი. არა პირენეებში განდგომილის თვალსაზრისით, არამედ ინგლისის ეროვნული ინტერესების, ევროპაში და მთელ მსოფლიოში მშვიდობის თვალსაზრისით.

კრისტალური პრეზენტაცია

სანდრო ბერიძეშვილის ფოტო

მაკო სხირტლაძე (ფეხზე) პრეზენტაციამდე ერთობა

რესტორან "კრისტალში" ქართული მუსიკალური სცენის კიდევ ერთი პატარა შემსრულებელი დაიბადა. გუშინ მაკო სხირტლაძე ცხრა წლის გახდა, მშობლებმა მას დაბადების დღე და სიმღერის პრეზენტაცია ერთად აღუნიშნეს. პრეზენტაციას კი ახლობელთა ვიწრო წრის გარდა, როგორც ხვდებით, მასმედიის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ.

სიმღერა ჯანო კახიძის "პირველი მერცხალისთვის" დაწერილი მუსიკის ვოკალური ინტერპრეტაციაა, რომლის არანჟირებაც კომპოზიტორ ნიკა მემანიშვილს ეკუთვნის. სხვათა შორის, პრეზენტაციას კომპოზიტორი არ ესწრებოდა. სამაგიეროდ, იყო პატარა მომღერლის მუსიკის პედაგოგი რუსიკო ბახტაძე: "ეს არ არის მაკოს პირველი სიმღერა, მაგრამ დღეს ამ სიმღერით იგი სერიოზულ განაცხადს გააკეთებს. ნამუშევარი საინტერესო გამოვიდა, რამდენადაც მასში ყველაფერი ცოცხალია. სიმღერის ჩაწერაში მონაწილეობა მიიღო გივი გაჩეჩილაძის ჯაზ-ბენდმაც", - გვითხრა დაგვიანებული პრეზენტაციის დაწყებამდე მაკო სიხარულიძის პედაგოგმა. გუშინდელი კოკისპირული წვიმის გამო "კრისტალში" დაგეგმილი საღამო, დაახლოებით, საათნახევრის დაგვიანებით დაიწყო. მოგვიანებით კი პრეზენტაციის მუსიკალური ნაწილი უკვე საკმაოდ ცნობილმა პატარა მომღერალმა თიკა ჯამბურიამ გახსნა. ამის შემდეგ კი სტუმრებმა თავად გუშინდელი შეკრების მიზეზი, ახალი სიმღერა დააგემოვნეს.

"ქართული ფოლკლორი" არ ხუმრობს

მარინა ბაბუნაშვილი

ქართული ქორეოგრაფიული ჯგუფებით დღეს ვერავის გააკვირვებ. სახალხო ანსამბლის "ქართული ფოლკლორის" წევრები მომავალი ექიმები არიან, ცეკვა კი მათი დიდი გატაცებაა. ანსამბლის ხელმძღვანელები - ბადრი მაჭავარიანი (კულტურის ცენტრის დირექტორი) და გელა მგელაძე (მთავარი ქორეოგრაფი) მედიკოსები არიან, მაგრამ მათ იმ დიდ სიყვარულს ვერ უღალატეს, რასაც ქართული ცეკვა ჰქვია.

თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტის ანსამბლი დიდი ხანია, რაც არსებობს, მაგრამ განსაკუთრებულ წარმატებებს ბოლო ათ წელიწადში მიაღწია. "ქართულ ფოლკლორს" გასტროლებით მოვლილი აქვს ევროპის ყველა ქვეყანა; უზარმაზარი სტენდი ვეღარ იტევს ჩამოტანილ ჯილდოებსა და სიგელებს. შარშან ზაფხულში, ანსამბლი იტალიის კუნძულ სარდინიაზე გამართულ მსოფლიოს ხალხთა ფესტივალზე იყო, სადაც თითქმის ოცდაათამდე ქვეყნის ფოლკლორული ანსამბლები მონაწილეობდნენ. ქართველებმა ყველა "მეტოქე" ჩამოიშორეს და ღირსეულად მოიპოვეს პირველი ადგილი.

ბევრ ქართველ მომღერალს და მოცეკვავეს უთქვამს, რომ არსად ისე არ ღელავს კონცერტზე გასვლისას, როგორც მშობლიური მაყურებლის წინაშე. ახლახან "ქართული ფოლკლორის" სოლო-კონცერტზე "ჩვეული ღელვა" ყველასათვის თვალში საცემი იყო. მოწვეულები იყვნენ კომპეტენტური სტუმრებიც. ორ მათგანს ვთხოვე გაეზიარებინა საკუთარი შთაბეჭდილებები.

რევაზ ჭანიშვილი, კავკასიის ხალხთა მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საპატიო დოქტორი, საერთაშორისო პრემიის "ოქროს მარჯვენის" ლაურეატი, კულტურის დამსახურებული მოღვაწე: "აღტაცებული ვარ ნანახით. ნათლად ჩანს, რაოდენ დიდი შრომაა ჩადებული ანსამბლში, რადგან ასე საოცრად შეზავებული ქართული ჰანგი და როკვა, გარჯისა და სიყვარულის გარეშე არ მოდის. მოცეკვავეებმა ყველა კუთხე მშვენივრად წარმოაჩინეს. სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი, რამაზ ხეცურიანი ძალ-ღონეს არ იშურებს, რათა "ქართულმა ფოლკლორმა" ლაღად იგრძნოს თავი. ანსამბლი სადაც არ უნდა წავიდეს, უდავოა, რომ ყველგან დიდ წარმატებას მიაღწევს".

ჯონი ჯანაშია, სოცუზრუნველყოფისა და ჯანმრთელობის მინისტრის მთავარი მრჩეველი: "საოცარი გრძნობა დამეუფლა, როცა დარბაზში შემოვაბიჯე. ჩემი სტუდენტობა გამახსენდა, ის ლამაზი და ბობოქარი წლები, ადრე რომ გვქონდა. ერთხანს თითქოს მიყუჩებული იყო ხალისიანი ცხოვრება სამედიცინო უნივერსიტეტში, ამ კონცერტის მერე კი მივხვდი, დღევანდელი დღე ახალი ათვლის წერტილია".

მართლაც, ექიმები რომ არ ხუმრობენ, ეს კიდევ ერთხელ დაგვიდასტურა "ქართულმა ფოლკლორმა".

ლიხტენშტეინი, რომელიც სახურავზე ცხოვრობს

ნიუ იორკში მეტროპოლიტენ მუზეუმის სახურავის ტერასა, რომელიც ჩვეულებრივ თბილ დღეებში ხალხით არის ხოლმე სავსე, უეცრად გარდასახული დახვდათ მნახველებს. მუზეუმის დირექციამ გადაწყვიტა, რომ დამსვენებლები ხელოვნებას აზიარონ და მუზეუმის სახურავის ტერასა პოპ-არტის კლასიკოსის როი ლიხტენშტეინის ქანდაკებებით მოფინეს. უჩვეულო ექსპოზიციას ცენტრალური პარკის თავზე წამოშლილი ღრუბლებიც წარმატებით ავსებენ.

როი ლიხტენშტეინის ყველა ნამუშევარი, რომელიც ეგზოტიკურ ბაღში დადგეს 1990-იან წლებშია შესრულებული - მხატვრის ცხოვრების ბოლო წლებში. ბრინჯაოსა და ალუმინის ქანდაკებები იმავე სტილს ინარჩუნებენ, როგორც მხატვრის სურათები შესრულებული მკვეთრ ფერებში. ბევრი ქანდაკების ნიმუშად კი, მართლაც, იქცა მისი ადრეული სურათები. მაგალითად, უზარმაზარი "პოპ-არტისტული სახლი" ერთგვარი "სათამაშო" ნაგებობა, რომელიც 6 მეტრის სიგანისაა და მწვანე მდელოზეა დადგმული (დისნეილენდის სტილში), ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს თითქოს ლიხტენშტეინის ცნობილი ტილოდან "ინტერიერები" გადმოვიდა. ქანდაკებად გადაქცეული სახლი სამგანზომილებიანი გეჩვენება, თუმცა ეს მხოლოდ ილუზიაა, ისევე როგორც მისი სხვა ნამუშევრები. ქანდაკება "გალატეა" პიკასოს მარია ტერეზა ვალტერის პორტრეტის ალუზია. ახლოს მისვლისას ჩნდება, რომ "გალატეა" მხოლოდ ორ განზომილებაში არსებობს.

ქანდაკებების ბაღი მეტროპოლიტენის თავზე თავისი ფანტასტიკური თვისებებით ძალიან გავს ბაღს, სადაც ალისა მოხვდა. აქ ისევე, როგორც სიზმარში, ჩვეულებრივი საგნები ტრანსფორმაციას განიცდიან და საკმაოდ უცნაურ ფორმებს იღებენ. ლიხტენშტეინის სახლებში შესვლა არ შეიძლება, ორ განზომილებიანი ხის ქვეშ კი მარტოხელა კუბისტური ლამაზმანი დგას. ხოლო კომიქსების და საღეჭი რეზინების პერსონაჟები ასჯერ გადიდებული ჰოლივიდური ღიმილით შემოგვცქერიან. სწორედ როი ლიხტენშტეინის წყალობაა, რომ კომიქსები ხელოვნებაში მოხვდნენ. მხატვარი კომიქსებს ცენტებად ყიდულობდა, შემდეგ იხატავდა და სერიოზულ თანხებში ყიდდა.

ასე რომ, თუ არა ამჟამინდელი ექსპოზიციის სახურავზე მოწყობა, იგი ნაკლებად განსხვავებული იქნებოდა მეოცე საუკუნის ცნობილი პოპ-მხატვრის სხვა გამოფენებისგან. მხოლოდ ლიხტენშტეინით ნიუ იორკელებს ვერ გააკვირვებ, მაგრამ სულ სხვა საქმეა – როის ქანდაკებები სიმწვანეში და მშვენიერი ხედით ცენტრალურ პარკზე.

ოქროს მედალი, ახალი კრებული და ახალი საჩუქარი მკითხველისათვის

"პარნასში" დათო მაღრაძის წიგნის პრეზენტაცია გაიმართა

თამარ სუხიშვილი

ასეთ შანსს არცერთი ჟურნალისტი არ გაუშვებდა ხელიდან. გუშინდელ პრეზენტაციაზე მისულმა კინორეჟისორ ელდარ შენგელაიასგან გაზეთ "24 საათის" მისამართით ბევრი კეთილი სიტყვა მოვისმინე. ამიტომ, სანამ პარნასულ საღამოზე გიამბობდეთ, ჯერ გაზეთის სარეკლამოდ ბატონი ელდარის პატარა ციტატას მოვიყვან: "მინდა გითხრათ, რომ თქვენი გაზეთის მუდმივი მკითხველი გავხდი, ძალიან კარგი გაზეთია, ბევრი საინტერესო და ახალი მოაქვს მკითხველისთვის..."

ისევ "პარნასში" გამართულ საღამოს მივუბრუნდეთ. გუშინ, 27 მაისს, წიგნის მაღაზიაში პოეტ დათო მაღრაძის ლიტერატურულ-პუბლიცისტური წერილების კრებულის – "კულტურა – მეფური ნაკლი" პრეზენტაცია გაიმართა. ამ დღეს წიგნის თაროებზე კვლავ გამოჩნდა კარგად ცნობილი პოეტური კრებული "ნიკალა", რომელიც განახლებული (მესამე) ტირაჟით გამოიცა; ამავდროულად "პარნასში" დათო მაღრაძის ის მედალიც გამოფინეს, რომელიც ქართველ პოეტს კემბრიჯის "საერთაშორისო ბიოგრაფიულმა ცენტრმა" მიანიჭა, როგორც "წლის საუკეთესო მწერლის" ტიტულის ნომინანტს: "დავით მაღრაძე - წლის საერთაშორისო მწერალი – 2003" – ამოიკითხავთ მოოქროვილ მედალზე.

ახალი წიგნის გამოსვლა და კემბრიჯის მედლის მიღება დათო მაღრაძეს გუშინ ქართველ მკითხველთან და კოლეგებთან ერთად უცხოელმა სტუმრებმაც მიულოცეს, მათ შორის ბრიტანეთის საბჭოს დირექტორმა ჯო ბაკოვსკიმ, რომელმაც ჟურნალისტებთან საუბარში კემბრიჯის ჯილდოს მნიშვნელობასა და ინგლის-საქართველოს კულტურული კონტაქტების გაღრმავებაზე ისაუბრა.

ლევან ხუროსელიძის ფოტო

ეტყობა "ნიკალა"-ს მე-3 ტირაჟიც კარგად მიდის

"კემბრიჯის ცენტრის ასეთი შეფასება მარტო დათოს წარმატება არ არის, თითოეული ჩვენგანის წარმატებაა. ეს აღიარება იმის მანიშნებელია, რომ ქართველი მწერლები ევროპაში აინტერესებთ," – ამბობს ზაალ სამადაშვილი.

რაც შეეხება კრებულს: მათ, ვინც ბოლო ათი წლის განმავლობაში ქართულ პრესასა და, საერთოდ, საქართველოში მიმდინარე მოვლენებს თვალყურს ადევნებს, კარგად ეხსომებათ დათო მაღრაძის პუბლიცისტური წერილები და საჯარო გამოსვლები, განსაკუთრებით კი, 2001 წლის ნოემბერში პარლამენტში წარმოთქმული სიტყვა პარლამენტიდან გასვლასთან დაკავშირებით.

მკითხველი, ალბათ, კიდევ ერთხელ სიამოვნებით გადაავლებს თვალს წიგნში თავმოყრილ პუბლიკაციებს, ხოლო ვისაც თავის დროზე არ წაუკითხავს, დიდი ინტერესით გაეცნობა ამ წერილებს. "შეძლებისდაგვარად ვცდილობდი არ დავრჩენილიყავი საზოგადოებრივი ცხოვრების მიღმა, - გვეუბნება დათო მაღრაძე, - რაც მაწუხებდა, მიხაროდა, რასაც ვისაკლისებდი, ქაღალდზე გადამქონდა. თუ საზოგადოების გაჯანსაღებაში რაღაც წვლილს შევიტან, მოხარული ვიქნები."

"პარნასი" გუშინ ხალხით გადაიჭედა. არც იყო გასაკვირი, დათო მაღრაძეს ხომ უამრავი მკითხველი და უამრავი პატივისმცემელი ჰყავს როგორც შემოქმედს, როგორც პიროვნებას, როგორც მოქალაქეს, რომელიც ყოველთვის სიმართლითა და პირდაპირობით გამოირჩეოდა და რომელიც ყოველთვის აქტიურად მონაწილეობდა ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

წიგნის მაღაზიაში შეკრებილი საზოგადოების განწყობა კარგად გამოიხატა ელდარ შენგელაიას ნათქვამში: "მე ძალიან მიყვარს პოეტი დათო მაღრაძე, ამავე დროს მიყვარს მოქალაქე დათო მაღრაძე და ადამიანი დათო მაღრაძე. ერთი რამ აუცილებლად მინდა აღვნიშნო, დათო არის მაგალითი იმისა, როგორ უნდა ცხოვრობდეს ხელოვანი, რადგანაც დღევანდელ დღეს ბევრ ხელოვანს ასეთი პოზიცია აქვს არჩეული: მე ვმუშაობ ხელოვნებაში და ის, რაც ჩემს გარშემო ხდება, მე არ მეხება. არადა, ეს არ არის ქართული ლიტერატურის ტრადიცია. ჩვენი დიდი მწერლების ცხოვრება, მათი ნამოღვაწარი გავიხსენოთ. ხელოვნება არ შეიძლება იყოს გარე სამყაროს მოწყვეტილი. ხელოვანი ოპოზიციაში უდგას ყოველგვარ ცუდს და მხარს უჭერს იმას, რასაც მოფრთხილება სჭირდება. დღეს ასეთ ადამიანთან გვაქვს საქმე და ამიტომ ეს შეხვედრა განსაკუთრებით სასიხარულოა."

"პარნასში" ხალხი გვიანობამდე არ დაშლილა.

როცა სასიკეთოს აკეთებ, მხოლოდ მაშინ ხარ ბედნიერი

ქეთევან ნიჟარაძე

ამ დღეებში კინოსტუდიაში სრულდება ქართულ-გერმანული მოკლემეტრაჟიანი ფილმის "დღე დადგას" გადაღებები. ფილმში, რომლის სცენარი და რეჟისურა ჰაგენ ქელერს ეკუთვნის, მთავარ როლს ქალბატონი დოდო ჭიჭინაძე ასრულებს.

ყველაფერი იმით დაიწყო, რომ შარშან, ნოემბერში, რეჟისორმა და პროდიუსერმა ვახტანგ კუნცევმა საქართველოში გერმანელი მეგობრები -რეჟისორი ჰაგენ ქელერი, პროდიუსერი გიდო შვაბი და მუსიკოსი ანდი შებლერი მოიწვია. მაშინ გაეცნენ სტუმრები ჩვენ ქვეყანას, ქართველ ხალხს და ქართულ კულტურას, რამაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მათზე.

გერმანელი სტუმრები, პირველ რიგში, ქართული კინოსა და კინოსტუდიის დღევანდელმა მდგომარეობამ შეძრა. იმ ადგილას, სადაც წლების მანძილზე მსოფლიოში ცნობილი ქართული კინო იქმნებოდა, წარმოუდგენელი სიტუაცია დახვდათ. ყველაზე მეტად მაინც იმან გააოცა სტუმრები, რომ ჩვენ, თითქოსდა, შევეგუეთ ქართული ფილმის ტრადიციების მოსპობის პერსპექტივას.

სწორედ მაშინ დაიბადა ამ ფილმის გადაღების იდეა და შეიქმნა ქართულ-გერმანული შემოქმედებითი ჯგუფი. მთავარი რეჟისორის, პროდიუსერისა და ხმის რეჟისორისთვის ეს ფილმი სადიპლომო ნამუშევარია.

ქალბატონი დოდო ჭიჭინაძის გმირი ხელოვანია, რომელიც წლების მანძილზე მემონტაჟედ მუშაობდა კინოსტუდიაში, დღეს კი უმუშევრად და უპენსიოდაა დარჩენილი. ის მაინც ყოველდღე დადის თავის ძველ სამსახურში, ალაგებს და ესათუთება დერეფნებსა და საცავებში მიმოფანტულ უძვირფასეს ფირებს და იხსენებს ადრინდელი კინოსტუდიის სამუშაო ატმოსფეროს. ეს ერთადერთია, რაც ცხოვრებაში დარჩენია, რითაც სულდგმულობს. ფილმის ამ მოკლე მონახაზის მიღმა კი მთელი ის სიყვარული და გულისდანყვეტაა, რომელიც ჩვენში კინოსტუდიისა და საერთოდ, ქართული ფილმის ხსენება იწვევს.

ვახო კუნცევი კამერას ამზადებს

მაგრამ რატომ იღებენ ამგვარ ფილმს უცხოელები?

ვახტანგ კუნცევი: ფილმის ქართველი პროდიუსერი: ბევრს ჰგონია, რომ უცხოელებს ამ ფილმის გადაღებისას მხოლოდ კომერციული მიზნები ამოძრავებთ. მაგრამ ამ შემთხვევაში, მერწმუნეთ, ასე არ არის. მართალია, მსახიობები - ქალბატონი დოდო ჭიჭინაძე, გიო ნაკაშიძე, თორნიკე ბზიავა -უსასყიდლოდ თამაშობენ, მაგრამ მარტო აპარატურის ჩამოტანაზე იმდენად დიდი დრო და ფული დაიხარჯა, რომ იქ უფრო ადვილად მოგვარდებოდა ეს საქმე. მაგრამ ჩვენი შემოქმედებითი ჯგუფი დაინტერესებულია, რომ სწორედ საქართველოში არსებულ დღევანდელ სიტუაციაზე გადაიღოს ფილმი.

დოდო ჭიჭინაძე: "ჩემი გმირი ამ ფილმით სწორედ იმას გამოხატავს, რაც ჩემთვის დღეს ყველაზე დიდი სატკივარია. ნაცარტუტად იქცა მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი და ულამაზესი ფენომენი - ქართული კინო. მიზეზი კი მრავალია. პირველ რიგში, ახალგაზრდებს არ ეძლევათ საშუალება, გამოავლინონ საკუთარი თავი. ბოლო ორი წლის მანძილზე ხუთ სტუდენტურ ფილმში ვითამაშე, რომელთაგან ორმა გრან-პრი მიიღო საერთაშორისო ფესტივალებზე. იმ რეჟისორებისთვის კი არავის არაფერი მიუცია, რომ მეორე ფილმი გადაიღონ, და უფრო დაიხვეწონ და განვითარდნდენ. არადა, ხელოვანისათვის უმოქმედობა დაღუპვის ტოლფასია.

გასაგებია, რომ ბიუჯეტის თანხები ყველაფერს არ ჰყოფნის, მაგრამ ომის პერიოდში 1945 ნელს ხომ მოახერხეს, "დავით გურამიშვილისათვის" 9 მილიონი მანეთი გამოეყოთ. მაშინ მთელი ერმიტაჟი "ქართული ფილმის" თანხებით შეიმინა. თუ ომის დროს ამდენი მოხერხდა, დღეს თუნდაც სადიპლომო ფილმების გადაღება გადაუჭრელ პრობლემად რატომ უნდა იქცეს? მაგრამ ქართული გენიდან გამომდინარე, ჯერ კიდევ გვაქვს ჩვენი კულტურის გადარჩენის შანსი. მჯერა ამისი და ქართველმა ახალგაზრდობამაც იცის, რომ როცა აკეთებ სასიკეთოს, მხოლოდ მაშინ ხარ ბედნიერი.

თორნიკე ბზიავა: "გერმანელებიც კი შეწუხდნენ ქართული კინოს დღევანდელი მდგომარეობით. ჩვენ კი არ ვუსწორებთ სიმართლეს თვალს. ეს იმის ბრალია, რომ კონფორმისტების თაობა არ წასულა ამ ქვეყნიდან, ისინი ჯერ კიდევ აქტიურად ფუნქციონირებენ".

ერთ თვეში უნდა დასრულდეს მუშაობა ფილმზე "დღე დადგა". პრემიერა საქართველოში კი სექტემბრისთვის იგეგმება. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ მართლა დადგება დღე, როდესაც ყველა ნიჭიერ შემოქმედს ექნება ამგვარი პროექტების განხორციელების საშუალება.

უცნაური ენერგია თიხაში

თეონა ჯაფარიძე

"ჯერ თიხაში ვძერწავ, მერე უნდა გაშრეს, მერე ღუმელში უნდა შედო; რომ გამოიწვება უნდა დაფერო, მერე ისევ ღუმელში, და მერე სახლში უნდა წაიღო." – მიხსნის თიხის უძველეს საიდუმლოს 9 წლის თათა პაჭკორია და თავის ნახელავს – კერამიკის ბუს მაჩვენებს.

ხელოვნების საერთაშორისო ცენტრის საგამოფენო დარბაზში უამრავი ბავშვი ირევა. საგამოფენო სტენდები კი სავსეა მათ მიერ გამოძერწილი თიხის ფერადი ფიგურებით: დრაკონებით, ბაყაყებით, კაცუნებით, ერთგან მინიატურულ კერამიკულ ტაფასაც კი წავაწყდი თავისი ერბო-კვერცხით. განსაკუთრებით დიდი რაოდენობით შეგიძლიათ იხილოთ ჩაიდნები: ჩაიდანი სახლი, ჩაიდანი ბაყაყი და ა. შ... აქ ნამდვილად იგრძნობა პედაგოგის – კერამიკოს გიგიშა პაჭკორიას ე.ნ. "თემატური გავლენა." გიგიშას ორიგინალური, უცნაური ფორმის კერამიკის ჩაიდნები, თბილისურ გალერეებში მოხეტიალე უცხოელთათვისაც კი უკვე ნაცნობია. თუმცა, მაკა და გიგიშა მასნავლებლები პატარა კერამიკოსებს ყოველგვარი "გავლენებისა" და "იზმებისაგან" იცავენ და სრულ თავისუფლებას ანიჭებენ.

ბავშვებმა თიხაში საკუთარი ენერგია ჩადეს

"სახელოსნო ქუჩის პირას, ერთ პატარა სარდაფში გვაქვს. რაღაცნაირი, ზღაპრული გარემო გარედან ყველას იზიდავს. ყველას სურვილი უჩნდება ქუჩიდან სახელოსნოში შემოიჭყიტოს. აქ კი ბავშვები სხედან და ძერწავენ." – ამბობს მაკა მზარეულიშვილი. კერამიკოსებს – მაკას და გიგიშას, თიხასთან, ბავშვებთან და შრომასთან ურთიერთობის საკუთარი კონცეფცია გააჩნიათ. მათი აზრით: "თიხას მისტიური თვისებები აქვს. მას მოაქვს გარკვეული ენერგია, აწყნარებს ადამიანს, ბავშვებში იწვევს მეტყველების უნარის განვითარებას და მტევნის მოქნილობის გაუმჯობესებას. შექმნილ ნამუშევრებში გადადის გარკვეული ენერგია და ინფორმაცია." მათ ბავშვებთან ურთიერთობის რვა წლის მანძილზე აღმოაჩინეს, რომ ხუთი წლის ასაკში ყველა ბავშვს აქვს ძერწვის ნიჭი. დღეს აქ უკვე ხელოვნების ისტორიაც ისწავლება (პედაგოგი თინათინ რაზმაძე). "თიხიანი ხელების" სახელწოდებით, ეს უცნაური კერამიკული ნამუშევრები ამ წლების მანძილზე უკვე თბილისის რამდენიმე გალერეაში გამოიფინა. "ყველაფერი ჩაბნელებულ თბილისში დავინყეთ. როგორც არ უნდა გაგიკვირდეთ, იმ მძიმე წლებში თბილისში გამოჩნდნენ ადამიანები (ბავშვები და მშობლები) ვისაც მაშინ ჩვენთან მოსვლის სურვილი გაუჩნდა. პირველად სანთლის შუქზე, პირდაპირ სამზარეულოში ვძერწავდით." – იხსენებს მაკა.

ხელოვნების საერთაშორისო ცენტრში ეს სასიამოვნო აურა 7 ივნისამდე გასტანს. აუცილებლად შეიგრძენით, თუ როგორ შეურიეს ბავშვებმა თიხაში საკუთარი ენერგია. საგამოფენო დარბაზის გამოსასვლელში კიდევ ერთ ნამუშევარს გადავაწყდი: "ემიგრანტი თაგვები" – ასეთი წარწერა აქვს გაკეთებული თიხის მოკრძალებულ ცოლ-ქმარ თაგვს, რომლებიც თიხისავე ჩემოდნით სადღაც წასასვლელად გამზადებულან. ნამუშევარი 8 წლის ელენე მიმინოშვილს ეკუთვნის.

შეავსეთ ანკეტა და გამოგვიგზავნეთ

გთხოვთ, შეავსოთ გარკვევით. ბლანკი უფასოა.

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2" არ არის ვალდებული, გაცნობოთ მიიღებთ თუ არა მონაწილეობას შოუში "ხალხის პირისპირ". თქვენი შერჩევის შემთხვევაში, დგებიკავშირდებათ გადაცემის კოორდინატორი ამ ანკეტის შევსებით თქვენ ეთანხმებით შოუს "ხალხის პირისპირ" წესებსა და პირობებს.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2",
ტელევიქტორინა "ხალხის პირისპირ",
ვაჟა-ფშაველას 45, 300077 თბილისი

გთხოვთ, დააკრათ ახლანდელი ფოტოსურათის, სასურველია ზომით 3/4, თუ ამ ზომის ფოტოსურათი არ გაქვთ, შეგიძლიათ დააკრათ ნებისმიერი ზომის, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გადაღებული. ფოტოსურათზე სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათს უკან მიაწეროთ თქვენი სახელი და გვარი.

კონკურსანტები ტელევიქტორინისთვის "ხალხის პირისპირ" შეირჩევიან ანკეტის საფუძველზე, ამიტომ გთხოვთ, ყურადღებით შეავსოთ ანკეტა.

სახელი და გვარი

ოჯახური მდგომარეობა:
დაქორწინებული, დაუქორწინებელი, გაყრილი, ქვრივი

მისამართი:

შვილები: (თუ გყავთ)

საფოსტო ინდექსი:

განათლება:
საშუალო, უმაღლესი, ტექნიკური

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები:

პროფესია:

ასაკი:

სამუშაო ადგილი

დამხმარე კატეგორია: (მიუთითეთ კატეგორია, რომელშიც კარგად ერკვევით, შეგიძლიათ აირჩიოთ ნებისმიერი. მაგალითად, საფეხბურთო კლუბი "არსენალი" ან ევროპის ქვეყნების დედაქალაქები, ან 60-იანი წლების მუსიკა, და ა.შ.)

შინაური ცხოველები: (თუ გყავთ)

თქვენი ინტერესები და ჰობი:

შეხვედრიხართ თუ არა, პირადად, ცნობილ ადამიანს? ვის, სად და როდის?

როგორ გაატარებდით თქვენს იდეალურ დასვენების დღეს?

გიყვართ თუ არა მოგზაურობა? (თუ გიმოგზაურიათ საქართველოს გარეთ და სად?)

არჩევანი რომ გქონდეთ, რომელ ცნობილ ადამიანთან ისურვებდით შეხვედრას, სად წახვიდოდით მასთან ერთად და რატომ?

რომელი სატელევიზიო გადაცემები მოგწონთ და რატომ?

არჩევანი რომ გქონდეთ, სად წახვიდოდით სამოგზაუროდ და რატომ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი რამის შეცვლა საკუთარ გარეგნობასა ან ხასიათში, რას შეცვლიდით და რატომ?

რომელია თქვენი საყვარელი მწერალი და საყვარელი ლიტერატურული ნაწარმოები?

გაქვთ თუ არა მიზანი, რომლის მიღწევაზეც ოცნებობთ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი ნატვრის ასრულება, რას ინატრებდით და რატომ?

როგორი მუსიკა გიტაცებთ და თავად გაქვთ თუ არა მუსიკალური ნიჭი?

მიგიღწევიათ ან გაგიკეთებიათ თუ არა ისეთი რამ, რითაც ამაყობთ?

თქვენი აზრით, რომელ ზღაპრულ პერსონაჟს ჰგავხართ ყველაზე მეტად და რატომ?

რა ჟანრის ფილმები მოგწონთ და რომელია თქვენი საყვარელი ფილმები?

გაქვთ ან გქონიათ თუ არა რაიმე მეტსახელი? კონკრეტულად რა?

ფილმი რომ გადაიღოთ თქვენზე, რომელი ცნობილი მსახიობი შეასრულებდა თქვენს როლს?

გამოსულხართ თუ არა ტელევიზიით? (თუ კი, როდის და რა ამბავში?)

გაქვთ თუ არა უჩვეულო ნიჭი? (მაგალითად, შეგიძლიათ თუ არა სტვენით გეთქოვენის "მთვარის სონატის" შესრულება, ან ასკინკილით მარათონული დისტანციის გავლა?)

ყველაზე უხერხული სიტუაცია თქვენს ცხოვრებაში:

რატომ გინდათ მიიღოთ მონაწილეობა ჩვენს თამაშში?

უჩვეულო ან საინტერესო რამ თუ გადაგხდენიათ თავს? კერძოდ რა?

ყველაზე ცუდი სამუშაო თქვენს ცხოვრებაში:

დღეს რომ მოგცენ 2000 ლარი, რას გააკეთებდით?

ინფოთეკა

"ლაზიკა" და "მერცხალი" - უმაღლეს ლიგაში

გუშინ გაირკვა იმ ორი გუნდის ვინაობა, რომლებიც მომავალი სეზონიდან ფეხბურთში საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში გააგრძელებენ თამაშს. ესენი არიან ზუგდიდის "ლაზიკა" და ოზურგეთის "მერცხალი". მესამე გუნდის ვინაობა, რომელიც ქართული ფეხბურთის ელიტას შეუერთდება, 30 მაისს გაირკვევა.

რანიერის ინტერესში ბატისტუტა ამოიკითხეს

ლონდონის "ჩელსიმ" უარყო ხმები, თითქოს კლუბის ხელმძღვანელობა მილანის "ინტერის" თავდამსხმელთან, გაბრიელ ბატისტუტასთან მოლაპარაკებას აწარმოებს. გავრცელებული პრესრელიზით ცნობილი ხდება, რომ "ჩელსის" წარმომადგენლები არგენტინელი ლეგიონერის აგენტებს არც შეხვედრიან. ხმები კი მას შემდეგ გავრცელდა, რაც ლონდონელთა მწვრთნელი კლაუდიო რანიერი მილანელთა კლუბის 33 წლის მოთამაშით დაინტერესდა. მოთამაშით, რომელმაც ძირითად შემადგენლობაში ადგილი ვერ დაიმკვიდრა. ამის გამო გაჩნდა ეჭვი, რომ რანიერი ბატისტუტას გულისხმობდა.

"ჩელსის" გარდა, "ბატი-გოლით" დედაქალაქელთა სხვა გუნდი – "ფულჰემიცაა" დაინტერესებული. ახლა ფიქრობენ, რომ უახლოესი ერთი კვირის განმავლობაში არგენტინელი თავად მიიღებს გადაწყვეტილებას, სად ითამაშოს მომავალ სეზონში.

13 წლის მილიონერი

13 წლის ფეხბურთელმა ფირმა "ნაიკთან" მილიონდოლარიან სარეკლამო კონტრაქტზე მოაწერა ხელი. The Washington Post-ის ცნობით, საფეხბურთო ეკიპირების მწარმოებელმა კომპანიამ ეს კონტრაქტი აშშ-ის ჭაბუკთა ნაკრების თავდამსხმელს ფრედი ადის დაუდო. ამომავალმა ვარსკვლავმა, როგორადაც ის უკვე შეურაცხავთ, შეთანხმებას მიაღწია SportsNet, LLC-თანაც. თუმცა, ოჯახის ადვოკატი ადუ არნოლდ ტარაზაი ამ შეთანხმებას არ ადასტურებს.

მართალია, ახალგაზრდა ფეხბურთელის კონტრაქტი ვერ გაუტოლდება იმ პირობებს, რომელსაც NBA-ს ახალბედათა დრაფტის მომავალმა პირველმა ნომერმა ლებრონ ჯეიმსმა (კალათბურთელს "ნაიკთან" შეთანხმება სხვადასხვა შეფასებით 7 წელიწადში 100 მილიონ დოლარზე მეტს მოუტანს) მიაღწია, მაგრამ ფაქტია: ოკეანის გაღმა ფეხბურთისა და კალათბურთის პოპულარობა შეუდარებელია. ამასთან, ჯეიმსი მომავალ სეზონშივე გახდება პროფესიონალი, ფრედიმ კი იგივე სტატუსის მოსაპოვებლად კიდევ დიდხანს უნდა იცადოს.

ასპრილია ვარჯიშზე სროლაში ვარჯიშობს

კოლუმბიელმა თავდამსხმელმა ფაუსტინიო ასპრილიამ ერთი მეტად უცნაური საქციელით გამოიჩინა თავი. "უნივერსიდად დე ჩილეს" ვარჯიშისას, რომლის ღირსებასაც იცავს ასპრილია, არც აცია, არც აცხელა, მოედანზე პისტოლეტი ამოიღო და ჰაერში ორჯერ ისროლა. ამის შემდეგ ასპრილია უსიტყვოდ გაემართა საკუთარი მანქანისკენ და საცოლესთან ერთად, რომელიც თავად შეესწრო ამ ფაქტს, იქაურობას გაეცალა.

აღსანიშნავია, რომ ფეხბურთელს ტრავმა აქვს და ამის გამო არ თამაშობს. თანაკლუბელები ფიქრობენ: ასპრილიამ ასეთი ნაბიჯი, ალბათ, იმიტომ გადადგა, რომ უნდოდა, საკუთარი პრობლემებისთვის ხაზი გაესვაო. თუმცა, უცნობია, ასპრილიამ ნამდვილი იარაღიდან ისროლა თუ არა. მას შემდეგ, რაც არასერიოზულობით სახელგანთქმულმა "ტინომ", როგორც მას ეძახიან, "უნივერსიდადში" დაიწყო თამაში, თურმე, სამაგალითო ყოფა-ქცევით გამოირჩეოდა.

საპრეზიდენტო ციებ-ცხელება "ბარსაში"

ესპანური საფეხბურთო კლუბის "ბარსელონას" 15 ივნისის საპრეზიდენტო არჩევნებამდე, პრეზიდენტობის კანდიდატები ცდილობენ, კონკურენტებზე უპირატესობას მოწვეულ მოთამაშეთა თუ მწვრთნელთა ხარჯზე მიაღწიონ. მაგალითად, პრეზიდენტის სავარძლის ერთ-ერთი პრეტენდენტი, ჟორდი მედინა, თურმე, "ბაიერის" ყოფილ დამრიგებელს კლაუს ტოპმოლერსა და ოთხ ფეხბურთელს: სამს ჰოლანდიიდან და ერთსაც გერმანიიდან, რომელთა სახელებიც, ჯერჯერობით, უცნობია, "ბარსელონაში" გადასვლის წინასწარი შეთანხმებისთვის მიუღწევია.

კატალონიელთა პრეზიდენტის სავარძლის პრეტენდენტთაგანია ჟოან ლაპორტაც, რომელსაც, დანარჩენებთან შედარებით, უკეთეს შანსებს უწინასწარმეტყველებენ. ლაპორტაზე საუბრისას ამბობენ, მას სამ ცნობილ ფეხბურთელთან აქვს შეთანხმება, თუმცა, მათი ვინაობაც უცნობია.

ჯერ კიდევ აპრილის ბოლოს ხოსე მარია მინგეა, რომელიც პრეზიდენტის სავარძლის კიდევ ერთი მაძიებელთაგანია, აცხადებს, რომ გამარჯვების შემთხვევაში გუნდის მწვრთნელთა შტაბში ხრისტო სტოიჩკოვს მიიწვევს. ბულგარელი ფეხბურთელი კი, მოგეხსენებათ, 90-იან წლებში თამაშობდა "ბარსას" რიგებში.

ეგვიპტე ფეხბურთისთვის მზადაა

ფეხბურთში 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლობისთვის საკუთარი კანდიდატურა ოფიციალურად წარადგინა ეგვიპტემ. ამის შესახებ განაცხადა ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა ალი ედინ ჰილალმა. მიჩნეულია, რომ 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატს ნებისმიერ შემთხვევაში ერთ-ერთი აფრიკული ქვეყანა უმასპინძლებს, რადგან ასეთი რანგის ასპარეზობა შავ კონტინენტზე არასდროს გამართულა. მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლობის მოსურნე კი ექვსი ქვეყანაა: ლიბია, მაროკო, ნიგერია, სამხრეთ აფრიკა, ტუნისი და ეგვიპტე. თუმცა, იმისთვის, რომ თითოეულმა მათგანმა საკუთარი სურვილი ოფიციალურად დაადასტუროს, 31 მაისამდე ფიფაში შესაბამისი განცხადება უნდა შეიტანონ. 30 სექტემბერს კი ფიფას შტაბბინაში კანდიდატები მოიყრიან თავს. 2004 წლის 31 იანვრიდან ფიფა ორგანიზაციის წარმომადგენლებს ანუ ექსპერტებს ამ ქვეყნებში საფეხბურთო მეურნეობის შესწავლას დაავალებს. მოგვიანებით კი ორგანიზატორ ქვეყანასაც შეარჩევენ.

იაო მინგი კოკა-კოლას წინააღმდეგ

"ჰიუსტონ როკეტსის" ჩინელი ცენტრი იაო მინგი "კოკა-კოლას" სასამართლოში უჩივის იმის გამო, რომ გამაგრილებელი სასმელების კომპანიამ კალათბურთელის დაუკითხავად საკუთარი პროდუქცია მინგის გამოსახულებით დაამშვენა.

როგორც ოფიციალური იტერნეტ-გვერდი იტყობინება, კალათბურთელი საკუთარ სულიერ თუ ეკონომიურ ზარალს 1 იუანად (12 ცენტი) აფასებს.

სიმბოლური თანხის გარდა, იაო "კოკა-კოლასგან" ბოდიშის მოხდას ითხოვს. ჩინელი სპორტსმენის ადვოკატები აცხადებენ, რომ სარჩელის შეტანისას მათ ნაკლები ყურადღება დაუთმეს ფინანსურ ასპექტებს.

ქველმოქმედება გრან-პრის წინ

"ფერარის" გერმანელი პილოტი მიხაელ შუმახერი ტრადიციას არ ღალატობს: მონაკოს გრან-პრის წინ საქველმოქმედო საფეხბურთო მატჩში მონაწილეობას მიიღებს.

მატჩი პარასკევს "ლუი II-ის" სტადიონზე გაიმართება. გუნდს, რომლის შემადგენლობაშიც შუმახერი ითამაშებს, "ნაციონალე პილოტი" ჰქვია. შუმისა და კომპანიას მეტოქეობას გაუწევს ყველა ვარსკვლავთა ნაკრები, რომლის რიგებშიც მონაკოს პრინცი ალბერიც იქნება.

ცზიუ გამოწვევას სპინკსში ხედავს

პირველი საშუალო წონის მსოფლიო ჩემპიონი კოსტანტინ ცზიუ მომავალი ბრძოლისთვის IBF-ის (საერთაშორისო ფედერაციის) ვერსიით მსოფლიო ჩემპიონ კორი სპინკსის წარმომადგენლებთან აწარმოებს მოლაპარაკებას. ამის შესახებ ინფორმაცია ავსტრალიელმა-რუსმა გუშინ პრესკონფერენციაზე დაადასტურა.

"ჩემი აზრით, ეს კარგი ორთაბრძოლა უნდა იყოს. ვისურვებდი, რომ ეს დაპირისპირება შედგეს, რადგან იგი ჩემთვის ერთგვარი გამოწვევაც იქნება. საკუთარ წონაში მოვიგე ყველაფერი, რისი მოგებაც შეიძლებოდა. ეს ტიტული იმდენჯერ დავიცავი, რომ მინდა, სხვასაც გავუსინჯო გემო", - განაცხადა ცზიუმ.

იქვე დასძინა, რომ მძიმე წონის ყოფილი მსოფლიო ჩემპიონის (ლეონ სპინკსი) შვილთან ორთაბრძოლა წლეულსვე სურს. 33 წლის მოკრივე, რომელიც ახლა ავსტრალიაში ცხოვრობს, მომდევნო ორთაბრძოლას 27 სექტემბერს გამართავს. თუმცა, უცნობია, სასექტემბრო შეხლაში ცზიუს მეტოქე სპინკსი იქნება თუ ვინმე სხვა. უცნობია ისიც, თუ სად ჩატარდება ეს დაპირისპირება.

TV-სპორტი

ოთხშაბათი. 28 მაისი

НТВ + ФУТБОЛ
13:00 თავისუფალი დარტყმა.
13:15 გასული კვირის ჰიტ-აღლუმი
15:00 ესპანეთის ჩემპიონატის მიმოხილვა
15:55 ლიბერტადორესის თასი. მეოთხედფინალების მიმოხილვა.
16:50 ჩემპიონთა ლიგა. ნახევარფინალი. "ინტერი" – "მილანი"
18:30 "ფეხბურთი ანიდან ჰაემდე"
19:00 თავისუფალი დარტყმა.
19:15 "დარტყმა გოლისთვის"
19:30 ჩემპიონთა ლიგა. ნახევარფინალი. "იუვენტუსი" – "რეალი"
21:15 "FUTBOL MUNDIAL"
21:45 იტალიის ჩემპიონატი. მიმოხილვა
22:40 სახვალიო ტელეპროგრამა
22:45 ჩემპიონთა ლიგის წინ
23:20 ჩემპიონთა ლიგა. "იუვენტუსი" – "მილანი". ფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია
01:35 "დარტყმა გოლისთვის"

НТВ + СПОРТ
11:00, 13:45, 17:00, 20:00 "პრეს-ცენტრი".
11:15, 23:00 "ოლიმპის შვილები".
11:20 ჰოკეი. სტენლის თასი. ფინალი
14:00 ჩოგბურთი. "როლან გაროსი". პირდაპირი ტრანსლაცია
23:05 სახვალიო ტელეპროგრამა
23:10 "Power week NHL-ის კვირა"
23:40 ავტორბოლა. "რუსული GT"
00:10 ჰოკეი. სტენლის თასი. ფინალი. შესვენებისას (01:30) - ახალი ამბები
02:40 "NHL-პლუსი"
02:50 02:50-დან 11:00-მდე შესვენება
05:00 ჰოკეი. სტენლის თასი. ფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია

EUROSPORT
11:30 სპორტის ექსტრემალური სახეობები
12:00 სპორტის ექსტრემალური სახეობები
13:00 სფიდვეი. პოლონეთის გრან-პრი
14:00 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია ჩემპიონატი
18:30 ველორბოლა. "ჯირო დ`იტალია"
20:30 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია ჩემპიონატი
23:00 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია ჩემპიონატი
24:00 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია ჩემპიონატი
01:00 ახალი ამბები
01:15 ცხენოსნობა. ნაციის თასი. იტალია
02:15 გოლფი. PGA აშშ
03:15 აფროსნობა. როლექსის თასი
03:45 მოტოსპორტი
04:15 ახალი ამბები

ფეხბურთი

კალაძე დღეს ჩემპიონთა თასისთვის იბრძოლებს

აკა ტონია

წლევანდელი საფეხბურთო სეზონის ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა სწორედ დღეს, მანჩესტერში გაიმართება. UEFA-ს ჩემპიონთა ლიგის ფინალი დღეს საღამოს, 23.45 საათზე დაიწყება და ჩემპიონთა თასის მორიგი მფლობელიც გაირკვევა. ქართველი გულშემატკივრების უმრავლესობა, ალბათ, "მილანს" უქომაგებს - ამ გუნდის გამარჯვების შემთხვევაში კახა კალაძე ხომ ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული პირველი ქართველი ფეხბურთელი გახდება.

ანჩელოტის პრობლემა დიდი არჩევანია

სიტყვა "თავმდაბლობა" იტალიისა და საფეხბურთო კლუბ "მილანის" პრეზიდენტის, სილვიო ბერლუსკონის სიტყვათა მარაგში საერთოდ არ არსებობს. ჩემპიონთა ლიგის ფინალური მატჩის წინ ბერლუსკონი ხმამაღლა აცხადებს: "მილანი" ჩემსავით არის – ყოველთვის პირველია. ჩვენ გავიმარჯვებთ, რადგან ასეთებად ვართ დაბადებული!" საინტერესოა, პრეზიდენტი გუნდის მწვრთნელს, კარლო ანჩელოტისაც გულისხმობდა? – მთელი თავისი სამწვრთნელო კარიერის მანძილზე მას არც ერთი ტიტული არა აქვს მოგებული... თუმცა, ამ უსიამო ტრადიციის დარღვევის შანსი ანჩელოტის ახლა მიეცა. თანაც, როგორი შანსი! მიმდინარე კვირაში მას ერთბაშად ორი ტიტულის მოგება შეუძლია. ნაკლებად სავარაუდოა, რომ შაბათს, იტალიის თასის განმეორებით ფინალურ მატჩში, "მილანმა" პირველ შეხვედრაში მიღწეული უპირატესობა (4:1) ქარს გაატანოს და იტალიის თასის გარეშე დარჩეს. ასე რომ, ერთი ტიტული თითქმის უკვე გარანტირებულია. თუმცა, რა არის იტალიის თასი ჩემპიონთა ლიგასთან შედარებით?! ევროპული ფეხბურთის უმაღლესი ჯილდოს მოსაპოვებლად ანჩელოტი ყველაფერს გააკეთებს, თუმცა, ძნელი სათქმელია, როგორ შეძლებს ის იმ პრობლემების გადაწყვეტას, რომლებიც ახლა "მილანს" აწუხებს.

ჯერაც უცნობია, თუ ვინ დაიცავს "მილანელთა" კარს. ძირითადი შემადგენლობის მეკარეს, ბრაზილიელ დიდას ცერი თითი აქვს ნატკენი, თუმცა, ფინალში თამაშის იმედი მაინც აქვს. ის, თუ ვინ ჩადგება "მილანის" კარში, დიდა თუ აბიატი, მხოლოდ დღეს გადაწყდება.

ანჩელოტის დაცვის ხაზშიც ჰქონდა პრობლემა. გამოცდილი კოსტაკურტას თამაში სათუო იყო, თუმცა, უკანასკნელი ცნობებით, ეს საკითხი დადებითად გადაწყდა - დღევანდელ მატჩში კოსტაკურტა ითამაშებს. მწყობრში არიან მალდინი, ნესტა და, რაც ჩვენთვის ყველაზე მთავარია, კალაძეც.

ანჩელოტის საკმაოდ დიდი თავსატეხი აქვს გუნდის ნახევარდაცვაში და თავდასხმაში, თუმცა, ასეთ თავსატეხს ბევრი მწვრთნელი ინატრებდა. ანჩელოტის მთავარი პრობლემა სწორი არჩევანის გაკეთება და იმის გადაწყვეტაა, თუ ვის დააკისროს ჩემპიონთა თასის მოპოვების მისია. ეჭვგარეშეა: ძირითად შემადგენლობაში დააყენებენ კლარენს ზეედორფს. სავარაუდოდ, ითამაშებენ გატუზო და პირლო. თუ რამდენი ნახევარმცველით ითამაშებს "მილანი", ეს თავდამსხმელთა რაოდენობაზე იქნება დამოკიდებული. შუა ხაზში ანჩელოტის ხუთი ფეხბურთელის დაყენებაც შეუძლია, ანუ ზეედორფს, გატუზოს და პირლოს რუი კოშტა და სერჟინიო დაემატებიან. თუმცა, სერჟინიოს მხოლოდ იმ შემთხვევაში ათამაშებენ, თუ ანჩელოტი ერთ თავდამსხმელს – ინძაგის გამოიყვანს მოედანზე. ყოველივე ეს კი ნაკლებად სავარაუდოა. ძნელი წარმოსადგენია, რომ "ინტერის" წინააღმდეგ ორმატჩიანი ნახევარფინალური დუელის "მილანელთა" ერთადერთი გოლის ავტორი, ანდრეი შევჩენკო, ანჩელოტიმ სათადარიგოთა სკამზე დასვას. ასე რომ, "მილანელთა" ნახევარდაცვა, ალბათ, ოთხი ფეხბურთელით იქნება წარმოდგენილი: ზეედორფი, პირლო, გატუზო და რუი კოშტა. არ უნდა დაგვავიწყდეს ამბროზინი, რომელმაც სამშაბათს, "რომას" წინააღმდეგ იტალიის თასის ფინალურ მატჩში, ჩინებულად ითამაშა. სავარაუდოა, რომ ამბროზინის დღესაც მოუწევს თამაში. გაურკვეველია რივალდოს ბედი. ჯერ არავინ იცის, გამოუშვებს თუ არა მას მოედანზე ანჩელოტი. ერთი რამ კი გადაწყვეტილია: ძირითად შემადგენლობაში რივალდოს არ დააყენებენ.

"იუვეს" უპირველესი თავსატკივარი ნედვედია

რაც უნდა ბევრი პრობლემა ჰქონდეს "მილანს", მაინც მოევლება. მაგრამ რა უნდა ქნას მარჩელო ლიპიმ? "იუვენტუსმა" ხომ თავისი საუკეთესო ნახევარმცველი, სული და გული, პაველ ნედვედი დაკარგა... ვინ შეცვლის ნედვედს? – სწორედ ეს არის ერთადერთი კითხვა, რომელზე პასუხსაც მარჩელო ლიპი ეძებს. ვარიანტები არის, თანაც, რამდენიმე, მაგრამ ვინ იცის, რომელია სწორი. პირველი ვარიანტი, რომელსაც გთავაზობთ, მეორეზე უფრო შემტევია: მარჯვენა ნახევარმცველის ადგილზე ძამბროტა ითამაშებს, მარცხნივ კი - დი ვაიო. "იუვენტუსის" შეტევებისას დი ვაიო ტრეზეგეს ამოუდგება გვერდში, ანუ თავდამსხმელის პოზიციას დაიკავებს. ალესანდრო დელ პიერო უკან დაიწევს და ამ შემტევ დუეტს ზურგს გაუმაგრებს. საყრდენ ნახევარმცველებად კი დავიდსი და ძამბროტა იქნებიან გამწესებულნი.

არსებობს უფრო დაცვითი ვარიანტიც: ძამბროტა მარცხენა ნახევარდაცვაში დაიკავებს ადგილს, ხოლო მარჯვენა მხარეს - კამორანეზი. ეს უკანასკნელი შედარებით უფრო დაცვითი ხასიათის ფეხბურთელია, ვიდრე დი ვაიო, რომელიც ამ სქემიდან ამოვაგდეთ. ყოველივე ეს კი იმას ნიშნავს, რომ "იუვეს" შეტევებით, ტრადიციულად, დელ პიერო და ტრეზეგე იქნებიან დაკავებული, ხოლო ნახევარდაცვის ფეხბურთელები უფრო მეტოქის თავდამსხმელებს შეუშლიან ხელს. ის, ვინც კარგად იცნობს მარჩელო ლიპის საფეხბურთო ფილოსოფიას, დამეთანხმება, რომ ჩვენს მიერ შემოთავაზებული მეორე, დაცვითი ვარიანტი მისთვის უფრო მისაღები უნდა იყოს.

ფერგიუსონი "იუვენტუსს" უქომაგებს

"ერთმანეთის შესახებ აბსოლუტურად ყველაფერი ვიცით. უმთავრესი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ ვინ იქნება უკეთეს ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ მდგომარეობაში. მგონია, რომ ამ მატჩის ბედის გადაწყვეტა ერთ შემთხვევით მომენტსაც შეუძლია", - განაცხადა მარჩელო ლიპიმ. იგივე აზრისაა კარლო ანჩელოტიც. ისიც ამტკიცებს, რომ მეტოქეები ზედმიწევნით კარგად იცნობენ ერთმანეთს. ძნელია, არ დაეთანხმო ამ აზრს. დღევანდელი მატჩი ხომ ამ გუნდების რიგით 190-ე შეხვედრაა!

"მანჩესტერის" ხსენებაზე ალექს ფერგიუსონიც არ უნდა დაგვავიწყდეს. მანჩესტერელთა შოტლანდიელი მწვრთნელი აუცილებლად დაესწრება დღევანდელ ფინალს და, როგორც თვითონ თქვა, ერთ-ერთ გუნდს მხურვალედ უქომაგებს: "ალბათ, არ იქნება სწორი, რომ რომელიმე გუნდის მიმართ სიმპათია გამოვამჟღავნო. თუმცა, მაინც გამოგიტყდებით: ამ მატჩში "იუვენტუსს" ვუქომაგებ. ტურინელებს ჩემპიონთა ლიგის მთელი წლევანდელი სეზონის განმავლობაში ვაკვირდებოდი და მათ მიმართ დიდი სიმპათიითაც ვარ განწყობილი".

კალათბურთი

ისევ რევანში

"ბასკო" საკუთარ კედლებში "დინამოსთან" პირველად მარცხდება

ჰაატა თოთაძე
ბათუმიდან

"ბასკოს" თამაშებზე საკალათბურთო დარბაზში მუდამ ანშლაგია ხოლმე. რა თქმა უნდა, ახლაც ასეა. ხუმრობა ხომ არ არის: ბათუმში "ბასკოს" მეოთხედ გაჩემპიონების ბედი წყდება. ხალხმრავლობა იმანაც განაპირობა, რომ მატჩზე დასწრება უფასოა, მთავარია, დასადგომი ადგილი იპოვო. ერთი გამარჯვება და ბათუმელებს მიზანი მიღწეული ექნებათ. თითქოს ადვილი ამოცანაა, მაგრამ სწორედ ამ ერთი, გადამწყვეტი ნაბიჯის გადადგმაა ხოლმე ძნელი. კლუბის არსებობის მანძილზე ბათუმელები "დინამოსთან" შინ არასდროს დამარცხებულან.

- მართლა ასეა?
- კი.
- აბა, მოგვიგია დღესაც და...

პირველი წუთები "დინამოსია". კანდელაკი იძულებულია, ტაიმ-აუტი აიღოს. ამის შემდეგ ვითარება თითქოს სწორდება. თითქოს, რადგან მეოთხედის ბოლო სამ წუთში 13:5-ს, მეოთხედს კი 26:17 იგებს.

პირველ მეოთხედში ბრაიკოვიჩმა, მუპეს გარდა, სამივე ლეგიონერი ათამაშა. მოედანზე ჯერ ოგანესიანი იყო, რომელმაც პირველი ბურთისთვის ბრძოლა როდუმტასთან წააგო, შემდეგ ვენსკუნასი, მეოთხედი კი სიროვინამ დაასრულა.

მეორე მეოთხედშიც პირველ ბურთს როდუმტა იგებს. ბათუმელები გააქტიურდნენ და სამწუთიანი მონაკვეთი 6:0 მოიგეს. ბრაიკოვიჩს ტაიმ-აუტის აღება უნდა, მაგრამ გადაიფიქრა - "დინამომ" პირველი ქულები მოიპოვა. მოედანზე დაძაბულობა ნელ-ნელა მატულობს.

- აი მსაჯი რას შობა?
- რა გინდათ, კაცო, მსაჯისგან?!

კილოზე ხვდებიან, რომ თბილისელია.

- რაი და, კარგად სტვენა.

მწვრთნელობაზე უთქვამთ, ძნელი პროფესიაო. სხვაგან არ ვიცი და, საქართველოში მსაჯობზე ძნელი, ალბათ, არაფერია. აბა, როგორია, შენი მუშაობით ვიღაცა მუდამ უკმაყოფილოა.

დიდ შესვენებამდე 20 წამით ადრე მასპინძლები ანგარიშს ათანაბრებენ. სტუმრებს ბოლო შეტევა უფუჭდებათ და ბათუმელებს წინ გასვლის შესაძლებლობა ეძლევათ, მაგრამ თორთლაძე უხეშად ეთამაშება ცინცაძეს.

- რას შვები, ბიჭო!

თორთლაძის ნამოქმედარით აღშფოთებულმა კანდელაკმა ნერვები ვეღარ მოთოკა. თორთლაძემაც რაღაც უპასუხა და...

ბასკო - დინამო 79:87

ბასკო: *ბერიშვილი, ბაბიაშვილი (7), წოწელია (11), ნიკოლაძე (10), ცინცაძე (20), კეშელავა (5), ქარაბაკი (7), კეიდია (4), როდუმტა, შენგელია (15);*
დინამო: *აბრამიძე (4), ხოშტარია (23), ბეჟანიშვილი (6), თორთლაძე (7), სიროვინა, ოგანესიანი (8), მარკოიშვილი, ვენსკუნასი (14), ჩუბინიძე, მუპე, ჩხეიძე (12), მინაშვილი (13).*

- ვის ეუბნები მაგას, შე...

კანდელაკი ხელების ქნევით მოედანზე გადის. ხან ვინ აკავებს, ხან - ვინ. იქით თორთლაძეს იჭერენ, თუმცა, ის უფრო მშვიდადაა.

არეულობა დაახლოებით სამ წუთს გაგრძელდა და იმით დასრულდა, რომ ორივე გუნდმა ორ-ორი საჯარიმო ისროლა, კანდელაკმა და თორთლაძემ კი ერთმანეთი გადაკოცნეს - 43:42 "დინამოს" სასარგებლოდ.

- აი თუ მოვიგეთ, თამაშიც ჩვენია.
- აი რათ მინდა, თამაშის მოგება მინდა.
- გეუბნები, აი მოვიგოთ და თამაშზე "ატვეჩაი" ვარ.

ვერ გაამართლა იმედები "ბასკომ" - მეოთხედი 58:64 წააგო, არადა, ამ მატჩში პირველად მესამე მეოთხედში დაწინაურდა (49:48). უნდა გენახათ, რა ხდებოდა ამ დროს დარბაზში.

- დამთავრდა. თბილისში თუ მოვიგებთ, თუ არა, დღეს აგენი მომგები არ არიან.

მატჩის დამთავრებამდე ორი წუთით ადრე "დინამო" უკვე 15 ქულით იგებს და ზედმეტი ნერვიულობის გარეშე მიჰყავს მატჩი მოგებამდე - პირველ მოგებამდე ბათუმში. ბრაიკოვიჩმა ბოლო წლებში დინამოელთათვის ერთობ უსიამო ტრადიცია უკვე დაარღვია. იქნებ ჩემპიონობაც მოუტანოს გუნდს.

"პლეი-ოფის ხიბლი ისაა, რომ მაყურებელი ყოველ მატჩში მოედანზე რაღაც ახალს ხედავს. ფინალის პირველი მატჩის წაგების შემდეგ "დინამოს" იმედი არავის ჰქონდა, მაგრამ ხომ ხედავთ, რა ხდება. გუნდი ნელ-ნელა ხვენს თამაშს და იმედი მაქვს, ბოლო, მეხუთე მატჩში, ისეთ თამაშს აჩვენებს, ჩემპიონობას რომ მოუტანს", - სიხარულს ვერ მალავდა ზურაბ ტომარაძე.

რაც შეეხება ნუგზარ კანდელაკს, ბუნებრივია, უგუნებოდ იყო, თუმცა, თავისი მოსაზრება მატჩთან დაკავშირებით მაინც გამოთქვა: "თბილისელებმა, პირველ რიგში, გრძელი სათადარიგო სკამით გვაჯობეს. მთელი შეხვედრის განმავლობაში მოთამაშეთა ხშირმა ცვლამ მეტოქეს მატჩის ბოლოსთვის ძალები შემოუნახა. ამ მხრივ ჩვენ პრობლემები გვქონდა, სრულფასოვანი შეცვლები ვერ განვახორციელეთ. ამის გამო დავმარცხდით".

მოკლედ, ყველაფერს მეხუთე მატჩი გადაწყვეტს. მართალი ყოფილა ნუგზარ კანდელაკი, როცა პირველი მოგებული მატჩის შემდეგ ამბობდა, "დინამო" თავის სიტყვას იტყვის და, შესაძლოა, ხუთი მატჩის თამაში მოგვიწიოსო. ისიც თქვა, თუ მანამდე ვერ მოვახერხეთ მოგება, ხუთი მატჩის სათამაშოდაც მზად ვართო...

ალპინიზმი

დამოუკიდებლობა ევერესტზე

A1 გვერდიდან

დიდი წვალების შემდეგ, როგორც იქნა, კარვის დასადგმელად მოედანი მოვაწყვეთ. დაახლოებით, მინუს 30 გრადუსია. პირველი საათისთვის კარავში დავეყარეთ. 5 საათზე მწვერვალისკენ გავემართეთ. მთელი მარშრუტის სიგრძეზე, 8 600 მეტრზეც კი, ამსვლელთა ფარნები ციმციმებდა. 8 500 მეტრზე ინათა. 8 600 მეტრზე ქედზე გავედით. მარშრუტზე თოკებია გაკიდული, ასე რომ სიარული შეიძლება. პირველი წინაღობა 20-მეტრიანი კედელია. ამავე კედელზეა 20 მთამსვლელი. საკუთარ რიგს საათზე მეტს ხანს ველოდეთ. მოულოდნელად ამინდიც მკვეთრად შეიცვალა – წამოვიდა თოვლი, ქარიც გაძლიერდა. მივადექით მეორე საფეხურს (8 700 მ). აქაც 30-კაციანი რიგია. ყველანი ნელა მიცოცავენ. რაკი ხალხზე ვარ პასუხისმგებელი, გადავწყვიტე, უკან გავბრუნებულიყავით. ჩვენთან ერთად რამდენიმე ექსპედიციაც დაეშვა. დღეს მწვერვალზე ასვლა და დაღუპვა ერთი და იგივე იყო. ჩვენი ექსპედიციის ყველა წევრს მოყინვა დაემართა.

7 500 მეტრზე გუჯაბიძე, მოსკალიოვი, სოიფერი, ლიტინსკი და ელაგინი "ფანჯარას" (კარგ ამინდს) ელოდებიან. მოწინავე ბანაკში ლარინი და პაშკოვი გვიცდიან.

25 მაისი: შეტყობინება 1: ამინდი არ გამოკეთებულა. ქარი იმდენად ძლიერია, რომ მწვერვალზე არც ერთი ექსპედიცია არ მუშაობს. შერპები ყველაფერს ქვევით ეზიდებიან.

კავშირი პირველი. დილის 10 საათი: დღეს დილით გუჯაბიძემ, ელაგინმა და ლიტინსკიმ ძლიერ ქარში 7 500-დან 7 900 მეტრზე აინაცვლეს. ხვალ 8 300 მეტრზე ასვლას აპირებენ. ვურჩიე, ამ სიმაღლეზე დღესვე ასულიყვნენ, ხვალ კი - მწვერვალზე. 26 მაისი საქართველოს დამოუკიდებლობის დღეა. ბიძინა ჯერ კიდევ ექსპედიციის დაწყებამდე, ნეპალში ყოფნისას ოცნებობდა, რომ მწვერვალზე ამ დღეს ასულიყო.

შეტყობინება 2: 22:00 საათზე მოულოდნელად რაცია ამუშავდა. გუჯაბიძემ შეგვატყობინა, ეს-ესაა, 8 300 მეტრზე ავედით, მაგრამ სიბნელეში კარავსა და ჟანგბადის ბალონებს ვერ ვაგნებთო. მე ავუხსენი, თუ სად რა იყო. დღეს ღამით ისინი მწვერვალის იერიშზე გადადიან. მიდით, ბიჭებო, ღმერთი თქვენკენ! ჩვენ კი ჩვენს ჯერს დაველოდებით.

26 მაისი: მოწინავე ბანაკში ცვალებადი ქარი ევერესტის დაპყრობის ყველანაირ იმედს გვიწურავს. ბევრმა ექსპედიციამ უკვე ხელიც ჩაიქნია, დანებდა. 8 300 მეტრიდან კავშირს ველით. მოწინავეში კი კარვები ზევით-ქვევით ხტუნაობს. 7 700 მეტრზე მყოფი სერგეი ლარინისგან 22:00 საათზე შევიტყვეთ (ცოტა ხნით ადრე ლარინი ექსპედიციას გამოეყო, რადგან სოლო-ასვლას გეგმავს. - რედ), რომ მას კარავში ესტუმრა იტალიური ექსპედიციის ლიდერი, რომელსაც უთქვამს, 8 300 მეტრზე ამინდის მომლოდინე რუსული ექსპედიციის სამ წევრს გადავეყარეო (სამ წევრში იტალიელი, ალბათ, გუჯაბიძეს, ელაგინსა და ლიტინსკის გულისხმობდა. - რედ).

ამის შემდეგ მოხდა ის, რაც თავში აღვნიშნეთ. თუმცა, გუჯაბიძეს მხოლოდ ელაგინმა აუბა მხარი. ასე რომ, 1999 წლის შემდეგ ბიძინა მეორედ ავიდა ევერესტზე. მაშინ ბენო ქაშაკაშვილთან, აფი გიგანთან და ლიოვა სარქისოვთან ერთად სამხრეთიდან დალაშქრა მწვერვალი.

ჩოგბურთი

მე თქვენ გიჩვენებთ სეირს!

პარიზი. საფრანგეთის ღია ჩემპიონატი. დიდი სლემის ტურნირი. პირველი წრე.

პიტ სამპრასი, როგორც ჩანს, კარიერას ამთავრებს. ლეგენდარულმა ამერიკელმა უარი განაცხადა საფრანგეთის ღია პირველობაში მონაწილეობაზე და ამ ნაბიჯით, საბოლოოდ აიღო ხელი განზრახვაზე, კარიერაში ერთხელ მაინც მოეგო "როლან გაროსის" ტურნირი. "დიდი სლემის" რიგით მეორე შეჯიბრებაში არ მონაწილეობს რუსი მარატ საფინიც. მას ხელის მტევანი აწუხებს და ამიტომაც პარიზულ ვოიაჟს რუსეთში დარჩენა ამჯობინა.



REUTERS

ანდრე აგასი იმუქრება

ჩვენს რუს კოლეგებს რომ ჰკითხოთ, საფინს საფრანგეთის ღია ჩემპიონატის მოგების უფრო მეტი შანსი ჰქონდა, ვიდრე ტიტულოვან ამერიკელს. მარატი რუსეთში "გრუნტის მეფედ" მიაჩნიათ და ფიქრობენ, რომ მისი წარმატება აქ სავსებით რეალური იქნებოდა. ეგეც არ იყოს, სამპრასს ტურნირის მოსაგებად აღარ შერჩა არც ფიზიკური ძალა და არც მოტივაცია, რომლითაც ის წლების განმავლობაში გამოირჩეოდა. ასე თუ ვიმსჯელებთ, გამოდის, რომ აგასი, ჰიუიტი, მოია და ფერერო სათვალავში არ უნდა მივიღოთ. არადა, საერთო აღიარებით, "როლან გაროსის" კორტებზე სწორედ ეს ჩოგბურთელები ქმნიან ამინდს.

როგორც უნდა ვთქვათ, ფაქტი ის არის, რომ სამპრასი და საფინი ტურნირში არ მონაწილეობენ. მათ ნაცვლად კი შეჯიბრების ორგანიზატორებმა პარიზში საფრანგეთის ღია პირველობის 1989 წლის გამარჯვებული ამერიკელი მაიკლ ჩანგი იხმეს. ბებერი ჩანგი კარგი ოსტატია, მაგრამ გიგანტი სამპრასისა და საფინისთვის მაინც სუსტი შემცვლელია. "როლან გაროსის" კორტებმა თავისი კალთებიდან უკვე დაიფერთხა პირველი ათეულის ორი ჩოგბურთელი - ტურნირის მე-5 და მე-10 ნომრები: შვეიცარიელი როჟე ფედერერი და ტაილანდელი პარადორნ შრიჩაპხანი. ასეთი ფონი ხელს უწყობს ანდრე აგასის ოცნებას - წლევანდელ სეზონში "დიდი სლემის" ოთხივე ტურნირი მოიგოს.

აგასიმ ავსტრალიის ღია ჩემპიონატი უკვე მოიგო და მის მადას თუ გავითვალისწინებთ, საფრანგეთში გამარჯვებაც სავსებით რეალური ჩანს. ტურნირის ბადე იმგვარად არის შედგენილი, რომ აგასი მსოფლიოს პირველ ჩოგანს, ლეიტონ ჰიუიტს, ფინალამდე ვერ გადაეყრება. ასე თუ ისე სერიოზული ბარიერი კი მას ნახევარფინალში ელოდება, სადაც ამბიციური ესპანელის კარლოს მოიას დამარცხება მოუწევს. ამდენად, ნახევარფინალამდე აგასის კიდევ ექნება ამოსუნთქვის საშუალება. ჰოდა, ამერიკელიც ამბობს: "მე თქვენ გიჩვენებთ სეირსო".

პირველ შეხვედრაში აგასის მეტოქედ სლოვაკი კაროლ კუჩერა ერგო. სლოვაკი ჩოგბურთელი შეუპოვრობით კი გამოირჩევა, მაგრამ არც იმ კალიბრის ჩოგბურთელია, რომ არაჩვეულებრივ ფორმაში მყოფ ამერიკელს სერიოზული წინააღმდეგობა გაუწიოს. "ეს მატჩი, ძალების მობილიზაციის თვალსაზრისით, ჩემთვის უაღრესად მნიშვნელოვანი იყო. კარგია, რომ პროცესმა დადებითად ჩაიარა და მატჩიც სამ სეტში დასრულდა", - განაცხადა აგასიმ, რომელსაც წლევანდელ სეზონში იშვიათად უხდება მომქანცველი, ხუთსეტიანი მატჩების თამაში და საქმეს, ძირითადად, სამ (იშვიათად ოთხ) სეტში აგვარებს. "ესეც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ჩემი წარმატებისთვის, რადგან საშუალებას მაძლევს, ძალები მთელი ტურნირისთვის თანაბრად გავანაწილო", - ამბობს აგასი.

გუშინდელი დღის უმთავრესი მოვლენა კი ერთ დროს პირველი ჩოგნის, ჩილელი მარსელო რიოსის კაპიტულაცია იყო. რიოსმა ხორვატ მარიო ანჩიჩთან შეხვედრის მეორე სეტში თამაში შეწყვიტა. ასპარეზობას გამოეთიშა კიდევ ერთი განთესილი - ტურნირის მე-16 ნომერი, ესპანელი ალექს კორეჩა. ოთხსეტიანი ბრძოლის შემდეგ მან თანამემამულეს, გალო ბლანკოს დაუთმო გზა.

ქალთა თანრიგში შეჯიბრება არ არის ისეთი ბობოქარი ხასიათის, როგორც ვაჟებში. ჯერჯერობით ფავორიტები აშკარად ჩაგრავენ პრეტენდენტებს. ერთადერთი ფაქტი, რომელმაც განთესილებს სიმყუდროვე დაურღვია, ტურნირის 27-ე და მე-13 ნომრების, ამერიკელი ალექსანდრა სტივენსონისა და რუსი ელენა დემენტიევას წარუმატებლობაა. სტივენსონი მადაგასკარელმა დალი რანდრიანტეფმა ორ სეტში ისე ოსტატურად დაამარცხა, რომ მაყურებელთა საყოველთაო ოვაცია დაიმსახურა. იგივე დღე დაადგა დემენტიევას ესპანელი მარია სანჩეს-ლორენცოსგან.

მეორე წრეში გავიდნენ ფავორიტები: ტურნირის პირველი ნომერი, ამერიკელი სერენა უილიამსი, მეორე ნომრად განთესილი ბელგიელი კიმ კლიისტერსი, მესამე ნომერი პაოლა სუარესი და ფრანგების იმედი ამელი მორესმო, რომელმაც ორ სეტში დაამარცხა თანამემამულე ვირჯინი რაცანო - 6:3, 7:5.

ვაჟები

ანდრე აგასი (აშშ, 2) - კაროლ კუჩერა (სლოვაკეთი)	6:2, 6:3, 6:3
ხუან კარლოს ფერერო (ესპანეთი, 3) - მიშელ კრატოშვილი (შვეიცარია)	7:5, 7:5, 6:4
ალბერტ კოსტა (ესპანეთი, 9) - სერხიო როიტმანი (არგენტინა)	6:7 (3:7), 2:6, 7:5, 6:2, 6:2
გასტონ გაუდიო (არგენტინა, 21) - პოლ-ანრი მატიე (საფრანგეთი)	7:5, 6:3, 6:3
ოლივიე მუტი (საფრანგეთი) - ჟერომ გოლმარი (საფრანგეთი)	6:2, 6:7 (5:7), 6:2, 6:3
დავიდ ფერერი (ესპანეთი) - იურგენ მელცერი (ავსტრია)	6:2, 6:2, 7:6 (7:2)
ჯეიმს ბლეიკი (აშშ, 24) - ტეილორ დენტი (აშშ)	6:4, 6:3, 7:6 (7:3)
მარკ ლოპესი (ესპანეთი) - ნიკოლა მაჰუ (საფრანგეთი)	7:5, 6:1, 7:6 (7:5)
ივან ლიუბიჩიჩი (ხორვატია) - კაროლ კუჩერა (სლოვაკეთი)	6:2, 6:3, 6:2
გალო ბლანკო (ესპანეთი) - ალექს კორეჩა (ესპანეთი, 16)	5:7, 6:3, 6:0, 7:5
ევგენი კაფელნიკოვი (რუსეთი, 17) - ჟიულიენ ბუტე (საფრანგეთი)	6:1, 6:2, 6:4
ფლავიო სარეტა (ბრაზილია) - ალბერტო მარტინი (ესპანეთი)	7:6 (7:4), 6:0, 6:0
ირჟი ნოვაკი (ჩეხეთი, 13) - ჟიულიენ ბენეტო (საფრანგეთი)	6:2, 6:3, 6:2
მარიო ანჩიჩი (ხორვატია) - მარსელო რიოსი (ჩილე)	6:1, 1:0 რიოსმა თამაში შეწყვიტა
ხუან იგნასიო ჩელა (არგენტინა, 31) - სირილ სოლნიე (საფრანგეთი)	3:6, 7:6 (7:3), 6:3, 7:5
მიხაილ იუჟნი (რუსეთი, 27) - დავიდ სანჩესი (ესპანეთი)	6:3, 6:0, 6:0
ჯორჯო გალიმბეტი (იტალია) - ივო ჰოიბერბერი (შვეიცარია)	7:6 (7:5), 4:6, 6:2, 6:2
მარკ ფილიპუსისი (ავსტრალია) - ალექს კიმი (აშშ)	2:6, 6:7 (1:7), 7:5, 6:2, 6:2
გილიერმო კორია (არგენტინა, 7) - ანდრე სა (ბრაზილია)	6:3, 6:1, 6:1
ატილა სავოლტი (უნგრეთი) - ანდრეას ვინჩიგერა (შვედეთი)	7:5, 7:6 (7:4), 4:6, 6:0
ნიკოლას კიფერი (გერმანია) - ტოდ ლარკამი (ავსტრალია)	6:3, 6:3, 4:6, 2:6, 6:3

ქალები

კიმ კლიისტერსი (ბელგია, 2) - ემი ფრეზერი (აშშ)	6:2, 6:0
მარია სანჩეს-ლორენცო (ესპანეთი) - ელენა დემენტიევა (რუსეთი, 13)	6:3, 6:3
სუსანა ონდრასკოვა (ჩეხეთი) - ბახია მუტასინი (მაროკო)	6:1, 6:2
მაია მატევზიჩი (სლოვენია) - ანკა ბარნა (გერმანია)	5:7, 7:5, 7:5
პაოლა სუარესი (არგენტინა, 3) - ედინა გალოვიტცი (რუმინეთი)	6:1, 6:0
ელენა დოკიჩი (სერბეთი, 10) - ანგელიკა რეში (გერმანია)	6:4, 6:4
ვერა ზვონარევა (რუსეთი,22) - მარტინა მიულერი (გერმანია)	6:1, 6:3
კარა ბლეკი (ზიმბაბვე) - მირიამ კაზანოვა (შვეიცარია)	6:4, 4:6, 6:4
აი სუგიამა (იაპონია, 16) - ვირჯინია რუანო პასკუალი (ესპანეთი)	4:6, 6:4, 6:4
ელენა კოსტანიჩი (ხორვატია) - სოფი ლეფევრი (საფრანგეთი)	7:5, 6:7 (5:7), 6:4
დალი რანდრიანტეფი (მადაგასკარი) - ალექსანდრა სტივენსონი (აშშ, 27)	6:3, 6:3
ფაბიოლა სულუაგა (კოლუმბია) - ტამარინ ტანასუგარნი (ტაილანდი)	6:0, 6:2
მაგი სერნა (ესპანეთი) - მარია შარაპოვა (რუსეთი)	6:3, 6:3
ელენი დანილიდუ (საბერძნეთი, 14) - ნიკოლ პრატი (ავსტრალია)	6:4, 6:3
სანდრა კლეინოვა (ჩეხეთი) - სარა ტეილორი (აშშ)	6:3, 6:4
ამელი მორესმო (საფრანგეთი, 5) - ვირჯინი რაცანო (საფრანგეთი)	6:3, 7:5
მარი-გენ მიქაელიანი (შვეიცარია) - ანგელიკ ვიდაია (ინდონეზია)	6:3, 4:6, 7:5
ჩანდა რუბინი (აშშ, 8) - ჰენრიეტა ნაგიოვა (სლოვაკეთი)	6:2, 6:4
პეტრა მანდულა (უნგრეთი) - მარტა მარერო (ესპანეთი)	6:2, 6:3
ლუდმილა ჩერვანოვა (სლოვაკეთი) - ელს კალენსი (ბელგია)	7:6 (7:4), 6:3
ივა მაიოლი (ხორვატია) - იუნ ჩო (ს. კორეა)	4:6, 7:5, 6:0
სტეფანი კოენ ალორო (საფრანგეთი) - ნატალია გუსსონი (არგენტინა)	6:1, 7:5
ლინა კრასნორუცკაია (რუსეთი) - ჯილ კრეიბასი (აშშ)	6:1, 6:3
პატი შნაიდერი (შვეიცარია, 19) - ვირჯინი პიშე (საფრანგეთი)	6:1, 6:0
სტეფანი ფორეტსი (საფრანგეთი) - ევა ბირნეროვა (ჩეხეთი)	6:4, 7:5
კლარისა ფერნანდესი (არგენტინა, 28) - მარი პირსი (საფრანგეთი)	6:2, 6:3
ფლავია პენეტა (იტალია) - ამანდინ დულონი (საფრანგეთი)	6:4, 6:4
ლიზა რეიმონდი (აშშ, 21) - შინობუ აგაპოე (იაპონია)	6:1, 7:5
ბარბარა შეტი (ავსტრია) - აკიკო მორიგამი (იაპონია)	4:6, 6:4, 6:0
დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი, 9) - ალინა ჟიდკოვა (რუსეთი)	2:6, 6:0, 6:1

Giro d'Italia

თავხედებს ალპები დასჭის

ირაკლი ბერიაშვილი

ისე ჩანს, რომ ყველა მთავარი მაისურა თავ-თავის პატრონს ჩაბარდა. ვარდისფერი - ჯილბერტო სიმონის, მწვანე - ალესანდრო პეტაკის, ყვითელი - ფრედი გონსალესს. პირველი საერთო ჩათვლაში ლიდერსაა, მეორე - საუკეთესო სპრინტერის, მესამე - საუკეთესო მთიელის.

პელოტონი კი გზაზეა. ჯერ კიდევ იტალიური ალპების აღმართ-დაღმართებზე მიიკლაკნება და მილანომდე ხუთი ძალიან რთული ეტაპი აქვს გასავლელი.

მაისურები დარიგდა, მაგრამ კაცმა არ იცის, რა მოხდება. დადგა ყველაზე კრიტიკული დრო. დრო, რომელსაც მარათონში ოცდამეცამეტე კილომეტრს ეძახიან. მრავალდღიანებში, კერძოდ, წლევანდელ ჯიროში კი მეთვრამეტე და მეცხრამეტე ეტაპები ჰქვია.

შარშან ამ დროს დარიო ფრიგო სულ რაღაც ორ ნაბიჯზე იყო ყველა ველომრბოლის საოცნებო ტიტულისგან. ბოლოსწინა მთის ეტაპმა ოცნება, რომელიც ხელის განვდენაზე იყო, სამუდამოდ თუ არა, გაურკვეველი ვადით მაინც გადადო. ყველაფერი უცებ მოხდა. შუა აღმართზე სპორტსმენი ერთბაშად მომჩვარდა; ძალამ, ნებისყოფამ, პატივმოყვარეულმა ფიქრებმა ერთად მიატოვა. ამ ახალგაზრდა, ნამდვილად პერსპექტიულ სპორტსმენს ერთადერთი მიწიერი სურვილიღა შერჩა – როგორმე მიეღწია ფინიშამდე.

ასეთი რამეები საკმაოდ ხშირია მრავალდღიანებში და სწორედ უკანასკნელ მთის ეტაპებზე ხდება ხოლმე. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ წინ ყველაზე მაღალი და ყველაზე გრძელი უღელტეხილებია გადასავლელი, მაისურების ბედი, ჯობს, ესიშეს ოცკილომეტრიან, სამპეირეს თექვსმეტ და კანალეს ოცკილომეტრიან აღმართებს მივანდოთ. ეს ყველაფერი ხვალ, ერთ - მეთვრამეტე ეტაპზე იქნება. ხვალ ორჯერ ასცდება პელოტონი ალპურ ზონას. მერე კი მეცხრამეტე ეტაპის - კასკატა დელ ტორეს თვრამეტკილომეტრიანი ფინალური აღმართი და უკანასკნელი, ოცდამეერთე ეტაპის ინდივიდუალური რბოლაა. გადაურჩება კი პელოტონი დიდ დანაკარგებს, ვითომ ლიდერებიდან არავინ მოხვდება იმათ შორის, ვინც ხელს აიღებს აგრერიგად ნალოლიავებ მიზნებზე?

REUTERS

გამარჯვებული ალესანდრო პეტაკი

ტექნიკური შედეგები

XVI ეტაპი. არკო დი ტრენტო - პავია. 207 კმ.

1. ალესანდრო პეტაკი ("ფასა ბარტოლო", იტალია)	4 სთ. 39 წთ. 34 წმ.
2. ჯიმი კასპერი ("FDJ", საფრანგეთი)	იგივე დრო.
3. იან სვორადა ("ლამპრე", ჩეხეთი)	იგივე დრო.

საერთო ჩათვლა

1. ჯილბერტო სიმონი ("საეკო", იტალია)	71 სთ. 21 წთ. 26 წმ.
2. სტეფანო გარძელი ("ვინი კალდიროლა", იტალია)	+1 წთ. 58 წმ.
3. იაროსლავ პოპოვიჩი ("კოლნაგო", უკრაინა)	+4 წთ. 05 წმ.
4. ანდრეა ნოე ("ალესიო", იტალია)	+5 წთ. 16 წმ.
5. რაიმონდას რუმსასი ("ლამპრე", ლიტვა)	+6 წთ. 11 წმ.
6. ფრანჩესკო კასაგრანდე ("ლამპრე", იტალია)	+6 წთ. 57 წმ.

ნინო პრიმა

1960 წელს გარდაიცვალა ჯიროს ოთხგზის გამარჯვებული ფაუსტო კოპი. რომში კი ოლიმპიური თამაშები დაიწყო.

1961 წელს იტალიის გაერთიანების 100 წლისთავი აღინიშნებოდა და ჯირომ მეტად პომპეზურ ვითარებაში ჩაიარა. პელოტონმა სტარტი ტურინში აიღო. გაიარა რომი, ფლორენცია, გენუა - ყველა ის ქალაქი, რომელთაც დიდი როლი შეასრულეს იტალიის გაერთიანებაში. პელოტონი გემით გადავიდა სიცილიასა და სარდინიაში.

ჯიროს მონაწილეებმა იმ წელიწადს ლამის მთელი იტალია შემოიარეს. ლუქსემბურგელ შარლ გაულს გულით სურდა, ეს საზეიმო ჯირო თავის ტრიუმფად ექცია, მაგრამ, იტალიელთა გულის გასახარად, არნალდო პამბიანკომ "ჩენტენარიო" არ ჩაუმწარა თანამემამულეებს და ჯირო თავად მოიგო.

ფლავიო კარბონე

ეს უსამართლობაა. ვიღაც ნაყინის გამყიდველის გამო გაზაფხულის ეს მშვენიერი დღეები ამ ოთხ კედელში უნდა ვხეხო. ექიმები მეუბნებიან, სამი-ოთხი დღე და, გაგიშვებთო. ვითომ მივუსწრებ ჯიროს ფინიშს?

ძალიან კი მინდა. მილანოში ხომ პირველი, ფაქტობრივად, მე უნდა შევსულიყავი. მე, ჩემი ყვითელი მოტოციკლით.

ბიჭები დამცინიან. იმ არემარეში ერთადერთი ხე იდგა, როგორ მოძებნეო. საიდანღაც გაუგიათ, ფრანკენშტეინს რომ მეძახიან. აბა, ეგეთი თავისა და, საერთოდ, ეგეთი გაბარიტების პატრონი როგორ აცდებოდიო.

ეჰ, დაცინვას კაცი არ მოუკლავს. ერთი ჩემს მოტოციკლზე დამაბრუნა და, რაც გინდა, ის ილაპარაკონ.

ამ წერილს ერთი პატარა ქალაქის (სახელიც კი არ ვიცი) კლინიკიდან გიგზავნით. ნინოს ჩემი დიდი სიმპათიები გადაეცით. მანდ კი ყველანი მომიკითხეთ. ინგას უთხარით, ნუ იდარდებს, ისეთი ფრანგული დიეტა გამოვუგზავნო, თოკზე გადასაკიდი გახდეს.

ამ ბოლო დროს უცნაური ფიქრები მიტრიალებს. მეშინია, ავარიის ბრალი არ იყოს. მოკლედ, არ მასვენებს ფიქრი, რომ, რადაც უნდა დამიჯდეს, როგორც გამაკარბონეს, ისევე უნდა გავაბაიშვილდე. ტურ დე ფრანსიც ჩავათავოთ და მერე... აბა, კარგად იყავით. ყველანი მიყვარხართ.

ირაკლი

აი, ეგეთ დღეშია ჩვენი ფლავიო. ეს მეთექვსმეტე ვაკე-ეტაპი კი ისევ... ჰო, რა თქმა უნდა, ალესანდრო პეტაკიმ მოიგო. აბა, რა იქნება, საწყალი "მარიო ბრწყინვალე" შვებულებაში გაუშვეს, დანარჩენები კი სათვალავში ჩასაგდები ნამდვილად არ არიან.

ფოლიანტი

კახა ფაჩუაშვილი

მიდი, მოადე!

ჯეკ შარკი (პაულ ჟუკაუსკასი)

უცნაურია ეს ყველაფერი. ჯეკ დემპსი ინდიელ-ირლანდიელი იყო, ჯეკ შარკი - ლიტველი, როკი მარჩიანო – იტალიელი, ყველანი ერთად კი - ამერიკელები. ნოდარ დუმბაძის ცნობილი პერსონაჟისა არ იყოს, როგორ შეიძლება ინდო-ირლანდიელი, ლიტველი და იტალიელი ამერიკელები იყვნენ? როგორ და ასე. ჯეკ შარკი, მაგალითად, ლიტველი ემიგრანტის ვაჟი იყო. მისი ოჯახი ამერიკაში გადასახლდა და ასე გახდა პაულ ჟუკაუსკასი ჯეკ შარკი.

თანამედროვეები აღიარებენ, რომ შარკი თავიდანვე მოუსვენარი და ახირებული ბავშვი ყოფილა. საკმარისია ითქვას, რომ დამოუკიდებელი შრომა 12 წლის ასაკში დაიწყო. აკეთებდა ყველაფერს, რასაც მისი ბავშვური ჭკუა სწვდებოდა. დიდი ფიზიკური ძალითაც გამოირჩეოდა. ეს ფიზიკური ძალა აჭმევდა პურს. შარკი 1902 წლის 26 ოქტომბერს დაიბადა. პირველი მსოფლიო ომის დროს ამერიკის საზღვაო ძალებში მსახურობდა. ჩხუბი კი 16 წლის ასაკში დაიწყო. გახდა ეროვნული გვარდიის ჩემპიონი, ხოლო

ჯეკ შარკი

მას შემდეგ, რაც 1927 წელს მსოფლიო ჩემპიონმა ჯინ ტუნეიმ რინგი დატოვა, შარკის გაუჩნდა საუკეთესო შანსი, მისი ადგილი დაემკვიდრებინა. ამერიკელები მას კარგად იცნობდნენ. სწორედ შარკი შეება 25 წლის ასაკში ლეგენდარულ ჯეკ დემპსის და საინტერესო მოვლენების შემდეგ რინგზე გაიშხლართა. ნოკაუტის შემდეგ შარკის თითქოს უარი უნდა ეთქვა "კრივის მეფის" გვირგვინზე, მაგრამ სინამდვილეში მოვლენები სრულიად სხვაგვარი სცენარით წარიმართა.

შარკის ამტანობა და ფიზიკური ძალა კი ამკობდა, მაგრამ მოკრივის ოსტატობა აშკარად ღალატობდა. ის მსახურობდა სამხედრო გემზე, სადაც ისწავლა კიდეც ჩხუბი, მაგრამ ამ გარემოში რინგზე ბრძოლა, ბარებსა თუ ღამის კლუბებში შეხლა-შემოხლისგან დიდად არ განსხვავდებოდა. ამიტომ შარკის მთავარი ღირსება სიმამაცე და გამანადგურებელი დარტყმები იყო. ამის გამო მისი აღზევება გვიან დაიწყო.

შარკიმ რამდენიმე გახმაურებული ბრძოლა მოიგო. დაამარცხა ბრიტანეთის ჩემპიონი სტივ სკოტი (ნოკაუტი მესამე რაუნდში). ქვემძიმე წონაში სხვადასხვა წლებში მსოფლიო ჩემპიონები, ამერიკელები: ტომი ლაურენი და ჯეკ დელანი. ბოლოს კი შესანიშნავი იანგ სტრიბლინგი, რომელიც შარკისთან ბრძოლამდე დაუმარცხებლად მიიწევდა ჩემპიონის ტიტულისკენ.

სტრიბლინგის დამარცხების შემდეგ ჯეკ შარკი სატიტულო ბრძოლის უმთავრესი პრეტენდენტი გახდა, მაგრამ ბრძოლის გასამართავად საჭირო იყო მეორე პრინცი. ამერიკაში კი ასეთი არ მოიძებნა. ამიტომ პრომოუტერებმა თავიანთი მზერა ევროპას მიაპყრეს. აქ მათ თაგბრუ დაესხათ. თითქმის ყველა სახელმწიფომ თავისი კანდიდატურა წამოაყენა. სწორედ ამ დროს გერმანელმა მაქს შმელინგმა ევროპის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა და ყველაფერს თავისთავად ნათელი მოეფინა. მეორე პრეტენდენტი გამოჩნდა.

1930 წლის 12 ივნისს მსოფლიო ჩემპიონის წოდებისთვის ერთმანეთს შეხვდნენ 25 წლის შმელინგი და 28 წლის ამერიკელი ლიტველი ჯეკ შარკი. პირველი სამი რაუნდი ამერიკელის უდავო უპირატესობით წარიმართა და შარკის საყვარელი, წარმატებული ახლო ბრძოლის შემდეგ მაქს შმელინგმა მარჯვენა თვალი საბოლოოდ დახუჭა. თუმცა, მოულოდნელად გერმანელი გამოცოცხლდა და ჯეკს რამდენიმე უძლიერესი დარტყმა მიაყენა. ამის თაობაზე შმელინგის ბანაკი აცხადებდა, რომ გეგმის მიხედვით შმელინგმა ჯერ გახსნა მეტოქე, შემდეგ კი შეტევაზე გადავიდაო. ასეა თუ ისე, ბრძოლა მაინც უცნაურად დასრულდა. მეოთხე რაუნდში წელს ქვემოთ დარტყმისთვის ჯეკ შარკს დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს. ამ დარტყმით ნოკაუტირებული მაქს შმელინგი კი მსოფლიო ჩემპიონი გახდა. ამის გამო გერმანელს "ჰორიზონტალური ჩემპიონი" შეარქვეს და დღემდე ირონიით იხსენებენ, რომ შმელინგი მსოფლიოს ერთადერთი აბსოლუტური ჩემპიონი იყო, რომელმაც უმაღლესი ტიტული იატაკზე გაშხლართულმა მიიღოო.

უიღბლო შარკიმ მატჩ-რევანში მოითხოვა. მან დაარღვია წესი, მაგრამ შემთხვევით და ამიტომ უფლება აქვს, განმეორებითი ბრძოლა მოითხოვოს. ამასობაში კი მაქს შმელინგი ლაინერით ოკეანეს სერავდა. გერმანიაში ის ეროვნული გმირივით მიიღეს. შარკის კი შმელინგის სისხლი სწყუროდა და მზად იყო, გაენადგურებინა ყველა, ვინც გზას გადაუღობავდა. ერთ-ერთი ასეთი მამაცი მოკრივე იტალიელი პრიმო კარნერა აღმოჩნდა. 120-კილოგრამიანი გიგანტი გამოუცდელი და ხისტი ბრძოლისთვის მოუმზადებელი იყო. მან ბოლომდე გაძლო, მაგრამ უკანასკნელ რაუნდებში სავარჯიშო ტომარას დაემსგავსა. შარკიმ იტალიელს იმდენი ურტყა, რომ თითი მოიტეხა, მაგრამ აგრესია ტკივილზე მძლავრი აღმოჩნდა, ამიტომ ბრძოლის დასრულებამდე შარკის ამ წვრილმანისთვის ყურადღება არ მიუქცევია. საბოლოოდ კარნერა უმოწყალოდ გაილახა. ამერიკელი მაყურებელი კი ოლიმპზე შარკის აღზევებას მოითხოვდა. ამ შეგნებით მოქმედებდნენ მატჩის ორგანიზატორებიც. როცა მაქს შმელინგის მენეჯერმა ჯო ჯეკობსმა შეიტყო, რომ რინგზე რეფერი გენბოტ სმიტი - შარკის ძველი მეგობარი იქნებოდა, უმწეოდ განაცხადა: "ჩემს ბიჭს არავითარ შემთხვევაში არ მოაგებინებენ!".

მატჩ-რევანში 1932 წლის 21 ივნისს გაიმართა. შმელინგი ბრძოლისთვის შესანიშნავად მოემზადა. სერიოზული სპეციალისტები ამტკიცებდნენ, რომ მაქსმა სრულიად აშკარად მოიგო 8 რაუნდი, 6 წააგო, ერთი კი ფრედ დაასრულაო. ამის მიუხედავად, სმიტმა ყოფილი მეზღვაურის ხელი აღმართა. აღტაცებულმა მაყურებელმა შმელინგი ოვაციით გააცილა. ამერიკის თვით ყველაზე შეუპოვარი პატრიოტებიც კი გრძნობდნენ უსამართლობას და დანაშაულს შმელინგის მიმართ.

რაც შეეხება შარკის, მან დიდხანს ვერ შეინარჩუნა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული. 1933 წლის 29 ივნისს ნიუ-იორკის "ლონგ-აილენდის" სტადიონზე ჯეკ შარკისა და პრიმო კარნერას შორის ერთგვარი მატჩ-რევანში შედგა. ჩემპიონი მამაცურად ებრძოდა გიგანტს. მეორე რაუნდში უძლიერესი დარტყმა მიაყენა ყბაში. მეხუთე რაუნდში კარნერამ ორი გაფრთხილება მიიღო, მაგრამ მეექვსე რაუნდში, შმელინგისა არ იყოს, მოულოდნელად, ვეზუვივით აფეთქდა და ორი აბერკოტით მსოფლიო ჩემპიონი რინგზე დასცა.

ამ დამარცხების შემდეგ შარკი რამდენიმე წლის განმავლობაში (1936 წლამდე) კიდევ ჩხუბობდა, მაგრამ უშედეგოდ. თავისი უკანასკნელი ბრძოლა მან კრივის ამომავალი ვარსკვლავის ჯო ლუისის წინააღმდეგ გამართა. ჯეკ შარკი საუკეთესო ათეულში 8 წლის განმავლობაში ინარჩუნებდა ადგილს. ამასთან, სამჯერ, 1932-1933 წლებში საუკეთესო იყო.

ყოფილი ჩემპიონი 1994 წლის 17 აგვისტოს, 92 წლის ასაკში გარდაიცვალა.

„ხალხის პირისპირ" - ეს არის ტელევიქტორინა, რომლისთვისაც თქვენ, მაყურებლები შეადგენთ კითხვებს და მოიგებთ ფულს, თუ თქვენი შეკითხვა ჩაჭრის სტუდიაში მონვეულ კონკურსანტს.

ხალხის პირისპირ

შეაესეთ ბლანკი, ამოჭერით და გამოგვიგზავნეთ, შეკითხვების მიღება უფასო. (მთხოვთ, გაეცნოთ ქვემოთ მოყვანილ წესებს).

შეკითხვები არ მიიღება გაზეთის ქსეროასლით

შეკითხვის ტესტი:	პასუხის ტესტი:
1	
2	
3	
4	
5	

სახელი და გვარი

ბინის მისამართი

საქმიანობის ტელეფონის ნომერი

ბინის ტელეფონის ნომერი

მობილური ტელეფონის ნომერი

წესები კითხვების შედგენისა:

კითხვები ეფუძნებოდეს "ხალხის პირისპირ" მიღებულ მასალებს. შეიძლება ასევე ეფუძნებოდეს ფილმებსა სამეცნიერო, კულტურულ "ოქროსფერი 2", ტელეტექსტებსა "ხალხის პირისპირ", ეკონომიკურ 43.30077 ინდექსს, ან მოიტანოს ისევ მასალებიდან და ნებისმიერ პირველ სანიადაგოდ მოიცავდეს სპეციალურ ეფექტს.

სამეცნიერო კითხვა "ოქროსფერ 2" უფლებას იტოვებს ტელეტექსტიდან ეფუძნებოდეს. ტელეტექსტებიდან შეიძლება ან არ ეფუძნებოდეს ოქროსფერ 2". "ოქროსფერ 2" არ ითვალისწინებს ეიკონიკი - ეფუძნებოდეს თუ არა იქნებს ბიჭ ბიჭიდან შეკითხვის.

ბილეთის შეტანის ვადაა: ექვს დღეზე ნაკლებ ვადაში.

ამ ბილეთში შეიტანოთ ინფორმაციები ეფუძნებოდეს ხელი შეკითხვა. შეიძლებოდეს შეიტანოთ და ეფუძნებოდეს ეფუძნებოდეს ინფორმაციები.

თუ ეფიანმენტებით ჩვენს წესებს, გთხოვთ, სანდო მოაწეროთ ბლანკს და მიუთითოთ შეკითხვის თარიღი.

ხელმოწერის გარეშე კითხვა არ მიიღება.

განათლების სამინისტროს საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი „მზიური" გთავაზობთ:

კომპიუტერის შემსწავლელ კურსს თემებით:

- კლავიატურაზე ბეჭდვის ათვისებული მეთოდი,
- საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება – MS Word,
- ალრიცხვა,საბუღალტრო-ეკონომიკური ამოცანები – MS Excel.
- ლოკალური ქსელი,ინტერნეტი,ელ-ფოსტა,
- ოპერაციული სისტემა Windows.

ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.

მისამართი: ი. ჭავჭავაძის №25 ტელ:29-48-61

ქართულ ლიგაში გაწევრიანების მსურველებს გთხოვთ დაგვიკავშირდეთ შემდეგ ტელეფონებზე: 91-07-23; 91-07-45; ან მობრძანდეთ შემდეგ მისამართზე: წერეთლის გამზირი 118 (ყოფილი "კოსმოსი"-ს შენობა) ყოველდღე 9^{00}-დან 20^{00}-მდე. "ქართული ლიგა" (საქართველოს ომის ვეტერანთა სამოქალაქო კავშირი)

აფიშა

თეატრები

- **ერთი მსახიობის თეატრი „ვერიკო„**
"ილია", რეჟ. კოტე მახარაძე
დას: 18.00 სთ; ფასი 3 ლარი
- **თეატრალური სარდაფი ვაკეში**
"ვენეციელი ვაჭარი", რეჟ. ლევან წულაძე
დას: 19.00 სთ; ფასი 10 ლარი
- **თეატრალური სარდაფი**
ნინო ბასილია "თაგვი", რეჟ. ლევან წულაძე
დას: 20.00 სთ; ფასი 5 ლარი
- **თავისუფალი თეატრი**
"ჭინსების თაობა (დაგვიანებული რეკვიემი)", რეჟ. დათო დოიაშვილი
დას: 19.00 სთ; ფასი 3,7,10 ლარი

საგამოფენო დარბაზები

- **გოეთეს ინსტიტუტი**
შტრავალდეს ინტერპრეტაციები მხატვრულ ღია ბარათებზე
გახსნა 17.00 სთ
- **ძველი გალერეა**
ლევან ხარანაულის პორტრეტების გამოფენა
- **უნივერსი**
ჭგუფური გამოფენა (ფერწერა, გრაფიკა)
- **„ქარვასლა„**
- **საერთაშორისო გამოფენა** Appendix
ნატ მიულერი, ფოამ-ის პრეზენტაცია
ჭგუფური გამოფენის ავტორები: ჰარუნ ფაროკი, ლევან ჭოღოშვილი, მარიცა გოევიჩი, სტეფან ფოშტეტლერი, ორხან ჰუსეინოვი, დავით კარეიანი, კარინე მაწაკიანი, ევა შტელე, გიო სუმბაძე, მატიას ვენერი, გელა კინნურაშვილი, თემურ ჭავახიშვილი, რაუფ ხალილოვი, ტორა აგაბეკოვა
- **აბრეშუმის ფაბრიკა**
Schweizer Int.
- **დიუმას სახელობის ფრანგული კულტურის ცენტრი**
გურამ წიბახაშვილის, მარიცა გოევიჩისა და ნიკო ლომაშვილის ნამუშევრები
- **„კლუბი 22"**
იოჰან გრიმონპრე
- **9 აპრილის სახელობის პარკი:**
ატელიე ვან ლისჰაუტის "ციხე"
- **გალერეა „არტ-სინთეზი"**
სტივენ ბლუმი
- **საზოგადოებრივ ადგილებში**
წარმოდგენილი იქნება ფილიპ მესტის ნამუშევრები

კინოთეატრები

- **„ამირანი"**
"მატრიცა 2"
დას: 13:00; 16:00; 19:00; 22:00 სთ; ფასი 6-10 ლარი
- **„ელისო"**
"ახალდაქორწინებულები"
დას: 15.00, 19:00 ფასი 5,7 ლარი
"ცისფერი კრუიზი"
დას: 17:00, 21:00 ფასი 5,7 ლარი
- **„რუსთაველი"**
"მაუგლი"
დას: 12:00; 13:30; 15:00; 16:30; 17:45 სთ; ფასი 3,5 ლარი
"ცისფერი კრუიზი"
დას: 19.00, ფასი 5 ლარი
"ახალდაქორწინებულები"
დას: 21:30 ფასი 9 ლარი

ბინები

იყიდება

იყიდება 3-სართულიანი კერძო სახლი მცხეთაში, ფიქრის გორაზე - შიო მღვიმელის ქ. 4 ; 600 კვ. მ. მიწის ნაკვეთით. არის ბუნებრივი აირი, ტელეფონი თბილისის ნომრით, საცურაო აუზი და ავტოფარეხი ორი ავტომობილისათვის. სახლი აშენებულია 1992 წელს. დარეკეთ ტელეფონზე: ტელ: 94-12-12, იკითხეთ ლია.

იყიდება 2,5-იანი გარემონტებული სუფთა ბინა, რკინის კარით, პარკეტით, ბუნებრივი აირით, ორი აივნით, სათავსოებით, ორი სარდაფით, ავტოფარეხის ადგილით. ორხევი, მუხაძის 6/6, I სადარბაზო, III სართ. N7. ტელ: 76-87-48, 893 32-28-12, 893 20-75-91.

იყიდება ან ქირავდება 5-ოთახიანი ბინა მაღალ ბელეტაჟზე კეკელიძის 25-ში. ბინის საერთო ფართი 160 კვ.მ. ავტონომიური გათბობის სისტემით, ბარით, სარდაფით და ავტოფარეხით. გაქირავების ფასი 380 $, გაყიდვის ფასი 50 000 $. 23 40 68, 8(93) 32 32 74

იყიდება ჩეხური პროექტის 3-ოთახიანი ბინა რჩეულიშვილის ქუჩაზე, კაპიტალური სარდაფით, ავტოფარეხით, ტელეფონით, კონდიციონერით, წყლის გამაცხელებლით. ფასი 24 000$. ტელ 29-17-53, 899 548425

იყიდება 1500 კვ.მ. ხეხილიანი საგარაკე მიწის ნაკვეთი. შემოღობილი. არის სარწყავი წყალი, დენი, კარგი გზა, სახლის ფუნდამენტი. თბილისიდან 20 კმ-ში გომბორის გადასახვევამდე. ფასი შეთანხმებით. ტელ: 23-11-38

იყიდება დოლიძის ქუჩაზე 5-ოთახიანი ნათელი ბინა 2(8) დარჩენილია კოსმეტიკური სამუშაო, ორი აივნით, დიდი სათავსით, მანქანის სადგომით. ფასი: 32 000$. ტელ: 23-11-38

განვადებით შევიძენ 2 ან 3 ოთახიან ბინას 3 000 დოლარის წინასწარ გადახდით. ტელ: 77-73-54, 77-75-73 კახა.

იყიდება ჩეხური პროექტის 3-ოთახიანი ბინა რჩეულიშვილის ქუჩაზე, კაპიტალური სარდაფით, ავტოფარეხით, ტელეფონით, კონდიციონერით, წყლის გამაცხელებლით. ფასი 24 000$. 29 17 53, 8(99) 54 84 25

იყიდება!
სასწრაფოდ, ოროთახიანი (გადაკეთებული 4-ად) არასტანდარტული მაღალჭერიანი (3.10მ) კუთხის ბინა 9(9) საბურთალოზე, ს. ზაქარიაძის ქუჩაზე (მ. "გოცირიძე"). საერთო ფართი135 კვ.მ. 3 აივნით, 2 ტუალეტით, 2 სათავსოთი, სარდაფით, ტელეფონით, ბ/ა. ფასი შეთანხმებით.
ტელ: 39-53-41 69-94-27 ბელა.

ქირავდება 4-ოთახიანი ახალი ბინა მეტრო დელისთან, ზაქარიაძის ქ.8-ში ("პარლამენტის სახლში") მდებარე ახლადაშენებული სახლის მე-10 სართულზე, კარგი რემონტით, საერთო ფართი 160 კვ.მ. 3 საძინებლით, 3 სველი წერტილით, წყლით, გაზით. 4 აივნით. ბინა ცარიელია, გამოდგება საოფისედაც. ფასი შეთანხმებით. ტელ. 39.74.56 მამუკა.

იყიდება 2-ოთახიანი ბინა ლოჯიით. ვერცხლის ქ.50. ტელ: 98-61-12

იყიდება 3-ოთახიანი არასტანდარტული, მაღალჭერიანი კუთხის ბინა ბუნებრივი აირით, გოგირდის წყლით, რკინის კარით, მუხის პარკეტით, ორმხრივი მიშენების პერსპექტივით, კეთილმოწყობილი სარდაფით, ავტომობილის გასაჩერებელი ადგილით "რუსთავი 2"- ის უკან. ფასი: 30 000$. ტელ: 39-30-54.

იყიდება 2,5-ოთახიანი, არასტანდარტული სუფთა ბინა მე-6 სართულზე. 40 კვ.მ. მიშენებით ქვედა ბახტრიონზე, N22-ში. ფასი 24 000. ტელ: 38-32-50

იყიდება ასურეთში აგარაკი 1100კვმ ხეხილიანი ეზოთი, კაპიტალური გარემონტებული სახლით, ელექტროგაყვანილობით, წყლით, ავტოტრასასთან ახლოს. 93-27-82, 893 203292.

იყიდება ფოთში მალთაყვის პირას ორსართულიანი სახლი ცენტრუსოვანი 600 კვ.მ. ეზოთი, გამოდგება როგორც სააგარაკედ, ისე საცხოვრებლად. 93-27-82, 893 203292.

იყიდება კერძო სახლი ეზოთი საბურთალოზე, ვაზისუბნის №99. 37 68 81 (22 სთ-დან 23 სთ-მდე)

ბინები

ქირა, გირაო

ქირავდება 1-ოთახიანი კეთილმოწყობილი ბინა სოლოლაკში. ყველა საჭირო ინვენტარით. 98-94-74.

ქირავდება 4-ოთახიანი 125 კვ.მ ფართის ბინა, სათავსოებით, ცხელი წყლით, მუდმივი დენით, ბ/ა-ით ბარათაშვილის N12-ში 7(7), მუშაობს ლიფტი.
ტელ: 99-74-83, 99-93-62.
19.00 სთ-ის შემდეგ.

ქირავდება!
სახლი აღმაშენებლის გამზ. N151 (24-ე სკოლასთან); ევრორემონტით. საერთო ფართი 200 კვ.მ. 6 ოთახი, 2 სველი წერტილით, ტელეფონით, გათბობით, ცხელი წყლით. 2 შესასვლელით. II სართული. გამოდგება საოფისედ. ტელ: 37-28-77; 93-16-11; 899 539097

კომერც. ფართი

ქირავდება 45 კვ.მ საოფისე კეთილმოწყობილი ფართი, ცხელი წყლით, ტელეფონით, მუდმივი დენით ლეონიძის ქ. N8-ში (ყოფილი კიროვის).
ტელ: 99-74-83, 99-93-62.
19.00 სთ-ის შემდეგ.

ვიქირავებ ფართს სასუსრსათო მაღაზიისთვის, ქალაქის ცენტრალურ უბანში.
ტელ: 95-21-46 დღისით
79-44-03 საღამოს ირაკლი.

იყიდება კომერციული ფართი, 85 კვ.მ. ყველა საჭირო კომპონენტით. თევდორე მღვდლის №16 (ვაგზლის ბაზრობასთან). 35 20 79

მიწის ნაკვეთი

გრიგოლეთში ზღვის პირას (სააგარაკე ნაკვეთი, ულამაზესი ხედით პირდაპირ ზღვაზე). 93-27-82, 893 203292.

მანქანები

იყიდება გოლფი-3 92 წლის გამოშვება 1.8 ძრავი, 2 კარიანი ლურჯი ფერის. ფასი 2800$. ტელ: 893 347536.

სწავლება

ლონდონში სტაჟირებული სპეციალისტი შეგასწავლით ინგლისურ ენას ინდივიდუალურად თქვენი მიზნების გათვალისწინებით. ტელ: 96-64-12, 893 219442, 95-20-34.

სხვადასხვა

ვარემონტებთ და შევისყიდით გერმანული წარმოების ავტომობილებს. ავტოცენტრი "არბატი", სანდრო ეულის 7, ნუცუბიძის ბოლოში, ბანკთან. 8(99) 54 23 18, 8(99) 50 27 30

კომპიუტერული ცენტრი „TOPOS" გთავაზობთ

უახლესი კომპიუტერული პროგრამების შესწავლას, საწყისი პროგრამების ფასი 10 ლარი. მსენელები უზრუნველყოფილნი იქნებიან შესაბამისი ლიტერატურით. გაიცემა სერთიფიკატი.

მის.: „კოლმეურნეობის მოედანი", პირიმზის შენობა, VI სართული. ტელ: 93-52-24, 899 186686.

TV პროგრამა 28 მაისი

რუსთავი - 2

07.00 მუსიკა
07.30 სერიალი „ლეიტენანტ მარშის კოსმიური მაშველები"
08.00 დილა მშვიდობისა
09.40 სერიალი „ძალთა ქვეყანა"
10.40 სერიალი „მეოცე საუკუნე"
11.10 ვის უნდა ოცი ათასი?
12.00, 15.00 კურიერი
12.15 სერიალი „დატყვევებული გულები"
13.30 მხ. ფილმი
15.20 ჩემპიონთა ლიგა
17.05 სერიალი „ძალთა ქვეყანა"
18.00, 21.00, 01.30 კურიერი
18.20 სერიალი „ლეიტენანტ მარშის კოსმიური მაშველები"
18.50 სერიალი „მაშველები"
19.50 სერიალი „დატყვევებული გულები"
22.00 ხალხის პირისპირ
23.00 ჩემპიონთა ლიგის ფინალი. „მილანი"-"იუვენტუსი"
01.50 კლასიკა

პირველი არხი

07.30 ალიონი
09.45 მულტსერიალი „თავგადასავალი სერ კონან დოილის სამყაროში"
10.10 მხ. ფილმი „სამნი ნავში ძაღლის გარეშე".
11.15 დოკ. სერიალი „ტყის მცველები"
12.00, 15.00, 20.00 მოამგე
12.15 ტელესერიალი „ეშმაკუნა"
13.00 ნაშუადღევს
14.05 ქართული ენის გაკვეთილი
14.30 მოკლემეტ. ფილმი „პორტრეტი"
15.15 მხ. ფილმი „ხვალ ყველანი უკეთ ვიქნებით"
16.40 ტელესერიალი „ძილის წინ"
17.00 „თქვენი უფლებები"
17.20 50-50 18.00 „ვესტნიკი"
18.20 დოკ. სერიალი „ლეგენდები მეცნიერების შესახებ"
18.30 გასტი-გუგუ
18.50 „ისტორიანი"
19.20 ტელეთამაში „იმღერე რამე"
21.05 ტელესერიალი „ეშმაკუნა"
21.55 „მათი შვილები" (ვახტანგ მაჭავარიანი)
22.35 ტელესერიალი „ძილის წინ"
23.00 „რა ხდება?!"
23.55 მხ. ფილმი „კანონის მეორე მხარეს".

პირველი სტერეო

07.00 ევანგელური ეკლესიის მიმდევართათვის
08.00 ტორონტა
11.00 განმ. მუსათეული
11.45 ფილმი
14.00 ფილმი
16.00 ფილმი „ძარცვა ინგლისურად" მთ.რ-ში მინი დრაივერი.
18.00, 19.15 ქართული მუსიკა
19.00, 20.00, 21.00, 22.00 ინფორმატორი
19.30, 20.15 ვიდეორადიო
20.50 ათი ლექსი
21.15 პროფათეული
22.35 პაპარაცი
23.00 სოლო
00.00 „ბრავო" „პროექტი 281" მთ.რ-ში ჯონ მალკოვიჩი.
01.40 „ღამურა" „შავწიბნა-ეშმაკის საცოლე" მთ.რ-ში ფლორიან ფიტცი.
03.45 პაუზის გარეშე

მეორე არხი

19.00, 22.00 „მოამგე" მეორე არხზე
19.10 მულტფილმები
19.30 სერიალი „რეპეტიტორი"
20.30 ჩვენი მისამართია
21.00 და არს მუსიკა
21.30 წარსულის ტერიტორია
22.10 მხ. ფილმი „ფრო"

კავკასია

12.00 მხ. ფილმი „დათვი"
13.30 მხ. ფილმი „ფლიუკი"
15.00 მხ. ფილმი „ტუტსი"
17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა „დღეს"
17.15 მხ. ფილმი „სისხლიანი მტერი"
19.20 სპექტრი
21.00 მხ. ფილმი „დიდი დედილოს სახლი"
22.30 მხ. ფილმი „ანდროიდების კოლონია"

იგერია

08.00 ანონსი, აღსავალი
08.05 დიალოგი
10.30 მხ. ფილმი „კრიჭაშეკრული"
12.30 დოკ. ფილმი
13.00, 15.00, 17.00, 19.00 ახალი ამბები
13.10, 18.00 დოკ. ფილმი
15.15 მხ. ფილმი „მეგობარი ქალები"
17.20, 18.30, 19.30, 21.35, 23.30 მუსიკა
17.30 მულტფილმი
18.45 გუნების ფერები
19.45 გადაცემა - მურადა
20.00 მხ.ფ. „სასოწარკვეთის საათები"
22.00 დიალოგი
23.45 მხ.ფ. „ლტოლვილი მატარაგელი"
01.30 ღამის ფილმი

მეცხრე არხი

09.30, 14.30, 17.30, 20.30, 00.00 დღის ამბები
10.05 სერიალი „ალეძს მაკის საიდუმლო სამყარო"
10.30 მულტფილმი „ვიზიონერები"
11.00 მხ. სერიალი „მოჯადოება"
12.00 „ცხელი ცხრიანი"
12.45 მხ. ფილმი „მის კონფიდენციალურობა"
14.50 „ევროპის სტადიონებზე"
15.10, 16.20, 17.55, 18.50, 19.50, 20.20, 22.10 მუსიკა
15.30 მხ. სერიალი „სირინოზები"
16.30 დოკ. ფილმი „ნაციონალური გეოგრაფიული საზოგადოება"
18.05 მხ.სერიალი „ალეძს მაკის საიდუმლო სამყარო"
18.25 მულტფილმი „ვიზიონერები"
19.00 მხ. სერიალი „მოჯადოება"
20.00 „ევროპის სტადიონებზე"
21.15 მხ. სერიალი „სირინოზები"
22.20 „ტელემეტრი"
22.30 მხ.ფილმი „სასტიკი სამართალი"
00.20 კლასიკა
00.35 მხ. ფილმი „ტკბილი ნოემბერი".

იმედი

08.59, 11.59, 13.59, 15.59, 17.59, 20.59 ქრონიკა
09.00 „უცერემონიოდ" (განმ.)
09.30 სერიალი „იუდას ქალი"
10.30 ლარის მახე
11.00 თამაში „ბოიარის ციხესიმაგრე"
12.05 სერიალი „სახიფათო მოსახვევები"
13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ქრონიკა
13.05, 17.20, 00.10 იმედის მელოდიები
13.30 სერიალი „უკიდურესი ზღვარი"
14.05 სერიალი „ეარ ამერიკა"
15.15 მძაფრსიუჟეტიანი კინო „ცხრა დედოფალი"
17.30 „ერთხელ ჰოლივუდში"
18.05 სერიალი „იუდას ქალი"
19.30 სერიალი „სახიფათო მოსახვევები"
20.30 არტ-გულვარი
21.05 სერიალი „ეარ ამერიკა"
22.45 „უცერემონიოდ"
23.20 სერიალი „გაიხსენო ყველაფერი"
00.30 ფანეგის კინოკლუბი „შეშლილი ოთხშაბათი".

აჭარა

08.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი
08.20 მუსიკა
09.00, 12.00, 16.00 საინფორმაციო გამოშვება
09.10 სათავგადასავლო ფილმი „ჰაერის მეფე"
11.40 დოკუმენტური ფილმი
12.10 ფანტასტიკა „მეექვსე დღე"
14.15, 19.35 მუსიკა
14.50 სათავგადასავლო ფილმი „უკანასკნელი რაინდი" 1 ს.
16.10, 19.20, 22.20, 00.20 საინფ. გამოშვება „ნოვოსტი"
16.20 მულტფილმი „კუზიანი კვიცი"
17.30 „ქართული კინო"
19.00, 22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება „დღეს"
19.30, 22.40 „პრესდაიჯესტი"
20.05 თრილერი „მსაჯული"
22.45, 01.00 მუსიკა
23.00 „ალტერნატივა"
00.45 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე
00.50 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე
00.55 საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე
01.10 კომედია „ადგილების შეცვლით"
03.30 დოკუმენტური ფილმი
04.00 მელოდრამა „ძვირფასეულობა" 1 ს.

VII არხი

09.15 მელოდია
09.25 „აჩიკუდა"
09.50 აუდიო-ვიდეო-ტელე
11.00 მელოდია
11.20 კომპიუტერული ტექნიკა
12.00 „გიორითმი" - .
12.20 მოგილურები
13.05 დისნეი და მისი მეგობრები
13.25 კომპიუტერული თამაშები
13.45 საყოფაცხოვრებო ტექნიკა
18.20 აუდიო-ვიდეო-ტელე
19.00 „აჩიკუდა"
19.25 მელოდია - მოკლე შეტყობინებები
20.30 სპორტული პროგრამა - „ევროპული ფეხბურთი" - ესპანეთის ჩემპიონატის მიმოხილვა
21.05 კომპიუტერული თამაშები
21.10 „ლა-ლა-ლა"
22.05 აუდიო-ვიდეო-ტელე
22.40 „კინოკლუბი „ - „კლეოპატრა"-მე-2 სერია
00.20 საყოფაცხოვრებო ტექნიკა
00.50 „გიორითმი" - .

1 OPT

07.00 „Доброе утро!"
10.00, 13.00, 16.00, 19.00, 03.00 Новости
10.15, 20.00 „Земля любви, земля надежды"
11.05 Док. сериал „Под полярной звезды"
12.05, 17.30, 00.55 „Фабрика звезд-2"
12.35 „Ллойд в космосе"
13.15 Худ. фильм „ПРОЕКТ „АЛЬФА"
15.00 „Принцеса Дагмар-русская императрица"
15.30 „Сканер"
16.15 Худ. фильм „ДОСЬЕ ДЕТЕКТИВА ДУБРОВСКОГО"
18.00 „Большая стирка"
19.25 Смехопанорама
21.00 „Слабое звено"
22.00, 00.35 Время
22.40 Сериал „УБОЙНАЯ СИЛА"
23.45 Док. сериал „Спецназ"
01.10 „Ударная сила".
01.40 „Подводный мир Александра Макаревича"
02.10 Апология
03.10 Сериал „Беглец"

РТР

06.45 Доброе утро, Россия!
09.45 Сериал „Идиот"
10.45, 22.55 Сериал „Люди и тени-2"
12.00, 15.00, 18.00, 21.00 Вести
12.20 Ток-шоу „Короткое замыкание"
13.20 Сериал „Пираты"
14.15, 17.45 Экспертиза
14.30 Москва-Минск
14.45 Вести-Москва
15.20 „Что хочет женщина"
16.10 Сериал „Трое против всех-2"
17.15, 04.40 Агентство одиноких сердец
18.20, 20.50 Вести. Дежурная часть
18.50, 03.30 Дорожный патруль
19.05, 00.30 Вести-спорт
19.20, 21.30 Вести-Москва
19.50 Сериал „Комиссар Рекс"
21.50 Спокойной ночи, малыши!
21.55 Сериал „Главные роли". 1 с.
00.00 Праздничный концерт, посвященный Дню пограничника
01.05 Худ. фильм „Тревожный вылет"
03.00 Синемания
03.45 Сериал „Твин Пикс"

НТВ

07.00 Утро на НТВ.
09.50 Сериал "РЕБЯТА ИЗ НАШЕГО ГОРОДА".
11.00 Сегодня утром.
11.25 Документальная драма "Преступление и наказание".
12.00 Кулинарный поединок.
13.00, 16.00, 18.00, 20.00 "Сегодня"
13.35 Триллер "КОД "ОМЕГА".
15.40 Криминал.
16.35 "Актерами не рождаются?" Ток-шоу "Принцип домино".
18.30 Сериал "СКОРАЯ ПОМОЩЬ"
19.25 Чистосердечное признание.
20.45 Детектив "НА УГЛУ, У ПАТРИАРШИХ-3".
23.00 "Страна и мир".
23.35 Футбол. Лига Чемпионов. Финал. "Милан" (Италия) - "Ювентус" (Италия).
01.45 Сегодня.
02.10 Гордон.

პროგრამები იბეჭდება მედიასთან ურთიერთობის სააგენტო "ინფოზავრის" ნებართვით

სადილად ბუშებთან

ბარბექიუ თუ მანგოს ნაყინი

პოზა, რომელიც რანჩოზე გარზრდილ ბუშს არ უყვარს

თეთრი სახლის აივანზე, ჯეკ ფორდი, ბიანკა ჯაგერი და ენდი უორჰოლი

თამარ ბაბუაძე

ამერიკელებს უყვართ უცნაური აღმოჩენების დაფიქსირება. ამიტომ არ დაიზარეს და გულმოდგინედ გამოითვალეს, რომ ჯონ ტაილერი იყო აშშ-ს პირველი პრეზიდენტი, რომელმაც ფოტო გადაიღო. თეოდორ რუზველტს პირველად უმგზავრია ავტომობილით და ყოფილა პირველი ლიდერი, რომელიც ოფიციალური ვიზიტით საზღვარგარეთ, კერძოდ კი, პანამაში წავიდა. ფრანკლინ რუზველტი აღმოჩნდა პრეზიდენტი, რომელმაც პირველად იფრინა თვითმფრინავით...

თუ ამ ჩამონათვალს გავაგრძელებთ, ჯორჯ ბუში უმცროსი გამოვა პირველი პრეზიდენტი, რომელიც ყველაზე მეტად არ სწყალობს თეთრი სახლის ოფიციალურ სადილებს. ტეხასში სამხრეთულად აღზრდილ ჯორჯს ჯინსისა და კოვბოის ჩექმების ჩაცმა ყველაფერს ურჩევნია – ცხადია, ოფიციალურ შავ სმოკინგსა და ყელში გაჭერილ ჰალსტუხსაც. ანტიტერორისტულმა ომმა და 11 სექტემბერმა კი, მართალია, ჯორჯ ბუშს მრავალი თავსატეხი გაუჩინა, მაგრამ ერთი სიკეთე უდავოდ გაუკეთა – საომარი ოპერაციების გამო, თეთრმა სახლმა სახელმწიფო სადილების გამართვაზე დიდი ხნით თქვა უარი.

თუმცა, საბოლოოდ გარდერობის მიუვალ კუნჭულში გადამალული და მტვერდადებული სმოკინგის დრო მაინც მოვიდა. ბუში იძულებული გახდა, ხანგრძლივი შესვენების შემდეგ თეთრი სახლის კარი სტუმრებისთვის კვლავაც გაეღო. პრეზიდენტის რეზიდენცია გუშინ ფილიპინების ლიდერის გლორია მაკაპაგალ არროიოსა და მის იურისტ მეუღლეს, ხოსე მიგელს მასპინძლობდა.

თეთრი სახლის სახელმწიფო სადილი აშშ-ს დიპლომატიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დეტალია. მას თავისი ვრცელი პროტოკოლი აქვს, რომელიც განსაზღვრავს ყოველ წვრილმანს – სუფრის ფერს და ჭურჭლის განლაგებასაც კი. ამიტომ, გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ პრესა შეხვედრის ოფიციალური ნაწილის გარდა სადილის მენიუს, სტუმარ-მასპინძლის ჩაცმულობასა და სასადილო ოთახის მორთულობასაც აშუქებს. შეიძლება, ბუშს სწორედ წესების სიმკაცრე აღიზიანებდეს. თუმცა, ასეა თუ ისე, ფილიპინელი სტუმრები გუშინ მაინც კმაყოფილები დარჩნენ. მართალია, პრეზიდენტს ძილის დრო ოდნავ გადაუცდა (ის, როგორც წესი საღამოს 10 საათამდე იძინებს), მაგრამ სადილმა მაინც ისე ჩაიარა, როგორც თეთრი სახლის ტრადიციებსა და ამერიკულ დიპლომატიას ეკადრებოდა. აი, როგორ იყო ყოველივე:

თეთრ სახლს ჰყავს რამდენიმე შეფ-მზარეული, რომელთა თაოსნობითაც 140 სტუმრის გამასპინძლება 1000-მდე კერძით იოლად ხერხდება. გუშინდელი სადილისთვის მზარეულებმა მენიუ წინდაწინ შეადგინეს და სტუმრები ამერიკულ-ფილიპინური კერძების ნაზავით აღაფრთოვანეს. თუმცა, სანამ ჯერი კერძების დაგემოვნებაზე მიდგებოდა, თეთრ სახლში გულმოდგინედ ათვალიერეს ერთმანეთის ჩაცმულობა. ფილიპინების პრეზიდენტს იისფერი კაბა ეცვა, ღია მწვანე მოსასხამით, ლორა ბუშს კი – დიზაინერ ოსკარ დე ლა რენტას ოქროსფერი საღამოს კაბა. ვაშინგტონში ჩასვლამდე გლორია არროიომ პირველ ლედის ძვირფასი საჩუქარი გაუგზავნა – 14 მილიმეტრიანი "სამხრეთი ზღვის მარგალიტის" საყურე, რომელსაც ფილიპუნურ 18-კარატიანი ოქროს ყვავილები ამშვენებდა. თეთრი სახლის კანონების მიხედვით, ლორა ბუშს უფლება არ აქვს სახელმწიფო ლიდერებისგან ძღვენი აიღოს, მაგრამ შეუძლია საჩუქარი დაიტოვოს მანამ, სანამ ოფიციალური სტუმარი თეთრ სახლშია. შესაბამისად, გუშინ ქალბატონ ბუშს თავის ოქროსფერ კაბაზე ეს ფილიპინური მარგალიტის საყურე და მეუღლის ნაჩუქარი, სამი ასხმა მარგალიტის ყელსაბამი ეკეთა. ყველა მამაკაცს ეცვა სმოკინგი, მხოლოდ ტეხასელი პრეზიდენტი იყო ჟილეტში.

სახელმწიფო სასადილო ოთახში შესვლამდე სტუმრები აღმოსავლეთ ოთახში მიიღეს, სადაც ფილიპინელებს ოპერის მომღერალმა სიუზენ გრემმა უმღერა. უკვე სადილის დასასრულს კი მათთვის პიანისტმა ბრაიამ ზეგერმა დაუკრა.

აქვე უნდა ითქვას, რომ სახელმწიფო სასადილო ოთახი თეთრი სახლის ერთ-ერთი ყველაზე ისტორიული დარბაზია, რომელსაც წლების განმავლობაში თითქმის ყველა უცხოელი სტუმარი მიუღია. თუმცა, ეს სახელწოდება მას ენდრიუ ჯექსონმა მიანიჭა. თავიდან ოთახი პატარა იყო, შემდეგ კი ის ისე გადაკეთეს, რომ 140 კაცს თავისუფლად იტევს, ხოლო დასავლეთ კედელს მასიური ბუხარიც ამშვენებს. ოთახის დიზაინი სხვადასხვა ეპოქაში მოღვაწე პრეზიდენტების გემოვნებითაა შექმნილი. საერთო ჯამში კი ის მე-18 საუკუნის ინგლისური ნეოკლასიკური სახლის პრინციპითაა დაგეგმილი. ნაზი მწვანე და ყავისფერი იატაკი კი მე-17 საუკუნის სპარსულ დიზაინშია გადაწყვეტილი. ოთახში თითოეული ნივთი ისტორიულია – მოვერცხლილი შანდლები და ბრები და ის მასიური ლარნაკებიც, რომლებიც სამ გრძელ, ერთმანეთზე გადაბმულ მაგიდებს ამშვენებს.

სწორედ ამ ბროლის, ფეხიან საყვავილეებში გუშინ ლორა ბუშმა თეთრი და ვარდისფერი პიონები ჩააწყო. სუფრას კი ასევე ვარდისფერი გადასაფარებელი გადააფარა. მისივე ბრძანებით, ფილიპინელებს სწორედ იმ მოოქროვილი, სპილოს ძვლისფერი ჭურჭლით მოემსახურნენ, რომელსაც ჰილარი კლინტონი იყენებდა. თითოეულ სტუმარს ედგა ოთხი ჭიქა – ორი ღვინის და ორი წყლისთვის. თუმცა, თავად პრეზიდენტი ღვინოს არ სვამდა და სადღეგრძელოებს წყლით წარმოთქვამდა.

ახლა კი, მენიუს დროც დადგა. ფილიპინის პრეზიდენტი და დანარჩენი 129 სტუმარი გუშინ თეთრი სახლის მთავარმა მზარეულმა და მისმა ასისტენტმა, წარმოშობით ფილიპინელმა კრის კომერფორდმა დააპურეს. კრისი მენიუს ასე ახასიათებდა: "კერძები, რომლებიც პრეზიდენტებისთვის მოვამზადეთ ორი ქვეყნის დაქორწინებას ჰგავდა". მართლაც, ამ ორ სამზარეულოს საერთო ბევრი რამ აღმოაჩნდა. მაგალითად, მერილენდელებიცა და ფილიპინელებიც სადილის პირველ განყოფილებაში კიბორჩხალას მიირთმევენ. გარდა კიბორჩხალებისა, პირველი თავი სადილი გუშინ ცხვრის კერძით, ხორცის ფილეთი და კიდევ რამდენიმე უცნობი კერძისგან შედგებოდა. მიმზიდველად გამოიყურებოდა დესერტიც: მანგოს ნაყინი, ქოქოსის მუსითა და შოკოლადის "მაქმანებით"...

ასე რომ, ყველაფერმა კარგად ჩაიარა. თუმცა, ჟურნალისტები მაინც საგანგებოდ აღნიშნავდნენ, რომ ეს პრეზიდენტ ბუშის მხოლოდ მესამე ოფიციალური სადილია. მაშინ, როცა უფროსი ბუში 20-მდე სადილის მასპინძელია, კლინტონი – 30-ის, რეიგანი კი – 50-ზე მეტის. ახალგაზრდა ბუშს კი ძველი სტერეოტიპებისა და ტრადიციების დარღვევისა მაინც არ ეშინია. როგორც ჩანს, მას თეთრ სახლში ახლებური წესები შემოაქვს. ოღონდ კი საღამოს დროულად დაიძინოს და ბუში მზადაა სახელმწიფო ლიდერებს დღის განმავლობაში უმასპინძლოს. მაგალითად, 8 მაისს მან დანიის პრემიერ-მინისტრთან ერთად ისაუზმა, მეორე საუზმე კატარის ემირთან ერთად მიირთვა, ნაშუადღევს კი ბულგარეთის, ესტონეთის, ლატვიის, ლიტვის, სლოვაკეთისა და სლოვენიის პრემიერ-მინისტრები მიიღო, საღამოს კი, ჩვეულ დროს ტკბილად დაიძინა.

თუმცა, ვინაიდან ბუშს წინა პრეზიდენტებისგან განსხვავებული ღირებულებები აქვს, ამიტომ თეთრ სახლში მიპატიჟება დიდ პატივად სულაც არ ითვლება. სამაგიეროდ, ნამდვილად საამაყო ამბავია კემპ დევიდზე მიწვევა – ეს ნიშნავს იმას, რომ ბუშს ამა თუ იმ ლიდერთან მეგობრობა სურს, აი, ტეხასურ რანჩოზე მიპატიჟება კი ბუშის მხრიდან მთავარი დიპლომატიური ჯილდოა.

კემპ დევიდზე სტუმრობის სეზონი ტონი ბლერმა გახსნა, მას იაპონიის პრემიერ კოიძუმი, ესპანეთის პრემიერი ხოსე მარია აზნარი, ეგვიპტის პრეზიდენტი ჰოსნი მუბარაქი, ისევ ბლერი და ბოლოს, იტალიის ლიდერი სილვიო ბერლუსკონი მიჰყვა. ამიტომაც პირველმა გაოცებამ ბლერის ზურგზე გადაირა – ბუში ხომ უბრალო კაცია, კოვბოის ჩექმები უყვარს და საერთაშორისო დიპლომატიაც ბარბექიუს თანხლებით წარმოუდგენია. ამიტომაც ბლერს ასევე უბრალოდ გაუმასპინძლდა. 1998 წელს კი ბილ ქლინტონმა ბრიტანეთის ლიდერს ლამის მთელი შოუბიზნესი დაახვია თავს: სერ ელტონ ჯონის, სტივი უანდერის, ბარბრა სტრეიზენდის, ტომ ჰენქსის, ჰარისონ ფორდის, სტივენ სპილბერგისა და რალფ ლაურენის ჩათვლით.

რაც შეეხება, ტეხასურ რანჩოზე მოწყობილ სახელმწიფო სადილებს, იქ პირველად ღამე ვლადიმირ პუტინმა გაათია. მას ნამდვილი ტეხასური სადილით გაუმასპინძლდნენ და ნამდვილი ქანთრი მოასმენინეს. ტანსაცმლის ეტიკეტი გულისხმობდა კოვბოის ჩექმასა და ჯინსს და არავითარ ყელში გაჭერილ ჰალსტუხს.

...ასეთია, ტეხასელი პრეზიდენტის ახლებური პროტოკოლი, რომელიც ყოველივე პომპეზურს უარყოფს და ღია ცის ქვეშ, ცეცხლზე შემწვარ ხორცზე "გადადის". თუმცა, დრო მაინც შეიცვალა – მას შემდეგ, რაც ანტიტერორისტული ომი წამოიწყო, ბუშმა თავის დიპლომატიას, რომელიც ბარბექიუთი შემოიფარგლებოდა, ახალი შტრიხიც შემატა – მან მსოფლიოს რუქაზე ქვეყნების ცნობა ისწავლა.

ვოვ-კულტურა და თეთრი სახლი

პრეზიდენტი ფორდი ბილი პრესტონსა და ჯორჯ ჰარისონს მასპინძლობს

სანამ ბუში პრეზიდენტი გახდებოდა, თეთრი სახლი სოციალურ და კულტურულ ცხოვრებას არასდროს ჩამორჩებოდა. განსაკუთრებული აქტიურობით ცოლ-ქმარი ფორდები გამოირჩეოდნენ. ჯერალდ ფორდის პრეზიდენტობის ხანაში თეთრ სახლს იმ ეპოქის ყველაზე ცნობილი სახეები სტუმრობდნენ, ელა ფიცჯერალდის, ჯორჯ ჰარისონის, ენდი უორჰოლის, ბიანკა ჯაგერის, ბილი პრესტონის თუ კერი გრანტის ჩათვლით. ეს უკანასკნელი ჯერალდ ფორდმა ბრიტანეთის მეფე-დედოფალსაც გააცნო. იმ ვიზიტის დროს პრეზიდენტი ელისაბედ მეორეს ეცეკვა, მისი მეუღლე კი – პრინც ფილიპს. საერთოდ, ქალბატონ ფორდს ცეკვა ძალიან ჰყვარებია. ერთხელ მან კომიკოს მარტი ალენთან ერთადაც გატაცებით იცეკვა.

ისინი ყოველთვის ზრუნავდნენ სახელმწიფო ლიდერების მუსიკალურ გემოვნებაზეც და როდესაც ბლუზის მოყვარულ საფრანგეთის პრეზიდენტს უმასპინძლეს, სპეციალურად მისთვის ერლ ჰაინსი მიიწვიეს. იაპონიის იმპერატორს კი ვან კლაიბერნი დაუპატიჟეს, რომელმაც შოპენის, შუმანისა და დებიუსის ნაწარმოებები საკუთარი ინტერპრეტაციებით შეასრულა.

საერთოდ, მუსიკა და ცეკვა თეთრ სახლში მე-19 საუკუნიდანვე დამკვიდრდა. 1850-იანი წლების ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენად ბუჩენენის მიერ მიწვეული ბრმა პიანისტის ტომას გრინ ბეთიუნის სტუმრობა გახლდათ. სოპრანო მერი სელიკა კი იყო პირველი შავკანიანი ხელოვანი, რომელმაც თეთრ სახლში თავისი მუსიკალური პროგრამა წარადგინა. ეს 1878 წელს მოხდა.

1882 წელს პრეზიდენტი ჩესტერ არტური ისე მოიხიბლა Jubilee Singers-ის კათოლიკური საეკლესიო სიმღერებით, რომ ატირდა კიდეც.

1903 წელს თეთრ სახლში "დაბინავდა" ცნობილი "ოქროს სტეინვეი" – ინსტრუმენტი, რომელზეც თეთრი სახლის სტუმრებისთვის ხან ცნობილი პიანისტი ბუსონი უკრავდა, ხანაც ლეგენდარული იგნასი ჟან პადერევსკი.

პრეზიდენტ ჰუვერის დროს კი ახალ ტრადიციას ჩაეყარა საფუძველი – 1931 წელს თეთრ სახლში პირველად მიიწვიეს მუსიკოსი სახელმწიფო ლიდერის გასართობად. ეს მუსიკოსი მილდრედ დილინგი იყო, რომელიც არფაზე უკრავდა.

1957-58 წლები კი ის პერიოდია, როდესაც ეიზენჰაუერებმა თეთრ სახლში ბროდვეის მიუზიკლის პირველი წარმოდგენა გამართეს.

1961-63 წლებში კენედებმა თეთრი სახლი ერთ დიდ საკონცერტო დარბაზად აქციეს. ჟაკლინ კენედი გახლდათ პირველი ლედი, რომელიც სახელმწიფო სადილებს ყველაზე ხშირად აწყობდა – ხანდახან თვეში რამდენჯერმეც კი. დროდადრო იწვევდა მეტროპოლიტენ ოპერას, ჯერომი რობინსის საბალეტო თეატრს, ამერიკული ბალეტის თეატრს და მასპინძლობდა შექსპირის ამერიკულ ფესტივალსაც.

1968-71 წლებში კი ამერიკული კულტურა და თეთრი სახლი კიდევ უფრო "დამეგობრდნენ". დიუკ ელინგტონის დაბადების დღის აღსანიშნად და თავისუფლების მედლის გადასაცემად მოწყობილი სადილი ერთ გრანდიოზულ ჯემსეიშენად იქცა.

1976-1980 წლები: კარტერის ადმინისტრაციის დროს თეთრ სახლს სტუმრობდნენ: ვლადიმირ ჰოროვიცი, მიხაილ ბარიშნიკოვი და პატრისია მაქბრაიდი, მსტისლავ როსტროპოვიჩი და ანდრეს სეგოვია.

სტუმრიანობით გამოირჩეოდნენ თეთრ სახლში ჰოლივუდიდან მისული რეიგანებიც. მათ დროს პოპ-კულტურის მეფე ჯექსონი იყო. შესაბამისად, რონალდ რეიგანსა და მაიკლ ჯექსონს ერთად ხშირად ხედავდნენ.

მუსიკას დიდად სცემდნენ პატივს უფროსი ბუშების ხანაშიც. ისინი მომღერალ მორინ მაქგოვერნის ხმით, როსტროპოვიჩის ჩელოთი, იცჰაკ პერლმანისა და აიზეკ შტერნის ვიოლინოებითა და ჰარლემის ბიჭუნათა კვარტეტით ტკბებოდნენ.

1998-2000 წწ. ბილ კლინტონის პრეზიდენტობის ხანაა. მისი და ჰოლივუდელების მეგობრობის შესახებ კი ისედაც ბევრი რამეა ცნობილი. ბარბრა სტრეიზანდი თუ სტივენ სპილბერგი კლინტონების მუდმივი სტუმრები იყვნენ. ცოლ-ქმარმა რამდენიმე ორიგინალური მუსიკალური პროექტიც განახორციელა: აღნიშნეს ნიუპორტის ჯაზის ფესტივალის 40 წლის იუბილე, სპეციალური საღამო მიუძღვნეს არეტა ფრანკლინს, როგორც "საუკუნის ქალს"...

ქართული სილუეტები საერთაშორისო მოდის ჰორიზონტზე

გიორგი ამირეჯიბსა და ხატია ჩომახიშვილს ევროპაში ახალი პერსპექტივები გამოუჩნდათ

ვერა ნეფარიძე

რამდენიმე დღის წინათ მოსკოვიდან ახალგაზრდა ქართველი დიზაინერები დაბრუნდნენ. ისინი საერთაშორისო კონკურს Русский силует-ის გამარჯვებულები არიან და ჯილდოს სახით ევროპაში სტაჟირება მოიპოვეს. დღეს სააგენტო "ამსა"-ს ოფისში გიორგი ამირეჯიბი და ხატია ჩომახიშვილი პრესკონფერენციას გამართავენ.

გიორგი ამირეჯიბი და ხატია ჩომახიშვილი Русский силует-ზე თბილისში გამართული კონკურსიდან მოხვდნენ. ორგანიზაცია "მეტეხი - ქალთა კლუბი" რამდენიმე წელიწადია "შერატონ-მეტეხი პალასში" შემოდგომობით ახალგაზრდა დიზაინერთა კონკურსს აწყობს. თბილისურ კონკურსში გამარჯვებულები კი ავტომატურად ხვდებიან მოსკოვში Русский силует-ის ფინალურ ჩვენებაზე. პრინციპში "მეტეხი – ქალთა კლუბის" ღონისძიება მოსკოვის კონკურსის შესარჩევი ტურია, რომლის მსგავსი დსთ-ს თითქმის ყველა ქვეყანაში იმართება. რაც შეეხება თავად Русский силует-ს, ის თანდათან ხდება პოპულარულიცა და ავტორიტეტულიც. როგორც მონაწილეები ამბობენ, ეს ღონისძიება ყოველ წელს უმჯობესდება; იზრდება როგორც სპონსორთა (სპონსორები კი ის ცნობილი ფირმები არიან, რომლებიც საკუთარ თავზე გამარჯვებულთა სტაჟირებას იღებენ), ისე ჟიურის კომპეტენტურ წევრთა რაოდენობა და, რაც მთავარია, შესამჩნევია თავად მონაწილე ახალგაზრდა დიზაინერთა გაუმჯობესებული დონეც.

თბილისში Русский силует-ის ფინალის მონაწილეთა შესარჩევი ტური კონკურსის სახით შარშან, 29 ნოემბერს გაიმართა. გამარჯვებულთაგან კი მხოლოდ ორმა მოიპოვა მოსკოვში ფინალურ ჩვენებაზე მონაწილეობის უფლება. ორივე მათგანმა კონკურსზე თბილისში წარმოდგენილი ნამუშევრები გაიტანეს. "ჩემს კოლექციას "გაორება" ერქვა. ვეცადე ყველაზე იაფფასიანი მასალა გამომეყენებინა და ამიტომ შევარჩიე ბრეზენტი და მარლა. სულ სხვა ფაქტურა მიიღო ამ ორმა მასალამ ერთად, ძველისძველი ნაჭრის ეფექტი ჰქონდა და, პრინციპში, ამით იყო საინტერესო", - ამბობს კოლექციის ავტორი, გამარჯვებული დიზაინერი გიორგი ამირეჯიბი. ასეთ მასალაზე არჩევანის მიზეზი მხოლოდ ფინანსური შესაძლებლობები არ ყოფილა. როგორც გიორგი ამბობს, მისთვის გაცილებით საინტერესოა ქსოვილის შექმნა, ვიდრე მზამზარეული ნაჭრისგან რაიმეს შეკერვა, რომელიც რაც უნდა მარტივი ნახელავი იყოს, მაინც ეფექტური და ლამაზი იქნება. "საზღვარგარეთ ყველგან თვითონ ქმნიან ქსოვილს. მე ასე მიმაჩნია: კონკურსისთვის არაა საჭირო ძვირფასი ნაჭრის გამოყენება. პირიქით, ის, რაც შეიძლება, უბრალო და ძველი უნდა იყოს, რადგანაც უფრო საინტერესოა სამუშაოდ. უფრო მეტად ხარ თვითონაც მონდომებული და გაცილებით მეტია შემოქმედებითი პროცესი", - როგორც ჩანს, გიორგი ამირეჯიბის ამ მოსაზრებას ბოლომდე იზიარებდნენ თბილისის კონკურსზე მოწვეული ჟიურის წევრები, რომელთაც გიორგი ერთ-ერთ საუკეთესო ახალგაზრდა ქართველ დიზაინერად აღიარეს. ჟიურის წევრებს შორის კი იყვნენ: სააგენტო Fordmodels-ის, მოდის სახლ "მასიმო რებეკის" წარმომადგენლები და მსოფლიოს ათ საუკეთესო მოდის კრიტიკოსთა შორის მოხსენიებული ალექსანდრე ვასილიევი.

Русский силует-ის გამარჯვებული ქართველი - გიორგი ამირეჯიბი

ბესო ბელოკვალოვის ფოტო

Русский силует-ის ფინალურ ჩვენებაზე დსთ-ს ქვეყნებიდან შესარჩევ ტურში გამარჯვებული 65 დიზაინერი მონაწილეობდა. ერთადერთი პრობლემა ქართველ დიზაინერს იქაურ მანეკენებთან ჰქონდა, რომელთაც ვერაფრით მოარგო თავისი ორი კოსტიუმი. ამიტომაც, გიორგი ამირეჯიბს ქართველი მეგობრების დახმარება დასჭირდა. მათგან ერთ-ერთი, რომელიც მოსკოვში ცხოვრობს, პირველად გამოვიდა პოდიუმზე. კიდევ ერთი ქართველი მეგობრის დახმარებით გიორგი ამირეჯიბმა საკუთარი კოლექციის მუსიკალური გაფორმების პრობლემაც მოიხსნა. ნიკა მაჩაიძის მუსიკა, რომელიც გიორგის საკუთარი კოლექციის ფონად უნდა გამოეყენებინა, თბილისში დარჩა; მოსკოვში კი თეონა კონტრიძემ მისი და გიორგი ჟორჟოლიანის "წინ წყაროს" თემაზე გაკეთებული ერთობლივი ნამუშევარი დაუთმო. ეს მუსიკა, ორ მოდელთან ერთად გადამწყვეტი "ქართული" დეტალები აღმოჩნდა, რამაც ასე ძალიან მოხიბლა კონკურსის ჟიური. მოგვიანებით, Русский силует-ის ფინალური ჩვენებიდან რამდენიმე დღის შემდეგ, როდესაც მოსკოვის მოდის კვირეულზე ქართველ დიზაინერს შემთხვევით ფირმა Saga Furs-ის წარმომადგენელი შეხვედრია, უთქვამს: "შენი კოლექციის გამოჩენისთანავე პოდიუმზე სულ სხვაგვარი, ქართული ხიბლი იგრძნობოდაო". რასაც, თურმე, დასავლეთისა და რუსეთის მოდის სამყაროში ძალიან დიდ პატივს სცემენ. ამის მაგალითად გამოდგება პარიზში ირაკლი ნასიძის წარმატებები და მოსკოვის მოდის კვირეულზე მაკა ასათიანის პოპულარობა.

Русский силует-ზე გიორგი ამირეჯიბმა ორი პრიზი აიღო. პირველი კოპენჰაგენში, ფირმა Saga Furs-ში სამთვიანი სტაჟირებაა, ხოლო მეორე – ჟურნალ "ოფისიალის" მოსკოვის ფილიალში პრაქტიკა. ამათგან ქართველ დიზაინერს დანიაში სტაჟირების პერსპექტივა უფრო ხიბლავს, რადგანაც ფირმა, სადაც იგი მიიწვიეს, მსოფლიოში ძალიან ცნობილია. აქ ამზადებენ წამყვანი დიზაინერული ფირმები საქვეყნოდ ცნობილ საკუთარ კოლექციებს. "მე თვითონ არც მქონდა წარმოდგენა, რა მოვიგე. მერე ხალხი მიხსნიდა თუ რას ნიშნავდა ამ ფირმაში მოხვედრა. მოგვიანებით, როდესაც გადავხედე ფირმის ბუკლეტს და ვნახე, თუ რომელი ცნობილი მოდის სახლები ამზადებენ საკუთარ კოლექციებს ამ ფირმაში, მაშინ დავაფასე. ხოლო რაც შეეხება მეორე პრიზს, ის ნაკლებად საინტერესოდ მეჩვენება. თუმცა, შეიძლება პირიქითაც იყო. სიმართლე რომ გითხრა, არც ვიცი იქ რა უნდა ვაკეთო. ისე ამ ჟურნალის მთავარმა რედაქტორმა წინასწარ შემამზადა და მითხრა, რომ იქ ყოფნისას ჩემთვის არ იქნება არც შაბათ-კვირა და არც ახალი წელი, იმდენი სამუშაო უნდა მქონდეს. ვნახოთ, რა იქნება...", - თუ არაფერი შეიცვალა, მოსკოვში გიორგი ამირეჯიბი, ალბათ, დანიიდან დაბრუნების შემდეგ წავა სამუშაოდ.

გიორგი ამირეჯიბი საკუთარ წარმატებებზე მოსკოვის კონკურსზე გამარჯვებულ კიდევ ერთ ქართველ დიზაინერთან, ხატია ჩომახიშვილთან ერთად დღეს დაგეგმილ პრესკონფერენციაზეც ისაუბრებს.

დოქტორ გილიოტენის პანაცეა



სიკვდილით დასჯის ამ ხელსაწყოს დოქტორ ჟოზეფ გილიოტენის სახელი ჰქვია, თუმცა მას არ შეუქმია. ჰყვებიან, რომ მისი გამომგონებლის სიცოცხლეც გილიოტინაზე დასრულდაო, მაგრამ ესეც მხოლოდ ლეგენდაა და სხვა არაფერი – ჩანს, ადამიანებს მაინც ძალიან უნდათ, რომ სამართლიანობამ გაიმარჯვოს...

ჟოზეფ იგნას გილიოტენი 1738 წლის 28 მაისს დაიბადა, პატარა პროვინციულ ქალაქ სენტში, არცთუ წარმატებული ადვოკატის ოჯახში. მიუხედავად იმისა, რომ დიდად არ ულხინდათ, მამამ ბავშვობიდანვე ჩაუნერგა სამართლიანობის რაღაც განსაკუთრებული გრძნობა. ეს მამა საერთოდ უცნაური კაცი ყოფილა – თუ კლიენტის უდანაშაულობაში დარწმუნებული არ იყო, მის საქმეს ხელს არ ჰკიდებდა, რაგინდ დიდი ფული შეეთავაზებინათ.

ახალგაზრდა ჟოზეფ იგნასი საკუთარი ნებით მიებარა იეზუიტ მამებს – გადაწყვეტილი ჰქონდა, რომ მთელი ცხოვრება მათ სამსახურში დარჩებოდა. შემდეგ რა მოხდა – არავინ იცის, სამაგიეროდ, ცნობილია, რომ ის მედიცინას ეუფლებოდა ჯერ რეიმსში, შემდეგ კი – პარიზის უნივერსიტეტში, რომელიც წარმატებით დაამთავრა კიდეც.

სულ მალე დოქტორმა გილიოტენმა ანატომიასა და ფიზიოლოგიაში ლექციების კითხვა დაიწყო, რომლებიც დიდი პოპულარობით სარგებლობდა – აუდიტორიებში ტევა არ იყო ხოლმე. თან "ძმური თანხმობის" ლოჟის პატივსაცემი ოსტატი და "ცხრა დის" ლოჟის წევრიც იყო. მის მიერ 1778 წელს დაარსებული საზოგადოება შემდგომ სამედიცინო აკადემიად გადაიქცა. მოკლედ, სერიოზული მოღვაწე ბრძანდებოდა. გარდა ამისა, დიდი პიროვნული ხიბლიც ჰქონია: პატარა ტანის კაცი ყოფილა, არაჩვეულებრივად მჭერმეტყველი, მუდამ მოციმციმე თვალებით.

დოქტორ გილიოტენს უნდოდა, კაცობრიობისთვის დიდი სიკეთე გაეკეთებინა. ის საფრანგეთის ასამბლეის დეპუტატიც იყო და თავის გამოსვლებში სულ იმას უსვამდა ხაზს, რომ სიკვდილით დასჯა შეძლებისდაგვარად სწრაფად და უმტკივნეულოდ უნდა მომხდარიყო, სასურველია, მანქანის მეშვეობით.

თავის მოსაჭრელი დანადგარი გილიოტენს არ შეუქმნია, მან ის მხოლოდ დახვეწა და გააუმჯობესა. მანამდე ამ მანქანას შოტლანდიაში იყენებდნენ, თუმცა, მხოლოდ არისტოკრატების დასასჯელად. გილიოტენის წყალობით ის "დემოკრატიული" გახდა – არისტოკრატსაც და მდაბიოსაც ერთნაირად ჭრიდა თავს.

გრევის მოედანზე აღმართული გილიოტინა ძალიან მოსახერხებელი და ნაყოფიერად მომუშავე აღმოჩნდა. იყო დღეები, როცა ის 60-ზე მეტ ადამიანს უღებდა ბოლოს. ამდენს, ცხადია, ვერცერთი ჯალათი ვერ შეძლებდა – ხელის ქნევაც ჭირს, ნაჯახიც ბლაგვდება... პირველად ის 1792 წლის 25 აპრილს გამოიყენეს, ერთი თავზეხელაღებული ყაჩაღის, ოლეტიეს სიკვდილით დასასჯელად.

სულ მალე გილიოტენი მიხვდა, რომ ეშმაკის მანქანა შექმნა, და კაცობრიობის კეთილისმყოფელი კი არა, ჯალათი იყო. ცხოვრების ბოლოს მან ნაპოლეონის მთავრობას ამ საშინელი დანადგარის სახელის შეცვლა სთხოვა, მაგრამ მისი თხოვნა ყურად არავინ იღო. მაშინ ჟოზეფ იგნას გილიოტენმა თავის წინაპრებს დიდი ბოდიში მოუხადა (გულში) და თავად განწყვიტა კავშირი სამარცხვინო აღმოჩენის სახელთან. ეს როგორ მოახერხა – უცნობია. ფაქტი მხოლოდ ის გახლავთ, რომ ამ გვარის ხალხის შესახებ ჟოზეფ გილიოტენის გარდაცვალების შემდეგ არასოდეს არავის სმენია. საფრანგეთში კი "ეშმაკის მანქანა" უკანასკნელად 1977 წელს გამოიყენეს.

ერაყელთათვის თავდადებულნი

ლაიზა მინელი

რამდენიმე დღის წინ 57 წლის ამერიკელი მსახიობი და მომღერალი ლაიზა მინელი ბოლონიის ერთ-ერთ სასტუმროში კიბეზე დაგორებულა და მუხლისთავი გაუტეხავს. გუშინ ის, მუხლიდან კოჭამდე თაბაშირით, საავადმყოფოდან გამოვიდა იმისთვის, რომ პავაროტისთან ერთად დუეტში სინატრას ჰიტი, "ნიუ იორკ, ნიუ იორკი" ემღერა. ახლა ის კვლავ საავადმყოფოში დაწვება და მუხლის ოპერაციას გაიკეთებს. "შოუ უნდა გაგრძელდეს", უბრძანებია ლაიზას.

პავაროტისთან ერთად გამოსვლა მოდენაში, ჩრდილოეთ იტალიაში იყო დაგეგმილი. ამ კონცერტის, "პავაროტისა და მეგობრების" მიზანი ერაყელი ლტოლვილებისთვის თანხების შეგროვება და ამგვარად მათი სამშობლოში დაბრუნება გახლავთ. ლაიზას გარდა, კონცერტში მრავალი ვარსკვლავი – ბონო, ერიკ კლეპტონი, ლაიონელ რიჩი, რიკი მარტინი და სხვანი იღებდნენ მონაწილეობას.

პავაროტიმ თქვა, რომ სიტყვა არ ჰყოფნის იმის გადმოსაცემად, თუ როგორი მადლობელია ლაიზა მინელისა. "ძალიან სტკივა, მაგრამ იმღერა. ის მამაცი, მამაცი ქალია".

გარდაიცვალა რეიჩელ კემპსონი

რედგრეივების სამსახიობო დინასტია მრავალი ნიჭიერი ადამიანის წყალობითაა სახელგანთქმული. გასულ შაბათს მისი უხუცესი წარმომადგენელი ნიუ იორკში, 92 წლის ასაკში გარდაიცვალა.

რეიჩელ კემპსონი სერ მაიკლ რედგრეივის ქვრივი, კორინ, ლინ და ვანესა რედგრეივების დედა და ნატაშა და ჯოელ რიჩარდსონის ბებია იყო. ის თეატრალურ სცენაზე პირველად 1933 წელს გამოჩნდა, და მას შემდეგ ძირითადად ნაციონალურ თეატრში, შექსპირის სამეფო საზოგადოებისა და ინგლისის სასცენო კომპანიის დადგმებში მონაწილეობდა. გარდა ამისა, ქალბატონი კემპსონი ტელე- და კინონამუშევრებიც იყო ცნობილი და ხშირად ჩნდებოდა ეკრანებზე თავის სახელგანთქმულ ქალიშვილებთან ერთად. ნიუ იორკშიც იმიტომ იმყოფებოდა, რომ მისი ასული, ვანესა ბროდვეიზე დადგმულ იუჯინ ო`ნილის პიესაში თამაშობდა.

კემპსონის ყველაზე ცნობილი ტელედადგმა კოლონიალური სტილის კლასიკური ბრიტანული დადგმა "გვირგვინის პატიოსანი თვალი" იყო. მასში ის ლედი მენერსის როლს თამაშობდა. ამ როლის გახსენებისას მისმა ვაჟმა, კორინმა, აღნიშნა, რომ დედამისი ყველას ასეთად ეხსომება – სულით და ხორცით მშვენიერ ქალად.

სწავლა ლონდონში

ხელმისაწვდომ ფასად

ტექნოლოგიისა და მენეჯმენტის სკოლა (ლონდონი) გაწვევთ ხარისხის მოსაპოვებლად შემდეგი პროგრამების ფარგლებში. ტექნოლოგიისა და მენეჯმენტის სკოლის (ლონდონი) კამპუსი მდებარეობს ლონდონ ბრიჯთან. ეს ის ადგილია, სადაც ლონდონის ღირსშესანიშნაობებია თავმოყრილი. პროგრამები ბაკალავრის ხარისხის მოსაპოვებლად ხორციელდება სანდერლენდის (გაერთიანებული სამეფო) უნივერსიტეტთან ერთად; ხოლო პროგრამები მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად ხორციელდება ისტ ლონდონის (გაერთიანებული სამეფო) უნივერსიტეტთან ერთად. პროგრამები ცხადდება წელიწადში სამჯერ (ნოემბერი / აპრილი / აგვისტო). მორიგი კურსის დაწყების თარიღი 2003 წლის 7 აგვისტო.

MBA – მარკეტინგი / ფინანსები / IT
ელექტრონული კომერცია / HRM
პროექტის მენეჯმენტი

MSc – საინფორმაციო ტექნოლოგიები
კომპიუტერული სისტემის ინჟინერია
ინტერნეტის ინჟინერია

სრული ერთის ფასი $5950
სანგარაშიებლა 16.

ბიზნესის ან ბიზნეს ინფორმაციის ტექნოლოგიის პროგრამების ფარგლებში ბაკალავრის ხარისხის მოსაპოვებლად 2-წლიანი დაჩქარებული კურსის - BA (Hons) მთლიანი ღირებულებაა 10 950$ (£ 6750 ეკვივალენტი).
3-წლიანი კურსის ინჟინერიის ბაკალავრის ხარისხის მოსაპოვებლად B. Eng (Hons) მთლიანი ღირებულებაა £ 10 950

ზემოთ აღნიშნული თანხის გადახდა შესაძლებელია ეტაპობრივად

იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც ზემოაღნიშნული პროგრამებით სწავლობენ, ერთწლიანი ინტენსიური ინგლისური ენის კურსის გავლა შესაძლებელია დამატებითი 1600$-ის (£ 1000) გადახდის შემდეგ.
იმ სტუდენტებისთვისაც, რომელთაც მაღალი აკადემიური მოსწრება არა აქვთ, ხელმისაწვდომია მოსამზადებელი პროგრამები.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით: ნიგარ მუსაბეკოვს, ტექნოლოგიისა და მენეჯმენტის სკოლის მიმღებ განყოფილებაში
მისამართი: 12 Bul Bul Ave., Student Travel International (STI),
Tel/Fax: +994 12-989906, 98 99 08, +994 50 - 201 01 69
E-mail: stmgeorgia@hotmail.com; nm@sti.az
ან ადგილობრივ წარმომადგენელს: ნონა მესხიშვილს
ტელ.: 34 61 62, 8-93 35 20 67

კროსვორდი



წამალი "სალხინო"

ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.
წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.